ზურაბ აბაშიძე

ს 1309

სგ ბიბლიოთეკა

002546

ნატო და საქართველო

ერთად იდგან რად ცოფსა კვე

NATO OTAN

„დიდი მიზნის მიღწევას დიდი მონდომება სჭირდება, ხოლო მოუღწეველი მიზნის მიღწევას – კიდევ უფრო მეტი“

ფრიტიოფ ნანსენი

სარჩევი

ნატოს გენერალური მდივნის წინასიტყვაობა 6
ავტორისაგან 8

თავი I. დიდი შემობრუნება 11
1. კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ:
რთული დიალოგის დასაწყისი 11
2. ძველი მგრები და ახალი მეგობრები 17
3. ნატო-რუსეთი: პარტნიორობის მეტამორფოზა 31

თავი II. „ლამქრობა“ აღმოსავლეთისაკენ -
„რუბიკონის გადალახვა“ 39
1. ნატოს ახალი სტრატეგია და ევროპის ძველი პრობლემები 39
2. ბალკანეთის დილემა: ომი თუ იძულებითი მშვიდობა? 62

თავი III. საქართველო და ნატო 82
1. უტოპიის დასასრული და „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“ 82
2. ნატოს „მრავალწახნაგა ყვავილი“ და ერთი კაცის უტოპია 96

თავი IV. უტოპიიდან რეალობისკენ 104
1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და
ევროატლანტიკური რეალობები 104
2. კასპიის ენერგორესურსები: აქცენტები ნატოს
ახალ გეოსტრატეგიაში 112
3. საქართველო - ნატოს თანამშრომლობა:
მოვლენათა ქრონოლოგია, ახალი ინიციატივები 135
4. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (ეაპს) 156
5. საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა 178

თავი V. ნატო და საქართველო: ევროატლანტიკური
უსაფრთხოება XXI საუკუნეში 190
1. ვაშინგტონის სამიტამდე, ანუ ბატალიები ნატოს ახალ
სტრატეგიულ კონცეფციასთან დაკავშირებით 190
2. „კვანძის გახსნა“ ბალკანეთში - მკაცრი მაგალითი ყველასათვის ... 194
3. იუბილე ვაშინგტონში 212

თავი VI. ახალი იმედების მიჯნა 221
1. ახალი სტრატეგია მომავალი საუკუნისათვის 221
2. ნატოს „ვაწევრიანების სამოქმედო გეგმა“- პრივილეგია თუ
პასუხისმგებლობის ტვირთი ? 228
3. დასკვნის მაგივრად - ყურმი ნათქვამი საიდუმლო 237
რეზიუმე 244
რეზიუმე 256
ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება 265
დანართი 271
შენიშვნები 275
გამოყენებული ლიტერატურის სია 283
შემოკლებულ სიტყვათა განმარტება 287

ORGANISATION DU TRAITE
DE L'ATLANTIQUE NORD

NORTH ATLANTIC TREATY
ORGANIZATION

LE SECRÉTAIRE GÉNÉRAL
SECRETARY GENERAL

BOULEVARD LÉOPOLD III
B-1110 BRUXELLES

The Rt. Hon.
Lord Robertson of Port Ellen, PC

SG(2000)0651

13 June 2000

Dear Zurab,

I attach as promised a forward to the book you are preparing. I look forward to reading it when I visit Tbilisi in September.

Hope you enjoyed my little paper.

Best,

George

His Excellency
Mr Zurab Abashidze
Ambassador
Head of the Mission of Georgia
to NATO

თარგმანი ინგლისურიდან

13 ივნისი 2000

ბ-ნ ზურაბ აბაშიძეს
ნატოსთან საქართველოს მისიის
ხელმძღვანელს

ძვირფასო ზურაბ,

დაბირებისამებრ, გიგზავნით წინასიტყვაობას წივნისათვის, რომელზეც თქვენ მუშაობთ. იმედი მაქვს, რომ გავეცნობი მას სექტემბერში ჩემი ვიზიტის დროს თბილისში.

საუკეთესო სურვილებით,

ჯორჯ რობერტსონი
ნატოს გენერალური მდივანი

ANNEX to
SG(2000)0651

Secretary General's Foreword for "NATO and Georgia - From Utopia towards New Realities"

The emergence of new democratic states is a feature of the new security order. Their ability to flourish in independence is a key test for all of the institutions and individual nations alike. In this sense, Georgia plays a crucial role. Although it faces many challenges of political and economic transformation, Georgia's rich human and natural resources offer bright prospects for a future of stability and prosperity.

To make full use of these new opportunities requires, above all, security. In the 21st century, however, security is something no single nation can provide completely on its own. Only co-operation - both regional and international - offers the possibility to create the kind of long-term security and stability any nation seeks. Only nations that remain outward-looking, that connect to the wider world, will prosper. In this respect, Georgia's approach has been exemplary. It is a member of the OSCE since 1992. In 1999 it became a member of the Council of Europe. And it has signed a Partnership and Co-operation Agreement with the European Union.

Georgia also enjoys a close and trustful relationship with NATO. Realising early on that the new, post-Cold War NATO was becoming an essential catalyst for Euro-Atlantic security co-operation, Georgia was one of the first countries to join Partnership for Peace in March 1994 and has developed a substantial co-operation programme with NATO. In a similar vein, the first ever regional security co-operation seminar of the Euro-Atlantic Partnership Council (EAPC) was held in Georgia. These developments underscore Georgia's determination to become a firm part of the community of secure and prosperous democracies.

This book traces the positive evolution of NATO-Georgia relations in detail. It tells the story of NATO and Georgia coming closer together, but, at the same time, it also offers a fascinating account of this continent's wider transition.

ნატოს გენერალური მდივნის წინასიტყვაობა წიგნისათვის «ნატო და საქართველო: შტოპიიდან რეალობისკენ»

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა ჩვენი უსაფრთხოების ახალი გარემოს დამახასიათებელი მოვლენაა, მათი დამოუკიდებლობის წარმატებული განმტკიცება კი – თავისებური გამოცდა ამ ქვეყნების ყველა ორგანიზაციისა და ცალკეული პიროვნებისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველო საკვანძო როლს ასრულებს. იმის მიუხედავად, რომ მის წინაშე პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციისათვის დამახასიათებელი ბევრი სირთულეა, მდიდარი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები შესანიშნავ პერსპექტივებს სახავენ ქვეყნის სტაბილურობისა და კეთილდღეობისათვის.

ახალი შესაძლებლობების სრულფასოვანი გამოყენებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უსაფრთხოება. XXI საუკუნეში უსაფრთხოების ცნება აღარ შემოიფარგლება ცალკეული ქვეყნის საზღვრებით. მხოლოდ რეგიონული თუ საერთაშორისო თანამშრომლობის გზით არის შესაძლებელი ამა თუ იმ ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები მიაღწევენ, რომლებსაც გარე სამყაროს ზუსტი აღქმისა და მასთან დაკავშირების უნარი აქვთ. ამ თვალსაზრისით საქართველო ნამდვილად სამაგალითოა. 1992 წლიდან იგი ევროუშიშროების ორგანიზაციის წევრია, ხოლო 1999 წლიდან – ევროპის საბჭოსი. საქართველოს ასევე გაფორმებული აქვს ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

საქართველოს მჭიდრო და სანდო ურთიერთობა აქვს ნატოსთანაც. ქვეყანამ დროულად გაიაზრა, რომ „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში ნატო ყალიბდებოდა უსაფრთხოების სფეროში ევროატლანტიკური თანამშრომლობის მთავარ კატალიზატორად. საქართველო ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყნებიდან, რომლებიც 1994 წლის მარტში შეუერთდნენ პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და გა-

ნახორციელეს ნატოსთან ფართო თანამშრომლობის პროგრამები. ამავე დროს, სწორედ საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელმაც უმასპინძლა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპს) პირველ სემინარს უსაფრთხოების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის თაობაზე. ყოველივე ეს ხაზს უსვამს საქართველოს მტკიცე სურვილს, გახდეს განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე წიგნში დეტალურადაა აღწერილი ნატო–საქართველოს ურთიერთობების პოზიტიური განვითარების პროცესი. წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ უახლოვდება ერთმანეთს ნატო და საქართველო. ამავე დროს, ეს გახლავთ ევროპის კონტინენტის დიდი გარდაქმნის შთამბეჭდავი სურათი.

ავტორისაგან

1993 წლის მაისში დაარსდა ჩვენი ქვეყნის პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა დასავლეთ ევროპაში – ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან საქართველოს საელჩო.

ამ ალბათ უკვე ისტორიად ქცეული ნაბიჯისათვის ბრიუსელი შემთხვევით არ იყო შერჩეული. მოგეხსენებათ, რომ ბელგიის დედაქალაქში განლაგებულია ევროკავშირისა და ევროპარლამენტის შტაბბინები, ასევე რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც უდიდესი დახმარება გაუწიეს (და დღესაც უწევენ) საქართველოს თავისი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ბრიუსელში მდებარეობს იმ ორგანიზაციის შტაბბინაც, რომელსაც საბჭოთა კავშირში „აგრესიულ ბლოკად“ მოიხსენიებდნენ. ეს გახლავთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ანუ ნატო.

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგ ნატომ პარტნიორული ურთიერთობების დამყარება შესთავაზა ყოფილ მოწინააღმდეგეებს. ამგვარად, საქართველოსაც გაუჩნდა შესაძლებლობა პირდაპირი ურთიერთობები დაემყარებინა ალიანსთან. 1993 წლის ივნისიდან ბრიუსელში საქართველოს ახლად დაარსებულმა საელჩომ დაიწყო ნატოსთან მეკავშირე დიპლომატის ოფისის“* ფუნქციების შესრულებაც. ანუ ის, რაც სულ რამდენიმე წლის წინ უტოპიად გვეჩვენებოდა, რეალობად იქცა: იწყებოდა ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა.

საქართველოს საელჩოს, რომელიც საწყის ეტაპზე სულ ორი დიპლომატისაგან შედგებოდა (ელჩის, ანუ ამ სტრიქონების ავტორის ჩათვლით), საკმაოდ არაოდინალურ ვითარებაში უხდებოდა საქართველოს ინტერესების დაცვა. უპირველესი ამოცანა გახლდათ აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნისათვის მხარდაჭერისა და დახმარების მოპოვება. გარდა ამისა საციცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენი ქვეყნის მატერიალურ, კერძოდ საკვები

** ასეთი სახელწოდება მიენიჭათ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებსაც.*

პროდუქტებით, დახმარებას, რაც უმთავრესად ევროკავშირის მეშვეობით ხდებოდა. შეგახსენებთ, რომ 1993 წლის შემდეგ ევროკავშირმა რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის უსასყიდლო დახმარება აღმოუჩინა საქართველოს.

-პატარა სამოთახიან ბინაში განთავსებულ საელჩოს, რომლის „შეიარაღებაზე“ იმყოფებოდა თბილისიდან წამოყვანილი, ნახევრად გადაღებილი ავტომანქანა, იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ უსახსრობის პირობებში დიპლომატიური მისიის სხვა ფუნქციებიც შეესრულებინა ბენილუქსის სამ ქვეყანაში.

საქართველოს საელჩოები და იქ მომუშავე დიპლომატები არც დღეს არიან განებივრებულნი ზედმეტი კომფორტით, მაგრამ მათ წინაშე ახლა სულ სხვა ამოცანები და პრობლემები დგას, რომლებსაც ისინი ღირსეულად ართმევენ თავს. ამ სტრიქონების ავტორს მათ შორის სურს ხაზგასმით გამოჰყოს ის ქართველი დიპლომატები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ნატო–საქართველოს თანამშრომლობაში: კახა იმნაძე, მამუკა კუდავა, კაპიტანი ლევან სიხარულიძე, თემურ გამცემლიძე.

პირველი კონტაქტები ნატოსთან გასული წლების მანძილზე გადაიზარდა მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორობაში. 1998 წელს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაარსდა საქართველოს სრულფასოვანი დიპლომატიური მისია (ოფისით ნატოს შტაბბინაში). დღეისათვის კი საქართველო უკვე აქტიურად მონაწილეობს ევროატლანტიკური უშიშროების სისტემის მშენებლობაში, რამაც უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის, დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარება. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საქართველოში მაღალი დონის დელეგაციათა ვიზიტები, რომელთა შორის აღსანიშნავია 1997 და 1998 წლებში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტები ჩვენს ქვეყანაში. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, სპეციალისტები და სამხედრო პირები მონაწილეობას იღებენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. ნატოს სასწავლებლებში სწავლებას გადიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები. ნატოსა და საქართველოს შორის საკმაოდ აქტიურად ხორციელდება სამხედრო

თანამშრომლობა, რომელიც სხვადასხვა სფეროებს მოიცავს.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქართველი სამხედროების მონაწილეობაც სხვადასხვა ქვეყანაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში გამართულ სამხედრო ვარჯიშებში. 2001 წელს ასეთი ვარჯიშის ჩატარება გათვალისწინებულია საქართველოშიც.

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისა და სამშვიდობო ოპერაციებში პრაქტიკული გამოცდილების მიღების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამხედრო ქვეგანაყოფის ჩართვას იმ საერთაშორისო აქციაში, რომელიც ამჟამად კოსოვოში მიმდინარეობს.

ვფიქრობთ, რომ შეიძლება საინტერესო იყოს იმის უფრო დეტალური გაშუქება, თუ რა გზა განვლო ნატო-საქართველოს ურთიერთობებმა 1993 წლიდან 1999 წლის ნატოს ვაშინგტონის სამიტამდე, ანუ იმ უმაღლესი დონის შეხვედრამდე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა განახლებულ, **XXI** საუკუნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს.

ამ ისტორიული პროცესის განხილვა, ჩვენი აზრით, უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმაზეც, თუ რა ბედი ელის მომავალში ნატო-საქართველოს თანამშრომლობას და რისი იმედები შეიძლება ვიქონიოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისაგან.

აქვე მინდა დავსძინო, რომ წიგნში გამოთქმულ ზოგიერთ *პირად* მოსაზრებას სრულებით არა აქვს ქვეყნის ოფიციალური პოზიციის გამოხატვის პრეტენზია.

წინამდებარე ნაშრომს ვურთავ ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯ. რობერტსონის წინასიტყვაობას, რომელსაც გულითად მადლობას მოვახსენებ საქართველოს მიმართ თბილი დამოკიდებულებისა და მხარდაჭერისათვის.

ზურაბ აბაშიძე

2000 წლის ივნისი

თავი I.
დიდი შემობრუნება

1. კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ: რთული დიალოგის დასაწყისი

1949 წელს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას*, რომელმაც დასაბამი მისცა აშშ-ის, კანადისა და დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს** კოლექტიური უსაფრთხოებისა და პარტნიორობის ახალ მექანიზმს – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო)***.

ნატოს შექმნა განაპირობა მზარდმა საბჭოთა ექსპანსიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის სამყაროს.

თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ფუნდამენტური როლი შეასრულა დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს კოლექტიური თავდაცვისა და მისი უშიშროების უზრუნველყოფაში. „ცივი ომის“ პერიოდში ამ სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეძლო შეეჩერებინა ევროპაში საბჭოთა ექსპანსია და დაემყარებინა კონტინენტზე სტრატეგიული ბალანსი.

ნატო იყო და არის თავისი წევრი ქვეყნების თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების გარანტი. ის ხელს უწყობს ევროპის კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას.

---

* ცნობილია, როგორც „ვაშინგტონის ხელშეკრულება“. იხ. დანართში

** ესენია ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და პორტუგალია.

*** 1952 წელს ნატოს შეუერთდნენ საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელს – ესპანეთი, ხოლო 1999 წელს – პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი.

ალიანსს დიდი წვლილი მიუძღვის 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის გარდაქმნაში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ – ევროატლანტიკურ სივრცეში თვისობრივად ახალი უშიშროების გარემოს ჩამოყალიბებაში*.

სოციალისტური ბანაკის „დიდი გარდაქმნის“ წინაპირობები ჯერ კიდევ 1960-70-იან წლებში შეიქმნა და ისინი მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ნატოს პოლიტიკური ერთიანობით, სამხედრო პოტენციალის ეფექტურობითა და ეკონომიკური უპირატესობით. 1967 წლიდან ალიანსი ხელმძღვანელობდა სტრატეგიული დოქტრინით, რომელიც ითვალისწინებდა ერთი მხრივ ნატოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ – საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებთან ურთიერთობებში არსებული დაძაბულობის განმუხტვას. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ნატოს 1979 წლის ე.წ. ორმაგი გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის მოდერნიზაციისა და კონტროლის შესახებ, რასაც მოჰყვა ევროპაში, ალიანსის წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე, საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების განლაგება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ალიანსის თავდაცვისუნარიანობა და შემდგომ აიძულა საბჭოთა კავშირი წასულიყო შეიარაღების სფეროში სერიოზულ დათმობებზე.

პოლიტიკური შედეგებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1975 წელს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე (ეუთთ)** 35 ქვეყნის მიერ ხელმოწერილ „ჰელსინკის აქტს“, რომელმაც ხელი შეუწყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის განმუხტვას და იმავდროულად მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირს და მის სატელიტ ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოძრაობის გაძლიერებას. ამას შედეგად მოჰყვა 1980 წელს პოლონეთში დამოუკიდებელი პოლი-

---

*ევროატლანტიკური სივრცე მოიცავს ნატოს წევრ ქვეყნებს, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს.

**ეუთთ, ანუ ევროთათბირი, 1994 წელს გადაკეთდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციად (ეუთო).

ტიკური ორგანიზაციის „სოლიდარობის“ ლეგალიზაცია, რამაც კომუნისტური რეჟიმისათვის მეტად სახიფათო პრეცედენტი შექმნა.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში გარდაქმნის პოლიტიკის შედეგად შექმნილმა ახალმა ვითარებამ ნატოს წინაშე აღნიშნულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების საკითხი დააყენა. ახალი სტრატეგია მიზნად ისახავდა „ცივი ომის“ ეპოქის კონფრონტაციიდან პრაქტიკულ თანამშრომლობაზე გადასვლას, ევროპული უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობას, რომელსაც, ბუნებრივია, დასავლური ცივილიზაციის ფასეულობები და პრინციპები უნდა დადებოდა საფუძვლად.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის, რომელიც, დღიდან მისი დაარსებისა (1949 წ.), საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებისა და დასავლური დემოკრატიის დაცვას ემსახურებოდა, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სირთულეებთან. უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მოწინააღმდეგის პარტნიორად აღიარება მოითხოვდა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონცეფტუალურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მონაწილეობით 1989 წელს ვენაში ევროთათბირის ეგიდით დაიწყო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროცესი, რომელსაც ევროპის უშიშროების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა.

ამ თვისობრივად ახალი ურთიერთობებისათვის შესაბამისი კლიმატის შექმნის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა 1989 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის ვიზიტმა ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში.

შეხვედრაზე, რომელსაც დღესაც ხშირად იხსენებენ ნატოში როგორც ფსიქოლოგიური გარდატეხის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს, გაიჟღერა ორი დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ფუნქციებისა და სტრატეგიის ტრანს-

ფორმაციის იდეამ.

აღნიშნულმა ვიზიტმა და თვით საბჭოთა მინისტრის პიროვნებამ კიდევ უფრო დაარწმუნა ალიანსი, რომ აუცილებელი იყო ახალი სტრატეგიული ინიციატივის შემუშავება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართ.

// აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირისაკენ ნატოს „დიდი შემობრუნების" ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევენ ალიანსის სამიტს, რომელიც 1990 წლის 5-6 ივლისს გაიმართა ლონდონში. სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში ჩამოყალიბდა ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მთავარი კონტურები, რომელთა საფუძველი იქნებოდა არა ორი დაპირისპირებული ბანაკის ძალთა თანაფარდობა, არამედ თანამშრომლობისა და პარტნიორობის პრინციპები.

აღსანიშნავია, რომ სამიტზე აშკარად იგრძნობოდა ის ოპტიმისტური განწყობილება, რომელიც სუფევდა დასავლეთში ყოფილ სოციალისტურ ბანაკში იმ დროს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. „... იწყება ევროპის ახალი და იმედებით აღსავსე ეპოქა. თავისუფლება მკვიდრდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. საბჭოთა კავშირი დაადგა თავისუფალი საზოგადოებისაკენ მიმავალ გრძელ გზას. ინგრევა კედლები, რომლებიც წლების მანძილზე ჰყოფდნენ ერთმანეთისაგან ხალხებსა და იდეებს. ევროპელები თვითონ ირჩევენ თავიანთ ბედს, ირჩევენ დამოუკიდებლობას, ირჩევენ ეკონომიკურ თავისუფლებას, ირჩევენ მშვიდობას, ირჩევენ ერთიან და თავისუფალ ევროპას. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა შეიცვალოს ალიანსიც და ოგი შეიცვლება" – ნათქვამია საკმაოდ მაღალფარდოვნად სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში (1).

სამიტზე აღინიშნა აგრეთვე ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც მიუძღვის ნატოს, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ თავდაცვით ალიანსს, ევროპაში ამ გარდაქმნების განხორციელებისას. ამასთანავე, დეკლარაციაში მითითებულია, რომ ალიანსის წევრები „...კვლავაც უნდა ერთად იყვნენ, რადგან არავის შეუძლია მომავლის ზუსტად წინასწარმეტყველება" (2).

სწორედ ამ პერიოდში იკვეთება ის ახალი კონტურები, რომლებ-

ის ფარგლებშიც უნდა ემოქმედა ნატოს ევროპაში მიმდინარე გარდაქმნების ხელშეწყობისათვის. უპირველეს ყოვლისა, კეთდება მნიშვნელოვანი განცხადება ალიანსის პოლიტიკური განზომილების გაძლიერების აუცილებელობის თაობაზე, ანუ ამიერიდან უშიშროება და სტაბილურობა ევროპაში აღარ უნდა დაფუძნებოდა მხოლოდ სამხედრო ძალას.

ლონდონის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში აღინიშნა, რომ ახალ ევროპაში ყველა ქვეყნის უსაფრთხოება დაკავშირებული აღმოჩნდა მეზობელი სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. ამიტომ ადაპტირებული ნატო უკვე მოიაზრებოდა როგორც ორგანიზაცია, რომელშიც ევროპელები, ამერიკელები და კანადელები იმუშავებდნენ ერთად არა მხოლოდ თავიანთი კოლექტიური თავდაცვის უზრუნველსაყოფად, არამედ ევროპის ყველა ხალხებთან სათანამშრომლოდ. „...ალიანსმა უნდა დაამყაროს კავშირები ყველა იმ ქვეყანასთან, რომელიც „ცივი ომის" პერიოდში ჩვენი მოწინააღმდეგე იყო. მათ ჩვენ მეგობრის ხელი უნდა გავუწოდოთ" – ნათქვამია დოკუმენტში (3).

სწორედ ამ სულისკვეთებით შესთავაზეს სამიტზე ალიანსის ლიდერებმა გარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს ერთობლივი განცხადების გაკეთება იმის თაობაზე, რომ მხარეები უკვე აღარ განიხილავდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეებად, არ გამოიყენებდნენ ძალას რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და არ გადადგამდნენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა გაერო-ს ქარტიისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი დოკუმენტის პრინციპებს.

ლონდონის სამიტზე გაკეთდა ასევე განცხადება, რომ ალიანსი იწვევდა ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში, ბ-ნ მ. გორბაჩოვს, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. როგორც სამიტის დეკლარაციაშია ნათქვამი, ეს მოწვევა გულისხმობდა არა მხოლოდ ვიზიტების განხორციელებას, არამედ რეგულარული დიპლომატიური კავშირის დამყარებას ნატოსთან.

„დიდი შემობრუნების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ევროპული უსაფრთხოების ახლებური ხედვა წმინდა სამხედრო თვალსაზრისით. ლონდონის დეკლარაციით ალიანსმა აღნიშნა ევროპაში განლაგებული აშშ-ის ბირთვული შეიარაღების მნიშვნელობა ტრანსატლანტიკური სოლიდარობისა და თანამშრომლობის კონტექსტში და დაადასტურა, რომ ის მზად იყო ამ საკითხის ახლებური გააზრებისათვის.

ჩვენი აზრით, აუცილებელია შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ასევე ხაზგასმით ფიგურირებს ლონდონის დეკლარაციაში. კერძოდ, ნატო ახალი ევროპის მშენებლობის საქმეში ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად მიიჩნევდა ევროთათბირს. ლონდონის სამიტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისა და კონტროლის პრობლემატიკას და ამის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების ოპერატიულად მომზადების აუცილებლობას. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (ეჩშძ) და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ამასთანავე, ლონდონის დეკლარაციაში გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, თუ რა სახით მოხდებოდა საკუთრივ ნატოს სამხედრო სტრუქტურის გარდაქმნა და ადაპტირება, კერძოდ, პირველ რიგში, იგეგმებოდა შემცირება და რესტრუქტურიზაცია, რომლის მიზანი იყო მობილური და მოქნილი ძალების შექმნა. ეს ძალები უნდა დაკომპლექტებულიყო ეროვნული ქვეგანაყოფებისაგან შემდგარი მრავალეროვნული შენაერთების საფუძველზე. ნატო ასევე ითვალისწინებდა საჯარისო ნაწილების მზადყოფნის რეჟიმის შერბილებას, მათი სამხედრო ვარჯიშებისა და წვრთნების პროგრამების შემცირებას.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპაში განლაგებულ ბირთვულ იარაღს, აღსანიშნავია, რომ დეკლარაციაში არ იყო გათვალისწინებული რაიმე განსაკუთრებული ან ახალი ვალდებულებები ამ ძალების შემცირების თვალსაზრისით. აღინიშნა მხოლოდ, რომ შესაძლოა მოკავშირეებს ეს შეიარაღება გამოყენებინათ მხოლოდ თავდაცვითი მიზნებით და რომ ნატოს მიზანი იყო ბირთვული არსენალის შემცირება რაც შეიძლება დაბალ, სტაბილურ დონემდე. ეს შემცირ-

ება კი დაკავშირებული იყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებთან. სამიტზე ასევე მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ალიანსის ახალი სამხედრო სტრატეგიის შემუშავების შესახებ, რომელიც გაითვალისწინებდა ბოლო წლების რევოლუციურ ცვლილებებს ევროპის კონტინენტზე.

1993 წლის 23 ივნისს ნატოს შტაბბინაში ვიზიტისას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ე.შევარდნაძემ, როდესაც გაიხსენა საბჭოთა ხელმძღვანელობის რეაქცია ლონდონის დეკლარაციაზე, განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი უპასუხებდა მის ყველაზე გაბედულ, იმ დროისათვის კი ფანტასტიკურ ვარაუდსაც. განსაკუთრებით ეხებოდა ეს ინიციატივას ნატოს არსის კარდინალური ცვლილების შესახებ.

2. ძველი მტრები და ახალი მეგობრები

აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის მიმართ ნატოს ახალი სტრატეგიის პრინციპები და ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯები უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, ჩვენი აზრით, აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე 1991 წლის 6-7 ივნისს კოპენჰაგენში გამართულ ნატოს საბჭოს სხდომაზე.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ სხდომაზე მიღებულ სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია: „...ევროპის დაყოფის ხანგრძლივი ეპოქა დასრულდა. ჩვენ მივესალმებით ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების კონტაქტების მნიშვნელოვან გაფართოებას საბჭოთა კავშირთან და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, თუკი ეს უკანასკნელნი მიესალმებიან გასულ წელს ლონდონის შეხვედრაზე ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა მიერ შეგობრობისათვის გაწვდილ ხელს. ჩვენ მივესალმებით ამ ქვეყნების ხალხთა მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რე-

ფორმებს. ჩვენი სურვილია დავამყაროთ მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, თავისუფალ და ერთიან ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით...“ (4).

ამ მართლაც ეპოქალური მიზნების მისაღწევად აღნიშნულ განცხადებაში მთავარ მექანიზმად დასახელებულია ევროთათბირი. იმ ეთნიკურ-პოლიტიკური პრობლემების გათვალისწინებით, რომლებმაც ამ დროს უკვე იჩინეს თავი იუგოსლავიასა და სსრკ-ის რიგ რესპუბლიკებში, მინისტრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს ამ ინსტიტუტის როლს კონფლიქტების თავიდან აცილებაში, კრიზისების დარეგულირებასა და მათი პოლიტიკური მეთოდებით მოგვარებაში, რისთვისაც საჭიროდ მიიჩნიეს საგანგებო საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა და კონფლიქტების მოგვარების არსებული ცენტრის გაძლიერება.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ სხდომაზე აშკარად შეიმჩნეოდა ალიანსის განსაკუთრებული მიდგომა ბალტიისპირეთის რეგიონის მიმართ, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო ლიტვაში ამ დროს მომხდარ ცნობილ მოვლენებთან. სხდომის განცხადებაში ნათქვამია: „... ჩვენ მხარს ვუჭერთ ბალტიისპირეთის ქვეყნების ხალხთა სურვილებსა და კანონიერ მოთხოვნებს და მოვუწოდებთ საბჭოთა ხელისუფლებას, რათა თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისაგან და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეულ ლიდერებთან ერთად დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით, ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის პრინციპებზე დაყრდნობით გააგრძელოს შესაბამისი გადაწყვეტილებების ძიება“ (5).

საგარეო საქმეთა მინისტრებმა განავითარეს ლონდონის სამიტის ინიციატივა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მაღალი დონისა და რეგულარული დიპლომატიური კონტაქტების დამყარების შესახებ და ყურადღება გაამახვილეს ამ ქვეყნებთან სხვადასხვა დონეზე სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხზეც. ამგვარად, იწყებოდა თანამშრომლობის თვისობრივად ახალი ეტაპი. ამ მიმართულებით იგეგმებოდა

• უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში აზრთა ურთიერთგაცვლისა და ინფორმირების მიზნით ოფიციალური პირებისა და ექსპერტთა

შეხვედრების ორგანიზება, კერძოდ ისეთი საკითხების თაობაზე, როგორიცაა სამხედრო სტრატეგია და დოქტრინები, შეიარაღებაზე კონტროლი, სამხედრო ინდუსტრიის კონვერსია;

• მჭიდრო კონტაქტების დამყარება ნატოს სამხედრო ხელმძღვანელებსა და მათ აღმოსავლეთ ევროპელ კოლეგებს შორის. ნატოს შტაბბინაში, შეიპ-სა და ნატოს სხვა სამეთაურო ცენტრებში აღნიშნული ქვეყნების ოფიცრების და სამხედრო სპეციალისტების ვიზიტების განხორციელება სპეციალური პროგრამის ფარგლებში, ასევე მათთვის ნატოს საწვრთნელი დაწესებულებების გაცნობა;

• ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტთა მონაწილეობა ალიანსის ცალკეულ ღონისძიებებში, მათ შორის ნატოს ე.წ. მესამე განზომილების სამეცნიერო და გარემოსდაცვით პროგრამებში;

• ნატოს საინფორმაციო პროგრამების განხორციელება რეგიონის ქვეყნებში, უშიშროებისა და დემოკრატიის საკითხებზე დისკუსიების გამართვა, ნატოს შტაბბინაში აღნიშნული ქვეყნების პარლამენტართა, ჟურნალისტებისა და ახალგაზრდული დელეგაციების მიწვევა;

• თანამშომლობის გაფართოება ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტებს შორის.

აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის მიმართ ახალი პოლიტიკის შემუშავებასთან ერთად ნატოს დღის წესრიგში კვლავ რჩებოდა საკუთრივ ალიანსის სტრატეგიული ერთიანობისა და კონსოლიდაციის შენარჩუნება. საგარეო საქმეთა მინისტრების კოპენჰაგენის შეხვედრის დასკვნით კომუნიკეში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „...აუცილებელია ალიანსის მიერ თავისი მთავარი ფუნქციების უზრუნველყოფა. ალიანსი რჩება ძირითად ფორუმად მის წევრებს შორის კონსულტაციებისათვის, რომელთა მთავარი მიზანია ვაშინგტონის (1949 წ. ზ.ა.) ხელშეკრულების შესაბამისად მოკავშირეთა მიერ უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება...“ (6). ასევე გატარებულია აზრი, რომ აუცილებელია ნატოს არსებული სამხედრო პოზიციების შენარჩუნება

მოკავშირეთა კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

უნდა ითქვას, რომ ეს დებულებები პასუხობდა ნატოს რიგ წევრ-სახელმწიფოებში არსებულ მოსაზრებებსა და ეჭვებს იმის თაობაზე, რომ სოციალისტური ბანაკის რეფორმირებასა და „ცივი ომის“ დამთავრებას ალიანსის შესუსტება შეიძლება გამოეწვია. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ კოპენჰაგენის მინისტრთა შეხვედრაზე ცალკე დოკუმენტად მიიღეს განცხადება განახლებულ ევროპაში ნატოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი ფუნქციების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ალიანსის დამაფუძნებელი ხელშეკრულებით მისი წევრების ვალდებულებები და უფლებები უცვლელი რჩებოდა (7). ნატოს მთავარ ამოცანად კვლავ განიხილებოდა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით მისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავისუფლების დაცვა, რისთვისაც იგი მზად იყო აღეკვეთა ალიანსის ან რომელიმე მისი წევრის მიმართ ნებისმიერი აგრესია.

ამგვარად, ნატო იყო და რჩებოდა უსაფრთხოების ტრანსატლანტიკურ მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც აშშ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპასთან. ამავე დროს, კოპენჰაგენის შეხვედრა ნატოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კვლავ მიიჩნევდა ევროპაში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებას, რაც აშკარად მიუთითებდა, რომ „ცივი ომის“ რეციდივები და მენტალიტეტი ჯერ კიდევ სახეზე იყო.

ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის საწყის ეტაპზე მყოფი თანამშრომლობის გამოცდად იქცა 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. იმავე წლის 21 აგვისტოს ბრიუსელში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგანგებო სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები. სხდომამ პოლიტიკური შეფასება მისცა ამ მოვლენებს და ჩამოაყალიბა ალიანსის მიდგომა შექმნილი ვითარების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ცალსახად დაიგმო მიხეილ გორბაჩოვის მიმართ პუტჩისტების მოქმედება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კავშირში დემოკრატიული რეფორმების შემდგომ განვი-

თარებას. სხდომის მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ალიანსი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ანტიკონსტიტუციური ძალისმიერი მოქმედებისა „...საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა წინააღმდეგ. მოკავშირეთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ცნობები ბალტიისპირეთის ქვეყნებში სამხედროების მიერ განხორციელებული რეპრესიებისა და ძალადობის შესახებ“ (8).

· ნატოს წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს ბ. ელცინს და გააკეთეს საყურადღებო დასკვნა, რომ მ. გორბაჩოვის მიმართ განხორციელებულმა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ წარმოშვა სერიოზული კითხვები საბჭოთა კავშირის მომავლის თაობაზე. როგორც ამ შეფასებიდან ჩანს, დასავლეთში კარგად ესმოდათ, რომ გადატრიალების მცდელობა კიდევ უფრო დააჩქარებდა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციას, რაც მომდევნო მოვლენებმაც დაადასტურა. ალიანსმა საკმაოდ კატეგორიულად მოითხოვა, რომ საბჭოთა კავშირს შეესრულებინა მის მიერ ნაკისრი ყველა საერთაშორისო ვალდებულება, მათ შორის განიარაღებასა და ცენტრალური ევროპიდან საჯარისო ნაწილების გაყვანასთან დაკავშირებით. საყურადღებოა ასევე განცხადების ის ნაწილი, სადაც საუბარია იმის თაობაზე, რომ ალიანსი თავს შეიკავებდა პუტჩისტებთან ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტისაგან, თუმცა შეინარჩუნებდა საბჭოთა კავშირთან საკომუნიკაციო არხებს, „...რომელთა გადახედვა შეიძლება მოხდეს საჭიროების შემთხვევაში“. ამგვარად, ქვეყანაში სიტუაციის გარკვევამდე ნატომ ფაქტიურად შეაჩერა საბჭოთა კავშირთან ოფიციალური გაცვლების პროგრამა.

აღნიშნავია, რომ ბრიუსელის შეხვედრაზე ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოითხოვეს ევროთათბირის საგანგებო სხდომის მოწვევა, ასევე პარიზის ქარტიის ხელმომწერი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტთან. საყურადღებოა განცხადების ის ნაწილი, სადაც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დაცვის კონტექსტში საუბარია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. ევროპის ახალი დემოკრატიების

მიმართ სოლიდარობის გამოცხადებით ალიანსი ფაქტიურად შემოიფარგლა ზოგადი განცხადებით, რომ „...საბჭოთა კავშირმა პატივი უნდა სცეს ევროპის ყველა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოებას“ (9). ეს ნათლად მიუთითებდა, რომ საბჭოთა კავშირის „უკან შემობრუნების“ შემთხვევაში იმ ეტაპზე ალიანსი არ იყო მზად რადიკალურად დაეცვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ამ მიდგომამ მომდევნო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაზედაც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

აღნიშნულმა მოვლენებმა და საბჭოთა კავშირში შემდგომ განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს ალიანსის აღმოსავლეთის პოლიტიკას. ეს საკითხი სპეციალური განხილვის საგნად იქცა 1991 წლის 7–8 ნოემბერს რომში გამართულ ნატოს სამიტზე. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამიტი გაიმართა „ბელოვეჟის ხელშეკრულების“ ხელმოწერამდე (ანუ საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე) ზუსტად ერთი თვით ადრე, თანამედროვე ანალიზის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ შეხვედრაზე მიღებული დოკუმენტები. ამ კონტექსტში საყურადღებოა განცხადება საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების შესახებ. კერძოდ, ნატოს სახელმწიფოთა ლიდერებმა მაღალი შეფასება მისცეს პუტჩის პერიოდში რიგითი საბჭოთა მოქალაქეების გაბედულ და გაუკაცურ მოქმედებას. ამავე დროს, საბჭოთა კავშირთან ერთად, განცხადებაში უკვე ხაზგასმით ფიგურირებს ტერმინი „რესპუბლიკები“, რაც, ბუნებრივია, ეხმაურება იმ დროს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის ღრმად განვითარებულ პროცესს. „...ჩვენ მზად ვართ განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და რესპუბლიკებთან იმავე ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა საფუძველზე ათეული წლების მანძილზე ვახორციელებდით ჩვენ საკუთარ პოლიტიკასა და პრაქტიკას“ – ნათქვამია სამიტის დეკლარაციაში (10).

მოგეხსენებათ, რომ ამ პერიოდისათვის რიგმა საბჭოთა რესპუბლიკებმა უკვე გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ პოვა შესაბამისი ასახვა ზემოაღნიშნული სამიტის დოკუ-

მენტებში. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომელთა დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი დადასტურდა სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში. რაც შეეხება სხვა რესპუბლიკებს, საგულისხმოა დეკლარაციის მე-2 პუნქტი: „საბჭოთა კავშირის ხალხებმა მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით თვითონ უნდა გაარკვიონ მომავალი ურთიერთობები. ამავე დროს ჩვენ მხარს დავუჭერთ მათ ძალისხმევას, რათა შეიქმნას თანამშრომლობის საერთო საფუძველი როგორც ამ ხალხებს შორის, ასევე ჩვენთან“ (11). თუ გავაანალიზებთ ნატოს ამ რჩევას საბჭოთა კავშირის ხალხების „საერთო საფუძვლის“ თაობაზე, ამასთანავე, თუ გავიხსენებთ აშშ-ის პრეზიდენტის ჯ. ბუშის მიერ მ. გორბაჩოვის ბოლომდე მხარდაჭერას*, შეიძლება გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომ დასავლეთი იმ დროს პრიორიტეტს ანიჭებდა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, თუმცა შეკვეცილი სახით (ანუ ბალტიისპირეთის გამოკლებით).

სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა კავშირში და რესპუბლიკებში პროცესების მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების აუცილებლობა: „...მიუღებელია ძალადობის, ზეწოლის, დაშინებისა და მუქარის მეთოდები. ყველა დონის ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს საერთაშორისო ნორმებსა და საერთაშორისო ვალდებულებებს, განსაკუთრებით იმ პრინციპებს, რომლებიც დაფიქსირებულია ჰელსინკის დასკვნით დოკუმენტში, პარიზის ქარტიაში, ევროთათბირის სხვა დოკუმენტებში. ამის გათვალისწინებით, ხელისუფლება უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ და თავისუფალ არჩევანს, ასევე კანონის უზენაესობას. გარანტირებული უნდა იყოს ადამიანისა და უმცირესობათა საყოველთაოდ აღიარებული უფლებები“ (12).

სამიტის ყურადღების ცენტრში კვლავ აღმოჩნდა განიარაღების პროცესი, რაშიც ახალი და მოულოდნელი ელემენტების შეტანა შეეძლო საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციას. ამ თვალსაზრისით

** 1991 წლის ივნისში კიევში ვიზიტისას პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა თავის გამოსვლაში საჯაროდ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას.*

ნატოს ლიდერებმა მოუწოდეს საბჭოთა კავშირსა და *რესპუბლიკებს,* შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ, სამიტის განცხადებაში საუბარია ისეთი დოკუმენტების რატიფიცირებაზე, როგორიცაა ხელშეკრულებები სტრატეგიული შეიარაღების შემცირების, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის და ბიოლოგიური შეიარაღების შესახებ. ამ კონტექსტში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის დაცვის აუცილებლობაზე, რასაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებში შექმნილი არასტაბილური ვითარება.

რომის სამიტზე გადაიდგა პირველი და მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი უსაფრთხოების სფეროში ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით*, რაც საფუძვლად დაედო მომდევნო წლებში ამ კომპლექსური პროცესის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მომდევნო შეხვედრაზე იმავე წლის დეკემბერში სამიტმა მოიწვია ბულგარეთის, ჩეხეთის, სლოვაკიის, უნგრეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაციის მომზადების, თანამშრომლობის ახალი ეპოქის დაწყებისა და ამ პროცესის შინაარსობრივი და ფორმალური მხარეების შემუშავების მიზნით.

პარტნიორობის ამ ახალი ეპოქის საწყისი ეტაპისათვის ოგეგმებოდა შემდეგი ნაბიჯები:

– მინისტრთა დონეზე ჩრდილო ატლანტიკური საბჭოსა და პარტნიორების ერთობლივი სხდომები, რომელთა დასახელება სამიტის დეკლარაციაში პირობითად განისაზღვრა, როგორც „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“ (ნაქსი);

– ელჩების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და პარტ-

** საგულისხმოა, რომ სამიტის დოკუმენტებში უკვე ჩნდება ტერმინი „პარტნიორი“ ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირთან მიმართებით.*

ნიორთა პერიოდული ან საგანგებო შეხვედრები;

– რეგულარული (ან შეთანხმებისამებრ) შეხვედრები პარტნიორებთან ნატოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა კომიტეტების ფარგლებში.

აღნიშნულ შეხვედრებსა და კონსულტაციებზე უმთავრესად იგეგმებოდა უსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ალიანსი იწყებდა პარტნიორებისათვის თავისი გამოცდილების გაზიარებას ისეთ სფეროებშიც, როგორიცაა თავდაცვის დაგეგმვა, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, საჰაერო მიმოსვლის დარგში სამოქალაქო–სამხედრო ურთიერთობების საკითხები, სამხედრო წარმოების კონვერსიისა და „მესამე განზომილების“, ანუ სამეცნიერო და ბუნებისდაცვითი პროგრამები. შესაბამისი საელჩოებისა და წარმომადგენლობების მეშვეობით იწყებოდა ნატოს შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელებაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა „ბელოვეჟის ხელშეკრულების“ თანახმად 1991 წლის 8 დეკემბრიდან შეწყვიტა არსებობა, იმავე წლის 20 დეკემბერს ბრიუსელში ნაწი–ს ფორმატით გამართულ ნატოსა და მისი ახალი პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ოფიციალურად მოიწვიეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი*. ამ უკანასკნელმა, ბელგიაში საბჭოთა კავშირის ელჩმა, სხდომის დასაწყისშივე განაცხადა, რომ ახლად შექმნილი ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გავრცელებულიყო საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სუვერენულ სახელმწიფოებზეც. სხდომის მსვლელობისას კი ელჩმა ა. აფანასიევსკიმ დამატებით დააზუსტა: „... ჩვენი თხოვნაა, რომ მოსკოვიდან ახლახანს მიღებული ინსტრუქციების თანახმად სხდომის განცხადების ტექსტიდან ამოღებულ იქნას ტერმინი „საბჭოთა კავშირი“ (13).

სულ ორიოდე წლის წინ, ალბათ, ნატოში ვერავინ წარმოიდგენ–

** ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან სხდომას ესწრებოდნენ მხოლოდ ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის წარმომადგენლები.*

და, რომ ასეთი ბანალური ფრაზით დაასრულებდა თავის არსებობას მრისხანე საბჭოთა კავშირი.

ბუნებრივია, 20 დეკემბერს ნაქსი-ს სხდომაზე ვეღარ მოხერხდებოდა წინა დღით ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებული კომუნიკეს შეცვლა, რომელმაც ისტორიას შემოუნახა მოწოდება „...განავითარონ თანამშრომლობის ერთობლივი საფუძველი“ უკვე არარსებულ საბჭოთა კავშირთან.

ახალ მეგობრებთან ნატოს განსჯის მთავარ საგნად იქცა ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნა და მისი განმტკიცება. ამ თვალსაზრისით ალიანსის წევრებს შორის თანდათანობით გამოიკვეთა საერთო მოსაზრება, რომ ევროპაში სწრაფად ცვალებადი მოვლენების გათვალისწინებით უსაფრთხოების ცნება, სამხედრო განზომილებასთან ერთად, სულ უფრო მეტად გულისხმობდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. ამიტომ, აუცილებლად მიიჩნიეს უსაფრთხოების ურთიერთდაკავშირებული „ქსელის“ ჩამოყალიბება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, როგორიცაა ეუთო, ევროკავშირი, დასავლეთ ევროპული კავშირი. საინტერესოა, რომ სხდომის განცხადებაში ჯერ არ არის მოხსენიებული თვით ნაქსი, რომლის როლი და ფუნქციები იმ ეტაპზე მხოლოდ სხვადასხვა დონის შეხვედრებით განისაზღვრებოდა, კერძოდ:

- ნაქსი-ს ყოველწლიური შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე (განსაკუთრებულ შემთხვევაში გამორიცხული არ იყო საგანგებო შეხვედრებიც);
- შეხვედრები (ორ თვეში ერთხელ) ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსა და პარტნიორი ქვეყნების ელჩების დონეზე;
- პარტნიორი ქვეყნების რეგულარული შეხვედრები და კონსულტაციები ნატოს ორგანიზაციულ ქვედანაყოფებთან, მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კომიტეტებთან.

ამ შეხვედრებსა და კონსულტაციებზე განხილვის თემატიკა პრაქტიკულად შემოიფარგლებოდა იმ ჩამონათვალით, რომელიც რომის სამიტზე განისაზღვრა.

მინისტრების აღნიშნულ შეხვედრაზე აშკარად იგრძნობოდა ის

შინაგანი დაძაბულობა და შეშფოთება, რაც დაკავშირებული იყო უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული ბირთვული იარაღის პრობლემასთან. ამის თაობაზე მინისტრებმა გამოთქვეს იმედი, რომ მტკიცედ იქნებოდა დაცული ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმი და მიიღებდნენ ყველა ზომას, რათა არ მომხდარიყო ბირთვული და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების „გაჟონვა“.

ბრიუსელის ამ შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდა იმ აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას, რომელსაც ახორციელებდნენ აღნიშნულ პერიოდში ნატოს წევრი ქვეყნები საბჭოთა ბირთვული იარაღის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის ყველაზე მძიმე და სახიფათო შედეგი იყო დასავლეთისათვის. კერძოდ, სსრკ-ის ქაოტურად დაშლის ფონზე ჩნდებოდა კითხვა, თუ რა ბედი ელოდა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე განლაგებულ ბირთვულ იარაღს, შენარჩუნდებოდა მისი ერთიანი სისტემა, თუ იგი ცალკეული დამოუკიდებელი ქვეყნების ხელში აღმოჩნდებოდა? ამ უკანასკნელი ვარიანტის შემთხვევაში გარკვეული არ იყო, თუ როგორ მოიქცეოდნენ აღნიშნული ქვეყნები – იტყოდნენ უარს ამ იარაღზე, თუ შეეცდებოდნენ საკუთრივ დაეკანონებინათ ბირთვული სახელმწიფოს სტატუსი.

ახალი მეგობრების ამ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებით დასავლეთში ორ მთავარ ვარიანტს განიხილავდნენ: ან უნდა შენარჩუნებულიყო ბირთვული იარაღის კონტროლის ერთიანი სისტემა, ან მომხდარიყო შესაბამისი რესპუბლიკების ბირთვული განიარაღება. მათ ხელში ამ შეიარაღების დატოვება წარმოქმნიდა ბირთვული იარაღის გაუვცელებლობის შესახებ ხელშეკრულების გადახედვის აუცილებლობას, რაც, საერთო ჯამში, უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა საერთაშორისო უსაფრთხოებას.

ცალკე პრობლემად რჩებოდა თვით რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული ბირთვული იარაღი. არსებობდა რეალური საშიშროება, რომ სახელმწიფო კონტროლის შესუსტება, შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის მოშლა და ეკონომიკური დეგრადაცია ხელს შეუწყ-

ობდა მასობრივი განადგურების იარაღის „გაჟონვას“. ამით შეეძლოთ ესარგებლათ სხვადასხვა ჯგუფის ავანტიურისტებსა და ტერორისტებს*.

ითვალისწინებდნენ რა ამ საფრთხეს, დასავლეთში კარგად ესმოდათ, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა უარს ბირთვულ იარაღზე. ამიტომ ერთადერთი რეალური გამოსავალი იყო რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენა ბირთვული უსაფრთხოების სფეროში.

1992 წლის 10 მარტს ნაქსი-ს მომდევნო შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ესწრებოდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, საქართველოს გარდა (ტაჯიკეთს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის დელეგაცია).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სხდომაზე მიღებული განცხადება უკვე შედგენილია მკაცრი კონსტრუქციულ-საქმიანი სტილით. მასში აღარ ფიგურირებს წინა ანალოგიური დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ის მაღალფარდოვანი პასაჟები, რომლებიც ეხებოდა აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ახალი ტონალობა აიხსნებოდა დასავლეთის მიერ იმ უდიდესი სირთულეების გაცნობიერებით, რომლებიც ამ პერიოდისათვის უკვე ნათლად იკვეთებოდა ყოფილ საბჭოთა სივრცეში. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლდათ ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტები, რომლებმაც უკვე იჩინეს თავი შუა აზიაში, კავკასიასა და მოლდოვაში. რუსეთსა და უკრაინას შორის სერიოზული დაპირისპირების საგანი ხდებოდა ყირიმი და იქ განლაგებული შავი ზღვის ფლოტი. რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში ძალას იკრეფდნენ რადიკალური მოძრაობები. დემოკრატიზაცი-

---

** ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, თუ რა შეშფოთება გამოიწვია დასავლეთში 1998 წელს კრასნოიარსკის ოლქის გუბერნატორის გენერალ ა.ლებედის „ხუშრობით“ გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ, თუ ცენტრალური ხელისუფლება ვერარ შეძლებდა ამ რეგიონში განლაგებული სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო ობიექტების დაფინანსებას, მაშინ თვით ოლქი იზრუნებდა მათზე.*

ის პროცესმა და ყოფილი „ცენტრის“ მიერ ინსპირირებულმა კონ-ფლიქტებმა გამოიწვია ანარქია, განუკითხაობა და რიგ შემთხვევებ-ში სისხლისღვრაც, რასაც, სამწუხაროდ, ვერც საქართველო გადა-ურჩა.

რაც შეეხება ეკონომიკურ ვითარებას, სახეზე იყო სამეურნეო და ფინანსური კავშირების მოშლა, წარმოებისა და ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა. დასავლეთის წინაშე მწვავედ დგებოდა საკითხი უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირისათვის ფართომასშტაბიანი ჰუმან-იტარული დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ასეთი დრამატული ვითარება და დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ამ ისტორიულ ეტაპზე ეკისრებოდა დასავლეთსა და ნატოს, გარკვეულწილად აქარწყლებდა „ცივ ომში“ გამარჯვებით გამოწვეულ მაჟორულ განწყობილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, უკრაინაში, ბელორუსსა და ყაზა-ხეთში განლაგებული ბირთვული იარაღის პრობლემის მოგვარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტ-ულ ამოცანად იქცა. ნატოს შეშფოთებას იწვევდა უკრაინის პოზი-ცია, რომელიც აშკარად არ ჩქარობდა უარი ეთქვა ბირთვულ იარაღზე და ცდილობდა გამოეყენებინა ეს უკანასკნელი ბერკეტად დასავლეთისა და რუსეთის მხრიდან ეკონომიკური თუ პოლიტიკური დახმარებისა და დათმობების მოსაპოვებლად.

ამ თვალსაზრისით საგულისხმო იყო 1992 წლის 1 აპრილს ნატოს შტაბბინაში გამართულ შეხვედრაზე უკრაინის თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ უკრაინა არ იყო მზად უარი ეთქვა ბირთვულ იარაღზე.

აღნიშნული საკითხის საბოლოო განხილვა გაგრძელდა 1992 წლის 17 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე. მინისტრებმა მოუწოდეს უკრაინას, ბე-ლორუსსა და ყაზახეთს სასწრაფოდ შეერთებოდნენ ხელშეკრულე-ბას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (NPT) და მოეხდინათ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების (START) რატიფიცირება. შეხვედრის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ

ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა „სერიოზული შეშფოთების საგანი გახდებოდა," რაც დიპლომატიურ ენაზე საკმაოდ მკაცრ შეფასებად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ თემამ მკაფიოდ გაიჟღერა ასევე იმავე წლის 18 დეკემბერს ნაში-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე*. აღინიშნა, რომ ბირთვული იარაღის გავრცელების მზარდი საშიშროება საჭიროებდა სწრაფი და ეფექტური ზომების მიღებას. კერძოდ, ზემოხსენებული ხელშეკრულებების სრული ამოქმედების აუცილებლობასთან ერთად ხაზი გაესვა სხვა ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების მზადებისა და მათთან მიერთების აუცილებლობას, როგორიცაა კონვენცია ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ, „ღია ცის" შესახებ ხელშეკრულება და სხვა. მინისტრებმა მხარი დაუჭირეს ევროთათბირის ფარგლებში მიმდინარე მუშაობას შეიარაღების კონტროლთან, განიარაღებასთან და ნდობის ზომების განმტკიცებასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ არსებული ხელშეკრულებების სრული რეალიზაცია, დიალოგის გაგრძელება, გამჭვირვალობა და ურთიერთნდობა, ისევე, როგორც ახალი პოლიტიკური და სამხედრო რეალობების გათვალისწინებით კონსულტაციების მექანიზმების სრულყოფა, წარმოადგენდა აუცილებელ წინაპირობას ყოვლისმომცველი უსაფრთხოების სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

რეგიონალური პრობლემატიკის კონტექსტში სხდომის ყურადღების ცენტრში ყოფილი იუგოსლავიის საკითხი აღმოჩნდა. კერძოდ, მინისტრებმა ხაზი გაუსვეს გაერო-ს, ევროთათბირისა და ევროკავშირის ძალისხმევას ამ რეგიონში და მოუწოდეს სერბიის, მონტენეგროსა და ბოსნიელი სერბების ლიდერებს, რომ მხარი დაეჭირათ ამ ინიციატივისათვის და შეესრულებინათ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები. ბოსნია-ჰერცეგოვინასთან დაკავშირებით მინისტრების მიერ სხდომაზე მიღებულ განცხადებაში, პირველად ნაში-ს დოკუმენტებში, გამოჩნდა ტერმინი „ეთნიკური წმენდა", რაც თანამედროვეობისათვის ყოვლად მიუღებელ მოვ-

---

** ტრადიციისამებრ, ასეთი შეხვედრები ტარდება ანალოგიურ დონეზე ნატოს ფორმატით გამართული სხდომების მომდევნო დღეს.*

ლენად იქნა მიჩნეული.

ამავე დოკუმენტში გამოითქვა შეშფოთება კოსოვოსა და მაკედონიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მინისტრებმა მხარი დაუჭირეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას პრევენტიული მიზნებით მაკედონიაში სამშვიდობო ძალების განლაგების შესახებ. კოსოვოში მოგვიანებით განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ყურადღებას იმსახურებდა მინისტრთა მოთხოვნა კოსოვოში გაერო-ს მანდატით ანალოგიური სამშვიდობო ძალების განლაგების შესახებ, რომლის დროულად შესრულება ალბათ ბევრ პრობლემას ააცილებდა ევროპის კონტინენტს.

3. ნატო-რუსეთი: პარტნიორობის მეტამორფოზა

საწყის ეტაპზე ნატოში ნაესი-ს განიხილავდნენ, როგორც ევრო-თათბირის დამხმარე ინსტიტუტს. ამ მიდგომამ მომდევნო წლებში სერიოზული ცვლილებები განიცადა.

ნაესი-ს იდენტურობისა და მიზნების გამოკვეთის საკითხი თავიდანვე დადგა დღის წესრიგში. რიგი ქვეყნები გამოთქვამდნენ კრიტიკულ მოსაზრებას, რომ ნაესი-სთვის ევროპის უსაფრთხოების სფეროში იმ ფუნქციების მინიჭებას, რომლებიც აშკარად წარმოადგენენ ევრო-თათბირის პრეროგატივას (მაგალითად, კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობა), შეიძლებოდა გამოეწვია ამ უკანასკნელის როლის შესუსტება საერთაშორისო მასშტაბით. ეს განსაკუთრებით აწუხებდა რუსეთს, რომელსაც საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდა ევროთათბირში. ამავე დროს, ნაესი-ს თავისებურებად თავიდანვე იკვეთებოდა ის გარემოება, რომ ევროთათბირისაგან განსხვავებით იგი ყალიბდებოდა ნატოს პოლიტიკური და სამხედრო ღერძის გარშემო. ეს ფაქტორი კი განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ავტორიტეტს ანიჭებდა ამ ახლად შექმნილ ორგანიზაციას.

ნაქსი-ს აშკარად გამოკვეთილ განმასხვავებელ ელემენტად ჩანდა ისიც, რომ მისი ამოცანების პრიორიტეტული მიმართულება თავიდანვე იყო პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა მათი შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ სამხედროთა კონტროლს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ნაქსი-ს მეშვეობით ხდებოდა ნატოს ზეწოლის განხორციელება უკრაინაზე, ბელორუსსა და ყაზახეთზე იმ მიზნით, რათა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებს უარი ეთქვათ ბირთვულ იარაღზე და სასწრაფოდ მიერთებოდნენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას.

ნაქსი-ს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება დაიწყო წლიური სამუშაო გეგმების მიხედვით, რომლებიც შეიცავდნენ თანამშრომლობის მთავარ მიმართულებებსა და კონკრეტულ ნაბიჯებს. კერძოდ, პირველი ასეთი დოკუმენტი – „დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის სამუშაო გეგმა“ 1992 წლისათვის ითვალისწინებდა კონსულტაციებსა და პრაქტიკულ ღონისძიებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა

- პოლიტიკასა და უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები;
- თავდაცვის დაგეგმვა და სამხედრო საკითხები;
- კონსულტაციები სამხედრო მრეწველობის კონვერსიის საკითხებზე;
- ეკონომიკური საკითხები;
- მეცნიერება;
- თანამედროვე საზოგადოების პრობლემები;
- პარტნიორ ქვეყნებში ნატოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- კონსულტაციები პოლიტიკის დაგეგმვის საკითხებზე;
- საჰაერო მიმოსვლის მართვის სამოქალაქო-სამხედრო ასპექტები.

1992 წლის 18 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე დამტკიცდა „დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის 1993 წლის გეგმა“, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ თანმიმდევრულად ხდებოდა პარტნიორების პრაქტიკული ურთიერთობების განვითარება ნატოსთან. უპირველეს ყოვლისა, 1992 წლის პირველ ანალოგიურ გეგმასთან შედარებით გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულებებით კონსულტა-

ციებისა და კონკრეტული ღონისძიებების მოცულობის ზრდის ტენდენცია. მაგალითად, პოლიტიკასა და უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ფარგლებში გეგმა ითვალისწინებდა სამშვიდობო ოპერაციების კონცეპტუალური და საორგანიზაციო ასპექტების დამუშავებას. ამავე განხრით იწყებოდა ასევე მსჯელობა ბირთვული განიარაღებისა და ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოთა უშიშროების პრობლემებზე. დამატებით ოგეგმებოდა ახალი პრაქტიკული ნაბიჯები:

- ელჩების ე.წ. ზოგადი სახის სადისკუსიო შეხვედრების დროს ცალკეულ საკითხებზე კონსულტაციების ჩატარება;

- საგანგებო ჯგუფების (Ad hoc) კონსულტაციები საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავდა პარტნიორი ქვეყნების ჩართვას სამშვიდობო ოპერაციების მზადების პროცესში. ეს გულისხმობდა სამშვიდობო ოპერაციების ერთობლივ დაგეგმვას, საწვრთნელ ვარჯიშებს, ასევე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში შესაძლო ერთობლივ მონაწილეობას;

- პარტნიორებთან სპეციალური კონსულტაციების გამართვა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე, რისთვისაც მიზანშეწონილად იყო მიჩნეული ნატოს პოლიტიკური კომიტეტის გაფართოებული ფორმატის გამოყენება;

- რეგიონული საექსპერტო ჯგუფების ყოველწლიური შეხვედრები პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან.

თავდაცვის დაგეგმვისა და სამხედრო საკითხების განხილვისას აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა კონსულტაციების ჩატარებას სამეთაურო და საკონტროლო სისტემების მოდერნიზაციის თაობაზე, რაც გულისხმობდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებსაც. ოგეგმებოდა კონსულტაციები სამხედრო-სარეზერვო ძალების სტრუქტურის, წვრთნის, ოპერატიული მზადებისა და მობილიზაციის საკითხებზე, ასევე დისკუსიები შეიარაღებული ძალების შესაძლო როლის შესახებ ბუნებრივი ან ტექნოლოგიური უბედურების შედეგებთან ბრძოლაში.

აღნიშნულ სფეროში დამატებით დაიგეგმა რიგი კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის სხვადასხვა საექსპერტო ვიზიტები, სემ-

ინარები, სპეციალური კურსები და სხვ. სამხედრო მრეწველობის კონვერსიის სფეროში 1993 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან ყურადღებას იმსახურებდა ინიციატივა ნატოს ქვეყნებში განხორციელებული კონვერსიის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნისა და ტექნიკური ექსპერტიზის განხორციელების თაობაზე. ამ ინიციატივასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე წინადადება ერთ-ერთ პარტნიორ ქვეყანაში კონვერსიის ჩასატარებელი სანიმუშო პროექტის მომზადების შესახებ.

მეცნიერების დარგში სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა გრანტების, სტიპენდიების, მიზნობრივი ვიზიტებისა და გაცვლების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, ასევე პარტნიორი ქვეყნებისათვის ნატოს რიგი სამეცნიერო პროგრამების გახსნა.

როგორც აღინიშნა, ნატოს ახალი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი და შესაბამისად ნაესი-ს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო მშვიდობის დაცვის სფეროში ოპერაციების კონცეპტუალური და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავება, რასაც მომდევნო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მხედველობაში გვაქვს საქართველოს დაინტერესება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციით, რომელიც გარდა პოლიტიკური გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო ან ევროთათბირი) შესაბამისი მანდატისა, საჭიროებს შესაბამის მეთოდოლოგიას ამ ოპერაციის პრაქტიკული განხორციელებისათვის. სწორედ ასეთი მეთოდოლოგიის შექმნას ისახავდა მიზნად 1993 წლის 11 ივნისს ათენში ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე გაკეთებული ერთობლივი განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ სფეროში ნაესი-ს მომავალ საქმიანობას. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ის იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტი პირველად ითვალისწინებდა სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებაში ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შესაძლო ერთობლივ მონაწილეობას. დოკუმენტში ახლებურად ჩამოყალიბდა სამშვიდობო ოპერაციის ცნება, რომლის ნაირსახეობად მიიჩნიეს ა) კონფლიქტის პრევენცია, ბ) მშვიდობის დამყარება, გ) მშვი-

დობის შენარჩუნება, დ) მშვიდობის დამკვიდრება და ე) მშვიდობის მშენებლობა.

საგულისხმოა, რომ სამშვიდობო ოპერაციების მთავარი პრინციპების განხილვისას ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ მათი განხორციელება უნდა მომხდარიყო მხოლოდ გაერო-ს უშიშროების საბჭოსა და ევროთათბირის მანდატით*. ამ ორგანიზაციების პრეროგატივად აღიარეს სამშვიდობო ოპერაციის ხასიათისა და მისი ფორმატის განსაზღვრაც, ასევე ოპერაციის ზუსტი პოლიტიკური მიზნებისა და კონკრეტული მანდატის ჩამოყალიბება. ყურადღებას იმსახურებს დებულება იმის თაობაზე, რომ სამშვიდობო ოპერაცია არის დამხმარე ფაქტორი, რამაც არ შეიძლება შეცვალოს პოლიტიკური დარეგულირების მექანიზმი.

სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების კრიტერიუმებად დოკუმენტში მიჩნეულია ა) ნათელი და ზუსტი მანდატი, ბ) კონფლიქტში მონაწილე მხარეთა თანხმობა, გ) გამჭვირვალობა, დ) მიუკერძოებლობა, ე) საიმედოობა.

რაც შეეხება ოპერატიულ პრინციპებს, დადგინდა შემდეგი პირობების შესრულების აუცილებლობა: ა) ერთიანი ხელმძღვანელობა, ბ) ძალის გამოყენების ფარგლების განსაზღვრა, გ) პერსონალის უსაფრთხოება, დ) ნებაყოფლობითი მონაწილეობა, ე) ფინანსური უზრუნველყოფა.

ამავე დოკუმენტში ჩამოყალიბდა ასევე სამშვიდობო ოპერაციებთან დაკავშირებული თანამშრომლობის პრინციპებიც. კერძოდ აღინიშნა, რომ თანამშრომლობა ამ მიმართულებით ემყარებოდა, უპირველეს ყოვლისა, გაერო-სა და ევროთათბირის შესაბამის დოკუმენტებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. აღნიშნულ პროცესში ნაესი-ს წევრ-სახელმწიფოთა მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. მასში ჩართვის შესაძლებლობა ეძლეოდათ ევროთათბირის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც არ იყვნენ ნაესი-ს წევრები.

** ამ დებულებამ პრინციპული ცვლილება განიცადა 1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე მიღებულ ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში, რაზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.*

საგულისხმოა, რომ დოკუმენტში ყურადღება ეთმობოდა სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვისა და მისი ტექნიკური ბაზის შექმნის საკითხებსაც. გათვალისწინებული იქნა ამ დარგში სწავლებისა და წვრთნების სისტემის შექმნა, სპეციალიზებული კურსების, სემინარებისა და ვარჯიშების ჩატარება, რომელშიც მოგვიანებით საქართველოც საკმაოდ აქტიურად ჩაერთვება. ამ საქმიანობისათვის იწყებოდა მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნა, რისი უზრუნველყოფაც უმთავრესად ნატოს წევრმა ქვეყნებმა ითავეს.

როგორც უკვე აღინიშნა, ეს იყო პირველი მცდელობა სამშვიდობო ოპერაციების თეორიული გააზრებისა და მათთვის პრაქტიკული მზადებისა, რამაც შემდგომში სერიოზული განვითარება პოვა.

ამრიგად, ნატოს ახალი სტრატეგიისა და ახალი ინიციატივების განხორციელებაში ნაესი–ს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ფიქრობდნენ, გაეფართოებინათ ამ ორგანიზაციის მანდატი და მიენიჭებინათ მისთვის ოპერატიული ფუნქციები.

ამგვარად, ნაესი სტარტს იღებდა არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმი, არამედ როგორც ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროებში მზარდი თანამშრომლობის ინსტიტუტი. ამასთან ერთად, ნაესი–ს ფარგლებში იწყებოდა მშვიდობის დაცვის სფეროში ოპერაციების კონცეფტუალური და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავება. ყველაფერი ეს ერთად განსაკუთრებულ როლსა და ადგილს ანიჭებდა ნაესი–ს ევროატლანტიკურ სივრცეში ახალი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორი ქვეყნებისათვის ამ პროცესში ჩართვა საწყის ეტაპზე საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა. ეს აიხსნებოდა მთელი რიგი განსხვავებული თავისებურებებით, რომლებიც ახასიათებდა „ცივი ომის“ პერიოდში ორი დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლებს. ეს განსაკუთრებით ეხებოდა რუსეთს.

ნატო–რუსეთის ურთიერთობის თემა ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიისა, და კერძოდ საქართველოს, ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

საქართველო სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული, რომ ალიანსსა და რუსეთს შორის ვითარდებოდეს ნორმალური თანამშრომლობა, რაც დადებით ფონს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის შემდგომ დაახლოებას ნატოსთან. დაპირისპირება და ქიშპი ნატოსა და რუსეთს შორის კი სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება ნატო-საქართველოს ურთიერთობებისათვის (ცალკე თემაა, თუ რას მოუტანს ასეთი დაპირისპირება თვით რუსეთს).

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო ხაზგასმით და მიზანდასახულად ცდილობდა (და ახლაც ცდილობს) რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებას. ამ „„მეგობრობისათვის გაწვდილი ხელის“ პოლიტიკას ფართო მხარდაჭერა ჰქონდა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. თუმცა იყვნენ რადიკალურად განწყობილი ოპონენტებიც, რომელთა აზრით საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ რუსეთის, როგორც „ცივ ომში“ დამარცხებული ქვეყნის მიმართ, დასავლეთს და, კერძოდ ნატოს, უნდა გაეტარებინა ისეთივე პოლიტიკა, როგორიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განახორციელეს მოკავშირეებმა დამარცხებული გერმანიის მიმართ.

რაც შეეხება ნაჩსი-ს, მისდამი რუსეთის განსაკუთრებული, თავიდანვე გარკვეულწილად უარყოფითი დამოკიდებულება აიხსნებოდა უმთავრესად იმით, რომ მოსკოვში ეს ინიციატივა აღიქმებოდა, როგორც ნატოს ინსტრუმენტი, მიმართული ალიანსის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის აღმოსავლეთით გაფართოებისაკენ.

აღნიშნულ ვითარებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებული პრობლემებიც. კერძოდ, 1993 წლის ოქტომბერში რუსეთის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელებმა მძაფრი კრიტიკული განცხადებები გააკეთეს ნატოს მიმართ, რომელიც უკვე აწარმოებდა საცდელ სამუშაოებს ალიანსის შესაძლო წევრებთან. ამ კრიტიკულმა განცხადებებმა განაპირობეს აშშ-ის და მისი ევროპელი მოკავშირეების პოზიციის შერბილება ნატოს გაფართოების საკითხთან დაკავშირებით.

ამ პოზიციის მიმართ გარკვეულმა კომპრომისულმა ნოტებმა გაიჟღერა, კერძოდ, 1993 წლის 20 ოქტომბერს აშშ-ის თავდაცვის მინის-

ტრის ლ. ასპენის მიერ გერმანიაში გაკეთებულ განცხადებაში. ასევითვე განწყობილებებზე მიუთითებდა პოლონეთში ყოფნისას თურქეთის პრეზიდენტის ს. დემირელის სიტყვები, რომ „...უშიშროება და მშვიდობა ვერ იქნება გარანტირებული ჩვენს რეგიონში, თუ ევროპის ტრანსფორმაციის პროცესში არ გაითვალისწინებენ რუსეთის ინტერესებს“ (14).

თანამშრომლობის ამგვარმა მეტამორფოზამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უკმაყოფილება გამოიწვია. პირად საუბრებში ამ ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ იდეა პარტნიორობის შესახებ მხოლოდ დასავლეთის პროპაგანდისტულ ხერხს წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპის დასაშოშმინებლად. პრესაში რეგულარულად ქვეყნდებოდა აღმოსავლეთ ევროპის ლიდერთა სტატიები იმის შესახებ, რომ ამ სახელმწიფოთა გაწევრიანება ნატოში არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს და რომ ნატო ვალდებული იყო გაევრცელებინა უშიშროების სფერო მთელი ევროპული სივრცის ფარგლებში.

აღმოსავლეთ ევროპელთა ძალისხმევამ იმ ეტაპზე შესამჩნევი შედეგი ვერ გამოიღო. 1993 წლის ბოლოსათვის გარკვეული შენელება იგრძნობოდა ნაესი-ს საქმიანობაშიც. კერძოდ, ამ ორგანიზაციის 1994 წლის სამუშაო გეგმაში, რომელიც 1993 წლის 3 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე დამტკიცდა, ნატოს წარმომადგენელთა ინიციატივით შემცირდა პრაქტიკული ღონისძიებების – რაოდენობა, კერძოდ ისეთი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ნატოს მხრიდან მატერიალურ დახმარებასა და ერთობლივ სამხედრო ღონისძიებებს.

თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, ნატოს გაფართოება შეუქცევადი ისტორიული პროცესი იყო.

თავი II.
«ლაშქრობა» აღმოსავლეთისაკენ - «რუბიკონის გადალახვა»

1. ნატოს ახალი სტრატეგია და ევროპის ძველი პრობლემები

ნატოში კარგად ესმოდათ, რომ მიუხედავად რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულებისა, აღმოსავლეთ ევროპის დაუოკებელ სწრაფვას ალიანსში გაწევრიანებისაკენ სჭირდებოდა ადექვატური რეაქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ ევროპის რეგიონი თავისი უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით სხვა ორიენტაციისა და შესაძლებლობების ძიებას დაიწყებდა.

1993 წლის 3 დეკემბრის ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გამოიყენეს მძლავრი დიპლომატიური „შეტევისათვის ალიანსში გაწევრიანების სასარგებლოდ საკუთარი პოზიციების დასაცავად. ამას მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა.კოზირევის განცხადება, რომ ნატოს გაფართოება გამოიწვევდა ევროპის კვლავ ბანაკებად დაყოფას და რომ ბლოკური მიდგომა აღარ მიესადაგებოდა ცივი ომის შემდგომ ეპოქას.

1993 წლის აგვისტოში ბ-ნ ბ.ელცინის ცნობილი განცხადება, რომ რუსეთი არ იყო წინააღმდეგი ნატოს გაფართოებისა (რომელიც მან მოგვიანებით გადათქვა), დასავლეთში აღიქვეს, როგორც რუსეთის მიერ ანთებული მწვანე შუქი ამ ორგანიზაციაში ახალი წევრების მისაღებად. დღის წესრიგში დადგა პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ინტეგრირების საკითხი ნატოს სტრუქტურებში. ამასთან დაკავშირებით ალიანსის იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა ბ-მა მ.ვიორნერმა განაცხადა, რომ დადგა ჟამი კონკრეტული პერსპექტივების შექმნისა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც სურდათ ნატოს წევრობა და რომელთა მიღებაც ალიანსს შესაძლებლად მიაჩნდა.

ნატოს კულუარებში დაიწყო საუბარი არა მხოლოდ აღნიშნულ

სახელმწიფოებთან ახალი ფორმისა და შინაარსის ურთიერთობების დამყარებაზე, არამედ საერთოდ ახალ სტრატეგიაზე ყველა პარტნიორი ქვეყნის მიმართ. ბრიუსელში ვიზიტად მყოფმა ამერიკელმა სენატორმა ჯ. ლუგარმა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ელჩებთან ნატოში შეხვედრისას განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო ნატოს „ასოცირებული წევრის“ სტატუსის შემოღებაც, რომელიც შესაძლოა იმ ეტაპზე უკრაინასაც მინიჭებოდა.

ის, რომ ნატოში დაიწყეს ფიქრი ყოფილ სოციალისტურ ბანაკთან ურთიერთობებში თვისობრივი ცვლილებების შეტანაზე, იგრძნობოდა „ყოფით საქმიანობაშიც. მაგალითად, ნაისი-ს წევრ-ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, შესთავაზეს ოფისის გახსნა ნატოს შტაბბინაში.

აღნიშნულ პერიოდში ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის მეტნაკლებად ლოიალური დამოკიდებულების გათვალისწინებით, დასავლეთში ბევრი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ალიანსში ახალი წევრების სწრაფი ინტეგრირება. მიუხედავად ამისა, დასავლეთმა ვერ ისარგებლა ამ ისტორიული მომენტით და ხელშემწყობი გარემოებებით, რასაც მომდევნო პერიოდში მოჰყვა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ რუსეთში განწყობილებების ზრდა. ამასთან დაკავშირებით ზ.ბჟეზინსკი თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ წერს: „ამის (ნატოს გაფართოების. ზ.ა.) შესაბამისი მომენტი იყო 1993 წლის მეორე ნახევარი, ანუ მას შემდეგ, რაც ელცინმა აგვისტოში განაცხადა, რომ პოლონეთის გაწევრიანება ალიანსში შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს. აღნიშნულის საპასუხოდ კლინტონის ადმინისტრაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა პოლიტიკით „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“, ორი მომდევნო წლის მანძილზე პრაქტიკულად არაფერი გააკეთა. ამან კი გამოიწვია კრემლის ტონალობის შეცვლა, რომელიც სულ უფრო მწვავედ რეაგირებდა ამერიკის გაუბედავ მინიშნებებზე ნატოს გაფართოების თაობაზე. 1996 წლისათვის, როდესაც უსაფრთხო ევროატლანტიკური თანამეგობრობის შექმნის კონტექსტში ნატოს გაფართოება ვაშინგტონმა გამოაცხადა აშშ-ის პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად, რუსეთი უკვე მტკიცედ იყო „გამაგრებუ-

ლი“ საწინააღმდეგო პოზიციაზე. ამგვარად, 1993 წელი შეიძლება ჩაითვალოს დაკარგული ისტორიული შესაძლებლობების წლად“ (1).

1994 წლის 10–11 იანვარს ბრიუსელში გამართული ნატოს სამიტი ბევრმა მონათლა, როგორც ალიანსის არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა. სამიტზე მიღებულ იქნა აშშ-ის ახალი ინიციატივა – „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა (პმპ). ეს ინიციატივა ითვალისწინებდა ნატოსა და ყოფილ სოციალისტურ ბანაკს შორის ურთიერთობების თვისობრივად ახალ დონეზე აყვანას. მართალია, ინიციატივა არ გულისხმობდა ნატოს კოლექტიური უშიშროების გარანტიების გავრცელებას პარტნიორებზე, მაგრამ იგი მაინც უპასუხებდა აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოთა (უპირველეს ყოვლისა უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის) მოთხოვნებს ნატოში გაწევრიანების შესახებ, რადგან საშუალებას აძლევდა ამ რეგიონის ყველა დაინტერესებულ ქვეყანას ეთანამშრომლა უშუალოდ ნატოსთან პრაქტიკული მიმართულებებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ იგი ისახავდა ორიენტირებს სამომავლოდ ნატოში შესაძლო სრული გაწევრიანებისათვის.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობის მიღება უკვე შეეძლოთ როგორც ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებს (რა თქმა უნდა, რუსეთის ჩათვლით), ასევე ევროთათბირის წევრ სახელმწიფოებს. პროგრამით დაინტერესებული სახელმწიფო ნატოსთან აფორმებდა ერთობლივ განცხადებას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა კონკრეტული ვალდებულებები. ამის შემდეგ იწყებოდა მუშაობა ნატოსთან ე.წ. ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმის მომზადებაზე. საგულისხმოა, რომ პროგრამის მონაწილე ქვეყნის პოლიტიკა უნდა დაფუძნებოდა დასავლური ლიბერალური საზოგადოების ძირითად ფასეულობებსა და ისეთ პრინციპებს, როგორიცაა დემოკრატია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალეობა და სხვა. მნიშვნელოვანი პირობა იყო ასევე მზადყოფნის გამოხატვა პმპ-ის სხვა სახელმწიფოებთან ერთად სამშვიდობო ოპერაციებში შესაძლო მონა-

წილეობაზეც.

ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ამიერიდან დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რა წარმატებით აითვისებდა პარტნიორი ქვეყანა თანამშრომლობის ახალი ფორმის ამა თუ იმ შესაძლებლობებს და როგორ მიუახლოვდებოდა იგი ნატოში არსებულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და სამხედრო სტანდარტებს.

ახალი ინიციატივა ითვალისწინებდა ასევე ნატოსთან პარტნიორთა კონსულტაციების ახალი მექანიზმის ამოქმედებას ფორმატით 16+1 (ანუ ნატოს 16 წევრი სახელმწიფო და პარტნიორი ქვეყანა). ამ მექანიზმისათვის პარტნიორ ქვეყანას შეეძლო მიემართა იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩათვლიდა, რომ მის უსაფრთხოებას ან ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრებოდა. ამასთან დაკავშირებით ჰმპ-ის ე.წ. ჩარჩო, ანუ მთავარი, დოკუმენტის მე-8 პუნქტში ნათქვამია: „...ნატო ჩაატარებს კონსულტაციებს პარტნიორობის პროგრამის ნებისმიერ აქტიურ წევრთან იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ჩათვლის, რომ მის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას უშუალო საფრთხე ემუქრება“ (2).

ეს პუნქტი ფაქტიურად იმეორებდა ნატოს დამფუძნებელი ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-4 პუნქტს „... მხარეები ჩაატარებენ ერთობლივ კონსულტაციებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ჩათვლის, რომ ერთ-ერთი მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება“. (3) განსხვავება ის იყო, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელი წინაპირობა იყო ჰმპ-ში აქტიური მონაწილეობა.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით და ახალი სტრატეგიის გააზრებისათვის ეს ჰმპ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებაა, რადგან იგი გარკვეულწილად უკვე ითვალისწინებდა ნატოს უსაფრთხოების გარანტიების გავრცელებას პარტნიორ ქვეყნებზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაბიჯი ჯერ საკმაოდ შორს იყო ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპისაგან, რომელიც უმთავრესად ჩამოყალიბებულია ვაშინგტონის ხელშეკრულების ცნობილ მე-5 პუნქტში: „... მხარეები შეთანხმდნენ, რომ

ხელშეკრულების ერთ ან მეტ წევრზე ევროპაში ან ჩრდილო ამერიკაში განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა უნდა ჩაითვალოს თავდასხმად ყველას მიმართ“ (4). აქედან გამომდინარე ისინი შეთანხმდნენ, რომ გაერო-ს წესდების 51-ე პუნქტის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას, ასეთი თავდასხმის შემთხვევაში ყოველი მათგანი დაეხმარება ცალკეულ მხარეს ან მხარეებს, ინდივიდუალურ საფუძველზე ან სხვა მხარეებთან შეთანხმებით, და გამოიყენებს ყველა საჭირო საშუალებას, მათ შორის შეიარაღებულ ძალას, ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში უშიშროების აღსადგენად.

პმპ-ის ინიციატივასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება დაიმსახურა პრეზიდენტ ბ. კლინტონის განცხადებამ, რომელიც მან ჩეხეთში ვიზიტად ყოფნისას გააკეთა: „...თუკი აღმოსავლეთ ევროპას დაემუქრება ისეთი საფრთხე, როგორიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ნატო არ დარჩება უმოქმედოდ. მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, თქვენი უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანია აშშ-ის უსაფრთხოებისათვის“ (5).

შეაფასა რა პმპ-ის მნიშვნელობა, აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ მას მომავალი ევროპისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, „ვიდრე ყველაფერს, რაც აქამდე გაკეთდა ან არ გაკეთდა ბოსნიის მსგავსი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად“.

ახალმა ინიციატივამ დიდი გამოხმაურება პოვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, განსაკუთრებით მას მხარი დაუჭირეს ნატოს წევრობის ყველაზე რეალური კანდიდატების – პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ხელმძღვანელებმა. აღსანიშნავია, რომ 1994 წლის 12 იანვარს თურქეთში ვიზიტად მყოფმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმაც დაუჭირა მხარი პმპ-ს და განაცხადა, რომ საქართველო ფართოდ ითანამშრომლებდა ნატოსთან ამ პროგრამის ფარგლებში.

1994 წლის 23 მარტს საქართველო, ერთ-ერთი პირველი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ოფიციალურად შეუერთდა პმპ-ს. ორმხრივ შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ა. ჩიკვაიძემ.

აშშ-სა და ნატოს ხელმძღვანელობის აზრით ეს ახალი ინიციატივა უკეთ ითვალისწინებდა რუსეთის უარყოფით დამოკიდებულებას ნატოს გაფართოების მიმართ და გზას უხსნიდა მოსკოვს, წარემართა თავისი ურთიერთობები ალიანსთან თანასწორუფლებიანობისა და პარტნიორობის საფუძველზე. აღინიშნებოდა ის პრინციპული მომენტიც, რომ პმპ-ის მეშვეობით ნატოს გაფართოება უნდა მომხდარიყო ევოლუციური გზით და არა მექანიკური გადიდების ხარჯზე.

ნატოს ახალი სტრატეგია და გაფართოების პროცესის დაწყება თვისობრივად ახალ ვითარებას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე, რაც, ბუნებრივია, საქართველოზეც, როგორც ალიანსის მეზობელ ქვეყანაზე, ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას. ის, თუ როგორ წარიმართებოდა ეს პროცესი და რა ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა ერთი მხრივ გაფართოებულ ნატოსა, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, უპირველეს ყოვლისა რუსეთს, შორის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყნის ადგილსა და ფუნქციას ევროატლანტიკური სივრცის გეოპოლიტიკურ რუქაზე. სწორი პოზიციისა და პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად კი იმთავითვე საჭირო იყო გაფართოების პროცესის მიზეზებისა და მიზნების სწორად გაანალიზება.

ამ პროცესის ერთ-ერთ მიზეზად უნდა დავასახელოთ ის, რომ ნატოს გაფართოება დაკავშირებული იყო „იდენტურობის პრობლემასთან". საქმე ის არის, რომ ნატო „ცივი ომის" პერიოდში ჩამოყალიბდა თავდაცვით ორგანიზაციად და მისი მთავარი მიზანი იყო წევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა გარეშე საფრთხისაგან, რაც საბჭოთა კავშირს გულისხმობდა. საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგ კი გარეშე საფრთხის ფაქტორი თითქმის აღარ არსებობდა, რაც მოითხოვდა ნატოს მთავარი ფუნქციის ახლებურად გააზრებას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმის განსაზღვრა, თუ „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ საიდან იყო მოსალოდნელი გარეშე საფრთხე და სადამდე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ნატოს უსაფრთხოების გარანტიები.

ბუნებრივია, არასტაბილური რუსეთი კვლავ რჩებოდა სერიოზულ რისკის ფაქტორად, მაგრამ „ცივი ომის“ პერიოდისათვის დამახასიათებელი გლობალური ბირთვული დაპირისპირების საფრთხე მინიმუმამდე იყო დასული. არსებული საფრთხე და თანამედროვე რეალობა კი იყო ეთნიკური და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის საფრთხე, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, სტიქიური უბედურებები. ეს რისკის ფაქტორები არანაკლებ საშიშროებას უქმნიდნენ დასავლეთის სამყაროს, ვიდრე საბჭოთა სამხედრო პოტენციალი. /აქედან გამომდინარე, კეთდებოდა ლოგიკური დასკვნა, რომ ნატოს გაფართოება წარმოადგენდა უსაფრთხოების სივრცის აღმოსავლეთ ევროპაზე გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას.

ნატოს წევრ სახელმწიფოებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ის გარემოება, რომ ალიანსის გაფართოება ანტიდასავლურ და რევანშისტულ განწყობილებებს გამოიწვევდა რუსეთში. მიუხედავად ამისა, პრიორიტეტების შედარება იხრებოდა გაფართოების სასარგებლოდ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად ნატოს წრეებში მოჰყავდათ ის მოსაზრება, რომ ნატოში გაწევრიანებული და სტაბილური აღმოსავლეთ ევროპა თავისთავად დადებით გარემოს შექმნიდა რუსეთის მეზობლად, რაც შესაბამისად იმოქმედებდა ამ უკანასკნელის შემდგომ დემოკრატიულ განვითარებაზე. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე კეთდებოდა დასკვნა, რომ საერთო ჯამში ნატოს გაფართოება რუსეთის ინტერესებშიც უნდა ყოფილიყო.

არსებობდა ამ პროცესის არაოფიციალური და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეც. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება ნიშნავდა „ცივი ომის“ დასრულების შედეგად შექმნილი გეოსტრატეგიული ვითარების პრაქტიკულ დაკანონებას, ანუ აღნიშნულ „ომში“ დამარცხებული რუსეთის გავლენის სფეროს ხარჯზე დასავლეთის სამყაროს გავლენის სფეროს გაზრდას. რუსეთს აღარც ძალა გააჩნდა და აღარც საკმარისი მოკავშირეები ამ პროცესის შესაჩერებლად. ყველაზე მეტად სწორედ ეს აღელვებდათ რუს „დერჟავნიკებს“

და არა აღმოსავლეთ ევროპის შემდგომი ბედი, როგორც ისინი აცხადებდნენ.

აღნიშნულ პერიოდში ნატოს ინიციატივების მიმართ პარტნიორი ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთის დამოკიდებულების გასაშუქებლად, საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ მცირეოდენი გადახვევა, რათა მოკლედ შევეხოთ 1994 წლის 25 მაისს ბრიუსელში გამართულ ნაქსი-ს თავდაცვის მინისტრთა სხდომის ცალკეულ მომენტებს.

სხდომაზე პირველ საკითხად განიხილეს ერთობლივი განცხადების პროექტი, რომლის ზოგიერთმა დებულებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, რუსეთის თავდაცვის მინისტრის პ. გრაჩოვის წინადადებაში ასახვა პოვა ამ ქვეყნის დაინტერესებამ, რათა გარკვეული კორექტივები შეეტანათ ეჩშძ ხელშეკრულებაში, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის სამხრეთი და ჩრდილოეთი ფლანგების გაძლიერებასთან. ამ წინადადებამ მძაფრი დისკუსია გამოიწვია. განსაკუთრებული წინააღმდეგობა რუსეთის ამ პოზიციას თურქეთმა გაუწია.

თავის გამოსვლაში ბ-მა გრაჩოვმა ისაუბრა რუსეთ – ნატოს ურთიერთობებზე და მხარი დაუჭირა თანამშრომლობის გაფართოების ინიციატივას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ნატოს პოლიტიკაში, რიგ შემთხვევებში, იგრძნობოდა „ჯგუფური მიდგომა“. მინისტრმა ნატო დაახასიათა, როგორც „ცივი ომის“ პერიოდში შექმნილი „ბლოკი“, რომელმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ბ. გრაჩოვის გამოსვლის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში ხელმძღვანელი როლი უნდა დაკისრებოდა არა ნატოს, არამედ ევროთათბირს და ასევე ნაქსი-ს. მინისტრი შეეხო დსთ-ში მიმდინარე საინტეგრაციო პროცესებსაც, რომლებიც, მისი აზრით, არ ეწინააღმდეგებოდა ევროპული ინტეგრაციის პრინციპებს. ხოლო რაც შეეხება ტაშკენტის ხელშეკრულებას კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, მან იგი შეაფასა, როგორც დასავლეთთან და ნატოსთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ ბ. გრაჩოვმა მხარი დაუჭირა „პარტნიორობა

მშვიდობისათვის“ ინიციატივას, მაგრამ, ამავე დროს, მიუთითა, რომ აღნიშნული პროგრამა მთლიანობაში არ შეესაბამებოდა რეალურ მოთხოვნებს. მისი სიტყვებით რუსეთი, როგორც დიდი სახელმწიფო, დაინტერესებული იყო ნატოსთან გაცილებით უფრო ფართო ურთიერთობით, ვიდრე პმპ იძლეოდა ამის საშუალებას. მან იქვე მიუთითა, რომ ასეთი მიდგომა არ ნიშნავდა რუსეთის მხრიდან განსაკუთრებული პრივილეგიების მოთხოვნას.

საყურადღებოა, რომ წინა დღით ნატოს თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრისას ბ-მა გრაჩოვმა განაცხადა, რომ რუსეთი შეუერთდებოდა პმპ-ს, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ თავისი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შეტყობინება რუსეთმა არა ნაჩსი-სთვის, არამედ უშუალოდ ნატოსათვის ამჯობინა.

ბ-ნ პ. გრაჩოვის გამოსვლასთან დაკავშირებით გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბ-მა ვ. რუემ აღნიშნა, რომ ნატო „ბლოკი“ კი არ არის, არამედ თავისუფალი და სუვერენული ქვეყნების ალიანსია. მისი სიტყვებით, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური და შემდგომ სამხედრო ორგანიზაცია. მან მხარი დაუჭირა ევროთათბირთან მჭიდრო თანამშრომლობის იდეას და რუსეთ-ნატოს შორის ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობას.

თავის მხრივ, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ბ-მა უ. პერიმაც ხაზი გაუსვა პმპ-ის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ერთობლივი სამხედრო ვარჯიშები, სამხედრო დაგეგმვა, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი. მან შეახსენა დამსწრეთ, რომ პმპ-ის ფარგლებში ოგეგმებოდა პირველი ერთობლივი სამხედრო ვარჯიშის ჩატარება ნიდერლანდებსა და პოლონეთში. აღინიშნა, რომ პმპ საშუალებას აძლევდა ყველა ქვეყანას ეთანამშრომლა ნატოსთან თავისი პოტენციალის შესაბამისად. ბ-მა პერიმ ასევე განაცხადა, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების საკითხში მთავარი როლი ეკისრებოდა ნატოს, რითაც ფაქტობრივად შეეხმიანა ბ-ნ გრაჩოვის დებულებას ევროთათბირის წამყვანი როლის შესახებ.

სხდომის მონაწილე ცენტრალური ევროპის წარმომადგენლებმა აქტიურად დაჭირეს მხარი პმპ-ს, მაგრამ ამავე დროს ხაზი გაუსვეს

ამ ქვეყნების დაინტერესებას, სრულად გაწევრიანებულიყვნენ ნატოში.

მაგალითად, უკრაინის თავდაცვის მინისტრის ბ-ნ ვ. რადეცკის გამოსვლაში გატარებული იყო ის აზრი, რომ უკრაინა წარმოადგენს ევროპის შემადგენელ ნაწილს და ამიტომაც ევროპაში ინტეგრირებას იგი განიხილავდა, როგორც მთავარ ორიენტირს. მან ისაუბრა უკრაინის პრეზიდენტის ბ-ნ ვ. კრავჩუკის 1993 წლის ინიციატივაზე, რომელიც ფაქტიურად ეხმიანებოდა ევროპაში „სტაბილურობის პაქტის" იდეას (ე.წ. ბალადიურის გეგმა). მინისტრის სიტყვებით, უკრაინა არ მონაწილეობდა ტაშკენტის ხელშეკრულებაში და ხედავდა პმპ-ში თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმს. მისი აზრით, მისასალმებელი იყო პმპ-ში რუსეთის მონაწილეობა, მაგრამ მხოლოდ თანასწორუფლებიან საფუძველზე.

იმავდროულად, ნატოში იწყებდნენ ფიქრს იმის თაობაზე, თუ როგორ „დაეშოშმინებინათ" რუსეთი ალიანსის გაფართოების ფონზე. ცნობილი იყო ყველაზე „ნაცადი ხერხი" – ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება, რასაც საკმაოდ ფართოდ მიმართავდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. 1994 წლის ბოლოს ნატოს კულუარებსა და პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ალიანსში განიხილავდნენ ნატოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების საკითხს.

1995 წლის 8 თებერვალს უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მიუნხენში აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა უ. პერიმ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო რუსეთთან ურთიერთგაგების ქარტიის ან მემორანდუმის გაფორმება და მის ფარგლებში ერთგვარი ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საკონსულტაციო კომისიის შექმნა. ნათელი ხდებოდა, რომ გაფართოების პროცესის წარმართვას ნატოში რუსეთთან დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად მოიაზრებდნენ.

იმავე წლის 20 თებერვალს გაზეთ „ფაინენშელ თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში ნატოს გენერალური მდივანი ბ-ნი ჯ. კლაესი აღნიშნავდა: ...ევროპის უსაფრთხოების წინაშე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა დგას. ალიანსის ძირითადი ფუნქცია არ შეცვ-

ლილა. ოჯი კვლავინდებურად წევრი სახელმწიფოების ტერიტორიისა და დამოუკიდებლობის დაცვას ითვალისწინებს, მაგრამ, ამავე დროს, მას ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფუნქციაც აკისრია... ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიების დახმარება ნატოს არსებობისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა, რომელიც სულ უფრო ვითარდება. ნატო გაფართოვდება, მაგრამ ეს არ მოხდება ალიანსის შესუსტების ხარჯზე და არც ისე, რომ ამან ევროპის ახალი გაყოფა გამოიწვიოს... რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დგება ნატო-რუსეთის ურთიერთობათა საკითხი. რუსეთი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ევროპის მიერ მისი იზოლაცია. მაგრამ თვით რუსეთს შეუძლია მოაქციოს თავისი თავი იზოლაციაში. რუსეთს საერთო ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში თავისი უსაფრთხოების კანონიერი ინტერესები აქვს, ჩვენ ვაღიარებთ ამას და ვესწრაფვით კიდეც რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას...“ (6)

1995 წლის 20 თებერვალს ნატოს საბჭომ განიხილა პრეზიდენტ კლინტონის წერილის პროექტი ბ-ნ ბ.ელცინისადმი, რომელიც ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს ეხებოდა. იმავე საკითხზე საუბარი გაიმართა 23 თებერვალს ვაშინგტონში აშშ-ისა და რუსეთის მაღალი ოფიციალური პირების შეხვედრაზე. აღნიშნულ წერილში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ ნატოს გაფართოება არ ნიშნავდა რუსეთის იზოლირებას და ამა თუ იმ სახით რუსეთის როლის შესუსტებას ახალი უსაფრთხო ევროპის მშენებლობაში. აღინიშნებოდა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა მუდმივად იქნებოდა ინფორმირებული ალიანსის გაფართოების პროცესის თაობაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ 28 თებერვალს, ნატოს ეწვია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ა. გორი, რომელიც შეხვდა ალიანსის 16 წევრი ქვეყნისა და რუსეთის ელჩებს. შეხვედრების შემდეგ ბ-მა გორმა განაცხადა: ...ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოება მოხდება თანდათანობით და ყოველგვარი ნაუცბათევი ნაბიჯისა და სიურპრიზების გარეშე. ალიანსის ფარგლებს მიღმა მყოფ არც ერთ ქვეყანას არა აქვს ვეტოს უფლება ნატოს გადაწყვეტილებებზე.

ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით წარმართება რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად... ნებისმიერ შემთხვევაში ნატომ და რუსეთმა ერთად უნდა გაარკვიონ თავიანთი ურთიერთობები. ნატო–რუსეთისა და აშშ–რუსეთის პოზიციების შეთანხმება დღეისათვის ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა...“ (7).

მიუხედავად ალიანსის ასეთი „რევერანსებისა“, რუსეთი მაინც ეჭვით აღიქვამდა ნატოს გაფართოებას. დასავლეთის ექსპერტების აზრით, რუსეთის სხვადასხვა დონის წარმომადგენელთა კრიტიკული განცხადებები ასახავდნენ როგორც ზოგად განწყობილებას ქვეყანაში, ასევე იმის შეგნებას, რომ ნატოს გაფართოება გარდუვალი იყო და დასავლეთთან თანამშრომლობის გაწყვეტა ამ მიზეზით გაუმართლებელ ნაბიჯს წარმოადგენდა.

აღნიშნული კრიტიკული დამოკიდებულებით მოსკოვი ხაზს უსვამდა თავის განსაკუთრებულ წონას მსოფლიოს საქმეებში და იკმაყოფილებდა უკვე არარსებულ ზესახელმწიფოს ამბიციებს, რაც რუსეთის რეალური სამხედრო–პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ბევრს დასავლეთში აშკარად გადამეტებულად ეჩვენებოდა.

ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის უარყოფით მიდგომაში იკითხებოდა (და დღესაც იკითხება) ამ ქვეყნის სტრატეგიული ხედვა და მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, რაც ძირითადად ნაკარნახევია წმინდა სამხედრო მოსაზრებებით. თუ როგორ აღიქვამენ ნატოს გაფართოებას რუსეთში, ამაზე, ჩვენი აზრით, ნათლად მეტყველებს 1999 წელს რუსეთის სათათბიროსათვის ამ თემაზე მომზადებული ანალიტიკური მასალები, რომლის საფუძველზეც შემდგომ მიიღეს სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური დადგენილება.

კერძოდ, აღნიშნულ მეტად საყურადღებო დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „ალიანსის გაფართოება წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის დანგრევის მცდელობას“ (8). დოკუმენტის ავტორთა აზრით, ნატოს ტრანსფორმაციის განხილვა აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კონტექსტში, სადაც სახეზეა აშშ–ისა და დასავ-

ლეთ ევროპის „ფინანსურ-სპეკულატური კაპიტალის ჰეგემონიის გაძლიერება“ (9). ამგვარად, ნატო განიხილება გლობალიზაციის ძალისმიერი და პოლიტიკური უზრუნველყოფის მექანიზმად, რომელიც მიზნად ისახავს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებას.

საკუთრივ ნატოს რუსი ავტორები მიიჩნევენ აშშ-ის ინსტრუმენტად, რომელიც ამ ორგანიზაციის მეშვეობით „ინარჩუნებს კონტროლს ევროპის ქვეყნებზე“ და ეწევა „არაკეთილსინდისიერ კონკურენციას“ თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად (10).

“ისტორიული და ცივილიზაციური მიზეზების გამო რუსეთი იყო და რჩება ნატოს მტრული დამოკიდებულების მთავარ ობიექტად“ – ნათქვამია დოკუმენტში (11). ამ კონტექსტში ჩამოთვლილია ის საფრთხეები, რომლებსაც უქმნის ნატოს გაფართოება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. ესენია

- უშუალო და პოტენციური სამხედრო საფრთხეები, გამოწვეული ნატოს სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის საზღვრებთან 700 კილომეტრზე მოახლოების გამო;
- მექანიზმების მთელი სისტემის ამოქმედება, რომელთა მიზანია რუსეთის ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების დანგრევა, რაც გამოიწვევს რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას დასავლეთზე;
- ნატოს წევრი ქვეყნების ჩარევა რუსეთის საშინაო საქმეებში, დსთ-ის ფარგლებში ინტეგრაციის ხელის შეშლა, პოსტსაბჭოურ სივრცეში ანტირუსული მიმართულების სახელმწიფოთა ჯგუფის შექმნა;
- რუსეთის საზოგადოების ინფორმაციულ-პროპაგანდისტული „დამუშავება“ და დეზინფორმირება ნატოს გაფართოების ჭეშმარიტ მიზნებთან დაკავშირებით;
- რუსეთის ტერიტორიაზე ნატოს ქვეყნების სადაზვერვო ქსელის გაფართოება;
- რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება;
- რუსეთის კულტურული დეგრადაცია და ტრადიციული ფასეულობების შეცვლა.

აღნიშნულ დოკუმენტში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“

პროგრამა განხილულია, როგორც ნატოს ზემოხსენებული მიზნების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი და ეფექტური მექანიზმი.

ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას, გუკარნახოთ რუსეთს, თუ როგორი უნდა იყოს მსოფლიოს ამ უდიდესი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრინციპები და მისი საგარეო პოლიტიკის ორიენტირები. იმის თქმა კი ალბათ შეიძლება, რომ სახელმწიფო სათათბიროს აღნიშნულ დოკუმენტში აშკარად იგრძნობა რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებაში შემორჩენილი „მტრებით გარშემორტყმული ციხე-სიმაგრის“ ცნობიერება. ეს კი, ალბათ, ისევ ისტორიასთან არის დაკავშირებული და არა ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალი სისტემის პრინციპებთან, რომელიც მხოლოდ ინტეგრაციისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიძლება აშენდეს.

მაგრამ, დავუბრუნდეთ 1995 წელს და კვლავ განვიხილოთ ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებული პერიპეტიები.

რუსეთის „კაპრიზების“ უკან იდგა არა მხოლოდ წარსულის ინერცია, არამედ საღი გათვლა და გააზრებული ტაქტიკაც. აშკარად ჩანდა, რომ ნატოს მიმართ უკმაყოფილების გამომჟღავნებით რუსეთი ცდილობდა მაქსიმუმი მიეღო პოლიტიკური ვაჭრობიდან. კერძოდ, რუსეთს სურდა ალიანსს იგი განეხილა არა როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, არამედ როგორც განსაკუთრებული და თანასწორუფლებიანი პარტნიორი. გარდა ამისა, რუსეთის დიპლომატია ცდილობდა ნატოს გაფართოება მაქსიმალურად გამოეყენებინა ევროთათბირის ფარგლებში მიმდინარე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროცესში შეღავათების მისაღწევად, კერძოდ, ქვოტების გასაზრდელად სამხრეთის მიმართულებით, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებთან.

რუსეთში ნატოს საწინააღმდეგო განწყობილების მოზღვავებას თან სდევდა დსთ-ის ფარგლებში სამხედრო ინტეგრაციის განმტკიცების მცდელობები, რაც თავისთავად გულისხმობდა საქართველოსა და ალიანსს შორის ურთიერთობების შეზღუდვას. რუსეთის რეაქციულ

წრეებში იქმნებოდა სხვადასხვა სახიფათო სცენარები იმის თაობაზე, თუ როგორ დაეყენებინათ „სწორ გზაზე“ დასავლეთზე ორიენტირებული საქართველო. მოვლენების განვითარებიდან ჩანდა, რომ ნატოს გაფართოების პრაქტიკულ ფაზაში შესვლასთან ერთად გაძლიერდებოდა რუსეთის პირდაპირი და ირიბი ზეწოლა, განსაკუთრებით უკრაინასა და ამიერკავკასიაზე. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო რუსეთთან დაბალანსებული პოლიტიკის წარმართვა, რათა ამ უკანასკნელს საქართველო ეღიარებინა რეალურ პარტნიორად თავისი სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეგიონში ეკონომიკური ინტერესების დაცვის საქმეში.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ 1994 წლიდან დასავლეთი და ნატო სულ უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ უკრაინაზე, რომლის დასავლური ორიენტაცია ყოფილ საბჭოთა სივრცეში სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის განმტკიცების სერიოზულ გარანტად განიხილებოდა. კერძოდ, ნატოს დოკუმენტებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნება „რუსეთი და უკრაინა“. მაგალითად, 1994 წლის 9 ივნისს სტამბულში გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ დასკვნით კომუნიკეში უკრაინა-ნატოს ურთიერთობებს ცალკე პარაგრაფი მიეძღვნა. აღნიშნულ კომუნიკეში ასევე ცალკე პარაგრაფითაა მოხსენიებული სამხრეთ კავკასიაც, მაგრამ, ამ ეტაპზე სამწუხაროდ, მხოლოდ კონფლიქტების კონტექსტში.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ალიანსის სახეცვლილებებსა და აღმოსავლეთისკენ გაფართოების პროცესზე, მოვლენებს ცოტა წინ უნდა გავუსწროთ.

ნატოს ახალი რეალობებისადმი ადაპტაციის პროცესი, რომელიც 1994 წელს დაიწყო, დასკვნით ფაზაში ალიანსის 1997 წლის 8-9 ივლისის მადრიდის სამიტის მზადების პერიოდში შევიდა. აღნიშნულ სამიტზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა პრინციპული მიდგომა ისეთი მთავარი საკითხისადმი, როგორიც იყო ალიანსის შიდა სტრუქტურების ცვლილებები, ალიანსის გაფართოება და ახალი წევრე-

ბის მიღება, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება.

ალიანსის შიდა სტრუქტურული ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-სამეთაურო მექანიზმების გადახალისებას, ე.წ. სწრაფი დისლოცირების კომბინირებული ჯარების კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებასა და დასავლეთ ევროპული კავშირის (WEU), როგორც ნატოს ევროპული საწყისის, გაძლიერებას გულისხმობდა.

ერთი შეხედვით, ყოველივე ეს ალიანსის „შიდა სამზარეულო" იყო და მას ნაკლები შეხება ჰქონდა ახალი პარტნიორი ქვეყნების, კერძოდ კი საქართველოს, რეალობებთან. მაგრამ, გასათვალისწინებელი იყო ის, რომ შიდა სტრუქტურული ადაპტაცია, ტრადიციული თავდაცვითი მექანიზმის განმტკიცების გარდა, ითვალისწინებდა ალიანსის ფარგლებს მიღმა სხვადასხვა სახის ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას. ეს კი, საბოლოო ჯამში, ნიშნავდა ნატოს უსაფრთხოების სფეროს გაფართოებას, რაც პირდაპირ კავშირში იყო პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობისა და მათ შორის საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებთან.

მადრიდის სამიტის მზადების პერიოდში, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაფართოების მიზნით დღის წესრიგში დგებოდა ნაჩი-სა და პმპ-ის შერწყმის შედეგად „ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს" (ეაპს) შექმნა*, რასაც ხელი უნდა შეეწყო არსებული თანამშრომლობის პოლიტიკური და სამხედრო განზომილების გაღრმავებისათვის. კერძოდ, პოლიტიკური განზომილების თვალსაზრისით ერთობლივი კონსულტაციების პროცესში უნდა განეხილათ ახალი აქტუალური საკითხები.

რაც შეეხება სამხედრო განზომილებას, ბოსნიაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე იწყებოდა სამშვიდობო ოპერაციებიდან (peacekeeping) ე.წ. მშვიდობის იძულების ოპერაციებზე (peace enforcement) გადასვლისათვის მზადება. პარტნიორები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სწრაფი დისლოცირების კომბინირებულ ჯარებსა და ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში, დაგეგმვა-

---

** ეაპს-ის საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ანალიზი იხილეთ ნაშრომის IV თავში.*

სა და ანალიზის პროცესში (PARP). პარტნიორი ქვეყნები ასევე პირდაპირ კავშირებს ამყარებდნენ ალიანსის რეგიონალურ სტრუქტურებთან, სადაც მათ თავიანთი ოფიცრების წარგზავნის საშუალება ეძლეოდათ.

ახალი სტრუქტურების უფრო ეფექტური ფუნქციონირებისათვის ნატოს პოლიტიკური კომიტეტის ფარგლებში იგეგმებოდა რეგიონული ჯგუფების შექმნა, რაც საშუალებას მისცემდა საქართველოს უფრო კონცენტრირებულად განხილულიყო მისთვის აქტუალური საკითხები.

რაც შეეხება *ნატოს გაფართოებას*, უმთავრესად რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, ეს ყველაზე რთული პოლიტიკური ამოცანა იყო. როგორც ჩანს, გაფართოების შესახებ შიდა პრინციპული გადაწყვეტილება ალიანსმა ჯერ კიდევ 1995 წელს მიიღო, როდესაც მომზადდა სპეციალური სტრატეგიული გამოკვლევა ნატოს გაფართოების თაობაზე*. ამ გადაწყვეტილების პოლიტიკური „გაჟღერება" მოხდა 1996 წლის დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. რაც შეეხება მადრიდის ზემოაღნიშნულ სამიტს, იქ ელოდნენ კანდიდატთა ვინაობის დასახელებას და ალიანსში მათ ოფიციალურ მიწვევას. ყველაზე რეალურ კანდიდატებად მიიჩნევდნენ პოლონეთს, ჩეხეთსა და უნგრეთს. ევროპული ქვეყნების საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდნენ ასევე სლოვენია და რუმინეთი.

ნატოს გაფართოების ფონზე მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთთან დიალოგის შენარჩუნების მიზნით ალიანსი მოსკოვს შესთავაზებდა ორმხრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ახალი მექანიზმის შექმნას. პარალელურად არ გამორიცხავდნენ სამიტზე ნატო–უკრაინის ორმხრივი ურთიერთობების სპეციალური დოკუმენტის გაფორმებასაც.

აღნიშნული სამიტის მზადების პერიოდში, ანუ 1997 წლის პირველ ნახევარში, დებატებმა ნატოს გაფართოების შესახებ როგორც

---

* *ამ დოკუმენტზე VI თავში გვექნება საუბარი.*

დასავლეთის, ისევე რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში მწვავე ხასიათი მიიღო. გაჩნდა მრავალი კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ გაფართოვდებოდა ნატო და როგორ წარიმართებოდა ეს პროცესი, როგორი იქნებოდა ძალთა ახალი თანაფარდობა და XXI საუკუნის ევროპული უსაფრთხოების სისტემა.

ზოგიერთი ავტორიტეტული სპეციალისტი უარყოფითად აფასებდა გაფართოების პერსპექტივებს. მაგალითად, ცნობილი მიმომხილველი უ. პფაფი პარალელს ავლებდა ნატოს მოსალოდნელ გაფართოებასა და 1945 წელს იალტის კონფერენციის შედეგად მომხდარ ევროპის გადანაწილებას შორის. მისი აზრით, ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც ამჯერად ვერ გაწევრიანდებოდნენ ნატოში, უდავოდ აღმოჩნდებოდნენ რუსეთის ინტერესების განსაკუთრებულ სფეროში. „...ამგვარად, დასავლეთი ხელს უწყობს სწორედ იმას, რისი გაკეთებაც მას არ სურს. კერძოდ, ქმნის გავლენის ახალ სფეროებს. ნატოში მოხვედრილი ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი, ბუნებრივია, უფრო უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს, ხოლო ალიანსის მიღმა დარჩენილი რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინისა და ბალტიისპირეთისათვის რისკის ფაქტორი უდავოდ გაიზრდება“ (12). შესაბამისად, ბ–ნი პფაფი აკეთებდა დასკვნას, რომ საჭირო იყო არა ნატოს გაფართოება, არამედ ევროპული უსაფრთხოების ახალი მექანიზმების შექმნა, რომლებშიც ერთნაირად იქნებოდა დაცული როგორც ალიანსის, ასევე რუსეთისა და სხვა ქვეყნების ინტერესები.

ნატოს გაფართოების მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ გაფართოება უმთავრესად აშშ–სა და გერმანიას აინტერესებდა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ ოჯი ნამდვილად ზრუნავდა თავისი აღმოსავლეთის საზღვრების განმტკიცებაზე, რისი გარანტიაც იქნებოდა პოლონეთისა და ჩეხეთის ალიანსში გაწევრიანება. მაგრამ, განა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრები თვით ალიანსის საზღვრებიც არ იყო?

აშშ–ს უმთავრესად იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ, თითქოს, ოჯი ზუსტად ვერ ითვალისწინებდა ნატოს გაფართოების შესაძლო უარყოფით შედეგებს. მაგალითად, გაზეთი „ინტერნეშენელ ჰერალდ

ტრიბუნი", თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში, აშშ-ის ადმინისტრაციის ამ პოლიტიკას წმინდა საარჩევნო მოსაზრებებითაც ხსნიდა. „„გაფართოება ნატოს ეფექტურობას საფრთხეში აგდებს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ტრადიციულად ორი ძირითადი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა და წევრ-სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების აცილება. ამ ამოცანებს ნატო წარმატებით ართმევდა თავს თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ალიანსმა სავსებით სწორი რეაგირება მოახდინა ახალ რეალობებზე, როდესაც წამოიწყო პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის"... მაგრამ, სამწუხაროდ, წყალი აიმღვრა პრეზიდენტის არჩევნებისას, როდესაც კლინტონის გუნდი ჩეხი, პოლონელი და უნგრელი წარმოშობის ამერიკელ ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით მათ ისტორიულ ქვეყნებს ნატოში გაწევრიანებას დაპირდა. „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა გადაიქცა ნატოში გაწევრიანების მექანიზმად და ალიანსიც სახიფათო გზას დაადგა" – წერდა გაზეთი (13).

როდესაც განიხილავდნენ გაფართოების სხვადასხვა ვარიანტებს, კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ნატოს რუსეთის საზღვრებამდე (ბალტიისპირეთის ჩათვლით) გაფართოება აუცილებლად გამოიწვევდა მოსკოვთან მეტად სერიოზულ კონფრონტაციასა და ევროპული უსაფრთხოების სისტემის მოშლას. იმ შემთხვევაში, თუ გაფართოება შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლონეთით, ჩეხეთითა და უნგრეთით, მაშინ ევროპის დანარჩენი ქვეყნები უსაფრთხოების მუდმივ „ნაცრისფერ ზოლში" აღმოჩნდებოდნენ. გამომდინარე აქედან, უპირატესობა ენიჭებოდა მესამე „სცენარს", რომლის მიხედვით ნატოს გაფართოება რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების ფონზე უნდა განხორციელებულიყო. ამის პარალელურად კი საჭიროდ მიიჩნევდნენ მოსკოვისათვის ეკონომიკური დახმარების მნიშვნელოვან გაზრდას.

ვფიქრობთ, რომ არსებული გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, ბოლო ვარიანტი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. შესაძლებელი ხდებოდა „ნაცრისფერი ზოლის" თანდათანობითი „ათვისება" რუსეთის გაღიზიანებისა და გაუცხოების გარეშე.

თანამშრომლობის ახალი ფორმა, რომელსაც ნატო სთავაზობდა რუსეთს, უნდა დაფუძნებოდა სპეციალურ დოკუმენტს. რუსეთი ითხოვდა, რომ ეს ყოფილიყო იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრებოდა ნატოს ვალდებულება. მოსკოვის მოთხოვნით არ უნდა მომხდარიყო ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ალიანსის ბირთვული იარაღისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება.

ამ მოთხოვნას, და შესაბამისად იურიდიული ხელშეკრულების გაფორმებას, ნატოში არ მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად. ალიანსი თავის მხრივ სთავაზობდა რუსეთს პოლიტიკური ხასიათის *დამფუძნებელი აქტის* ან *ქარტიის* შემუშავებას. რაც შეეხება სამხედრო ასპექტებს, ნატოს განცხადებებიდან გამომდინარე, ალიანსს არ გააჩნდა რაიმე განზრახვა, გეგმა თუ მიზეზი, რათა განელაგებინა ბირთვული იარაღი რუსეთის საზღვრებთან. ამავე დროს, ნატო არც მუდმივ გარანტიებს იძლეოდა ამის თაობაზე და ორმხრივი ნდობის განმტკიცების მიზნით სთავაზობდა რუსეთს დამატებით ინიციატივებს. კერძოდ, ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლეოდა არა მარტო დასწრებოდა ნატოს სამხედრო ვარჯიშებს, არამედ მიეღო ინფორმაცია შეიარაღებული ძალების ნებისმიერი გადაადგილებისა და დისლოკაციის შესახებ, ეწვრმოებინა სამხედრო ბაზების ინსპექცია და ნატოს საჰაერო სივრცის მონიტორინგი.

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ზ. ბზეჟინსკის აზრით, ნატო-რუსეთის ურთიერთობათა ქარტიის სამხედრო ნაწილი აუცილებლად უნდა ყოფილიყო აგებული ორმხრივი ბალანსისა და ურთიერთგაცვლის პრინციპებზე. „რუსეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლები მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობის ძირითად სტრუქტურებში. თავის მხრივ, ნატოს ოფიცრებიც უნდა დადიოდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დერეფნებში. დასავლეთის საზოგადოება აღნიშნულ ქარტიას უნდა აღიქვამდეს არა როგორც რაიმე ხარკის გაღებას რუსეთისათვის, არამედ როგორც მისი ინტერესების გათვალისწინებას. ეს მართლაც საჭირბოროტო პრობლემაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ნატოს გაფართოება რატიფიცირებული უნდა იყოს ალიანსის

წევრი ქვეყნების პარლამენტების, მათ შორის აშშ-ის კონგრესის მიერ" – წერდა ზ. ბზეჟინსკი (14).

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ ეტაპზე ნატოს გაფართოებას სირთულეები შეექმნა თურქეთის მხრიდანაც. მსოფლიოს პოლიტიკური წრეებისა და პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ქ-ნ თ. ჩილერის განცხადებები, რომ ანკარას შესაძლოა ვეტოს უფლება გამოეყენებინა ნატოს გაფართოების ბლოკირების მიზნით, თუკი არ დაკმაყოფილდებოდა ამ ქვეყნის მოთხოვნა ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ამ დემარშმა აიძულა ევროპის ლიდერები თურქეთის „დასაშოშმინებლად" მთელი რიგი განცხადებები გაეკეთებინათ. მაგალითად, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ა. მატუტესმა განაცხადა, რომ „თურქეთი ისევე უნდა იქნას განხილული, როგორც ევროკავშირის სხვა კანდიდატები. ევროკავშირი დაფუძნებულია არა ქრისტიანულ რელიგიაზე, არამედ წესებსა და პრინციპებზე" (15).

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში აშკარად ჭარბობდა ნატოს გაფართოების მხარდამჭერი განწყობილება, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა პოლიტიკურ მმართველი წრეებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიზანმიმართული საქმიანობა.

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ნატოსა და რუსეთს შორის გამოინახა კონსენსუსი ახალი დოკუმენტის გაფორმებასთან დაკავშირებით. რუსეთი იძულებული გახდა პრინციპულად გაეზიარებინა ალიანსის მიერ შეთავაზებული ძირითადი წინადადებები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთიც გარკვეულ დათმობებზე წავიდა. კერძოდ, ეუთო-ს ფარგლებში ეჩშძ ხელშეკრულების ადაპტაციასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესში გაითვალისწინეს რუსეთის რიგი მოთხოვნები.

1997 წლის 27 მაისს პარიზში, ერთი მხრივ ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა და ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ხოლო მეორე მხრივ – პრეზიდენტმა ბ. ელცინმა ხელი მოაწერეს *„დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ"*, რომელიც

შეფასდა, როგორც „ახალი, ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი პარტნიორობის დასაწყისი“.

ნატოს გაფართოებასა და ალიანსის პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პროგნოზებსა და კითხვებს მნიშვნელოვანწილად პასუხი გაეცა ნატოსა და ნაწსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 1997 წლის 29–30 მაისს პორტუგალიის ქალაქ სინტრაში. შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნატოს შემდგომ ევოლუციასა და მის ურთიერთობებზე პარტნიორ ქვეყნებთან.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოების მინისტრებმა რეკომენდაცია მისცეს თავიანთი ქვეყნების მეთაურებს, რათა მადრიდში ნატოს მოსალოდნელ სამიტზე გაეკეთებინათ განცხადება ალიანსში ახალი წევრების მიწვევის შესახებ, რისთვისაც საჭირო იქნებოდა კანდიდატ ქვეყნებთან ინტენსიური მოლაპარაკებების დაწყება და გაწევრიანების სპეციალური გეგმის შემუშავება. ამავე დროს, მინისტრებმა დაადასტურეს, რომ მომავალში ალიანსის „კარი“ ღია უნდა დარჩენილიყო სხვა ახალი წევრების მისაღებადაც.

საინტერესო მოვლენა იყო ისიც, რომ მინისტრთა შეხვედრაზე 29 მაისს მოხდა „ნატოსა და უკრაინას შორის განსაკუთრებული ურთიერთობების შესახებ ქარტიის“ პარაფირება, რომლის საზეიმო ხელმოწერა გაიმართა მოგვიანებით ნატოს მადრიდის სამიტზე.

აღნიშნულ შეხვედრაზე ასევე დამტკიცდა მოხსენება ნატოს შიდა სტრუქტურული ცვლილებების შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება, წარედგინათ მადრიდის სამიტისათვის შესაბამისი რეკომენდაციები. ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებდა განცხადება იმის თაობაზე, რომ იწყებოდა მუშაობა ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაზე, რაზეც სპეციალურად იმსჯელებდნენ მადრიდის სამიტზე.

ზემოაღნიშნულ მოვლენებს საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტიურად „მწვანე შუქი“ მიეცა ნატოს გაფართოების პროცესს, რასაც რადიკალური ცვლილებები შეჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარება-

ში. დემოკრატიულ საწყისებზე ევროპის პოლიტიკური გამთლიანება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო, ნატოს ეგიდით იძენდა კოლექტიური უსაფრთხოების განზომილებას. ამ ღია პროცესის განხორციელებას ეტაპობრივად უნდა მოეცვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნები, რომლებიც გამოხატავდნენ ნატოში გაწევრიანების სურვილსა და თავიანთი სახელმწიფოებრივი განვითარების დონით მიუახლოვდებოდნენ ალიანსის სტანდარტებს.

ჩვენი აზრით, ამ პროცესის უაღრესად დადებითი ფაქტორი იყო ის, რომ ნატოს გაფართოება ხდებოდა არა რუსეთის იზოლირებისა და დაპირისპირების გზით, არამედ მასთან დიალოგისა და განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების მეშვეობით. ეს მეტად ხელშემწყობი ფაქტორი იყო საქართველო-ნატოს თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისთვისაც, რადგან აღნიშნული ურთიერთობები რუსეთის მიერ ნაკლებად შეფასდებოდა, როგორც მის წინააღმდეგ მიმართული პროცესი.

საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის გათვალისწინებით, ნატო-უკრაინის ქარტია განიხილებოდა, როგორც ალიანსთან საქართველოს დამაახლოებელი კიდევ ერთი სტრატეგიული ღერძი.

ნატოსა და ევროატლანტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესების კონცეფტუალური გააზრება, ალიანსის დანიშნულებისა და მიზნების ახლებური ხედვა განაპირობებდა ნატოს სტრატეგიული კონცეფციის გადახედვას და მასში პრინციპული სახის კორექტივების შეტანას, რაზეც, როგორც აღინიშნა, უკვე იწყებოდა პრაქტიკული მუშაობა. ამ კორექტივების არსი კი ის იყო, რომ ალიანსის უსაფრთხოების ინტერესები უკვე სცილდებოდა მის გეოგრაფიულ საზღვრებს და გარკვეულწილად ითვალისწინებდა მოსაზღვრე რეგიონებსაც. ამ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნებოდა კავკასიაც.

მაგრამ ეს ყველაფერი მომავალში მოხდება. ახლა კი, თუ დავუბრუნდებით მოვლენათა ქრონოლოგიას, დავინახავთ, რომ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენების ფონზე, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენდნენ

საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაზე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა, რომელმაც რადიკალური კორექტივები შეიტანა ზოგადად ნატოს სტრატეგიულ მიდგომებში, კერძოდ კი მის ფარგლებს მიღმა მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით, გახლდათ კრიზისი ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

2. ბალკანეთის დილემა: ომი თუ ძალებითი მშვიდობა?

1994 წლის 5 აგვისტოს სერბების მორიგი პროვოკაციის პასუხად და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მოთხოვნათა შესაბამისად ალიანსის ავიაციამ სარაევოსთან ახლოს დაბომბა სერბების სამხედრო პოზიცია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე ნატომ გამოიყენა თავისი შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ აქციით მან „გადალახა რუბიკონი“, რაც გზას უხსნიდა ალიანსის საზღვრებს გარეთ მოქმედებისთვის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1999 წლის აპრილში ვაშინგტონში ნატოს სამიტზე მიღებული ახალი სტრატეგიული კონცეფციის ჩამოყალიბებაში სწორედ ბოსნიის გამოცდილებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი.

ნატოს სამხედრო ჩარევა ბოსნიის კონფლიქტში ეტაპობრივი და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო. ამ დრამატული ნაბიჯის გადადგმამდე დასავლეთმა პრაქტიკულად ყველა არსებულ ხერხს მიმართა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. მაგრამ სამწლიანმა მოლაპარაკებებმა, ცალკეული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივამ, ემბარგომ და თვით ნატოს არაერთგზის გაფრთხილებამ თუ ულტიმატუმმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მეორე მსოფლიო ომის

შემდეგ პირველად შუაგულ ევროპაში მიმდინარეობდა არნახული მასობრივი ძალადობა და ეთნიკური წმენდა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ერთი მხრივ ექსტრემიზმმა, ხოლო მეორე მხრივ გაერო-ს უმწეობამ, შექმნა ვითარება, როდესაც ნატოს ან ბედის ანაბარა უნდა მიეტოვებინა ბოსნიის მოსახლეობა, ან მიეღო არაორდინარული ზომები.

უშედეგო ქმედება ეჭვქვეშ აყენებდა ნატოს ავტორიტეტს, რომელსაც ევროპაში უშიშროების მთავარ გარანტად აღიქვამდნენ როგორც მისი წევრი, ასევე პარტნიორი ქვეყნები. პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდება: გვეყო ლაპარაკი, დროა საქმით შევუდგეთ ბოსნიაში მშვიდობის დამყარებას.

ასეთი ქმედებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ნატოს ქვეყნების ერთიანი პოლიტიკური ნება. ალიანსის რიგებში კი აშკარად იგრძნობოდა აზრთა სხვაობა, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპელ მოკავშირეებს შორის. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბოსნიის კონფლიქტს ვაშინგტონში „ევროპელების საქმედ“ მიიჩნევდნენ და შესაბამისად სწორედ მათგან მოითხოვდნენ ქმედით ნაბიჯებს. მეორე მხრივ, თვით ევროპელებიც ცდილობდნენ საკუთარ ხელში აეღოთ ინიციატივა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

ბოსნიაში მშვიდობის ძალისმიერი მეთოდებით დამყარებისთვის საჭირო იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი მანდატის მიღება, რაც საკმაოდ პრობლემურ ამოცანას წარმოადგენდა რუსეთის პოზიციის, ანუ სერბების მიმართ მოსკოვის აშკარა სიმპათიების გამო. მიუხედავად ამისა, მომდევნო, ანუ კოსოვოს კონფლიქტისგან განსხვავებით, რუსეთი იმ ეტაპზე საკმაოდ იოლად დათანხმდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მანდატზე. თუმცა, ამან ხელი არ შეუშალა რუსეთს, მოგვიანებით დაედანაშაულებინა ნატო ამ მანდატის პირობების დარღვევაში.

დღის წესრიგში მწვავედ დადგა სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში შეყვანის, მათი მოქმედების კონცეფციისა და გეგმის შემუშავების საკითხი. საჭირო იყო სამშვიდობო ძალების მობილიზებაც.

მომდევნო პერიოდში ნატომ გააგრძელა ე.წ. პრევენტიული სა-

ჰაერო კამპანია, რომელიც შემოიფარგლებოდა სერბების ცალკეული სამხედრო პოზიციების იმგვარი დაბომბვით, რომ ამას რაიმე მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი არ მოჰყოლოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს ზედმეტად მოკრძალებულმა სამხედრო აქციამ კიდევ უფრა გაათამამა სერბები. მან პრაქტიკულად უბიძგა სერბებს ბოსნიელი მუსლიმანების წინააღმდეგ უფრო აქტიური მოქმედებისაკენ. სერბებმა გააძლიერეს შეტევა გაერო-ს მიერ ბოსნიის ტერიტორიაზე დაწესებული ე.წ. სამშვიდობო ზონების წინააღმდეგ და მძევლებადაც კი აიყვანეს გაერო-ს სამშვიდობო პერსონალის წარმომადგენლები. აღნიშნული მოვლენები ნატოს პრესტიჟისა და აშშ-ევროპის სოლიდარობის უმძიმეს გამოცდად იქცა.

მეორე მხრივ, ნატოს სამხედრო ჩარევამ ბოსნიაში მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობა ალიანსსა და რუსეთს შორის. რუსეთი მიიჩნევდა, რომ ძალის გამოყენება და ნატოს ავიაციის მიერ სერბთა პოზიციების დაბომბვა ხელს უშლიდა პოლიტიკური მოგვარების პროცესს. ამასთანავე, რუსეთის აზრით, გაერო-ს მანდატი ალიანსს აძლევდა არა პრევენტიული დარტყმების, არამედ მხოლოდ უშიშროების ზონებისა და გაერო-ს პერსონალის დაცვის უფლებას.

1995 წლის 11 სექტემბერს ნატოში რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოსნიაში ნატოს მოქმედების გამო რუსეთსა და ნატოს შორის გაფორმებულ ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამას შეჩერების საშიშროება ემუქრებოდა. უფრო მკაცრი იყო პრეზიდენტ ბ.ელცინის განცხადებები. იგი ნატოს აკრიტიკებდა არა მხოლოდ სერბების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამო, არამედ, უფრო მეტი, ნატოს გაფართოების საკითხსაც ეხებოდა. ერთ-ერთ მის განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ „ნატოს გაფართოებას შეიძლება ცეცხლის ალი მოჰყვეს ევროპაში. სერბების დაბომბვა იმის მომასწავებელია, თუ როგორ მოიქცევა რუსეთის საზღვრების მახლობლად ამერიკული კონტროლის ქვეშ მყოფი გაფართოებული ნატო. რუსეთის საზღვრებთან ნატოს მისვლა ორი სამხედრო ბლოკის წარმოქმნასა და წარსულის კონფრონტაციის აღდგენას ნიშნავს. რუსეთი ევროპის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ევროპული უსა-

ფრთხოების საკითხები რუსეთსა და ევროპელებს შორის უნდა მოგვარდეს ყოველგვარი ოკეანისგაღმა დიქტატის გარეშე“ (16).

რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის ამ განცხადებას, ჩვენი აზრით, „საბჭოთა ნაფტალინის“ ცოტაოდენი სუნი ასდიოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში ანტიდასავლური და ნაციონალისტური განწყობილების ზრდას უფრო ნიშნავდა, ვიდრე ევროპის ერთიანობაზე ზრუნვას.

რაც შეეხება ამ განცხადებებზე ნატოს რეაქციას, მან ნათლად და საკმაოდ მკაცრადაც მიუთითა რუსეთს, რომ უკან არ დაიხევდა და გააგრძელებდა სერბებზე სამხედრო ზეწოლას მანამ, სანამ ისინი არ დაეთანხმედებოდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნებს. კერძოდ, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში ბ–მა ფონ მოლტკემ განაცხადა, რომ „ნატოს მხრიდან არ ყოფილა არავითარი თვითნებობა და გაერო–სთან შეუთანხმებელი ქმედება. შეიძლება ითქვას, რომ უკვე ერთი წელია, რაც რუსეთისა და ნატოს ურთიერთობები უარესდება... მიღწეულ შეთანხმებასა და ნატოსთან „ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის“ გაფორმებას რაიმე ხელშესახები ეფექტი არ მოჰყოლია. თავის მხრივ ნატო ცდილობს რუსეთთან უთიერთობების გაუმჯობესებას, მაგრამ რუსეთის მიდგომაა არაკონსტრუქციული. რუსეთი თვითიზოლაციის გზას ადგას მაშინ, როდესაც ჩვენ მას მჭიდრო თანამშრომლობას ვთავაზობთ“ (17).

ასეთ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა მუშაობა ნატოში იმისთვის, რომ გამოძებნილიყო ბოსნიის სამშვიდობო პროცესში რუსეთის პოზიტიური ჩართვის გზები. მოგვიანებით რუსეთისთვის მისაღები აღმოჩნდა წინადადება თავისი სამხედრო შენაერთების მონაწილეობის შესახებ ბოსნიის სამშვიდობო ძალებში (IFOR).

მომდევნო თვეებში ნატომ გააძლიერა სამხედრო ოპერაციები სერბების პოზიციების წინააღმდეგ, რამაც, პოლიტიკურ ზეწოლასთან ერთად აიძულა სერბები დეიტონის (აშშ) მოლაპარაკებისას წასულიყვნენ სერიოზულ დათმობებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს მიერ გადადგმულ გაბედულ ნაბიჯებზე დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის აქტიურობამ, რასაც დიდი

ბრიტანეთისა და აშშ-ის მხარდაჭერა მოჰყვა (თავის მხრივ პრეზიდენტ კლინტონის პოზიციაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა აშშ-ის კონგრესმა, სადაც უმრავლესობა რესპუბლიკელები იყვნენ). ნატოში ბოსნიელ მუსლიმანებს აშკარად უჭერდა მხარს თურქეთიც.

სამშვიდობო ოპერაციისთვის მზადება ნატოში დაიწყეს „დეიტონის შეთანხმების“ გაფორმებამდე. მაგალითად, ნატოს ხელმძღვანელობით ბოსნიაში ასეთი ოპერაციის ჩატარების გეგმები ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაამტკიცა ჯერ კიდევ 1995 წლის ივნისში. ეს გეგმები პარტნიორ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც) გააცნეს 20 ოქტომბერს ნატოში გამართული საკოორდინაციო ჯგუფის გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელზეც ალიანსის შესაბამისმა სამხედრო სამსახურებმა წარმოადგინეს ე.წ. იმპლემენტაციის ძალების, ანუ IFOR-ის მოქმედების კონცეფცია. ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში IFOR-ის ეტაპობრივ შეყვანას, რითაც შეცვლიდნენ იმ დროისათვის ბოსნიაში განლაგებულ გაერო-ს სამშვიდობო ძალებს. IFOR-ი, რომლის მანდატი დამატებით უნდა განესაზღვრა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს, უშუალოდ დაექვემდებარებოდა ნატოს (მათ შორის რუსეთის ქვეგანაყოფებიც). ოპერაციებს უხელმძღვანელებდა ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა (SHAPE). მიუხედავად იმისა, რომ სამეთაურო-საკონტროლო და საკომუნიკაციო ხელმძღვანელობას უშუალოდ ნატო განახორციელებდა, კონკრეტულ ოპერაციათა მომზადება-დაგეგმვის პროცესში ოპერაციის მონაწილე ყველა ქვეყანა იქნებოდა წარმოდგენილი.

IFOR-ში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა პმპ-ის ზოგმა ქვეყანამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, მათ შორის უკრაინამ, ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ.

დეიტონის მოლაპარაკების საბოლოო შედეგს – „ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმებას“ – კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ხელი მოაწერეს პარიზში 1995 წლის 14 დეკემბერს. 15 დეკემბერს კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით IFOR-ს დაევალა ამ შეთანხმების ე.წ. სამხედრო ნაწილის განხორციელება. მომდევნო დღეებში დაიწყო ბოსნიაში 60-ათასიანი IFOR-ის ეტაპობრივი

ჯანთავსება და ოპერაცია სახელწოდებით „Joint Endevour".

„დეიტონის შეთანხმების" შესაბამისად IFOR-ის მთავარი სამხედრო ფუნქცია იყო ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის უზრუნველყოფა, დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება და მათთვის მძიმე შეიარაღების ჩამორთმევა, ასევე ბოსნიის საჰაერო სივრცის კონტროლი. ამ ფუნქციების შესრულებას ხელი უნდა შეეწყო „დეიტონის ხელშეკრულების" ე.წ. სამოქალაქო ნაწილის რეალიზაციისათვის, რომლის მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში მშვიდობისა და ნორმალური ცხოვრების პირობების აღდგენა.

აღნიშნულ ოპერაციაში რუსეთი პრაქტიკულად ჩაერთო 1996 წლის იანვრიდან, რაც ნატოსა და რუსეთს შორის სპეციალური შეთანხმებით გაფორმდა. ამ შეთანხმების მიხედვით რუსეთის სამხედრო-სამშვიდობო კონტინგენტი უშუალოდ ექვემდებარებოდა რუს გენერალს, რომელიც ამავე დროს ინიშნებოდა SACEUR-ის მოადგილედ.

თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნული ოპერაციის განხორციელებას – იქმნებოდა ნატოს საზღვრებს მიღმა მისი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის გამოყენების პრეცედენტი. პრეცედენტი უნიკალური იყო იმითაც, რომ ოპერაციაში ერთობლივად მონაწილეობდნენ „ცივი ომის" ეპოქის მოწინააღმდეგეები – ნატო და რუსეთი. ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ჯ. ჯულვანი წერდა: „დეიტონის შეთანხმება არის რუსეთთან დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეთანხმებამ არა მარტო მშვიდობა მოუტანა ბოსნია-ჰერცეგოვინას და შეამცირა კონფლიქტის ფართომასშტაბიან ომში გადაზრდის საფრთხე, არამედ შექმნა ნატო-რუსეთის შორის ორმხრივი ნდობის საფუძველიც. ამით ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა... მე ვხედავ, რომ ნატოსა და რუსეთს შეუძლიათ ერთად მუშაობა და ეს თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს" (18).

რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის ნატოს მიმართ გარკვეულ „დათბობას" ნიშნავდა 1996 წლის 24 აპრილს ალიანსის შტაბბინაში

გამართული ნაწი-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მთავარ- შტაბების უფროსთა შეხვედრა. საყურადღებო იყო რუსეთის წარ- მომადგენლის გენერალ ნ.ჟურბენკოს გამოსვლა, რომელმაც აღნიშ- ნა, რომ რუსეთი მიესალმებოდა პმპ-ის ფარგლებში ნატოსთან ყვე- ლა დონის ურთიერთობების გაღრმავებას. მან ასევე მადლობა მოახსენა ევროპაში ნატოს ჯარების მთავარსარდალს გენერალ ჯ.ჯულვანს და აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსს გენერ- ალ ჯ.შალიკაშვილს ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე რუსული ბრიგადის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. რუსი გენერალი ნატოს გაფართოების საკითხზეც აბირებდა აზრის გამოთქმას, მაგრამ იგი ზრდილობიანად შეაჩერა სხდომისა და ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა კ. ნაუმანმა: „გაფართოების საკითხების განხილვა პოლიტიკოსებს მივანდოთ, ჩვენ კი სამხედრო თანამშრომლობის განვითარების პრაქტიკულ ასპექტებზე ვიმსჯელოთ" – განაცხადა მან (19).

ეს პატარა დეტალი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის ზოგიერთ სამხედრო პირს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სრულად გაცნობიერებული თავისი ფუნქცია და პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან ერთად პოლიტიკაში ჩარევასაც ცდილობდა, რაც, მოგეხსენებათ, სამხედროთა კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

ნატო-რუსეთის თანამშრომლობას ბოსნიის საკითხში მეტად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, რადგან ეს დადებითი ფონი მას საშუალებას აძლევდა უფრო აქტიურად განეხორციელებინა ურთიერთობები აღიანსთან. ქართული დიპლომატიის წინაშე წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა შეესწავლათ აღნიშნული გამოცდილება და იგი აფხაზეთ. ს კონფლიქტთან მიესადაგებინათ.

1996 წლისათვის სამშვიდობო ოპერაციამ ბოსნიაში მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამ დროს უკვე დაგროვდა მდიდარი გამოცდილება როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. აქტუალური ხდებოდა ამ გამოცდილების გაანალიზება და მისი შესაძლო გამოყენება სხვა არსებული კონფლიქტების მოგვარების მიზნით. ამ კუთხით „ბოსნიის მოდელი" საქართველოს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგუ-

ლირების ერთ-ერთი ალტერნატივა.

1996 წლის სექტემბერში ბოსნიაში არჩევნების ჩატარების შემდეგ IFOR-მა წარმატებით დაასრულა მასზე დაკისრებული მისია. დღის წესრიგში დადგა ამ ოპერაციისთვის პროფილის შეცვლა, რაც უკვე ორიენტიებული იქნებოდა ბოსნიაში სიტუაციის სტაბილიზაციაზე და მშვიდობის შემდგომ განმტკიცებაზე. ნატოს წინადადების შესაბამისად, 1996 წლის 12 დეკემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ „დეიტონის ხელშეკრულების“ სამხედრო ასპექტების შესრულება დაავალა IFOR-ის კანონიერ „მემკვიდრეს“ – სტაბილიზაციის ძალებს (SFOR). ეს ახალი მისია, შემცირებული სამხედრო პერსონალით (დაახლოებით 31 ათასი), მისი წინამორბედის მიღწევების განმტკიცებასთან ერთად მიზნად ისახავდა ბოსნიაში სამშვიდობო პროცესის მომდევნო ეტაპზე გადასვლისათვის ხელისშეწყობას, რათა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება მისცემოდათ. ამ ეტაპზე SFOR-ის მოქმედების პერიოდი განისაზღვრა 18 თვით.

ისევე, როგორც წინა ოპერაციის დროს, SFOR-ის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მომენტი ის იყო, რომ მასში კვლავ ერთობლივად მონაწილეობდნენ ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები. პრაქტიკულად ამოქმედდა ის სამხედრო კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ნატოს 1994 წლის სამიტზე ჩაეყარა და რომელზე მუშაობაც ნატოში აქტიურად მიმდინარეობდა შემდგომ წლებშიც. მხედველობაში გვაქვს ე.წ. კომბინირებული ერთობლივი სამხედრო დანიშნულების ძალების კონცეფცია. იგი მიზნად ისახავდა ისეთი მობილური ძალების შექმნას, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ალიანსის ფარგლებს გარეთ „ახალი საფრთხეების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს მრავალეროვნული ძალები, რომლებშიც პარტნიორ ქვეყნებსაც შეეძლოთ მონაწილეობა, მოწოდებული იყვნენ ნატოს ხელმძღვანელობით სხვადასხვა ხასიათის ამოცანების, მათ შორის სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების, ჩასატარებლად. საჭიროებისას მათი შექმნა და მობილიზება უნდა განხორციელებულიყო ოპერატიულად, ნატოში არსებული სამხედრო დაგეგმვის პროცედურების შესაბამისად.

მომდევნო პერიოდში სწორედ ეს ახალი მოდელი იქცა ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად პმპ-ის ფარგლებში ჩატარებული იმ ერთობლივი სამხედრო ვარჯიშებისა, რომლებშიც საქართველოც იღებს მონაწილეობას.

ამგვარად, ბოსნიაში ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციის შედეგად შეიქმნა უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი – დაგროვდა ანალოგიური ან სხვა სახის ოპერაციების განხორციელებისთვის საჭირო სამხედრო-პოლიტიკური გამოცდილება და შემუშავდა შესაბამისი მექანიზმები.

ამ თვისობრივად ახალ მექანიზმებში ნატოს პარტნიორი ქვეყნები უკვე აქტიურად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც. კერძოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები უკვე ბოსნიაში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების საქმიანობის აქტიური მონაწილეები ხდებოდნენ. გარდა ამისა, პმპ-ის ფარგლებში როგორც ნატოს წევრ, ასევე პარტნიორ ქვეყნებში სისტემატური ხასიათი მიიღო სამშვიდობო ძალების საწვრთნელმა სამხედრო ვარჯიშებმა.

ჩვენი აზრით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუსეთის წარმომადგენლები, რომლებიც გამოდიოდნენ ნატოში გამართულ სხვადასხვა ფორუმზე ალიანსის გაფართოების პროცესის კრიტიკით, ფაქტიურად არ უარყოფდნენ ნატოს პოლიტიკას „ახალი საფრთხეებისა და ამოცანების“ მიმართ. ეს კი გულისხმობდა აუცილებლობის დროს ალიანსის სამხედრო პოტენციალის გამოყენებას მის გეოგრაფიული საზღვრების გარეთ სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად. თუმცა, როგორც წესი, რუსეთის წარმომადგენლები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ზოგადი განცხადებებით იმის თაობაზე, რომ ეუთო-ს სივრცეში კონფლიქტების მოგვარება არა ალიანსის არამედ თვით ეუთო-ს პრეროგატივა იყო. ამავე დროს, რუსი დიპლომატები რეგულარულად მონაწილეობდნენ და თავისი წვლილი შეჰქონდათ ნაკსი-ს ფარგლებში მიმდინარე პოლიტიკურ კონსულტაციებსა და ექსპერტთა ჯგუფების საქმიანობაში, რომ

ლებიც ამუშავებდნენ ნატოს ახალ სტრატეგიას. ამ უკანასკნელის მიმართ რუს დიპლომატებს რაიმე კატეგორიულად საწინააღმდეგო პოზიცია არ ჰქონდათ.

თუ მოვლენებს კვლავ წინ გავუსწრებთ, უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხთან რადიკალურად შეიცვალა 1999 წელს, ანუ მაშინ, როდესაც ნატომ რეალურად შეიმუშავა ახალი სტრატეგია კოსოვოს მიმართ. ამ შემთხვევაში რუსეთის დაპირისპირება ნატოსთან, ჩვენი აზრით, მიუთითებდა ამ ქვეყნის არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე, რომელიც ჯერ მონაწილეობდა სამშვიდობო ოპერაციებთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ხოლო შემდეგ, როდესაც ეს პოლიტიკა პრაქტიკულად განხორციელდა, იგი მის წინააღმდეგ გამოვიდა.

ამ მხრივ, აღსანიშნავია 1996 წლის 14 ივნისს ბრიუსელში ჩატარებული ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, რომელშიც საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობდა თავდაცვის მინისტრის ვ.ნადიბაიძის მეთაურობით. გაიმართა დისკუსია ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების ახალი მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე და ამ თვალსაზრისით ნატოსა და ნაქსი-ს ახალ ამოცანებზე. საგულისხმო გახლდათ ნატოს გენერალური მდივნის შემდეგი მოსაზრება: „ნატოს სამეთაურო-საკონტროლო სტრუქტურები შექმნილი იყო საბჭოთა კავშირის შესაძლო შეტევისაგან თავის დასაცავად. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საჭიროა ჩვენი რეორგანიზაციაც ახალი რეალობის გათვალისწინებით“ (20).

სხდომაზე დიდი შეფასება მიეცა რუსეთის მონაწილეობას ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციაში. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა უ. პერიმ განაცხადა, რომ „ასეთი სახის თანამშრომლობა, ნატოს გაფართოების საკითხის გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქმნიდა საფუძველს რუსეთთან ურთიერთობის ასაგებად“ (21).

საყურადღებო იყო ამ შეხვედრაზე რუსეთის თავდაცვის მინის-

ტრის ბ-ნ პ. გრაჩოვის გამოსვლა. კერძოდ, მან დადებითი შეფასება მისცა პმპ-ს და აღნიშნა, რომ რუსეთი დაინტერესებული იყო ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. მისი სიტყვებით, გაფართოების საკითხთან რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება არ ნიშნავდა ნატოსთან ურთიერთობებზე უარის თქმას. იგი დაეთანხმა იმ აზრს, რომ ახალი რეალობის გათვალისწინებით საჭირო იყო ნატოს შეცვლაც, „მაგრამ არა გაფართოების, არამედ საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნის თვალსაზრისით. ნატო-რუსეთის თანამშრომლობის კარგი მაგალითი არსებობს ბოსნიაში. ასეთ თანამშრომლობას უნდა დაეფუძნოს ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა, რომლის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს ნატოც, ევროპაცა და რუსეთიც. პმპ ნატოს გაფართოების გონივრული ალტერნატივაა, იგი უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს“ (22). მინისტრმა დადებითად შეაფასა სამშვიდობო პროცესი ბოსნიაში და ამავე დროს განაცხადა, რომ გაერო-ს არსებული მანდატით ნატოს სამხედრო შენაერთების ბოსნიაში დიდი ხნით დატოვება არ იყო მიზანშეწონილი. როგორც ჩანს, რუსეთი შიშობდა, რომ დასავლეთი, განსაკუთრებით კი აშშ, შეეცდებოდა ამ ოპერაციის გზით ბალკანეთში თავისი სამხედრო პოზიციების გაძლიერებას.

როგორც ამ გამოსვლიდანაც ჩანს, IFOR-ში ჩართვის შემდეგ რუსეთი საკმაოდ პოზიტიურად განეწყო ნატოსთან თანამშრომლობისთვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალიანსის გაფართოების თემას, იგი უშუალოდ და პრაქტიკულად მონაწილეობდა ახალი ევროატლანტიკური უშიშროების არქიტექტურის მშენებლობის საქმეში.

ბოსნიის გაკვეთილებმა ცხადყო, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ნატოს ჩართვის პროცესი მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ნატოს უმთავრესი ფუნქცია – წევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა – ნაწილობრივ უსარგებლო გახდა საბჭოთა საფრთხის გაუქმების შემდეგ. ამან ყურადღება გადაიტანა თვისობრივად ახალ ამოცანაზე, ანუ სამშვიდობო ოპერაციებზე, რაც ალიანსის მეტად პოლიტიზირებას და

მის უნივერსალური მშვიდობის დამამყარებელ სტრუქტურად გარდაქმნას გულისხმობდა. „პროფილის“ ასეთი სწრაფი შეცვლა, ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, ერთგვარად ნაჩქარევიც იყო. ისინი თვლიდნენ, რომ ამ პროცესში არ იყო გათვალისწინებული ალიანსის, როგორც პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციის, სამხედრო ასპექტები და არც წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლო წინააღმდეგობები. ყოველივე ამან (რასაც იმ პერიოდში ნატოს ხელმძღვანელობის პირადი პრობლემებიც დაემატა*) მართლაც იჩინა თავი ბოსნიის კონფლიქტში. კერძოდ, ალიანსმა საკმაოდ ხანგძლივი პერიოდის მანძილზე ვერ მოახერხა სათანადო სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების მობილიზაცია, რათა გაერო-ს რეზოლუციის მანდატის შესაბამისად აქტიურად ჩაბმულიყო კონფლიქტის მოგვარებაში და დაეშოშმინებინა მოქიშპე მხარეები. პირიქით, წინა პლანზე წამოიწია ნატოს წევრი ქვეყნების ეროვნულმა ინტერესებმა და ბალკანეთის რეგიონთან ეთნიკურ-რელიგიურმა და კულტურულ-ეკონომიკურმა კავშირებმა: საბერძნეთის სიმპათიებმა სერბების მიმართ, თურქეთის სოლიდარობამ ალბანელ და ბოსნიელ მუსლიმანებთან, გერმანელების ტრადიციულმა კავშირებმა ხორვატებთან და ა.შ. თავის მხრივ ნათელ პასუხს მოითხოვდა კითხვა, თუ სად გადიოდა ზღვარი სამშვიდობო და მშვიდობის დამამყარებელ ოპერაციებს შორის. ამ, ერთი შეხედვით მეორეხარისხოვან, თეორიულ საკითხთან დაკავშირებული იყო ურთულესი გადაწყვეტილებების მიღების დილემა.

ასეთმა საკმაოდ რთულმა ვითარებამ გააძლიერა იმათი პოზიციები, ვინც მიიჩნევდა, რომ ნატოს სივრცის გარეთ სამშვიდობო ოპერაციების ჩატარება არ იყო ალიანსის პრეროგატივა. მაგალითად, ჟურნალ „ნატოს 16 ქვეყნის“ რედაქტორი ფ. ბონარტი და ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რ. კოენი 1995 წლის 30 ივნისის „ინტერნეშენელ ჰერალდ ტრიბუნში“ ამტკიცებდნენ, რომ

** მხედველობაში გვაქვს ბ-ნ ჟ. კლაესის კავშირი ცნობილ „აუგუსტას საქმესთან“, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობიდან მისი გადადგომა.*

„ნატოს, თავისი სტრუქტურისა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის გამო, არ ძალუძს იყოს სამშვიდობო ოპერაციების განმახორციელებლი ორგანიზაცია. ალიანსს მძლავრი სამხედრო პოტენციალი აქვს, მაგრამ მისი ამოქმედება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც წევრი ქვეყნის უშიშროებას საფრთხე ემუქრება. სამშვიდობო ოპერაციები სათანადოდ მხოლოდ გაერო-ს ეგიდითა და ხელმძღვანელობით შეიძლება განხორციელდეს. პრობლემები იქაც ბევრია, მაგრამ ეს უფრო გაერო-ს ეფექტურობის ამაღლების საკითხია. ნატომ თავი უნდა დაანებოს სამშვიდობო ოპერაციებზე ფიქრს, დაუბრუნდეს თავის ძირითად ფუნქციას – წევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვას და ორგანიზაციის სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის ახალ რეალობასთან ადაპტაციაზე იმუშაოს...“ (23). ამის არგუმენტად ავტორებს მოჰყავდათ ის მოსაზრებაც, რომ ალიანსის მოსალოდნელ გაფართოებასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო მთელი ყურადღების გადატანა ახალი წევრების მომზადებაზე.

ასეთი წინააღმდეგობების მიუხედავად, ნატო მაინც თვლიდა, რომ ამ ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვას ალტერნატივა არ ჰქონდა.

ამ თვალსაზრისით ბოსნიის გამოცდილება დიდ მნიშვნელობას იძენდა ალიანსის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში.

იმ პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ და, საერთოდ, საზოგადოების ფართო წრეებში საკმაოდ აქტიურად განიხილავდნენ აფხაზეთის კონფლიქტის „ბოსნიური მოდელით“ მოგვარების საკითხს. ამის თაობაზე ნატო-ეაპს-შიც მიმდინარეობდა მსჯელობა, რომლის შეჯამებაც, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება:

- „ბოსნიის მოდელი“ ეყრდნობოდა და გამომდინარეობდა ე.წ. დეიტონის შეთანხმებიდან. ამდენად, მისი არსებული ვარიანტის, როგორც მოდელის, აფხაზეთთან მისადაგება მართებულად არ მოიაზრებოდა.

- რაც შეეხება ბოსნიაში მიღებული გამოცდილების, კერძოდ კი სამშვიდობო ოპერაციის ახალი ტიპის – მშვიდობის დამკვიდრების

გამოყენებას აფხაზეთთან მიმართებით, ამის *თეორიული* შესაძლებლობა არსებობდა. ნატომ ჯერ კიდევ 1992 წელს განაცხადა მზადყოფნა ემოქმედა ალიანსის საზღვრებს მიღმა იმ შემთხვევაში, თუკი იქნებოდა გაერო-ს ან ეუთო-ს შესაბამისი მანდატი. ეს პირობა ძალაში რჩებოდა. მაგრამ რამდენად რეალური იყო ასეთი მანდატის შემუშავება რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით?

- რეალობათა მთელი კომპლექსის, ასევე ნატოსა და ეუთო-ს მიერ ბოსნიაში აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით (პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური), მეტად რთული წარმოსადგენი იყო ახლო მომავალში კავკასიის რეგიონში ნატოს წევრი სახელმწიფოების ამგვარ საერთაშორისო ოპერაციაში მონაწილეობა.

- ისიც ფაქტია, რომ, თუ დადგებოდა კავკასიაში ნატო-პმპ-ის ეგიდით სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების საკითხი, უპირატესობა, ალბათ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ვარიანტს მიენიჭებოდა, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა ორი სუვერენული სახელმწიფოს დაპირისპირებასთან.

- ამასთანავე დასავლეთში არსებობდა მცდარი აზრი, რომ აფხაზეთში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, კერძოდ კი იმიტომ, რომ უკვე მიღწეული იყო ცეცხლის შეწყვეტა და მხარეთა დაშორიშორება, ეს პრობლემა უფრო პოლიტიკურ-ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა. ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებდა, რომ დასავლეთში სრულად ვერ აფასებდნენ რეალურ სიტუაციას კავკასიაში, იქ შექმნილი კონფლიქტების საშიშროებასა და მასშტაბებს.

- არსებობდა რუსეთის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ნატო, უდავოდ, ითვალისწინებდა და ანგარიშს უწევდა. უფრო მეტიც, ზოგი დასავლელი კოლეგის აზრით, რუსეთთან პრინციპული შეთანხმების გარეშე ნატოს ჩართვა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარებაში მეტად სარისკო იქნებოდა უპირველეს ყოვლისა თვით ამ რეგიონის ქვეყნებისათვის, რადგან ეს უკიდურესად დაძაბავდა მათ ურთიერთობას მოსკოვთან.

- გარდა ამისა, სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო იყო აუცილებელი სამხედრო-პოლიტიკური კონცეფციის შემუშავე-

ბა, რაც მომდევნო წლებში განხორციელდა ნატოს ინიციატივითა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით.

აღსანიშნავია, რომ ბალკანეთის გაკვეთილმა ახალი იმპულსი შესძინა ალიანსის სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას - აღმოსავლეთისაკენ გაფართოების პროცესს, თუმცა, ეს პროცესი კვლავ გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ამ მიმართებით საგულისხმოა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა.კოზირევის გამოსვლა 1995 წლის 6 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გამართულ ნაცი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც. ბ-მა ა.კოზირევმა დადებითად შეაფასა ბოსნიის სამშვიდობო პროცესში მიღწეული პროგრესი და ყურადღება გაამახვილა მისი „სამოქალაქო ნაწილის" მნიშვნელობაზე. რაც შეეხება ალიანსის გაფართოებას, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავინდებურად ამის წინააღმდეგი იყო, რისი კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ ბ-ნ ბ. ელცინის იმავე წლის 5 დეკემბრის მორიგი საკმაოდ მწვავე განცხადება. რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები შემდგომაც არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ ალიანსის გაფართოება ევროპაში ახალ გამყოფ ხაზებს წარმოქმნიდა, რაც საშიშროებას უქმნიდა კონტინენტის უსაფრთხოებას.

ამ დროს კი თვით რუსეთში მწიფდებოდა ის საფრთხე, რომელიც შემდგომ ჩეჩნეთის ორსაფეხურიანი ომის სახელწოდებით შევა ისტორიაში. იგი შეფასდა, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა, რომელმაც ასევე სერიოზული კორექტივი შეიტანა ნატოს სტრატეგიულ მიდგომებში.

1994 წელს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა. გამონაკლისი არც ნატოს მიმართულება იყო. ხსენებულმა კონფლიქტმა კავკასიის რეგიონისადმი ამ ორგანიზაციის ყურადღების გამახვილება და ბევრი სტერეოტიპული მოსაზრების ახლებური შეფასება გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, ჩეჩნეთის მოვლენებმა დაადასტურა, რომ კავკასია, თავისი კონფლიქტე-

ბითა და მათი გავლენის მასშტაბებით, ნატოსგან მოითხოვდა მეტ დაინტერესებასა და არასტანდარტულ მიდგომას.

ჩეჩნეთში რუსეთის სამხედრო აქციას საწყის ეტაპზე დასავლეთის განსაკუთრებით მწვავე რეაქცია არ მოჰყოლია. ყველა ერთხმად აღიარებდა რუსეთის უფლებას – ეზრუნა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე, მაგრამ კრიტიკას იწვევდა სამხედრო ძალის „არაპროპორციული გამოყენება“, რაც მშვიდობიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან სხვერპლთან იყო დაკავშირებული. კონფლიქტის საწყის ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაცირებისა და პოლიტიკური მოღვაწეების კრიტიკულ განცხადებებში რუსეთის მისამართით აშკარად იგრძნობოდა თავშეკავება, რაც ფაქტიურად კრემლისთვის „კარტ ბლანშის“ მიცემას ნიშნავდა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც დასავლეთში საკმაოდ ნეგატიურ იმიჯს უქმნიდნენ ჩეჩნეთს. ერთ–ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბელგიური გაზეთი „ლე სუარი“. იგი 1994 წლის 1 აგვისტოს იუწყებოდა: „პრეზიდენტ ელცინისათვის ძნელია ამ ავტონომიური რესპუბლიკის დაუმორჩილებლობის ატანა, რადგან ამ პაწაწინა ტერიტორიის ჩამოშორების მაგალითი შეიძლება გადამდები და საბედისწერო აღმოჩნდეს რუსეთის უფრო დიდი რეგიონებისთვისაც. მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ ჩეჩნეთი გადაიქცა პოლიტიკური და შეიარაღებული ბრძოლის ცენტრად, „ალ კაპონესეულ ჩიკაგოს“ კავკასიურ ვარიანტად. დღეისთვის გროზნო არის დედაქალაქი ორგანიზებული დანაშაულისა, რომლის ექსპორტი ხდება რუსეთში. მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში ჩეჩნები შეადგენენ მაფიის ხერხემალს... ჩეჩნები ცნობილი არიან, როგორც თაღლითობების ყველაზე დიდი ორგანიზატორები, რომელთა მიზეზითაც რუსეთში მილიარდები განიავდა“ (24).

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში სამხედრო ძალის გამოყენებამ და ადამიანის უფლებების დარღვევამ აშკარად შემაშფოთებელი მასშტაბი მიიღო, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში და საინფორმაციო საშუალებებში მნიშვნელოვნად იმატა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ. ევროკავშირმა 1995 წლის იანვარში პროტესტის ნიშ–

ნად შეაჩერა რუსეთთან პარტნიორული ხელშეკრულების გაფორმების პროცესი, ევროპის საბჭომ კი – რუსეთის თხოვნის განხილვა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე. საკმაოდ კრიტიკული განცხადებებით გამოვიდნენ დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწეები, თუმცა ამას რაიმე სანქციები რუსეთის მიმართ არ მოჰყოლია.

ნატოს იმდროინდელი გენერალური მდივანი ბ-ნი ჯ. კლაესი შეუერთდა დასავლეთის სახელმწიფოთა კრიტიკულ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ, თუმცა ჩეჩნეთის კონფლიქტი რუსეთის საშინაო საქმედ ითვლებოდა, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიუღებელი იყო ადამიანის უფლებათა მასიური და უხეში დარღვევა. მისი განცხადებით, ალიანსის ქვეყნები, რომლებიც აღიარებდნენ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, მოუწოდებდნენ მას ძალისმიერი მეთოდების უარყოფისა და მოლაპარაკების გზით კონფლიქტის მოგვარებისკენ, რაშიც აქტიური როლი უნდა შეესრულებინა ეუთო-ს.

ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა განიხილეს 1995 წლის 12 იანვარს ნატოში ალიანსისა და პარტნიორების ელჩების დონის შეხვედრაზე. სხდომის დაწყებისთანავე ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგ გამოვიდა რუსეთის ფედერაციის ელჩი, რომლის აზრით საშინაო საქმეებზე მსჯელობა არ იყო აღნიშნული ფორუმის კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის პრობლემა თავისი მასშტაბითა და საერთაშორისო რეზონანსით სცილდებოდა რუსეთის საშინაო საქმის ფარგლებს, ამიტომ, აღნიშნულ სხდომაზე ამ კონფლიქტის განხილვა სავსებით მისაღები და ნორმალური მოვლენა იყო. რუსეთის წარმომადგენელმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ინარჩუნებდა უფლებას მომავალ შეხვედრებზე განსახილველად გამოეტანა ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საკითხი*.

ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებმა თავის

*როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში რუსეთის ელჩს თურქეთის ხელისუფლების მიერ ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო კამპანია ჰქონდა მხედველობაში.

გამოსვლებში ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ამავე დროს, მათი აზრით, ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევა სცილდებოდა ერთი ქვეყნის კომპეტენციას და საერთაშორისო თანამეგობრობის მსჯელობის საგანი იყო. მათ მკაცრად გააკრიტიკეს რუსეთის მიერ ჩეჩნეთში გამოყენებული ძალისმიერი მეთოდები, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობის მნიშვნელოვან მსხვერპლს იწვევდა. აღინიშნა, რომ ჩეჩნეთში რუსეთის მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგებოდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ – ჟენევის კონვენციას, ეუთო-ს პრინციპებსა და 1994 წლის დეკემბერში ბუდაპეშტის სამიტზე შეთანხმებულ „ქცევის კოდექსს“, ასევე შეიარაღებული ძალების გადაადგილების შესახებ ეჩშძ ხელშეკრულების პირობებს. ხაზი გაესვა აღნიშნული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარების აუცილებლობას და ამ მიმართულებით ეუთო-ს როლსა და ინიციატივას.

რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთში ეთნოკონფლიქტი კი არ იყო, არამედ ფედერალური ხელისუფლება ცდელობდა აღედგინა რეგიონში კონსტიტუციური წესრიგი. მან მიუთითა, რომ მოსკოვში აქტიურად მსჯელობდნენ, თუ რამდენად დროული იყო ეს ოპერაცია და ამოწურეს თუ არა პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების საშუალებები. ელჩი მიესალმა ეუთო-ს ჩართვას კონფლიქტის დარეგულირებაში.

საქართველოს ელჩმა თავის გამოსვლაში დამსწრეთ გააცნო საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა დახმარების თაობაზე. მან მიუთითა, თუ რა გავლენას ახდენდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე კონფლიქტის გამო სატრანსპორტო კომუნიკაციების მწყობრიდან გამოსვლა. აღინიშნა ჩეჩნეთისა და აფხაზი სეპარატისტების ურთიერთკავშირი და ერთობლივი გეგმები. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აფხაზეთი სეპარატისტული გეგმის პირველი ეტაპი იყო, რასაც, სამწუხაროდ, მოსკოვსა და დასავლეთში თავის დროზე არ მიეცა შესაბამისი შეფასება. ელჩმა შეხსენა დამსწრეთ ჯერ კიდევ აფხაზეთში ბრძოლების დროს ე.შევარდნაძის მიერ გაკეთებული განცხადებები,

რომ აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერა ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა რუსეთის გარკვეულ წრეებს. ამავე დროს ითქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება გაგებით ეკიდებოდა რუსეთის გადაწყვეტილებას – აღედგინა თავისი იურისდიქცია ქვეყნის ამ რეგიონში, რადგან მოვლენათა საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარება და სეპარატიზმის გამარჯვება როგორც რუსეთის, ასევე ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის მძიმე შედეგებს გამოიღებდა.

ასეთი იყო საქართველოს ოფიციალური პოზიცია ჩეჩნეთის მოვლენების მიმართ, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აფხაზეთში მიღებული მწარე გამოცდილება და იმ პერიოდში საქართველო–რუსეთის ურთიერთობები.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის საკითხის განხილვა ნაჩსი–ს მომდევნო შეხვედრებზე უმთავრესად შემოიფარგლებოდა ეუთო–ს წარმომადგენლის ინფორმაციებით ამ კონფლიქტის დარეგულირებაში აღნიშნული ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ. საბოლოო ანგარიშით შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთმა, და კერძოდ ნატომ, საკმაოდ შეზღუდული რეაგირება მოახდინა რუსეთის აშკარად არაადექვატურ სამხედრო რეაქციაზე სეპარატისტი ჩეჩნების წინააღმდეგ, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში სეპარატიზმის გამოვლინებას ალიანსი სერიოზულ საფრთხედ აღიქვამდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა რუსეთს, რომლის დეზინტეგრაციას შეეძლო არაპროგნოზირებადი საფრთხე შეექმნა მსოფლიოსათვის.

ამავე დროს, აღნიშნულ დაპირისპირებაში აშკარა იყო მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის ფაქტორიც, თუმცა ეს დელიკატური თემა ნაკლებად ფიგურირებდა სპეციალისტთა შეფასებებში. დასავლეთის ექსპერტთა დიდი ნაწილი იმ აზრს იზიარებდა, რომ საბრძოლო გამარჯვება რუსეთს დარჩებოდა. ამიტომ, რაც უფრო სწრაფად და ნაკლები მსხვერპლით განვითარდებოდა მოვლენები, მით უფრო ოლად „მოსანელებელი“ იქნებოდა ეს დასავლეთისთვის.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ იმ პერიოდში ნატო თვითონ ემზადებოდა ბოსნიაში სამხედრო ოპერაციისთვის, ამიტომ რუსეთის გადაჭარბებული კრიტიკა და მასთან დაპირისპირება ნატოსთვის

პოლიტიკურად გაუმართლებელი იყო.

საბოლოო ანგარიშით, ჩეჩნეთის კონფლიქტმა და რუსეთის სამხედრო მარცხმა მეტად სერიოზული ზიანი მიაყენა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტს. ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა და დაუცველობის შეგრძნებამ ამავე დროს გააძლიერა აღმოსავლეთ ევროპის სწრაფვა ნატოში გაწევრიანებისაკენ. ამასთან დაკავშირებით „ინტერნეშენელ ჰერალდ ტრიბიუნი“ აღნიშნავდა: „დასავლეთი, რა თქმა უნდა, უფლებას არ მისცემს ჩეჩნეთს ასეთი უპრეცედენტო ფორმით მიაღწიოს თავის საწადელს. მეორე მხრივ, დაუშვებელია შემოვიფარგლოთ იმის მტკიცებით, რომ „ეს რუსეთის საშინაო საქმეა“. დასავლეთი უფრო შორს უნდა წავიდეს და დაიწყოს ნატოს გაფართოება. რა თქმა უნდა, ჩეჩნეთის მოვლენები იმის მანდატი როდია, რომ ნატო უცებ „შევიდეს“ ჩეხეთში, პოლონეთსა და უნგრეთში. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ჩვენი აღმოსავლელი მეზობლების წუხილი და ლტოლვა ალიანსის წევრობისაკენ სავსებით გამართლებულია“ (25).

10 თებერვალს იმავე გაზეთში დაიბეჭდა ნატოს გენერალური მდივნის ჯ. კლაესის აზრი იმის თაობაზე, რომ „რუსეთის სამხედრო ტაქტიკამ და ქმედებამ ჩეჩნეთში მნიშვნელოვნად გაზარდა ნატოზე პოლიტიკური ზეწოლა გაფართოების საკითხთან დაკავშირებით“ (26).

თავი III.
საქართველო და ნატო

#1. უტოპიის დასასრული და „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“

სულ ათიოდე წლის წინ საქართველო–ნატოს თანამშრომლობა უფრო უტოპიის სფეროს განეკუთვნებოდა. დღეისათვის კი ეს თანამშრომლობა სწრაფად მზარდი რეალობაა.

ჩვენი აზრით, საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორ იწყებოდა ეს თანამშრომლობა, როგორი იყო ამ პროცესის წინაპირობები, ანუ რა უმნიშვნელოვანესი მოვლენების ფონზე უხდებოდა ჩვენს ქვეყანას აღნიშნული არჩევანის გაკეთება.

ნატო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სისტემებისაგან განსხვავებით, ძლიერ სამხედრო–პოლიტიკურ მექანიზმს ეყრდნობა. ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ყველაზე თანამედროვე და დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული. ამიტომ ამ გამოცდილებისაკენ ლტოლვა ბუნებრივი მოვლენა იყო ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც.

როგორც უკვე აღინიშნა, „ცივი ომის“ დასრულებამ და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაწყებულმა ნატოს ტრანსფორმირებისა და ახალ რეალობებთან ადაპტირების პროცესმა მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც, რომლებიც ნაესი–ს მეშვეობით იწყებდნენ მონაწილეობას ახალი ევროპული უშიშროების არქიტექტურის მშენებლობაში.

ნაესი–ს საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოსთვის, რომელმაც ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა, თავისთავად იყო ერთ–ერთი მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო მექანიზმი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად. ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების დამცავი ეს ეფექტური საშუალება ორიენტირებული

იყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისკენ. ამასთანავე, ნაესი-ს წევრობა და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობა საშუალებას აძლევდა საქართველოს, ზიარებოდა ალიანსის მდიდარ პოლიტიკურ-სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკურ გამოცდილებას, რომლის პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობდა ქვეყნის აღმშენებლობას თანამედროვე დასავლური სტანდარტებით.

ამრიგად, ნაესი-ს წევრობა წარმოადგენდა საქართველოს ნატოსთან დაახლოების პირველ რეალურ ნაბიჯს, ხოლო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება შემდგომ სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება.

საქართველოს წარმომადგენელმა (თავდაცვის მინისტრი თ.კიტოვანი) პირველად მიიღო მონაწილეობა ნაესი-ს შეხვედრაში 1992 წლის 1 აპრილს, ხოლო ჩვენი ქვეყნის სრული გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში მოხდა 1992 წლის 5 ივნისს ოსლოში გამართულ ნაესი-ს წევრ-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე (დელეგაციის ხელმძღვანელი – საგარეო საქმეთა მინისტრი ა.ჩიქვაიძე). ამგვარად, ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის დასაწყისად სწორედ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს.

აღნიშნულ თანამშრომლობას მომდევნო ერთი წლის მანძილზე რაიმე შესამჩნევი განვითარება არ მოჰყოლია, რაც აიხსნება იმ დროისათვის საქართველოში შექმნილი უაღრესად რთული ვითარებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას, ასევე მის მიერთებას 5 ივნისისა და მომდევნო ანალოგიურ შეხვედრებზე მიღებულ დოკუმენტებთან, თავისთავად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ 5 ივნისის მინისტრთა შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რეგიონალურ პრობლემატიკას. მათ შეშფოთება გამოითქვეს ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ესკალაციის გამო და მიესალმნენ ეუთო-ს გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით მინსკში საგანგებო კონფერენციის ჩატარების თაობაზე. აღმოსავლეთ ევროპისა და

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სეპარატიზმის მოზღვავების ფონზე დღესაც აქტუალურად ჟღერს მინისტრების ერთობლივ განცხადებაში დაფიქსირებული პოზიცია, რომ „ტერიტორიების დაპყრობის, საზღვრების შეცვლის ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ყოვლად მიუღებელია ძალის გამოყენება“ (1). „

ამავე შეხვედრაზე გაიმართა მწვავე დისკუსია ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან რუსეთის საჯარისო ნაწილების ეტაპობრივი გაყვანის შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა დამსწრე დელეგაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შემდგომ შეხვედრაზე მიღებული დოკუმენტის ის ნაწილი, რომელშიც შეფასება ეძლევა საქართველოში იმ დროისათვის, ანუ 1992 წლის 18 დეკემბრისთვის, შექმნილ ვითარებას. ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველია ფრაზა: „...ჩვენ მივესალმებით დემოკრატიზაციის პროცესის განახლებას საქართველოში. რაც შეეხება ქართულ-ოსურ კონფლიქტს, მხარეებს შორის უკვე მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ძალას იკრებს ქართულ-ოსურ-რუსული ერთობლივი სამშვიდობო ოპერაცია. ჩვენ კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველებსა და ოსებს შორის მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ძალაში რჩება. ამასთან დაკავშირებით მივესალმებით ეუთო-ის მისიის წარგზავნას რეგიონში. ჩვენი აზრით, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებას. გამოვთქვამთ რწმენას, რომ აღნიშნულ მისიასა და ქართულ-ოსურ-რუსულ სამშვიდობო ქვეგანაყოფს შორის ურთიერთობა წარიმართება ... ამშრომლობის, კონსულტაციებისა და ურთიერთნდობის სულისკვეთებით“ – ნათქვამია მინისტრთა ერთობლივ განცხადებაში (2).

ნაქსი-ს ამ მაღალი დონის შეხვედრაზე პირველად გაიჟღერა აფხაზეთის თემატიკამ. კერძოდ, მინისტრებმა გამოთქვეს შეშფოთება აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და მოუწოდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს პატივი ეცათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისათვის და ეუთო-სა და გაერო-ს გენერალური

მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ერთად მთელი ძალები მიემართათ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისაკენ.

1993 წლის 29 მარტს საქართველოს დელეგაცია მონაწილეობს ბრიუსელში გამართულ ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში, სადაც გაანალიზეს ნაცო-ს არსებობის ერთი წლის მანძილზე თავდაცვისა და სამხედრო სფეროში განხორციელებული თანამშრომლობის შედეგები. კერძოდ აღინიშნა, რომ რეგულარული ხასიათი მიიღო ალიანსისა და პარტნიორთა ორმხრივმა და მრავალმხრივმა კონტაქტებმა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გამჭვირვალობისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას. განხორციელდა ასობით პროგრამა და ღონისძიება. 1993 წლის თებერვლიდან დაიწყო ნატოს სამხედრო კომიტეტისა და პარტნიორების ყოველწლიური შეხვედრები, შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბების (გენერალური შტაბების) ხელმძღვანელთა დონეზე. ჩამოყალიბდა რეგულარული და კომპლექსური დიალოგის მექანიზმი.

ამავე დროს, მინისტრებმა აღნიშნეს, რომ საჭირო იყო მიღწეული შედეგების განმტკიცება და თანამშრომლობის ახალი სფეროების ძიება. კერძოდ, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ერთობლივი ძალისხმევის აქცენტირება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა შეიარაღებული ძალების რესტრუქტურიზაცია, ვარჯიში და სწავლება, თავდაცვის მართვა, თავდაცვის დაგეგმვა, სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები და სხვ.

ასევე მიზანშეწონილად მიიჩნიეს ყურადღების გამახვილება სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების პრობლემატიკაზე. ამ თვალსაზრისით მინისტრებმა ხაზი გაუსვეს ნატოსა და მის პარტნიორებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას. აღინიშნა ნაცო-ს ფარგლებში მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობა, გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვისა და მზადების სფეროში. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამ საქმიანობისათვის ისინი გამოყოფდნენ შესაბამის რესურსებს.

მინისტრებმა ასევე განიხილეს ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილი

საგანგაშო ვითარება და განიარაღების სფეროში მიმდინარე პროცესები.

1993 წლის მაისში ბრიუსელში დაარსდა საქართველოს საელჩო, რომელმაც იმავდროულად დაიწყო „ნატოსთან დიპლომატიური მეკავშირის ოფისის“ ფუნქციების შესრულებაც*

1993 წლის ივნისიდან საქართველოს საელჩო მონაწილეობას იწყებს ნაესი-ს ფარგლებში სხვადასხვა დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ კონსულტაციებში. ამ კონსულტაციებს ჩვენი ქვეყნისთვის მეტად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი აფხაზეთის პრობლემის განხილვის საშუალებას იძლეოდა ნატოს შტაბბინაში. კერძოდ, საქართველოს დიპლომატიური მეკავშირე, ანუ ამ სტრიქონების ავტორი, 2 ივნისს მონაწილეობს ნატოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაში, რომელიც ამზადებს განცხადების ტექსტს 1993 წლის 11 ივნისს ათენში ნაესი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისათვის. ტექსტში ფიგურირებს აფხაზეთის კონფლიქტიც. შეხვედრაზე იმართება დისკუსია რუსეთის წარმომადგენელთან, რომელმაც არ მიიჩნია აუცილებლად საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად აფხაზეთის მოხსენიება. კერძოდ, მისი წინადადება იყო, რომ ნატოს შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული განცხადების პროექტში „„საქართველოს აფხაზეთის რეგიონი“ შეცვლილიყო მხოლოდ „„აფხაზეთით“, რაც, ბუნებრივია მეტად არასასურველ პრეცედენტს შექმნიდა. დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით აღნიშნული აბზაცი ტექსტში ჩამოყალიბდა საქართველოს მოთხოვნის შესაბამისად და 11 ივნისს მინისტრებმა იგი დაამტკიცეს.

იმავე წლის 7 ივნისს გაიმართა ნატოს წევრ სახელმწიფოთა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი სხდომა (ელჩების დონეზე), რომელსაც თავმჯდომარეობდა ალიანსის გენერალური მდივანი მ. ვიორნერი. შეხვედრაზე საქართველოს დიპლომატიურმა მეკავშირემ წარმოადგინა ინფორმაცია აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ. კერძოდ, აღინიშნა, რომ მომდევნო დღეებისათვის მზადდებოდა

*როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი სახელწოდება მიენიჭა სხვა პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებსაც.

ფართომასშტაბიანი შეტევა სოხუმზე. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კონფლიქტს აღრმავებდა რუსეთის რეაქციული წრეების მიერ სეპარატისტებისათვის გაწეული შეუნიღბავი დახმარება. ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებით რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ საზღვრების დაცვა ყოფილ საბჭოთა კავშირში მეტად ძნელი იყო, რაც ართულებდა უცხო პირთა კონტროლს კონფლიქტის ზონაში.

1993 წლის 11 ივნისს ათენში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე რეგიონალური პრობლემატიკის განხილვისას ყურადღება დაეთმო სამხრეთ კავკასიასაც. შეხვედრაზე მიღებული განცხადების ტექსტში კი გაჩნდა 2 ივნისს ნატოს ზემოხსენებულ პოლიტკომიტეტზე შეთანხმებული ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს (იმ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურს) და კონფლიქტის დარეგულირებაში გაერო-სა და ეუთო-ს როლის გაძლიერებას, რაც ასევე ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ემთხვეოდა: „...ჩვენ მოვუწოდებთ მხარეებს პატივი სცენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საქართველოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისაგან, რომელიც გაართულებს კონსტრუქციულ დიალოგს და კონფლიქტის მოგვარებას. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ მათ, რათა ერთობლივად იმუშაონ ევროთათბირთან და გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელთან ამ მიზნის მისაღწევად“ (3).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეტაპზე საქართველოს მცდელობას, პრაქტიკულად ჩაერთო ნატო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამგვარი ქმედება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სპეციალურ მანდატს და თვით ნატოს წევრი ქვეყნების ერთობლივ გადაწყვეტილებას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო რუსეთის ფაქტორი, რომელსაც დასავლეთი პრიორიტეტულ როლს ანიჭებდა. დასავლეთი და უფრო მეტად აშშ ხელმძღვანელობდნენ მიდგომით „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“ და რუსეთის პრიზმით უყურებდნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს. კერძოდ, ამ

პოლიტიკის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთში დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების ხელშეწყობა თავისთავად უზრუნველყოფდა მოსკოვის შემდგომ დაახლოებას დასავლეთთან, რაც უთუოდ სასარგებლო იქნებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი განვითარებისთვისაც. ანუ რუსეთის დახმარება ნიშნავდა მისი მეზობლების დახმარებასაც. ამ ლოგიკიდან გამომდინარეობდა დასკვნა, რომ საჭირო იყო მთავარი აქცენტის გადატანა პირადად პრეზიდენტ ბ.ელცინის მხარდაჭერაზე, რაც აღნიშნული რეფორმების მთავარ გარანტად მოიაზრებოდა.

მიდგომას „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“ ბევრი მიიჩნევდა არამართებულად არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ თვით აშშ-შიც. ამ პოლიტიკის ოპონენტებისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის თითქმის უპირობო მხარდაჭერა მეტნაკლებად ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხარჯზე მოხდებოდა. უფრო მეტიც, დასავლეთის ასეთი პოზიცია კი არ აკავებდა რუსეთის გარკვეული წრეების ნეოიმპერიალისტურ ზრახვებს, არამედ ფაქტიურად თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა მათ.

ამგვარად, როგორც უკვე აღინიშნა, დასავლეთში ოპტიმისტური განწყობილება რუსეთში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მიმართ, რომლებსაც სტრატეგიულ პარტნიორად უნდა ექციათ ერთ დროს დასავლეთის მთავარი მოწინააღმდეგე. გარდა ამისა, ნატოში აშკარად თავს არიდებდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის საქმეებში ჩარევას, რადგან, ნატოს აზრით, ეს გააძლიერებდა ანტიდასავლურ და რევანშისტულ განწყობილებას რუსეთში.

ნატოს კულუარებში აღიარებდნენ, რომ სამხრეთ კავკასიისთვის მეტისმეტი მხარდაჭერა ზედმეტად გააღიზიანებდა რუსეთს, რომელსაც ჯერ ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის დაკარგვა ვერ „მოენელებინა“. გარდა ამისა, რუსეთ-ბალტიისპირეთის ორმხრივი პრობლემებისაგან განსხვავებით, საქართველოს შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო აფხაზი სეპარატისტების ფაქტორიც, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა საქმეს იმ თვალსაზრისით, რომ ნატოს არ

ჰქონდა მათზე უშუალო გავლენის ან ამ რეგიონში პრაქტიკული მოქმედების მექანიზმი.

ასეთი პოლიტიკური კონიუქტურის ფონზე დასავლეთი თავს არიდებდა აფხაზეთის საკითხში რუსეთის ღია კრიტიკას, თუმცა უპირობოდ უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ იმ ეტაპზე საქართველოს ჯერ არ ჰქონდა დამკვიდრებული თავისი კუთვნილი აღგილი საერთაშორისო ასპარეზზე. ვერ უძლებდა სერიოზულ კრიტიკას ქვეყნის დემოკრატიული იმიჯიც. პრესაში გამუდმებით იბეჭდებოდა მასალები, რომლებიც უაღრესად მუქი ფერებით აღწერდნენ საქართველოში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას. „...საქართველო ყველაზე უფრო არასტაბილური და სახიფათო ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში... ქვეყანა სავსეა იარაღით, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყენებენ. რუსეთის ჯარ..., რომელიც ტოვებს ტერიტორიას, უკონტროლოდ ყიდის ყველა სახის იარაღს... რომ არა შევარდნაძის პიროვნება და მისი ავტორიტეტი, საქართველოს უკვე დაკარგული ექნებოდა სახელმწიფოს ავტორიტეტი“ – წერდა, მაგალითად, გაზეთი „ევროპიენი“ 1993 წლის 12–15 აგვისტოს ნომერში (4). ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა თბილისში აშშ–ის საელჩოს თანამშრომლის ფ.ვუდროფის მკვლელობამაც.

რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტთან დასავლეთის პრესის დამოკიდებულებას, მასალების უდიდესი ნაწილი ობიექტურად აშუქებდა მოვლენებს. მიუხედავად ამისა, რიგ პუბლიკაციებში იგრძნობოდა საერთო პოლიტიკური კონიუქტურა.

უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ აფხაზეთის საკითხი როგორც აღნიშნულ, ასევე მომდევნო პერიოდშიც იყო ნატო–საქართველოს ურთიერთობის ცენტრალური თემა. საქართველო გამუდმებით ცდილობდა მაქსიმალურად ჩაერთო ამ კონფლიქტის მოგვარებაში ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები. გამონაკლისი, ბუნებრივია, არც ნატო იყო. უფრო მეტიც, ნატოსთან პარტნიორული ურთიერთობა და სხვადასხვა დონის შეხვედრები იძლეოდა უნიკალურ საშუალებას, საერთაშორისო საზოგადოებრიობას ყურადღება გაემახვილებინა ამ თემაზე.

იმისათვის, რომ მკითხველს შეექმნას წარმოდგენა, თუ როგორ ხდებოდა ამ კონფლიქტის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში აფხაზეთის საკითხის განხილვა ნატოში, შევჩერდებით 1993 წლის სექტემბერ–ოქტომბერში გამართულ რამდენიმე შეხვედრაზე.

16 სექტემბერს გაიმართა ნატოს საბჭოსა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი შეხვედრა ელჩების დონეზე. სხდომაზე საქართველოს წარმომადგენლის მიერ გაკეთდა ინფორმაცია აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ წინა ღამით აფხაზურმა მხარემ უხეშად დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ოჩამჩირის რაიონში. ითქვა, რომ არსებული მონაცემებით, საქართველო–რუსეთის საზღვრით ბოლო ხანს შემოიტანეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა და რეალურად არსებობდა სეპარატისტული ძალების სოხუმზე შეტევის საფრთხე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ქმედება დაკავშირებული იყო რუსული რეაქციული ძალების გააქტიურებასთან. გაკეთდა მიმართვა რუსეთის მხარისადმი, რომ მას სასწრაფოდ მიეღო ეფექტური ზომები სოჭის ცნობილი შეთანხმების თანახმად აფხაზეთში მშვიდობის გარანტის როლის უზრუნველსაყოფად.

თავიანთ გამოსვლებში ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებმა ცალსახად დაუჭირეს მხარი საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ, გერმანიისა და თურქეთის ელჩებმა გამოხატეს თავიანთი ქვეყნების სიმპატიები საქართველოსა და მისი ლიდერის მიმართ და აღნიშნეს, რომ ეს სახელმწიფოები კვლავაც აღმოუჩენდნენ ჩვენს ქვეყანას პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებას. აშშ-ის წარმომადგენელმა აცნობა დამსწრეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მზადდებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური განცხადება.

მომდევნო დღეებში მდგომარეობა აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა. 20 სექტემბერს საქართველოს ელჩის ინიციატივით ჩატარდა მისი შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან ბ–ნ მ.ვიორნერთან*. საუბარი

** რადგან გენერალური მდივანი გერმანიაში იმყოფებოდა, ელჩი იძულებული გახდა 19 სექტემბერს, კვირა დღეს, დაკავშირებოდა მას რეზიდენციაში. შეხვედრა გაიმართა მ.ვიორნერის ბრიუსელში დაბრუნების მეორე დღეს, 10 საათზე, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ გენერალური მდივანი აშკარად შეშფოთებული იყო საქართველოდან მიღებული ინფორმაციით.*

შეეხო აღნიშნულ პრობლემასა და ამ სიტუაციაში ნატოს მიერ საქართველოსათვის შესაძლო დახმარების აღმოჩენას. როგორც გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, იგი მზად იყო სასწრაფოდ დაკავშირებოდა რუსეთის წარმომადგენელს და გადაეცა თხოვნა, რომ რუსეთს, როგორც კონფლიქტის ოფიციალურ მედიატორს, შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები (ეს ნიშნავდა, რომ რუსეთი აიძულებდა აფხაზ სეპარატისტებს შეეჩერებინათ შტურმი სოხუმზე და შეესრულებინათ 27 ივლისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ). იგი ასევე დათანხდა წინადადებას, რომ იმავე დღისათვის დანიშნულ ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ელჩების შეხვედრაზე, გამონაკლისის სახით, გაკეთებულიყო განცხადება აფხაზეთის თაობაზე.

არსებული ინფორმაციით, დაპირებისამებრ ბ-ნი მ.ვიორნერი ოპერატიულად დაუკავშირდა და ესაუბრა რუსეთის ფედერაციის ელჩს.

ელჩების სხდომის დღის წესრიგში გენერალური მდივნის ინიციატივით საგანგებოდ შეიტანეს აფხაზეთის საკითხი, რასაც დასაწყისში წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ელჩმა იმ მოტივით, რომ საკითხი არ იყო წინასწარ შეთანხმებული სხდომის მონაწილეებთან. ელჩი მხოლოდ გენერალური მდივნის საკმაოდ კატეგორიული რეპლიკის შემდეგ დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მეტად ძლიერი და ამაღლებული მიმართვა „საქართველოს მეგობრებისადმი“, რომელიც მან ალმოდებული სოხუმიდან გაუგზავნა მსოფლიოს ლიდერებს*.

გენერალურმა მდივანმა ისაუბრა აფხაზეთში შექმნილი კრიტიკული ვითარების შესახებ, რაც, მისი სიტყვებით დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს, მის ლიდერსა და მთელ რეგიონს. მან აღნიშნა,

---

** აღნიშნულ პერიოდში სოხუმში მყოფ ბ-ნ ჯ.შევარდნაძესთან თბილისიდან რადიოკავშირი ჰქონდა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელს ბ-ნ ვ.ლორთქიფანიძეს, რომელიც ადგილზე ახორციელებდა აფხაზეთის მოსახლეობასთან დაკავშირებული საქმიანობის საერთო კოორდინაციას. ამიტომ ეს მიმართვაც თავდაპირველად მან მიიღო სოხუმიდან.*

რომ ამ სიტუაციაში ნაჩსი მოვალე იყო სპეციალური განცხადებით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენების მიმართ.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირეს და მიიღეს შემდეგი განცხადება „ჩვენ, ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ვგმობთ აფხაზთა ძალების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების (1993 წლის 27 ივლისის) დარღვევას, მოვუწოდებთ მას საომარი მოქმედებების სასწრაფო შეწყვეტისა და აფხაზური ძალების დაუყონებლივ გაყვანისაკენ ადრე შეთანხმებული ცეცხლის შეწყვეტის პოზიციებზე, ასევე აღნიშნული ხელშეკრულების პირობების მთლიანად შესრულებისაკენ. მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფოს, რათა ხელი შეუწყონ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის აღდგენას და სამშვიდობო პროცესის განახლებას“ (5).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საელჩოს მიერ მომზადებული განცხადების პროექტის ბოლო ფრაზაში („...მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფოს“ მაგივრად) ფიგურირებდა „...მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას“. ეს ფრაზა შეიცვალა დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა ინიციატივით. როგორც ჩანს, მათ არ ისურვეს ამ ფორუმის დოკუმენტში დაედასტურებინათ რუსეთის განსაკუთრებული სამშვიდობო როლი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, რასაც დიდი მონდომებით ესწრაფოდა იმ ეტაპზე რუსეთის დიპლომატია.

ნატოს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა სხდომის მონაწილეებს სასწრაფოდ მიემართათ თხოვნით თავიანთი მთავრობებისთვის, რათა მათ აქტიურად შეეწყოთ ხელი აფხაზეთში მშვიდობის დამყარებისთვის.

ბ-მა ვიორნერმა თავისი დამოკიდებულება აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის მიმართ გამოხატა წერილშიც, რომელიც მან 30 სექტემბერს გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს: „...ნება მიბოძეთ, მოკავშირეებისა და ჩემი პირადი სახელით, გამოვხატო ულრმესი წუხილი იმ უდიდესი განსაცდელის გამო, რომელიც

წილად ხვდა უდანაშაულო მოსახლეობას აფხაზური ძალების მიერ სოხუმის დაკავებისა და მიმდინარე კონფლიქტის შედეგად. საქართველოში შექმნილი ვითარება ალიანსისა და ნატო-ს მუდმივი ყურადღების საგანია. როგორც თქვენთვის ცნობილია, მოკავშირეებმა და მისმა პარტნიორმა ქვეყნებმა ამის შესახებ 20 სექტემბერს გააკეთეს განცხადება... ალიანსი მთლიანად უჭერს მხარს ეუთო-ოსა და გაერო-ს საქმიანობას, მიმართულს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ. მჯერა, რომ მშვიდობა მალე დაისადგურებს თქვენს ქვეყანაში" – ნათქვამია აღნიშნულ წერილში (6).

1 ოქტომბერს გაიმართა ნატოს პოლიტკომიტეტის სხდომა, რომელზეც კვლავ განიხილეს აფხაზეთის საკითხი. საქართველოს წარმომადგენელმა სხდომას მიაწოდა ინფორმაცია სოხუმის ოკუპაციის შედეგად შექმნილი მდგომარეობის, დაღუპულთა და ლტოლვილთა მონაცემების შესახებ. აღინიშნა, რომ შექმნილი ვითარება მოითხოვდა სასწრაფო ღონისძიებების განხორციელებას საერთაშორისო მასშტაბით.

აშშ-ის წარმომადგენელმა ისაუბრა სახელმწიფო დეპერტამენტის აფხაზეთში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებულ განცხადებაზე. მან აღნიშნა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ საქართველოს გამოუყო 1,6 მლნ. დოლარი სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების სახით.

გერმანიის წარმომადგენელმა დამსწრეთ გააცნო თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება. მან ასევე მიუთითა, რომ გერმანიის მთავრობამ დამატებით 50 მლნ. მარკა გამოუყო საქართველოს.

რუსეთის წარმომადგენელმა განცხადა, რომ „„არძინბამ ყველა მოატყუა" და რომ რუსეთი გააგრძელებდა სანქციებს ამ რეგიონის მიმართ (7).

სხვა გამომსვლელებმაც ხაზგასმით დაუჭირეს მხარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და დაგმეს სეპარატისტთა აგრესია.

მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო აშკარად სარგებლობდა სიმპათიებით ნატოსა და ნაქსი-ში. მიუხედავად ამისა, ეს სიმპათიები ვერ გადაიზრდა რეალურ პოლიტიკურ მხარდაჭერა-

ში, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა ძლიერ ზეწოლას რუსეთზე. აფხაზეთის საკითხის განხილვისას დასავლეთის სახელმწიფოები კონფლიქტში უშუალოდ რუსეთის როლს ფაქტიურად არც აფასებდნენ და არც აკრიტიკებდნენ, თუმცა ყველასთვის ნათელი იყო, რომ იგი ასეთ კრიტიკას იმსახურებდა. კრიტიკა მიმართული იყო აფხაზი სეპარატისტების მიმართ, რაც შედეგს არ იძლეოდა. მცირე გამონაკლისების გარდა, არც საქართველოს წარმომადგენელთა რუსეთისადმი მიმართული კრიტიკული გამოსვლები სარგებლობდა მხარდაჭერით, თუმცა ამგვარი კრიტიკა საქართველოსათვის გარკვეულ პოლიტიკურ რისკთან იყო დაკავშირებული იმის გამო, რომ რუსეთს ასეთი ნაბიჯისათვის „სამაგიეროს“ გადახდაც შეეძლო.

აღნიშნული მოვლენის ანალიზისას გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, კერძოდ ის, რომ სამხრეთ კავკასია ამ ეტაპზე ნატოსათვის არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ რეგიონს. მისი ყურადღება გამახვილებული იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე, ასევე ბალტიისპირეთზე (ცნობილია, რომ დასავლეთის ბევრი ქვეყანა, მათ შორის აშშ, საბჭოთა პერიოდშიც არ ცნობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად). ბალტიისპირეთიდან რუსეთის ფედერაციის ჯარების გასაყვანად მობილიზებული იყო დასავლეთის ხელთ არსებული მთელი არსენალი, რომელიც გულისხმობდა ერთი მხრივ მოსკოვზე პოლიტიკურ ზეწოლას, ხოლო მეორე მხრივ – ფინანსური წახალისების მექანიზმს. ასეთ ვითარებაში დასავლეთის პირობების შეუსრულებლობა რუსეთისთვის ნიშნავდა აუცილებელი კრედიტების დაკარგვას. ნაცვალი-შიც, სხვადასხვა დონის შეხვედრებზე რუსეთი მუდმივად იმყოფებოდა ძლიერი პრესის ქვეშ.

საერთოდ, თუკი გიმსჯელებთ რუსეთის როლზე კონფლიქტების დარეგულირებაში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ პერიოდისათვის დასავლეთში აშკარად ჭარბობდა აზრი ყოფილ საბჭოთა კავშირსა და განსაკუთრებით მის კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის განსაკუთრებული მისიის შესახებ. ამ, ჩვენი აზრით, მცდარ

მიდგომას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საბჭოთა პერიოდის ინერცია, როდესაც ხდებოდა რუსეთის გაიგივება მთელ იმპერიულ სივრცესთან. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის ფაქტორიც, რომ ე.წ. ყოფილი საბჭოთა პერიფერია ნაკლებად იყო ცნობილი დასავლეთისთვის, რომელიც უფრო მოსკოვთან ურთიერთობებს იყო მიჩვეული. დასავლეთის სამყაროსგან საკმაოდ მოწყვეტილ მოვლენებად აღიქმებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, რომლებში მონაწილეობის არც გამოცდილება და არც სურვილი დასავლეთს არ ჰქონდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1990-იანი წლების დასაწყისში იგრძნობოდა რომანტიული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, რომელიც ფართო თანამშრომლობასა და პარტნიორობას სთავაზობდა დასავლეთს. იქ კი მიიჩნევდნენ, რომ დასავლეთის ნაჩქარევი და გადამეტებული ჩარევა ყოფილი საბჭოთა კავშირის საქმეებში რევანშისტულ რეაქციას გამოიწვევდა რუსეთში, რაც, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითად იმოქმედებდა თვით ამ ახლად დამოუკიდებელ ქვეყნებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, გარკვეულ ეტაპზე დასავლეთმა და, უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონის ადმინისტრაციამ რუსეთის სამშვიდობო ოპერაციები მის მეზობელ ქვეყნებში თითქმის გააიგივეს აშშ-ის ქმედებასთან მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ რეგიონში. განსაკუთრებით იგრძნობოდა ეს აშშ-ის სამშვიდობო ოპერაციის დროს ჰაიტიზე 1994 წელს, როდესაც ვაშინგტონს სჭირდებოდა რუსეთის მხარდაჭერა გაერო-ს უშიშროების საბჭოში. ეს ფაქტიურად ტოლფასი იყო გავლენის სფეროების რეანიმაციისა, რომელშიც საქართველო ცალსახად მოიაზრებოდა რუსეთის გავლენის სივრცეში. ერთ ხანს დასავლეთის პრესაში იბეჭდებოდა ასეთი მიდგომის მხარდამჭერი პუბლიკაციებიც. მაგალითად, 1993 წლის 6 ივლისს ინგლისურ „„თაიმსში“ გამოქვეყნებული სტატიის (სათაურით „დასავლეთმა ნება უნდა დართოს ელცინს, აღმოსავლეთში წესრიგი დაამყაროს“) ავტორი პროფესორი ჯ. ჰოსკინგი

ამტკიცებდა, რომ „...მხოლოდ რუსეთს შეუძლია გააკონტროლოს სიტუაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რეგიონებში, სადაც ბოლო ხანს იფეთქა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, კერძოდ შუა აზიასა და კავკასიაში“ (8).

2. ნატოს „მრავალწახნაგა ყვავილი“ და ერთი კაცის უტოპია

1993 წლიდან უკვე იწყება ნატოს წარმომადგენელთა ვიზიტები საქართველოში. მათი მიზანია უპირველეს ყოვლისა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხების განხილვა და რეგიონში შექმნილი ვითარების ადგილზე გაცნობა. ნატოს პირველი დელეგაცია ორი სამხედრო და ორი სამოქალაქო პირის შემადგენლობით თბილისს 12-18 ივნისს ეწვია. დელეგაცია შეხვდა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, პარლამენტის კომისიებსა და მთავრობის წევრებს.

/1993 წლის 23 ივნისს ნატოს შტაბბინას ეწვია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ბ-ნი ე. შევარდნაძე./

/ის, რომ დასავლეთის ქვეყნებში თავისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტისათვის ბ-მა ე.შევარდნაძემ სწორედ ბრიუსელი შეარჩია, უპირველეს ყოვლისა იმაზე მიუთითებდა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ნატოსთან თანამშრომლობას. ჩვენი ქვეყნისთვის ამ უაღრესად რთულ პერიოდში ალიანსის მიმართ გადადგმული ასეთი ნაბიჯი საქართველო-ნატოს ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. ეს აშკარად მიანიშნებდა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ლიდერი ნატოს ახალი ევროპის მშენებლობაში, კერძოდ კი საქართველოს პრობლემების, უპირველეს ყოვლისა – აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში.

ბ-ნ ე.შევარდნაძესთან შეხვედრისას ბ-მა ვიორნერმა აღნიშნა, რომ ალიანსი ცდილობდა ხელი შეეწყო „საქართველოსათვის სრულფასოვნად ჩართულიყო ახალი ევროპული უშიშროების არქიტექ-

ტურის მშენებლობაში“ (9). მან ასევე ისაუბრა იმ საშიშროებაზე, რომელსაც უქმნიდა აფხაზეთის კონფლიქტი საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიას. „ ...ისევე, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, საქართველოც განიცდის სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის სირთულეებს, რაც რიგ შემთხვევებში კიდევ უფრო გაამწვავა ბუნების კატაკლიზმებმა, კერძოდ 1991 წლის საშინელმა მიწისძვრამ*. მაგრამ საქართველოს აქვს საკუთარი რესურსები, მდიდარი კულტურა და ჰყავს ამაყი ხალხი. ჩვენი ალიანსი მოელის, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა განახორციელებს რეფორმებს იმისთვის, რათა მთლიანად იქნას გამოყენებული ამ ქვეყნის პოტენციალი. ალიანსი გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რათა დაგეხმაროთ თქვენ და თქვენს ქვეყანას სირთულეების გადალახვაში. საქართველოს მონაწილეობა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს საქმიანობაში შესაძლებლობას გვაძლევს ვითანამშრომლოთ ისეთ სფეროებში, სადაც ჩვენი გამოცდილება და ცოდნა სასარგებლო შეიძლება იყოს თქვენი უშიშროებისათვის. ამას წინათ თქვენი საელჩოს ვახსნა ბრიუსელში, ჩემი აზრით, დაეხმარება საქართველოს სრულად გამოიყენოს ნაცო-ს შესაძლებლობები... ჩვენი მცდელობები განვავითაროთ თანამშრომლობა ნაცო-ს ფარგლებში და მივუსადაგოთ იგი თითოეული პარტნიორის სპეციფიურ მოთხოვნებს, ჩემი აზრით, სასარგებლო იქნება თქვენი ქვეყნისთვისაც“ – განაცხადა ბ-მა ვიორნერმა (10).

ბ-მა ე. შევარდნაძემ თავის გამოსვლაში გაანალიზა „ცივი ომის“ შემდეგ ევროპაში შექმნილი ვითარება და ისაუბრა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივებზე. შემდგომმა წლებმა ნათლად დაადასტურა აღნიშნული ანალიზისა და მომავლის ხედვის სიზუსტე. უპირველეს ყოვლისა, მან აღნიშნა, რომ „ ცივი ომის“ დასასრულმა და აღმოსავლეთ-

* *ფაქტია, რომ ბ-ნ მ.ვიორნერს თავისი გამოსვლის ამ ნაწილში საქართველო სომხეთში აერია.*

დასავლეთის დაპირისპირებამ ვერ ააცილა დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებსა და საერთოდ მსოფლიოს სერიოზული საფრთხე. „ეს საფრთხე კვლავაც იარსებებს მანამ, სანამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, და უპირველეს ყოვლისა რუსეთი, არ მიაღწევენ საბოლოო გამარჯვებას დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური რეფორმების გზაზე“ (11). გამომსვლელმა ამ თვალსაზრისით ყურადღება გაამახვილა მზარდ ექსტრემიზმზე, როგორც დესტაბილიზაციისა და კონფლიქტების ყველაზე სახიფათო ტენდენციაზე „„ჩვენთვის საგანგებო ნათელია, რომ ეს ტენდენცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს 1989–1991 წლების „ხავერდოვანი რევოლუციის“ ყველა მონაპოვარს. ამ პირობებსა და სიტუაციაში ნატო, როგორც ევროპის სტაბილურობისა და უშიშროების მთავარი სამხედრო-პოლიტიკური გარანტი, სრულებითაც არ ჰკარგავს თავის უნიკალურ მნიშვნელობას. პირიქით, მისი წონა სულ უფრო იზრდება“ – აღნიშნა ბ–მა ე.შევარდნაძემ (12).

აქტუალურად ჟღერდა ის შეფასებაც, რომ რუსეთში იმპერიული იდეებისა და დემოკრატიული არჩევანის მომხრეებს შორის მიმდინარე ბრძოლა დამანგრეველი ბიძგებით მოქმედებდა არა მარტო რუსეთზე, არამედ იმ სახელმწიფოებზეც, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ამ კონტექსტში ბ–მა ე.შევარდნაძემ დამსწრეთ შესთავაზა ფორმულა, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დასავლეთის დამოკიდებულებისთვის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ამ ფორმულის არსი ის არის, რომ რუსეთის მიმართ დასავლეთის პრიორიტეტული დამოკიდებულება თანაბრად უნდა გავრცელდეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზეც. როგორც მომდევნო წლებმა დაადასტურა, დასავლეთი და მისი მთავარი სამხედრო–პოლიტიკური ორგანიზაცია –ნატო – თანდათანობით იხრებიან ასეთი პოლიტიკისაკენ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ მოხსენებაში ჩამოყალიბებულმა რამდენიმე თეზისმა საგრძნობლად გაუსწრო ნატოში მიმდინარე კონცეფტუალური ანალიზისა და თანამედროვე რეალობასთან ადაპტაციის პროცესს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოსაზრებები

ნატოსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ. ამ თეზისის არგუმენტად ბ–მა ე.შევარდნაძემ მოიშველია ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ცენტრალური ევროპის რიგ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები ვერ პოულობდნენ ადექვატურ რეაქციას ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ–ნმა ე.შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ნატოს მობილური, ძლიერი სამშვიდობო ძალების შექმნის აუცილებლობას, რომლებიც იმოქმედებდნენ „ცხელ წერტილებში „გაერო–ს ან ევროთათბირის ეგიდით. „დაინტერესებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სიამოვნებით მიიწვევდა ასეთ ძალებს იმ შიდა კონფლიქტების დასარეგულირებლად, რომლებიც სულ უფრო ხშირად იღებენ საერთაშორისო კონფლიქტების მასშტაბებს“ – აღნიშნა მან (13).

ბ–ნი ე.შევარდნაძე თავის გამოსვლაში ასევე შეეხო ნატოს გაფართოების თემას, რაზეც იმ ეტაპზე ჯერ კიდევ მეტად ფრთხილად მიმდინარეობდა დისკუსიები ალიანსის კულუარებში. მისმა გაბედულმა განცხადებამ ნატოს გაფართოებისა და ალიანსის რიგებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანების მიზანშეწონილების შესახებ დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ამ კონტექსტში მან დადებითი შეფასება მისცა ნაქსი–ს საქმიანობას და დაახასიათა იგი როგორც თავისებური მოსამზადებელი კურსები ნატოში გაწევრიანების მსურველთათვის. „მაგრამ ვშიშობ, რომ სანამ ჩვენ ამ კურსებს გავივლით, მოვლენებმა შეიძლება არაპროგნოზირებადი ხასიათი მიიღოს. ჩვენ კი დახმარება ახლა გვჭირდება“ – აღნიშნა მან (14).

საყურადღებოა, რომ ეს განცხადება გაკეთდა მაშინ, როდესაც აფხაზეთში მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები და საქართველოს სუვერენიტეტს რეალური საფრთხე ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში, ზოგად თეორიულ მოსაზრებებთან ერთად, აუცილებელი იყო ნატოსთვის თანამშრომლობის რეალური და ქმედითი გეგმის შეთავაზება. ბ–მა ე.შევარდნაძემ წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს ინდივიდუალურად შეემუშავებინათ და გაეფორმებინათ ორმხრივი ხელშეკრულე–

ბები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები სამხედრო-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ბუნებისდაცვით და სხვა სფეროებში. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა ახლად დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის მატერიალური, ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარების აუცილებლობას სამხედრო მშენებლობის დარგში, რაც უაღრესად დადებით გავლენას იქონიებდა დემოკრატიული რეფორმების პროცესზე.

ალიანსის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეს წინადადება, როდესაც 1994 წლიდან დაიწყო ე.წ. ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამების გაფორმება პარტნიორ ქვეყნებთან, რაზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ბ-მა ე.შევარდნაძემ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ყურადღება გაამახვილა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ საკმაოდ უცხო იყო ამ ორგანიზაციისათვის. იგი შეეხო კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებს და აღნიშნა, რომ ე.წ. ფეთქებადი რეგიონების მიმართ სტერეოტიპული მიდგომა, რომელიც უმთავრესად ბალკანეთზე იყო ორიენტირებული, საჭიროებდა ახლებურ გადახედვას, რადგან კავკასია, თავისი კონფლიქტური პოტენციალით, არანაკლებად საშიში იყო ევროპისათვის.

ამ კონტექსტში მეტად ნიშანდობლივი იყო ე.შევარდნაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები საჭიროებდა ჩრდილოატლანტიკური „პოლიტიკური ოპტიკის დროულად და ზუსტად შეცვლას. ..თქვენი ალიანსის სიმბოლო, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა მხარეს მიმართულ ყვავილს განასახიერებს, უფრო მძაფრად უნდა გრძნობდეს ნატოს სივრციდან თუ მისი საზღვრებიდან მომდინარე სახიფათო დინებებს“ – აღნიშნა მან (15).

გაკეთდა მეტად აქტუალური განცხადება აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, კერძოდ ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარება არ უნდა ყოფილიყო რომელიმე ერთი ქვეყნის ან ორგანიზაციის მონოპოლია. „მხოლოდ საერთაშორისო სტრუქტურების ერთობლივი და ეფექტური ძალისხმევით, როდესაც ყოველი მათგანი დაეყრდნობა ცალკეულის პოლიტიკურ ნებასა და რესურსებს, შესაძლებელი იქნება

დადებითი შედეგების მიღწევა. საქართველო, სადაც უკვე მოქმედებენ გაერო-სა და ევროთათბირის მისიები, მიესალმებოდა მათთან ნატოსა და ნაქსი-ს მიერთებასაც. ჩვენ ასევე მხარს დავუჭერდით ნატოსა და ნაქსი-ს ნებისმიერ მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, მშვიდობის დამკვიდრების ოპერაციებში მონაწილეობის ჩათვლით" (16). ეს განცხადება ფაქტიურად უპასუხებდა მოსკოვის ამბიციებსაც და დასავლეთში გავრცელებულ აზრსაც რუსეთის განსაკუთრებული როლის შესახებ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ამასთანავე არ გამორიცხა აღნიშნული კონფლიქტების მოწესრიგებისას რუსეთის მონაწილეობის მნიშვნელობა, მაგრამ ხაზი გაუსვა ამ საქმეში რუსეთის საერთაშორისო და ევროპულ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას. ბ-მა ე.შევარდნაძემ დაადასტურა თავისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და განაცხადა, რომ საქართველო სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ამ ქვეყნის სტაბილურობითა და დემოკრატიული განახლებით.

მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აღნიშნულ შეხვედრზე ბ-მა ე.შევარდნაძემ, პირველად დასავლეთის აუდიტორიის წინაშე, ისაუბრა ევრაზიული დერეფნის პროექტისა და ამ თვალსაზრისით საქართველოს პერსპექტივების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში საქართველოს ვითარების ფონზე ეს პროექტი ბევრისთვის საკმაოდ არარეალურად ეღერდა. ასეთი განწყობილება, ალბათ, იგრძნო თვით პროექტის ავტორმაც, როდესაც განაცხადა: „...რაოდენ უჩვეულოდაც უნდა გვესახებოდეს ესა თუ ის იდეა, არ შეიძლება მისი უარყოფა არასტანდარტულობის გამო. ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ დროს, რომელიც მოითხოვს არაორდინარულ გადაწყვეტილებებს... ახალი გამოცდები და გამოწვევები, რომლებიც უთუოდ გველის ახლო მომავალში, მოულოდნელად არ უნდა დაგვატყდეს თავს" (17).

დღეს, როდესაც „ტრასეკას" პროექტი პრაქტიკული რეალიზაციის სტადიაშია და როდესაც იწყება „დიდი აბრეშუმის გზის" თანამედ-

როგე ვარიანტის ამოქმედება, განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა ამ შეფასების შორსმჭვრეტელობა.

საქართველოს ლიდერის აღნიშნულმა გამოსვლამ და შემდეგ გამართულმა დიალოგმა აშკარად დაანახა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, რომ საქართველო ითხოვდა ნატოსგან განსაკუთრებულ ყურადღებას*.

ამ მოთხოვნისა და დაინტერესების საპასუხოდ ნატოს პოლიტიკური კომიტეტისა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივმა სხდომამ უკვე იმავე წლის 16 ივლისს სპეციალურად იმსჯელა აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც აფხაზეთის პრობლემა ამ ორგანიზაციამ ცალკე საკითხად განიხილა.

საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა სხდომას მიაწოდა ინფორმაცია აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიის, მისი შედეგებისა და არსებული სიტუაციის შესახებ. გავრცელდა შესაბამისი მასალები და ფაქტობრივი მონაცემები. შეხვედრის მონაწილეებმა, კერძოდ აშშ-ის, უკრაინის, გერმანიის, ნიდერლანდებისა და ჩეხეთის წარმომადგენლებმა, მხარი დაუჭირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის შენარჩუნებას. მათ დადებითი შეფასება მისცეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 9 ივლისს მიღებულ რეზოლუციას და გამოთქვეს რწმენა, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობდნენ ამ რეზოლუციის განხორციელებას. ასეთივე პოზიცია ჰქონდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს, რომელმაც გააკრიტიკა კიდეც აფხაზი სეპარატისტების ხელმძღვანელობა. გამოითქვა საერთო აზრი, რომ ნატოს ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო აფხაზეთში, და მთლიანად საქართველოში, მიმდინარე პროცესები, რადგან კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია საფრთხეს უქმნიდა მთელი კავკასიის რეგიონს.

** ბ-ნ ე.შევარდნაძის გამოსვლის საფუძველზე მომზადდა სახელმწიფოს მეთაურის სტატია, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ნატო რევიუს“ 1993 წლის აგვისტოს ნომერში (18).*

ამგვარად, შეიქმნა კარგი პრეცედენტი ნაჭსი-ს ფარგლებში სამუშაო დონეზე საქართველოს უსაფრთხოების საკითხების, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემის განხილვისა.

სამუშაო დონეზევე იმავე პერიოდში მოიწონეს ნატოში ვიზიტისას ბ-ნ ე.შევარდნაძის მიერ წამოყენებული წინადადება – კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემებზე საქართველოში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების შესახებ, რომელიც გაიმართა თბილისში 1996 წლის 4-6 ოქტომბერს.

თავი IV.
უტოპიიდან რეალობისკენ

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და ევროატლანტიკური რეალობები

განსაკუთრებულ არგუმენტირებას არ უნდა საჭიროებდეს ის თეზისი, რომ საქართველო–ნატოს თანამშრომლობა უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტურ პრობლემებთან. მაგრამ როგორია თვით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფტუალური ხედვა და რა მთავარ პრინციპებს ეყრდნობა იგი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია, რათა სახელმწიფომ შეიმუშავოს თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტები და დასახოს მათი რეალიზაციის გზები.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, ნათლად უნდა განსაზღვრავდეს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, მისი დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარების გამოწვევებსა და რისკის ფაქტორებს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ მრავალფეროვან და რთულ რეგიონში, როგორც კავკასიაა, ამგვარი გრძელვადიანი კონცეფციის ჩამოყალიბება უაღრესად ძნელი ამოცანაა. ჩვენი ეპოქის კალეიდოსკოპური მოვლენები ხშირად ყველაზე გაბედულ პროგნოზებსაც კი უსწრებენ წინ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბების სტადიაშია. მის შემდგომ ბედზე მრავალმა ობიექტურმა და სუბიექტურმა პროცესმა შეიძლება მოახდინოს სერიოზული გავლენა. გარდა ამისა, რეგიონში ხდება სხვადასხვა დიდი გეოპოლიტიკური ძალის ინტერესთა გადაკვეთა (ზოგიერთის აზრით – დაპირისპირება), რომელთა გავლენა ხშირად შიდა ფაქტორების მნიშვნელობასაც აღემატება.

კომპლექსურ ანალიზსა და უტყუარი დასკვნების გამოტანას ისიც უშლის ხელს, რომ რიგ შემთხვევებში თვით ეს გარეშე ფაქტორები წარმოადგენენ არაპროგნოზირებად თავსატეხს. ეს, უპირველეს ყოვ-

ლისა, ეხება რუსეთს, რომლის მომავალ განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მარტო კავკასიის ბედი, არამედ ვითარება მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში. პროგნოზებში შეცდომის ალბათობა მნიშვნელოვნად იმატებს თურქეთთან მიმართებაშიც იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას რეალური საფრთხე დაემუქრება მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის მხრიდან. ჯერჯერობით გაურკვეველია ისიც, თუ რა დოზით მიიღებს მონაწილეობას დასავლეთი სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების გარანტირებაში.

საქმე ის გახლავთ, რომ რეგიონი გარკვეულწილად იმყოფება „გეოპოლიტიკურ ვაკუუმში“, როდესაც რუსეთს უკვე აღარ ძალუძს შეინარჩუნოს თავისი ძველი პოზიციები, ხოლო დასავლეთი ჯერ არ არის მზად „შეავსოს“ საბჭოთა კავშირის ნგრევისა და რუსეთის შესუსტების შედეგად შექმნილი გეოპოლიტიკური სივრცე. თვით რეგიონის ქვეყნები კი, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებიან. ასეთ გარდამავალ პერიოდში სწორი გზის არჩევა, უსაფრთხოების მართებული და წინგამიზნული კონცეფციის შექმნა ურთულესი ამოცანაა.

ამ ამოცანას ისიც ართულებს, რომ ეროვნული უსაფრთხოება ფართო ცნებაა და მოიცავს არა მარტო სამხედრო განზომილებას, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებსაც.

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვა გარკვეულწილად საერთაშორისო ინსტიტუტების საზრუნავია, წინა პლანზე გამოდის ეროვნული უსაფრთხოების სწორედ არასამხედრო ასპექტები. მათი მაქსიმალური უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ გარემოცვაში და თავისუფალი, მსოფლიო სისტემაში ინტეგრირებული ეკონომიკის პირობებში. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი გარანტი არის მისი შემდგომი დემოკრატიული განვითარება. ეს გულისხმობს სახელმწიფოს მშენებლობას იმ საყოველთაო დემოკრატიულ ფასეულობებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებსაც იზიარებენ დასავლეთის მოწინავე ქვეყ-

ნები.

ამ მაგისტრალური გზით განვითარება სრულებითაც არ ნიშნავს რომელიმე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოდელის და ჩვენთვის არაორგანული, შეუთავსებადი გამოცდილების ბრმად გადმოღებას. დასავლური ტიპის დემოკრატია არის საზოგადოების ბუნებრივი და ოპტიმალური განვითარების გზა, რომელიც მიესადაგება მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს – ქრისტიანულ და ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებულ ქვეყანას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში უდიდესი როლი მიუძღვით დასავლეთის წამყვან ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ უკანასკნელთანაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, გაერო-ს სხვადასხვა პროგრამა და რეგიონული ორგანიზაცია. მათი ხელშეწყობით საქართველოში დაიწყო და ხორციელდება უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მიზანია ქვეყანაში თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება.

რაც შეეხება ნატოს, მასთან თანამშრომლობის მთავარი მიზანი არის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება სამხედრო–პოლიტიკური თვალსაზრისით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო–პოლიტიკური რისკები პირობითად შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

ა) უცხო ქვეყნის ან ქვეყნების სამხედრო აგრესია. ასეთი რისკის ალბათობა დღეისათვის საკმაოდ მცირეა, მაგრამ დაუშვებლად მიგვაჩნია მისი მთლიანად გამორიცხვა. აღნიშნული საფრთხე უმთავრესად ასოცირდება იმ მეზობელ ქვეყნებთან, რომელთა ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ან კომპაქტურად არიან დასახლებულნი მის სასაზღვრო რაიონებში.

სამხედრო აგრესიის ნაირსახეობად შეიძლება იქცეს უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც არ დაექვემდებარება საერთაშორისო ორგანიზაციის მანდატს (გაერო ან ეუთო), ან ორმხრივ შეთანხმებას და იმოქმედებს ავტონომიურად ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რეგიონში.

ბ) სეპარატიზმი. საქართველოსათვის ეს რისკი უკვე არის დრამატული რეალობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სახით. იგი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია სახელმწიფოებრიობის სრული ჩამოყალიბებისა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები ხელს უშლიან როგორც კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის გაფართოებას, ასევე რეგიონის ქვეყნების ერთიანი გეოპოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებას. არ არის გამორიცხული ქვეყნის სხვა რეგიონებში სეპარატიზმის ელემენტების გაღვივება და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ახალი კერების შექმნაც.

გ) სამოქალაქო ომის გამომწვევ მიზეზებად სახელმწიფოებრივი მშენებლობის სტადიაში მყოფი ქვეყნისათვის, კერძოდ საქართველოსთვის, შეიძლება იქცეს როგორც გარეშე, ასევე შიდა წინააღმდეგობებსა და განვითარების პროცესებთან დაკავშირებული მოვლენები. ეს რისკის ფაქტორი კავშირშია ისეთ ფსიქოლოგიურ მომენტთანაც, როგორიცაა ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცნობიერება.

დ) უკონტროლო და აღურიცხავი შეიარაღება, ანუ „თეთრი ლაქების“ პრობლემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოადგენს არა მარტო რეალურ საფრთხეს ქვეყნის უშიშროებისათვის, არამედ სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორს საქართველოს მიერ ეჩშძ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად.

ე) მეზობელ ქვეყანაში (ან ქვეყნებში) ისეთი შეიარაღების არსებობა, რომელიც აღემატება ეჩშძ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზღვრულ რაოდენობებს. ეს ვითარება იწვევს რეგიონში სახელმწიფოთა შორის უნდობლობას, ხელს უშლის არსებული კონფლიქტების მოგვარებასა და რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამჟამად მიმდინარე ეჩშძ ხელშეკრულების ადაპტაციის განხორციელების პროცესში ამ საკითხში სერიოზული პროგრესი იქნება მიღწეული.

ვ) ე.წ. ტრანსნაციონალური რისკის ფაქტორები, რომლებიც სცდება

საქართველოს საზღვრებს და საერთაშორისო ხასიათი აქვთ. ესენი ტერორიზმი, სხვადასხვა სახის ექსტრემიზმი, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება.

ის, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება რეალურ გარანტირებას საჭიროებდა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა 1995 წლის 29 აგვისტოს ბ-ნ ე. შევარდნაძეზე განხორციელებულმა თავდასხმამ. ამ მოვლენას დასავლეთის პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. პუბლიკაციათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ობიექტური შეფასება მისცა ამ ფაქტის რეალურ მიზეზებსა და მიზნებს. საერთო ჯამში გამოიკვეთა აზრი, რომ საქართველოს შიგნით და გარეთ არსებული რეაქციული ძალები ყოველგვარ მეთოდებს მიმართავდნენ, რათა არ დაეშვათ ქვეყნის დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარება, რისი გარანტიც არის ქვეყნის პრეზიდენტი. „...ედუარდ შევარდნაძე გადაურჩა სიკვდილს და ამით კავკასია კატასტროფას" – წერდა 1995 წლის 31 აგვისტოს ბელგიური „ლე სუარი" (1). „...თავდასხმის ავტორთა ვინაობა უნდა ვეძიოთ მათ შორის, ვისაც არ აწყობს ქვეყნის სტაბილურობა. სამწუხაროდ, არჩევანი დიდია და მოწინააღმდეგენიც მრავალრიცხოვანი. არ შეიძლება არ ვახსენოთ აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც, ალბათ, იმედოვნებდნენ, რომ შევარდნაძის გაუჩინარებით საქართველო კიდევ უფრო დასუსტდებოდა... უნდა ვიფიქროთ ზოგიერთ რუს სამრეწველო და სამხედრო წრეების წარმომადგენელზეც, რადგან ქაოსით მოცულ საქართველო მოსკოვისათვის უფრო ადვილი სამართავი გახდებოდა. მაგრამ ყველაზე სერიოზულ კვალს ისევ მივყავართ თბილისში შეიარაღებული დაჯგუფებების, წმინდა წყლის განგსტერებისა და მაფიოზური კლანებისაკენ. ეს ის ხალხია, ვისაც განსაკუთრებით ხელს აძლევს საქართველოში ქაოსი... შევარდნაძეზე თავდასხმა და ის ფაქტი, რომ სურდათ მისი ფიზიკური განადგურება, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წარმატებების ნათელი მაგალითია" – აღნიშნულია გაზეთში (2).

1995 წლის 7 სექტემბერს გამართულ ნატოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე საქართველოს წარმომადგენლის მიერ გაკეთდა

განცხადება ამ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ „...თავდასხმას არ მოჰყოლია რაიმე სხვა ექსცესები, ხელისუფლება მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას. მიმდინარეობს უკომპრომისო ბრძოლა კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ. ახალი კონსტიტუცია შედის ძალაში და საყოველთაო არჩევნები ჩატარდება დაგეგმილ დღეს – 5 ნოემბერს“ (3). ამ განცხადების მთავარი მიზანი იყო იმის ხაზგასმა, რომ საქართველო მტკიცედ აგრძელებდა დემოკრატიული განვითარების კურსს.

8 სექტემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა პირადი წერილი გაუგზავნა ბ-ნ ე. შევარდნაძეს, რომელშიც მან ღრმა შეშფოთება გამოხატა მომხდარის გამო.

ნატოში იმთავითვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური რისკები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდნენ. გაკეთდა დასკვნა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო არსებული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობათა ძიება თვით რეგიონის შიდა რეზერვებში, ანუ გერც ერთი უცხო ქვეყანა ვერ მოაწესრიგებს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების სირთულეებს, თუ თვით ამ ქვეყნებში არ იქნება შესაბამისი პოლიტიკური ნება.

ამავე დროს, ნათელი იყო ისიც, რომ საჭირო იყო მზარდი გარეშე დახმარებაც, კერძოდ დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოლექტიური მხარდაჭერა. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ახლად დამოუკიდებელი ქვეყნების, კერძოდ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრებოდა მოლაპარაკებებს ეჩშძ ხელშეკრულების ფარგლებში. ნატო საწყისი ეტაპიდანვე ჩაერთო პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ამ პროცესში.

ეჩშძ ხელშეკრულება გაფორმდა პარიზში 1990 წლის 19 ნოემბერს და მისი ხელმომწერები გახდნენ ორი დაპირისპირებული სამხედრო ბლოკის – ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნები. იგი ითვალისწინებდა შეზღუდვების დაწესებას ხუთი სახეობის შეიარაღებაზე. ესენია ტანკები, არტილერია, ჯავშანმანქანები,

საბრძოლო თვითმფრინავები და საბრძოლო ვერტმფრენები.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მზადება ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პერიოდში დაიწყო, იგი უმთავრესად ითვალისწინებდა სამხედრო დაძაბულობის განმუხტვას ცენტრალურ ევროპაში, ანუ იქ, სადაც ხდებოდა ნატოსა და ვარშავის ბლოკის ძირითადი დაპირისპირება. აღნიშნული ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირის სამხრეთის, ანუ ამ რეგიონებში განლაგებული საბჭოთა რესპუბლიკების, ტერიტორიებზე არსებული შეიარაღებაც განიხილებოდა ცენტრალური ევროპის კონტექსტში. ამიტომ ჯერ ვარშავის ხელშეკრულების, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად სერიოზული უთანხმოებები წარმოიშვა ერთი მხრივ რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, ხოლო მეორე მხრივ – ნატოს წევრ ქვეყნებსა და რუსეთს შორის.

უთანხმოების ერთ–ერთი მიზეზი ის იყო, რომ ეჩშძ ხელშეკრულება განსაზღვრავდა ორი სამხედრო ბლოკის შეიარაღებათა ე.წ. ზღვრულ რაოდენობებს, მაგრამ იგი არ აზუსტებდა ცალკეული ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, ე.წ. ეროვნულ ზღვრებს. მდგომარეობას ართულებდა ხელშეკრულების არეალში ე.წ. საფლანგო ზონების არსებობაც, რაც აწესებდა დამატებით შეზღუდვებს ფლანგებში მოხვედრილი ქვეყნებისათვის. შედეგად, საფლანგო ზონაში აღმოჩნდნენ რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, რუმინეთი, ნორვეგია, თურქეთი, საბერძნეთი და ისლანდია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნები და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის რუსეთიც, აღმოჩნდნენ სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ისინი შეიარაღების შეზღუდვის საკითხს განიხილავდნენ უკვე არა ცენტრალური ევროპის, არამედ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, რუსეთი კვლავ ცდილობდა შეენარჩუნებინა სამხედრო გავლენა მეზობელ ქვეყნებში და მაქსიმალურად ესარგებლა შეიარაღებაზე მათთვის განსაზღვრული ქვოტებით. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმ ქვეყნებს, სადაც რუსეთს განლაგებული ჰქონდა თავისი სამხედრო

ბაზები (მაგალითად, საქართველოს).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი ახალი რეალობებისა და ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ჩეჩნეთში, არსებული დაძაბულობის გათვალისწინებით რუსეთმა განაცხადა, რომ იგი ვერ შეასრულებდა საფლანგო ზონაში ეჩშძ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, რასაც ნატო დაეთანხმა იმ პირობით, რომ აღნიშნული ვალდებულებები შესრულდებოდა 1999 წლის 31 მაისამდე. საქართველო, ისევე როგორც აზერბაიჯანი*, იძულებული გახდა წასულიყო ამ ნაბიჯზე, თუმცა მიაღწია რიგ დათმობებსა და გარანტიებს**. ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ ნატო აიძულებდა მოსკოვს შეესრულებინა აღნიშნული ვალდებულებები, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას.

ეს მეტად რთული პროცესი დაკავშირებული იყო არა მარტო ნატოს სურვილთან, არამედ პრობლემათა მთელ კომპლექსთან. უპირველეს ყოვლისა, არ იყო გამორიცხული, რომ რუსეთი ისეთი ხერხებითაც შეეცდებოდა თავს მოეხვია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის თავისი ნება, რომელთა წინააღმდეგ „გალაშქრება“ შიდა დესტაბილიზაციის დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. ეს რისკი, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდებოდა კონფლიქტურ და პოტენციურად კონფლიქტურ რეგიონებთან, სადაც დიდია რუსეთის გავლენა. ასეთ პირობებში საქართველოს გაუძნელდებოდა საკუთარი ნების გულახდილი გამოხატვა და იგი იძულებული გახდებოდა მიეღო რუსეთის „თამაშის წესები“. მეორე მხრივ, ნატოს ქვეყნებს, რომლებიც რეალურად აფასებდნენ რუსეთის ინტერესებსა და გავლენას კავკასიაში, შესაძლოა თვალი დაეხუჭათ რუსეთის ქმედებაზე და გარკვეულწილად დაეთმოთ კავკასია, რათა შეენარჩუნებინათ

** მოგეხსენებათ, რომ სომხეთი უშუალოდ უკავშირებს თავის უშიშროებას რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.*

***ამ საკითხის თაობაზე სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან კონსულტაციების პროცესში შეიქმნა სუამ-ის გაერთიანებაც, რომელსაც მოგვიანებით უზბეკეთიც შეუერთდა.*

ეჩშძ ხელშეკრულება მათთვის პრიორიტეტულ რეგიონთან – ცენტრალურ ევროპასთან მიმართებაში. ასეთ მიდგომას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა თურქეთი, რომლის სტრატეგიულ ინტერესებშია რუსეთის სამხედრო გავლენის შემცირება მის მოსაზღვრე რეგიონებში.

ეჩშძ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პროცესის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა ადგილს მიანიჭებდა კავკასიას ნატო თავის გეოსტრატეგიულ გეგმებში.

1995 წლიდან ალიანსი საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში. დაიწყო კონსულტაციები ნაწსი-სა და პმპ-ს ფარგლებში, რომლებშიც საქართველოც იღებს მონაწილეობას.

საქართველო-ნატოს თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში გამოკვეთილ „ახალ" რეალობას, რომელიც მომავალში ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად შესაძლოა იქცეს ამა თუ იმ ფორმით დასავლეთის უსაფრთხოების გარანტიების გასავრცელებლად აღნიშნულ რეგიონში. ეს გახლავთ კასპიის ენერგორესურსები.

#2. კასპიის ენერგორესურსები: აქცენტები ნატოს ახალ გეოსტრატეგიაში

1994 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის ნავთობთან დაკავშირებით მრავალმილიარდიანი, ე.წ. საუკუნის, კონტრაქტის გაფორმებამ პრაქტიკულად დააკავშირა ნატოს ინტერესები კავკასიის რეგიონთან.

აღნიშნულ თარიღს ახალი „დიდი თამაშის"* დასაწყისადაც მიიჩნევენ, რომლის მონაწილეებად დასავლეთისა და რეგიონის რიგი სახელმწიფოები გვევლინებიან. უმთავრესად აშშ-ის კაპიტალით

* ასეთი ტერმინით კასპიის ენერგორესურსებთან დღეისათვის დაკავშირებულ მოვლენებს ხშირად ადარებენ XIX საუკუნეში დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის ცნობილ დაპირისპირებას სპარსეთის ყურეში.

დაარსებული აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (AIOC) წევრები ხდებიან ნატოს რიგი წევრი-ქვეყნები. კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვებას იწყებენ „ბრიტიშ პეტროლეუმი“ (დიდი ბრიტანეთი), „სტატოილი“ (ნორვეგია), „დემინექსი“ (გერმანია), „პეტროფინა“ (ბელგია), „ელფ აკუიტენი“ და „ტოტალი“ (საფრანგეთი), „თურქიშ პეტროლეუმი“ (თურქეთი), „ამოკო“, „ექსონი“, „უნოკალი“, „კონოკო“, „მობილი“, „პენზოილი“ და „შევრონი“ (აშშ), „აჯიპი“ (იტალია).

კასპიის ნავთობი სწრაფად იქცა მსოფლიო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელთანაც დაკავშირდა ინტერესთა მთელი სპექტრი, მათ შორის, რუსეთის სტრატეგიული ინტერესები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და მისი ურთიერთობები კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან, ირანის პოზიციები რეგიონისა და დასავლეთის მიმართ, გარდა ამისა, ჩინეთის, პაკისტანისა და ინდოეთის ინტერესები.

რაც შეეხება დასავლეთის, კერძოდ ნატოს წევრი ქვეყნების, ინტერესებს კასპიის ნავთობის მიმართ, ისინი უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მსოფლიოს ენერგეტიკული რესურსების მომავალთან, რაც ოცდამეერთე საუკუნის თავისებურ „გეოსტრატეგიულ გასაღებს“ წარმოადგენს. ენერგეტიკული დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ნავთობზე დასავლეთისათვის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ფაქტორია. როგორც არაბული ქვეყნების მიერ დასავლეთის მიმართ 1970-იან წლებში განხორციელებულმა ენერგეტიკულმა ემბარგომ, 1979 წელს ირანის რევოლუციამ და ერაყის მოვლენებმა ცხადჰყო, დასავლეთი, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროებს თავისი ენერგორესურსების წყაროთა დივერსიფიკაციას. ამ კონტექსტში ხშირად ოონებენ უ. ჩერჩილის სიტყვებს: „ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული ერთ რომელიმე თვისებაზე, ერთ ქვეყანაზე, ერთ მარშრუტზე ან ერთ სფეროზე. ნავთობის უწყვეტობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია მისი წყაროების მრავალფეროვნებაზე და მხოლოდ ამაზე“ (4)

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მომავალი ათი

წლის მანძილზე მოსალოდნელია ნავთობზე მოთხოვნასა და მა
წარმოებას შორის განსხვავების ზრდა, საგებით ნათელი ხდებ
კასპიის ნავთობის პოტენციალის მნიშვნელობა.

კასპიის ენერგორესურსებზე საკუთარი ინტერესებისა და კონტ
როლის გასავრცელებლად დასავლეთისათვის აუცილებელი იყო
ისეთი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავება, რომელიც მა
საშუალებას მისცემდა დაებალანსებინა რეგიონში რუსეთის მო
ნოპოლისტური პოზიციები ენერგეტიკის დარგში. ამის მიღწევა შეძ
ლებოდა დამოუკიდებელი მილსადენების შექმნით, რათა არც ერ
ქვეყანას არ ჰქონოდა კასპიის ნავთობის საექსპორტო მარშრუტების
ერთპიროვნული კონტროლის საშუალება.

ნატოს მომავალი გაფართოების ფონზე რუსეთისაგან დამოუკიდე
ბელი ნავთობსადენის შექმნა დამატებით სტრატეგიულ მნიშვნელობას
იძენდა. კერძოდ, საჭირო იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპ
იდან ნატოს მომავალი წევრების ენერგეტიკული უსაფრთხოების
უზრუნველყოფა. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა პოლონეთი, რუმინე
თი, ბულგარეთი და უკრაინა კასპიის ენერგორესურსებში ხედავდნენ
რუსეთისაგან თავიანთი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ გა
რანტს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნატოს
აღმოსავლეთ ფლანგზე განლაგებული თურქეთი და უკრაინა, რომ
ლებიც თითქმის მთლიანად იყვნენ დამოკიდებული რუსეთიდან
გაზის იმპორტზე.

ამ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე
ნატოს წამყვანმა სახელმწიფომ – აშშ-მა უკვე 1990-იანი წლების
დასაწყისისათვის ჩამოაყალიბა თავისი მიზნები სამხრეთ კავკასიის
და შუა აზიის ქვეყნების მიმართ. საწყის ეტაპზე ეს გახლდათ 3
პრინციპი:

- რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის
მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით ნავთობი განიხილებოდა, როგორც
ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევი მნიშვნელოვანი ფაქ
ტორი, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ არა მხოლოდ ნავთო
ბის მწარმოებელმა ქვეყნებმა (აზერბაიჯანი და ყაზახეთი), არამედ
მომავალი ექსპორტის მარშრუტებზე განლაგებულმა მეზობელმა

სახელმწიფოებმაც (საქართველო, სომხეთი);

- ნავთობის საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაცია, რათა გამოირიცხოს ერთი რომელიმე ქვეყნის მიერ ნავთობის ტრანსპორტირების მონოპოლიზაცია. ამ კონტექსტში მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ კასპიის რეზერვების სრული ამოქმედება შესაძლებელი უნდა გამხდარიყო უკვე 2005 წლისათვის, რისთვისაც საჭირო იქნებოდა უდიდესი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

- აშშ-ის კომპანიების მონაწილეობა ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტში. ამას, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო აშშ-ის პოზიციების გაძლიერებისათვის კავკასიასა და შუა აზიაში, ხოლო მეორე მხრივ – ამ რეგიონის ჩართვისათვის მსოფლიო ბაზარში.

რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის მხარდაჭერისას აშშ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთს გულისხმობდა, რომელიც სწორედ ენერგეტიკას მიიჩნევდა ყოფილ საბჭოთა სივრცეში თავისი გავლენის შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად. გარდა ამისა, აშშ-ის აქტიური ჩართვა ამ პროექტში ითვალისწინებდა ირანის იზოლირებას, რომელსაც აშშ ტერორიზმისა და ფუნდამენტალისტური იდეების გავრცელებაში სდებდა ბრალს.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად აშშ-მა სწრაფად დაიწყო შესაბამისი მექანიზმების შემუშავებაც. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა აქტიურ დიპლომატიას რეგიონში. აშშ-ის საელჩოების თანამშრომლებიდან დაწყებული და ამერიკის პრეზიდენტით დამთავრებული, ყველა ჩაერთო ამ „ფერხულში“. რეგიონის ქვეყნებში დაიწყო აშშ-ის ადმინისტრაციის, კონგრესის, სხვადასხვა უწყებებისა და ფირმების წარმომადგენელთა რეგულარული ვიზიტები. მიმომხილველების აზრით, „ადრეული ნავთობის“ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მარშრუტებით (რუსეთისა და საქართველოს გავლით) ტრანსპორტირების შესახებ პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1995 წლის ოქტომბერში, აშშ-ის პრეზიდენტის ბ.კლინტონისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰ. ალიევის შეხვედრის დროს.

აშშ-ის ადმინისტრაციის ინიციატივით კასპიის ნავთობთან დაკავ-

შირებული პროექტების მომზადება და განხორციელება დაევალა სხვადასხვა სამთავრობო და ფინანსურ ინსტიტუტებს.

რეგიონის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი დახმარების პროგრამების განხორციელება დაიწყეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა (სსფ და მსოფლიო ბანკი), რომლებიც შეუდგნენ ამ ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური ცხოვრების მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ტექნიკური დახმარების პროგრამები, რომელთა მიზანი იყო თანამედროვე ინფრასტრუქტურების შექმნა.

კასპიის ენერგორესურსების მიმართ თავისი პოზიციის ჩამოყალიბება ადრეულ ეტაპზე დაიწყო თურქეთმაც, რომელიც დასავლეთის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა მიმომხილველმა დაახასიათა, როგორც „მომავალი 50 წლისათვის ნატოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე“(5).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა ისტორიული კავშირებისა და პოზიციების აღდგენა კავკასიასა და შუა აზიაში. თურქეთმა, რომელიც ამ რეგიონის თურქულენოვანი ქვეყნებისათვის მისაბაძ მოდელადაც გამოიყურებოდა, დროის მცირე მონაკვეთში შეძლო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარება რიგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის განსაკუთრებული ინტენსიურობით – აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. 1993–1995 წლებში საქართველომ გააფორმა თურქეთთან რიგი მნიშნელოვანი ხელშეკრულება, რომლებმაც „მწვანე შუქი“ მისცეს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. თურქეთი იქცა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ დონორადაც, რომელმაც იმავე პერიოდში გამოუყო ჩვენს ქვეყანას მრავალმილიონიანი კრედიტები.

კავკასიასა და შუა აზიაში თავისი გავლენის გაძლიერების ყველაზე ეფექტურ მექნიზმად თურქეთმა აირჩია თავის ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობა, რომელმაც დასავლეთისაკენ უნდა გაატაროს კასპიის ნავთობი. გარდა იმისა, რომ ეს პროექტი დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანს თურქეთს, იგი მას საშუალებას მისცემს დააბალანსოს რეგიონში მისი ისტორიული მოწინააღმდეგის

– რუსეთის გავლენა. ამასთანავე, ნათლად იკვეთებოდა ის გარემოება, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ასეთი ნავთობსადენის მშენებლობა დაკავშირებული იქნებოდა მთელ რიგ რისკებთან. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ეკოლოგიური მოსაზრებებით ბოსფორის ყურეს არ შეუძლია გაატაროს დიდი მოცულობის ტანკერები, ნავთობსადენი უნდა აშენებულიყო იმ სახმელეთო მონაკვეთებზეც, სადაც ქურთი მეამბოხეები მოქმედებდნენ. ასევე რისკთან იყო დაკავშირებული ნავთობსადენის მშენებლობა არასტაბილური საქართველოს, ან ომში ჩართული სომხეთის გავლით. აშშ-ის ცნობილი პოზიციის გამო პრაქტიკულად თავიდანვე გამოირიცხა ირანის ალტერნატივა.

ამიერკავკასიისა და შუა აზიის ენერგეტიკული პოტენციალის მიმართ ყურადღების გამახვილება დაიწყო ევროკავშირმაც. 1995 წლის ნოემბერში ბრიუსელში, ევროკომისიის ეგიდით, ჩატარდა კონფერენცია სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში გაზისა და ნავთობსადენების მართვის თაობაზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დსთ ქვეყნებისა (მათ შორის საქართველოსი) და თურქეთის მაღალი დონის დელეგაციებმა, ასევე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ევროკომისიის „ტასისის“ პროგრამიდან მოხდებოდა ფონდების მობილიზება სპეციალური სამუშაო ჯგუფის – „ინოგატის“ შესაქმნელად, რომელიც ენერგეტიკის სფეროში პროექტების განხორციელებისას ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენდა რეგიონის ქვეყნებს.

როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა ნატოშია ინტეგრირებული, მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური ნიშნების გათვალისწინებით, ევროპელები აშშ-ს კონკურენტად მიიჩნევენ. „ინოგატის“ შემდგომ მუშაობაში სწორედ ამ კონკურენციის ელემენტები შეიმჩნეოდა კასპიის ენერგორესურსებთან მიმართებაში, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ამ ფაქტორის მნიშვნელობას, კერძოდ, ჩვენი ქვეყნისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის აღნიშნული დინამიური ინიციატივების ფონზე რუსეთმა, თავისი არაპრაგმატული პოლიტიკისა და რთული ეკონომიკური ვითარების გამო, ვერ შეძლო

შეეთავაზებინა რეგიონის ქვეყნებისათვის მიმზიდველი ალტერნატივა. რეგიონის მიმართ მის პოლიტიკაში აშკარად იგრძნობოდა ორი საპირისპირო მიდგომა. პირველი მათგანი წარმოადგენდა რუსულ-საბჭოთა იმპერიული სკოლის გადმონაშთს, რომელიც მეზობელ ქვეყნებში გავლენის შენარჩუნების საუკეთესო მეთოდად მიიჩნევდა სამხედრო ძალას, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გაღვივებასა და შემდგომ მათი მოგვარებისას მოსკოვის ცენტრალური როლის შენარჩუნებას. ამ მიმართულების წარმომადგენლები, რომელთაც წამყვანი პოზიციები ეკავათ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, აღიქვამდნენ დასავლეთის ჩართვას კასპიის ნავთობთან დაკავშირებულ პროექტებში, როგორც პოლიტიკურ დივერსიას. მეორე, ე.წ. პრაგმატული მიმართულების წარმომადგენლები, აცნობიერებდნენ რუსეთის შესაძლებლობათა შეზღუდულობას და აქცენტს აკეთებდნენ რუსული კომპანიების მონაწილეობაზე აღნიშნულ პროექტებში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კომპანია „ლუკოილის“ გადაწყვეტილება – მიერთებოდა 1994 წლის ე.წ. საუკუნის კონტრაქტს – რუსეთის საგარეო უწყებამ შეაფასა, როგორც არაკანონიერი ქმედება.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ პროექტების საწყის ეტაპზე დადგა საკითხი იმის თაობაზე, რომ დასავლეთის ქვეყნებს მოეხდინათ კასპიის რეგიონში თავისი საქმიანობის კოორდინაცია. ამ ძალისხმევის ერთერთი მთავარი მიზანი იყო რუსეთის ინტერესების გათვალისწინება, მისი კონსტრუქციული ჩართვა პროექტების განხორციელებაში და დაპირისპირების ელემენტების მინიმუმამდე დაყვანა. საუბარია კანონიერ ინტერესებზე, რომლებიც, ბუნებრივია, რუსეთს აქვს, როგორც უდიდეს სახელმწიფოსა და კასპიის რეგიონის ქვეყანას. დასავლეთი ამ მხრივ საწყისი ეტაპიდანვე აკეთებდა აქცენტს იმ გარემოებაზე, რომ ახალი „დიდი თამაში“ საერთო ჯამში ყველასათვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, რეალობა ადასტურებდა, რომ კასპიის ენერგორესურსების გამო სახეზე იყო დასავლეთისა და რუსეთის ინტერესების სერიოზული დაპირისპირების სიმპტომები, რასაც დესტაბილიზაციის ელემენტები შეჰქონდა რეგიონში. ნაწილობრივ ამ

დაპირისპირების გამოხატულება გახდა სამხედრო კონფლიქტი ჩეჩნეთში, რომელსაც უკავშირებდნენ რუსეთის მცდელობას, აღედგინა კონტროლი ამ რეგიონში გამავალ ნავთობის სატრანზიტო კომუნიკაციებზე. როგორც ფრანგული გაზეთი „ლე მონდი“ წერდა: „ბაქოზე ძლიერი ზეწოლისა და სახელმწიფო გადატრიალებების რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, რუსებმა 1994 წელს ხელიდან გაუშვეს აზერბაიჯანის ნავთობის „საუკუნის კონტრაქტი“, შაგრამ ისინი იმედს არ კარგავენ და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნავთობმა მათ ტერიტორიაზე გაიაროს. ეს რუსეთს წელიწადში მოუტანდა ნახევარ მილიარდ დოლარს და საშუალებას მისცემდა ამავდროულად გაეკონტროლებინა აზერბაიჯანი, რომელიც ბოლო ხანს სულ უფრო მიიწევს თურქეთისაკენ. ნავთობის ტრანსპორტირებისთვის არსებობს ორი ვარიანტი: „დასავლეთის გზა“ საქართველოს გავლით თურქეთსა და ხმელთაშუა ზღვისაკენ და რუსეთის „ჩრდილოეთის გზა“, რომელიც გადაკვეთს ჩეჩნეთს... სწორედ ეს გახდა სეპარატისტული ჩეჩნეთის ლიდერსა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მთავარი მიზეზი“(6).

ამ საკითხებზე დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება გავლენას ახდენდა კავკასიაში რეგიონულ თანამშრომლობაზეც, რადგან აიძულებდა ქვეყნებს, როგორც საკუთარი, ასევე „დიდი მოთამაშეების“ ინტერესთა გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინათ სხვადასხვა „ორიენტაციის ჯგუფები“. ასე, მაგალითად, კასპიის ნავთობის ფაქტორმა ხელი შეუწყო ერთი მხრივ რუსეთ–სომხეთ–ირანის, ხოლო მეორე მხრივ, აზერბაიჯან–საქართველო–თურქეთის „ვექტორების“ შექმნას, რომელთაგანაც ეს უკანასკნელი დასავლეთის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, ეს მხარდაჭერა ჯერ არ წარმოადგენდა იმ მასშტაბის ფაქტორს, რომელსაც შეეძლო დაებალანსებინა რუსეთის გავლენა. პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით იგი პროვოცირებას უკეთებდა რუსეთის რეაქციულ ძალებს, რომ გამოეყენებინათ „ურჩი მეზობლების“ წინააღმდეგ პოლიტიკური და ფიზიკური ზეწოლის მდიდარი არსენალი. უნდა აღინიშნოს, რომ მათი ეს აშკარად წინდაუხედავი ძალის პოლიტიკა საქართველოსა

და აზერბაიჯანის მკვეთრ უკურეაქციას იწვევდა და ხელს უწყობდა რუსეთისაგან მათ შემდგომ დაშორებას. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკაში სულ უფრო მეტად იგრძნობოდა დასავლური ორიენტაცია, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა ქვეყანასთან მზარდ თანამშრომლობასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, მათ შორის ნატოსთან, დაახლოებაში.

ამგვარად, ნავთობი, რომელიც მომავალში რეგიონის ქვეყნების კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო უნდა გამხდარიყო, ჯერჯერობით მძაფრი პაექრობის საგანს წარმოადგენდა. დასავლეთში შესაბამისად აფასებდნენ ამ სარისკო ვითარებას და ცდილობდნენ ისეთი ალტერნატივების მოძიებას, რომლებიც, როგორც რუსეთის, ისე რეგიონის ქვეყნების ინტერესებსაც დააკმაყოფილებდა. ასეთ კომპრომისულ ვარიანტად ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილება „ადრეული ნავთობისათვის“ ორივე ნავთობსადენის – „ჩრდილოეთისა“ და „დასავლეთის“ მარშრუტებით – მშენებლობის შესახებ. თუმცა ჯერ კიდევ ღია რჩებოდა „დიდი ნავთობის“ საკითხი.

ამავე დროს დასავლეთი მრავალმხრივ დახმარებას უწევდა რეგიონის ქვეყნებს მათი სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. პოლიტიკური და სამხედრო დახმარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენდა თანამშრომლობა ნაცო-ს ფარგლებში და პმპ.

1998 წლისათვის უკვე ნათლად იკვეთება კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებული პროექტების პერსპექტივები და კონტურები. ამ პერიოდისათვის უკვე მიმდინარეობს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა, რაც აღნიშნული პროექტების განხორციელების პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო. ნავთობის გარდა, დაიწყო აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით შუა აზიის (თურქმენეთის) გაზის თურქეთში ტრანსპორტირების საკითხის სერიოზული შესწავლა. ამასთან ერთად, პრაქტიკულ სახეს იძენდა ევროკავშირის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული „ტრასეკა“-ს და „ინოგატის“ პროექტები. ყოველივე ეს, საერთო ჯამში, სამხრეთ კავკასიისათვის ახალი გეოპოლიტიკური ფუნქციის მინიჭებაზე მიანიშნებ-

და, რაც ისტორიული „აბრეშუმის გზის“ თანამედროვე ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დასავლეთში სულ უფრო ღრმად აცნობიერებდნენ კავკასიის რეგიონისათვის მეტი ყურადღების მინიჭებისა და დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას. 1997 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბ-ნი ს. ტელბოტი აღნიშნავდა „...თუ ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები კავკასიასა და შუა აზიაში დადებით შედეგებს არ მოიტანს და არ მოგვარდება შიდა და სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტები, ეს რეგიონი შეიძლება იქცეს ტერორიზმის, რელიგიური და პოლიტიკური ექსტრემიზმის, ასევე, შესაძლებელია, ფართომასშტაბიანი ომის არენად. აშშ უაღრესად დაინტერესებულია, რათა ეს არ მოხდეს, რადგან საქმე ეხება რეგიონს, რომელიც „მოკალათებულია“ 200 მილიარდ ბარელ ნავთობზე“ (7).

იმავე წელს ს. ტელბოტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, კასპიის რეგიონი, როგორც ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი, უკვე აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შედიოდა (8). ამ და ანალოგიურ სხვა შეფასებებს სულ უფრო მეტად ეხმიანებოდა დასავლეთის სხვა ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები და პრაქტიკული ნაბიჯები.

უპირველეს ყოვლისა აშშ-ის პოლიტიკურ ცნობიერებაში აღნიშნული რეგიონის მიმართ მომხდარმა ცვლილებებმა ასახვა პოვა ამ ქვეყნის სამხედრო სტრატეგიაშიც. მაგალითად, 1998 წელს აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობამ საკმაოდ ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიის რეგიონის აშშ-ის ევროპული მთავარსარდლობის „მეურვეობაში“ გადაცემის შესახებ. შუა აზიაზე „პასუხისმგებლობა“ დაეკისრა აშშ-ის ცენტრალურ მთავარსარდლობას*. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პმპ-ის ფარგლებში 1997 წელს ყაზახეთში ჩატარებულმა ერთობლივმა სამხედრო ვარჯიშმა, რომელშიც მონაწილეო-

---

** აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიასა და შუა აზიას აშშ-ს არც ერთი რეგიონული მთავარსარდლობა არ ფარავდა.*

ბა მიიღო აშშ-ის 8 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა.

დასავლეთში სულ უფრო ნათლად აცნობიერებდნენ, რომ კასპიის ენერგორესურსების „გეოპოლიტიკურ თამაშში“ საქართველოს განსაკუთრებული როლის შესრულება შეეძლო. ამ გარემოებას ამერიკელი პოლიტოლოგი გ. ჰოვარდი სამი ფაქტორით ხსნიდა: 1) საქართველოს საკვანძო მდებარეობით ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტზე, რომელსაც კასპიის ნავთობის მთავარ საექსპორტო მილსადენად მიიჩნევდნენ; 2) საქართველოს ცენტრალური ადგილით ტრასეკას პროექტში, რომლისთვისაც ევროკავშირი მნიშვნელოვან სახსრებს გამოჰყოფდა; 3) ბაქო-სუფსის ნავთობსადენით, რომელსაც მთავარი საექსპორტო მარშრუტის ერთ-ერთ რეალურ ვარიანტად მიიჩნევდნენ.

საქართველოს სტრატეგიულ ადგილმდებარეობაზე მიუთითებდა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ბ-ნი ჯ. ბეიკერი 1997 წელს გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. იგი, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ „...ევროპასა და აზიას შორის განლაგებული ეს ქვეყანა, თავისი პორტებით შავ ზღვაზე, ცენტრალურ როლს შეასრულებს მსოფლიო ბაზარზე კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საქმეში..., ამიტომ საქართველოს უსაფრთხოება მნიშვნელოვანია ამერიკის უსაფრთხოებისათვის“ (9). სტატიის ავტორი ასკვნის, რომ აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა საქართველოსთან რაც შეიძლება მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირების დამყარება.

აღნიშნულის გათვალისწინებით იკვეთებოდა ორი განსხვავებული აზრი იმის თაობაზე, თუ რამდენად შორს შეიძლება წასულიყო ნატო კასპიის რეგიონსა და, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობებში. მაგალითად, გ. ჰოვარდი მიიჩნევდა, რომ უკვე ამ ეტაპზე აუცილებელი იყო ინტენსიური ფიქრი იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უნდა განესაზღვრა ალიანსს კავკასიისათვის აღმოსავლეთით გაფართოების გეგმებში. მისი აზრით, „...სპარსეთის ყურე და კავკასია მსოფლიოს ყველაზე არასტაბილური რეგიონებია. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ნატომ უგულვებელყოს ის პოტენციური საშიშროება, რომელიც დაკავშირებულია შემდგომ შესაძლო

არასტაბილურობასთან ნავთობით მდიდარ ამ რეგიონში“ (10)

გ. ჰოვარდი ასევე მიიჩნევდა, რომ ᲐᲛᲐ-ში მონაწილე ნატოს 27 პარტნიორი ქვეყნიდან მომავალში სწორედ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლექტიურ უსაფრთხოებას ექნებოდა ყველაზე დიდი გავლენა დასავლეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე.

ნატოს წევრი ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ჰოვარდის აზრით, ემატებოდა აღმოსავლეთ ევროპიდან ალიანსის მომავალი და პოტენციური წევრების – პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის უაღრესად დიდი დაინტერესება კასპიის ნავთობითა და გაზით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა მათ დამოკიდებულებას რუსეთის ენერგორესურსებზე. ნატოსათვის საკვანძო ქვეყნების – თურქეთისა და უკრაინისათვის, რომლებიც თითქმის მთლიანად იყვნენ დამოკიდებული რუსული გაზის იმპორტზე, ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების მოძიება ასევე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

აქედან გამომდინარე გ. ჰოვარდი აკეთებს დასკვნას, რომ კასპიის ნავთობსა და გაზთან დაკავშირებული პროექტების რეალიზაცია დღის წესრიგში დააყენებდა ტრანზიტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა მოითხოვდა თვით კაკკასიის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატოს ჩართვას. ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს ერთ-ერთ ავტორიტეტულ გაზეთში გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების მონიტორინგი შესაძლოა დაკისრებოდა ნატოს საჰაერო ბაზას თურქეთის ქალაქ ინჯირლიკში.

გ.ჰოვარდი ამავე კონტექსტში განიხილავს ნატოს როლის გააქტიურებას კავკასიის კონფლიქტების დარეგულირებაში: „...ბოსნიაში მიღწეულმა წარმატებამ უაღრესად გაზარდა ნატოს ავტორიტეტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ნატოს ჩართვა ამ რეგიონში (კონფლიქტების მოსაგვარებლად. ზ.ა.) დასავლეთის პოლიტიკოსთა მიერ სერიოზულად არ განიხილება... მართალია, კავკასიაში ნატოს სამშვიდობო ძალების წარგზავნა ამ ეტაპზე მეტად შორეულ პერსპექტივად გვესახება, მაგრამ არ შეიძლება ეს ვარი-

ანტი მთლიანად მოიხსნას დღის წესრიგიდან" – მიიჩნევდა გ.ჰოვარდი და იქვე აღნიშნავდა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი სულ უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ ალიანსის ჩართვას აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტების მოგვარებაში (11).

გ. ჰოვარდი სრულად აცნობიერებს კავკასიაში რუსეთის ფაქტორის მნიშვნელობასა და მის ნეგატიურ დამოკიდებულებას მოვლენათა აღნიშნული გზით განვითარების მიმართ. ამ კონტექსტში იგი მხარს უჭერს აშშ–ის ადმინისტრაციის პრინციპულ მიდგომას კასპიის ენერგორესურსების მიმართ, რომელიც ითვალისწინებდა ნავთობსადენების მრავალვარიანტულობას და გამორიცხავდა ერთი რომელიმე ქვეყნის მიერ საექსპორტო მარშრუტების მონოპოლიზირებას. ასეთი მიდგომა, გ. ჰოვარდის აზრით, მინიმუმამდე დაიყვანდა დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებას ამ რეგიონში. თუმცა, ისიც იმ აზრისა იყო, რომ სანამ ეს მოხდებოდა, კასპიის რეგიონსა და კავკასიას წინ საკმაოდ რთული და გაურკვეველი პერიოდი ელოდა.

დასავლეთის და კერძოდ ნატოს, წრეებში ამ პერიოდისათვის იკვეთებოდა საწინააღმდეგო აზრიც, რომლის მიხედვითაც ენერგორესურსებით დაინტერესების გამო არ იყო მიზანშეწონილი ალიანსის მეტი აქტიურობა კავკასიის რეგიონში. კერძოდ, აკადემიურ წრეებში ამ პოზიციის ერთ–ერთი დამცველი იყო ამერიკელი პოლიტოლოგი ქ–ნი რ. ბრონსონი, რომელიც ავტორია სტატიისა „ნატოს მზარდი როლი კავკასიასა და შუა აზიაში". მისი აზრით, „კასპიის რეგიონმა, რომელსაც მე–19 საუკუნის „დიდი თამაშის" შემდეგ მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია დასავლეთის პოლიტიკურ აზროვნებაში, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ნატოს"* (12).

სტატიის ავტორი აღნიშნავს კასპიის რეგიონზე ალიანსის გარანტიების გავრცელების შესაძლო პერსპექტივებს და მიუთითებს ნა-

---

** ქ–ნი ბრონსონი აშკარად ცდება, რადგან როგორც ცნობილია, ასევე მეორე მსოფლიო ომის დროს კასპიის ენერგორესურსების გაკონტროლება გერმანიის სამხედრო სტრატეგიის ერთ–ერთი პრიორიტეტი იყო.*

ტოს აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ ორი მიდგომისა თუ ტენდენციის ურთიერთდაპირისპირების საშიშროებაზე. პირველი მიდგომა არის ის, რომ ნატო უნდა ფართოვდებოდეს ბუნებრივად, თავისი შინაგანი ლოგიკის შესაბამისად. ასეთ ბუნებრივ პროცესად ქ-ნი ბრონსონი მიიჩნევს ალიანსში ცენტრალური ევროპის იმ ქვეყნების ინტეგრირებას, რომლებიც ევროპის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ.

მეორე ტენდენციის ამოსავალი წერტილი, ავტორის აზრით, ის არის, რომ ნატოს გაფართოების პროცესი შეიძლება მოხდეს ალიანსის რომელიმე არაწევრი ქვეყნის ან მოსაზღვრე რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. ქ-ნი ბრონსონი თვლის, რომ სწორედ ასეთ ტენდენციასთან გვაქვს საქმე კავკასიასა და შუა აზიასთან მიმართებაში, რომელთა ენერგეტიკული რესურსების მიმართ ნატო დაინტერესებას იჩენს. ამგვარად, ასეთი ქვეყნების შესაძლო ინტეგრირება ნატოს უსაფრთხოების სისტემაში იქნებოდა არა ალიანსის ბუნებრივი გაფართოების შედეგი, არამედ ენერგეტიკული ინტერესებით ნაკარნახევი სტრატეგიული გადაწყვეტილება. სწორედ ამ ორი მიდგომის დაპირისპირებაში ხედავს ქ-ნი ბრონსონი საშიშროებას ნატოს მომავლისათვის. კერძოდ, საუბარია სამი ტიპის რისკზე: 1. ნატო შეიძლება ჩათრეული აღმოჩნდეს კავკასიასა და შუა აზიაში არსებულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში; 2. რუსეთი, ირანი და ჩინეთი, რომლებსაც დამკვიდრებული ინტერესები აქვთ ამ რეგიონებში, სერიოზულ საფრთხედ აღიქვამენ ნატოს ექსპანსიას კავკასიასა და შუა აზიაში; 3. ალიანსის ცალკეული წევრი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებამ ამ რეგიონებში შეიძლება განხეთქილება შეიტანოს თვით ნატოს ერთიანობაში.

ამ ბოლო რისკთან დაკავშირებით ქ-ნი ბრონსონი აღნიშნავს, რომ ამ რეგიონების მიმართ ნატოს წევრი-ქვეყნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ აშშ და თურქეთი, მაშინ როცა ალიანსის სხვა წევრები ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდებიან კავკასიასა და შუა აზიაში თავიანთი როლის გაძლიერებას.

ავტორი, როდესაც ამ თეზისებს ავითარებს, მიდის დასკვნამდე, რომ ენერგორესურსების გამო ნატოს აქტიური „შესვლა“ კავკა-

სიასა და შუა აზიაში ალიანსის ფარგლებში შეიტანს ისეთ კონფლიქტურ ელემენტებს, რომლებიც არ ახასიათებს დღევანდელი ევროპის კონტინენტს. კერძოდ, თუ დღევანდელი ევროპის უსაფრთხოების მთავარ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ნატო-რუსეთის ურთიერთობების დარეგულირება, ალიანსის უშიშროების გარანტიების გავრცელება კავკასიასა და შუა აზიაზე ნატოს ახალი და პოტენციურად საშიში „მოთამაშეების“ (ჩინეთი, ირანი) პირისპირ დააყენებს.

კავკასიისა და შუა აზიის მიმართ თავშეკავებული დამოკიდებულებისაკენ ნატოს მოუწოდებდნენ ასევე ცნობილი ამერიკული ფონდის „რენდ კორპორეიშენის“ მეცნიერ-თანამშრომლები რ. სოკოლსკი და ტ. ჩარლიკ-პარლეი მათ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „სანამ ნატო კასპიის რეგიონში აღმოჩნდებოდეს“.

ჩვენი აზრით, ეს სტატია უფრო დეტალურ განხილვას საჭიროებს, რადგან მასში ჩამოყალიბებული მოსაზრებები და დასკვნები ფრიად დამახასიათებელია კასპიის ენერგოპროექტების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების გარკვეული წრისათვის*.

სტატიის ავტორები, როდესაც აანალიზებენ ნატოს ახალ ფუნქციებს ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის დამყარებისა და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებაში, ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვაზე, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ალიანსს კასპიის რეგიონში უშიშროების განმტკიცებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების ანალიზის შემდეგ კეთდება პირველი დასკვნა, რომ ამ თვალსაზრისით ალიანსის შესაძლებლობები ფრიად შეზღუდულია, რადგან აღნიშნული რეგიონის ქვეყნებისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს არა გარეშე აგრესია, არამედ შიდა დეზინტეგრაცია და სახელმწიფოებრიფი კოლაფსი. ამ კონტექსტში რეგიონის ქვეყნების მიმართ ავტორები ხმარობენ „არშემდგარი სახელმწიფოების“ (Failed States) ტერმინს.

** ასეთი განწყობილებები შეიმჩნეოდა და შეიმჩნევა ნატოს გარკვეულ წრეებშიც.*

სანამ აღნიშნული სტატიის სხვა დებულებებს განვიხილავდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ არასწორად მიგვაჩნია თეზისი, თითქოს რეგიონის ქვეყნებს არ ემუქრება გარეშე აგრესიის საფრთხე. მხედველობაში გვაქვს არა პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია (თუმცა ამის მაგალითის მოყვანაც შეგვიძლია. ზ.ა.), არამედ შენიღბული აგრესია. მაგალითისათვის, ალბათ, აფხაზეთიც უნდა კმაროდეს. ჩვენ ამით სრულებით არ გვსურს იმის მტკიცება, თითქოს რეგიონის ქვეყნების ყველა პრობლემა მხოლოდ გარეშე ფაქტორით იყოს გამოწვეული. რა თქმა უნდა კავკასიაში არსებობს სერიოზული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური თუ სხვა ხასიათის შიდა წინააღმდეგობები, რომლებიც უაღრესად ართულებენ სახელმწიფოებრივ მშენებლობას. მაგრამ გარეშე აგრესიის რისკი, ამა თუ იმ სახით, ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან.

ავტორები საერთოდ არ ეთანხმებიან იმ თეზისს, რომ კასპიის რეგიონში ადგილი აქვს „დიდ თამაშს“ ენერგორესურსებზე მონოპოლიის მოპოვების მიზნით. ამ კონტექსტში ისინი უარყოფენ მოსაზრებას, რომ თუკი ნატო არ შეავსებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში შექმნილ „სტრატეგიულ ვაკუუმს“, მაშინ ამას სხვა რეგიონული ძალები გააკეთებენ. ამასთან დაკავშირებით ისინი ამტკიცებენ, რომ არავითარი „...ვაკუუმი რეგიონში აღარ არსებობს, რადგან რუსეთს, თურქეთს, ირანსა და ჩინეთს უკვე საკმაოდ მტკიცედ აქვთ დაკავებული თავისი პოზიციები. მართალია, არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ჰეგემონურ ძალას, მაგრამ რეგიონის ქვეყნებიც უკვე ადაპტირებულნი არიან ასეთ ვითარებასთან და საკმაოდ კარგად ახერხებენ სხვადასხვა ინტერესთა შორის მანევრირებას“(13). გარდა ამისა, ავტორები მიიჩნევენ, რომ პოზიციების შესუსტების მიუხედავად, რუსეთი მაინც რჩება ამ რეგიონში წამყვან ძალად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსკოვი არ დაუშვებს დასავლეთის მიერ იქ თავისი გავლენის ჩანაცვლებას.

ვფიქრობთ, რომ საჭიროა ამ მოსაზრების კრიტიკული შეფასებაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის „მოთამაშეთა“ შორის ავტორებს გამორჩათ აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყ-

ნების დასახელება. არადა, ეს სწორედ ნატოს წევრი-ქვეყნებია*. ამ ქვეყნებს უკვე რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯები აქვთ გადადგმული რეგიონში და საკმაოდ სოლიდურ გავლენას ახდენენ პროცესების განვითარებაზე.

რაც შეეხება კრემლის „პოზიციების ჩანაცვლებას“, როგორც დასავლეთის, ასევე აღნიშნული რეგიონის საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები იმთავითვე ნათლად აცნობიერებდნენ, რომ რუსეთს სრული უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმ მასშტაბურ პროექტებში, რომელთა მიზანია სწორედ რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება. ასეთი თანამშრომლობა კი წარმოუდგენელია რუსეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ დღის წესრიგში იდგა კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებული პროექტებიდან არა რუსეთის გარიყვა, როგორც ამას აღნიშნული სტატიის ავტორები ეჭვობენ, არამედ მისი ინტერესების თანხვედრა რეგიონის სხვა ქვეყნებისა და „მოთამაშეების“ ინტერესებთან. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დასავლეთის, კერძოდ კი აშშ-ის, პრინციპული პოზიცია ნავთობსადენების მარშრუტების მრავალვარიანტულობის თაობაზე.

მაგრამ, თუკი რუსეთი გააგრძელებდა კასპიის რეგიონის როგორც მხოლოდ თავისი გავლენის სფეროს განხილვას, ხოლო დასავლეთის პოლიტიკას რეგიონში როგორც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ დივერსიას, ასეთი მიდგომა აშკარად გამოიწვევდა წინააღმდეგობას როგორც კასპიის რეგიონის ქვეყნების, ასევე დასავლეთის მხრიდან.

ამ კოტექსტში, ვფიქრობთ, საინტერესოა ზ.ბჟეზინსკის აზრი იმის თაობაზე, რომ „რუსეთის გარიყვა ამ სივრციდან (ანუ კასპიის რეგიონიდან. ზ.ა.) არც სასურველია და არც შესაძლებელი, ისევე როგორც სახიფათოა რეგიონის ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაპირისპირება რუსეთთან. რუსეთის აქტიური მონაწილეობა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში აუცილებელია ამ სივრცის სტაბილურობისათვის. უფრო მეტიც, რუსეთს, როგორც პარტნიორს და არა როგორც ერთპიროვნულ მბრძანებელს, უაღრესად სასარგე-

---

* *ალიანსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წევრი – თურქეთი ავტორებმა თვითონ დაასახელეს.*

ბლო ეკონომიკური ფუნქციის შესრულება შეუძლია“ (14).

აღნიშნული სტატიის ავტორები ცდილობენ სათითაოდ „გაცხრილონ“ ის არგუმენტები, რომლებიც კავკასიასა და შუა აზიაში ნატოს უფრო აქტიური მოქმედების სასარგებლოდ მეტყველებენ. კერძოდ, ისინი ეხებიან აშშ-ისათვის მეტად მგრძნობიარე თემას – ირანის პოლიტიკას და მიდიან დასკვნამდე, რომ ვაშინგტონისათვის ამ არასასურველი ქვეყნის გააქტიურება რეგიონში არ აღინიშნება და არც მომავალში არის მოსალოდნელი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ იმ არგუმენტებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანის მხრიდან არ აღინიშნება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ისლამური რევოლუციის ექსპორტის აშკარა ტენდენციები. გარდა იმისა, რომ ირანს თვითონ აწუხებს შიდა ეთნიკური პრობლემები, რუსეთის „ახლო საზღვარგარეთში“ ასეთი ექსპანსია აშკარად გამოიწვევდა თეირანის მოკავშირესთან – მოსკოვთან ურთიერთობების გაუარესებას, რასაც ირანისათვის მეტად უარყოფითი შედეგები ექნებოდა*.

ამასთანავე, სტატიის ავტორები, ჩვენი აზრით, სწორად მიუთითებენ, რომ ირანს არ შესწევს ეკონომიკური ძალა, რათა დამოუკიდებელი „თამაში“ აწარმოოს რეგიონში.

აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე ავტორების ასკვნიან, რომ ირანის გასანეიტრალებლად ნატოს კასპიის რეგიონში „შესვლა“ არ იქნებოდა გამართლებული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არგუმენტები არ არის ლოგიკას მოკლებული, მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნები აშკარად არასრულყოფილია. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც სტატიის ავტორებს გამორჩათ, ის არის, რომ კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებით რუსეთი და ირანი გარკვეული თვალსაზრისით „ერთი გუნდის მოთამაშენი“ არიან. შეიძლება გავიხსენოთ, თუ რაოდენ ემთხვეოდა ამ ორი ქვეყნის პოზიციები

---

* *ამ კონტექსტში შეიძლება მოვიხსენიოთ თუნდაც რუსეთის მიერ ირანისათვის შეთავაზებისა და ბირთვული ტექნოლოგიების მიწოდება.*

კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საკითხში. ირანი არც თავის დამოუკიდებელ „თამაშზე“ ამბობდა უარს. პირიქით, ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები აშკარად იმაზე მიუთითებენ, რომ ირანს მეტად ძლიერი ლობი ჰყავს როგორც დასავლეთის პოლიტიკურ, ასევე საქმიან წრეებში. სწორედ ისინი მუშაობენ და საკმაოდ ეფექტურადაც, რათა კასპიის ნავთობსადენების მარშრუტად „ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი“, ანუ ირანის ტერიტორია იქნას არჩეული. თუ რას ნიშნავს ირანის მიერ კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტზე კონტროლის დაწესება, დასავლეთმა თავად უნდა განსაჯოს.

სტატიის ავტორები ასევე ცდილობენ დეზავუალირება გაუკეთონ ნატოში გავრცელებულ იმ მოსაზრებას, რომ კასპიის რეგიონთან ალიანსის დაახლოებაში თურქეთმა უნდა შეასრულოს განსაკუთრებული როლი. ამის საწინააღმდეგოდ მოყვანილია შემდეგი არგუმენტები:

- თურქეთს არ ძალუძს მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლის შესრულება კასპიის რეგიონში ისეთი შიდა პრობლემების გამო, როგორიცაა ქურთთა სეპარატიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმის მომძლავრება და ეკონომიკური სისუსტე;

- თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს წარმოადგენს საბერძნეთთან დაძაბულობის დარეგულირება, მდგომარეობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ასევე ურთიერთობები სირიასთან, ირანთან და ერაყთან;

- გეოგრაფიული დაშორება შუა აზიის ქვეყნებთან ართულებს თურქეთის გავლენის გაძლიერებას ამ რეგიონზე;

- თურქეთს არ შესწევს უნარი განახორციელოს მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები რეგიონში;

- თურქეთის ამბიციამ – ითავოს პანთურქული იდეის განხორციელება – შეიძლება გამოიწვიოს კასპიის რეგიონის ქვეყნებში გაღიზიანება და წინააღმდეგობა ანკარის მიმართ;

- აღნიშნული რეგიონის ქვეყნებმა უკვე დაამყარეს პირდაპირი კავშირები დასავლეთთან, ამიტომ თურქეთის დამაკავშირებელი ფუნქცია უკვე მინიმუმადეა დაყვანილი.

თავს შევიკავებთ ყველა ჩამოთვლილი არგუმენტის კომენტირებისაგან და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ დებულებებში არ ფიგურირებს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი: კასპიის ენერგორესურსების ერთ-ერთ მთავარ მოშხმარებლად სწორად თურქეთი მოიაზრება, რომლის მზარდი ეკონომიკა და ენერგიის დეფიციტი კარნახობს ქვეყანას ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიების აუცილებლობას. სწორედ ეკონომიკური ფაქტორი განსაზღვრავს უმთავრესად კასპიის ენერგოპროექტებით თურქეთის დაინტერესებას. ამიტომ თურქეთის აქტიურ პოლიტიკას რეგიონში ამ ეტაპზე ალტერნატივა არ გააჩნია. იმას, რომ რეგიონის ქვეყნები გაგებით ეკიდებიან ამ პოლიტიკას, მოწმობს თურქეთთან მათი სამაგალითო თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სამხედრო სფეროშიც.

აღნიშნული არგუმენტების გარდა სტატიის ავტორებს მოჰყავთ ისეთი მონაცემები, რომლებიც ფაქტიურად უაზროდ ხდიან სხვა არგუმენტების ჩამოთვლას. კერძოდ, მათი მტკიცებით, კასპიის რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალი იმდენად შეზღუდულია, რომ იგი არ გაამართლებს დასავლეთის მხრიდან რისკის გაწევას. „...ნატოსათვის საკვანძო საკითხი ის არის, შეუძლია თუ არა კასპიის ნავთობს მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს დასავლეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე და ნავთობის მსოფლიო ფასებზე. კასპიის ნავთობისა და გაზის რეზერვები წარმოადგენენ მსოფლიოს საერთო ენერგეტიკული რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. ამ რეგიონში არის მსოფლიოს ნავთობის დადასტურებული რეზერვების მხოლოდ 2%. რეგიონმა ნავთობის მოპოვების მაქსიმუმსაც რომ მიაღწიოს, მისი ექსპორტის საერთო რაოდენობა ვერ გასცდება 2010 წლისათვის მსოფლიოში ნავთობის მოხმარების 4-6%“ (15).

ავტორები ასევე ამტკიცებენ, რომ უახლოესი 10-15 წლის მანძილზე აღნიშნული ენერგორესურსების კომერციალიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან მათი მოპოვება და ექსპორტი გაუმართლებლად ძვირი დაჯდება. გარდა ამისა აღინიშნება, რომ დასავლეთის ქვეყნებში ნავთობისა და გაზის ტრანზიტი უნდა მოხდეს არასტაბილური სახელმწიფოებისა და სარისკო რაიონების გავლით, რის

გამოც ნატო ვერ შეძლებს ტრანზიტის უსაფრთხოების გარანტირებას.

თუ ეს მონაცემები რეალობას შეესაბამება და კასპიის ნავთობისა და გაზის რაოდენობა მართლაც უმნიშვნელოა, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა სტატიაში იმის მტკიცებას, რომ ნატოსათვის კასპიის ენერგორესურსებით დაინტერესება დიდ გეოპოლიტიკურ რისკთანაა დაკავშირებული. თუ „ჩიტი ბდღვნად არ ღირს", ბუნებრივია, დასავლეთი ზედმეტი აგიტაციის გარეშეც არ გადადგამს სარისკო ნაბიჯებს. მაგრამ, როგორც კასპიის ენერგორესურსების შესახებ ბოლო მონაცემები მოწმობენ, საქმე ნამდვილად ანგარიშგასაწევ რეზერვებთან გვაქვს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. პოტენციურად მოსაპოვებელი რეზერვები, როგორც ჩანს, იმაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ამას რამდენიმე წლის წინ ვარაუდობდნენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტის – აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (AIOC) ყოფილი პრეზიდენტის ბ-ნ ტერი ადამსის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ კასპიის რეზერვები შეადგენს 40 მილიარდ ბარელს, ხოლო 2010 წლისათვის ამ ნავთობის დღიური წარმოება 3-5 მილიონი ბარელი იქნება, რითაც ოჯი მიუახლოვდება ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის წარმოების მასშტაბებს. „კასპიის რეგიონი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ნავთობის გლობალურ პოლიტიკაში, თუმცა ამ თვალსაზრისით ოჯი არ იქნება წამყვანი „მოთამაშე". ამ როლს კვლავ მყარად შეინარჩუნებს ახლო აღმოსავლეთი, ხოლო კასპიის ნავთობის წვლილი მსოფლიოს ნავთობის წარმოებაში შეადგენს 3-5%" (16).

მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავითარი სტატია ვერ დაარწმუნებდა დასავლეთის ნავთობის კომპანიებს, დააბანდონ კაპიტალი ამ ნამდვილად სარისკო რეგიონში.

მაგრამ თითქოს ნავთობის უმნიშვნელო რაოდენობა საკმარისი მიზეზი არ იყოს ნატოსათვის კასპიის რეგიონის მიმართ გულის ასაცრუებლად, სტატიის ავტორებს მოჰყავთ სხვა ისეთი არგუმენ-

ტებიც, რომლებიც სავსებით უპერსპექტივო ფერებით ხატავენ ამ რეგიონის მდგომარეობას. უახლოესი 10–15 წლის მანძილზე რ.სოკოლსკი და ტ. ჩარლიკ-პალეი კასპიის რეგიონს არც თუ ისე სახარბიელო მომავალს უწინასწარმეტყველებენ: ტრაიბალისტურ, ეთნიკურ და კლანობრივ დაპირისპირებებს, სიღარიბის მასშტაბების ზრდასა და სოციალურ ფენებს შორის მზარდ სხვაობებს, არასრულფასოვან პოლიტიკურ და სამოქალაქო ინსტიტუტებს, ჩამოუყალიბებელ ეროვნულ თვითმყოფადობას, ეკოლოგიური მდგომარეობის დეგრადაციას, პოლიტიკურ რეპრესიებსა და ძალაუფლების გადაცემის კონსტიტუციური მექანიზმების არარსებობას, სწრაფ დემოგრაფიულ ზრდას, მასიურ ურბანიზაციას, კონფლიქტებს მიწის, წყლის, ენერგიისა და მინერალური რესურსების განაწილებისათვის, ეთნიკურ სეპარატიზმს, ფართო კორუფციასა და დამნაშავეობას.

ასეთი პროგნოზის საპასუხოდ, რომელიც წყევლას უფრო ჰგავს, ვიდრე მიუკერძოებულ ანალიზს, ალბათ, უნდა ითქვას შემდეგი: დასავლეთის სახელმწიფოები იმიტომაც აკეთებენ უდიდეს აქცენტს კასპიის ენერგოპროექტების განხორციელებაზე, რათა ამ რეგიონის ქვეყნებმა შეძლონ განამტკიცონ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, განავითარონ ეკონომიკა, დასძლიონ არსებული თუ პოტენციური სირთულეები და ღირსეული ადგილი დაიკავონ საერთაშორისო თანამეგობრობაში.

მიუხედავად დახატული თითქმის აპოკალიპსური სურათისა, ავტორები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ მოვლენებს ლოკალური ხასიათის გამო „...მეტად მცირე სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება ნატოსათვის“. რაც შეეხება „...მცირე მასშტაბის ადგილობრივ კონფლიქტებს, ნაკლებად დასაშვებია, რომ მათი მოგვარება შესაძლებელი იყოს დასავლეთისა და რეგიონის სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენებით“ (17). ამ კონტექსტში კვლავ აღინიშნება, რომ ნატოს ჩართვა ამ კონფლიქტების დარეგულირებაში გამოიწვევდა მეტად სერიოზულ დაპირისპირებას ალიანსსა და რუსეთს შორის.

სტატიის ბოლოს ავტორები აკეთებენ საყურადღებო დასკვნას, რომ დასავლეთის პოლიტიკა კასპიის რეგიონში მიმართული უნდა

იყოს არა უშიშროების გარანტიების გავრცელებისკენ, არამედ ამ ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმების, სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობისაკენ. აღინიშნება, რომ „...ამ თვალსაზრისით ნატოს როლი საკმაოდ შეზღუდულია, რადგან ალიანსს არ გააჩნია სასიცოცხლო ინტერესები რეგიონში. ხოლო რაც შეეხება მის ისეთ ინტერესებს, როგორიცაა ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, კონფლიქტების დარეგულირება – ამ ეტაპზე მათ საფრთხე არ ემუქრება“ (18). მათი აზრით, აგრეთვე ძნელად ესადაგება რეგიონის პრობლემებს ნატოს ისეთი ახალი ფუნქციები, როგორიცაა მშვიდობის დამყარების მიზნით ძალის გამოყენება და სამშვიდობო ოპერაციები.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორთა შემდეგი დასკვნა: „კასპიის რეგიონის ვერცერთი ქვეყანა, საქართველოს შესაძლო გამოკლებით, ვერ შეძლებს უახლოეს წლებში უპასუხოს ნატოში გაწევრიანების მოთხოვნებს. რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, თუ გავითვალისწინებთ მისი შესაძლო ინტეგრირების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო შედეგებს, ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა უეჭველად არ დათანხმდება ალიანსში მის გაწევრიანებას“ (19).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კასპიის ენერგოპროექტების მიმართ აზრთა ამგვარი სხვაობის მიუხედავად, ნატო დგამდა პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს აღნიშნული საკითხზე ალიანსის ფარგლებში მსჯელობის დასაწყებად. ამ თემატიკის მიეძღვნა პირველი „მრგვალი მაგიდა“ თემაზე „კასპიის ზღვის ნავთობი და საერთაშორისო უსაფრთხოება“, რომელიც 1998 წლის 17–18 სექტემბერს გაიმართა ბრიუსელში. შეხვედრაში, რომლის ერთ–ერთი ინიციატორი საქართველო იყო და რომელიც ნატოს გენერალური მდივნის პირადი სამსახურის ხელშეწყობით მომზადდა, მონაწილეობდნენ პოლიტოლოგები, დიპლომატები, სხვადასხვა კომპანიისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საქართველოს მხრიდან – საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისა და ნატოსთან საქართველოს მისიის თანამშრომლები.

გაიმართა აზრთა ურთიერთგაცვლა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კავკასია–შუა აზიის რეგიონების ახალი ისტორიული როლი, მათი პოტენციალი და უსაფრთხოების რისკები, ნავთობსადენების შესაძლო მარშრუტები და ძირითადი გეოპოლიტიკური ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე, რომელმაც დასაბამი მისცა ნატოში საქართველოსათვის ამ მეტად აქტუალური პრობლემატიკის განხილვას, გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭირო იყო აღნიშნულ „მრგვალ მაგიდაზე“ დაწყებული პროცესის გაგრძელება და მისთვის უფრო მიზანდასახული ხასიათის მინიჭება, რამაც ასახვა პოვა ეაპს–ის შემდგომ სამუშაო გეგმებში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული შეხვედრის თაობაზე ნატოს შესაბამისმა სამსახურებმა მოამზადეს სპეციალური ბრიფინგი ალიანსის გენერალური მდივნისათვის, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა სწვეოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონს.

ამგვარად, კასპიის ნავთობთან დაკავშირებულ რეალობებს რადიკალური ცვლილებები შეჰქონდათ დასავლეთისა და ნატოს ენერგეტიკული უშიშროების პოლიტიკაში, შესაბამისად მათ დამოკიდებულებაში რეგიონის ქვეყნების მიმართ. მას შემდეგ, რაც რეგიონში გამოიკვეთა ახალი რეალობა – აზერბაიჯანში ბოლო ხანს აღმოჩენილი შახდენიზის უმნიშვნელოვანესი გაზის საბადოები, ამ პოლიტიკამ დამატებითი განზომილება შეიძინა.

#3. საქართველო – ნატოს თანამშრომლობა: მოვლენათა ქრონოლოგია, ახალი ინიციატივები

აღსანიშნავია, რომ ნატოსთან საქართველოს კონტაქტების გაფართოება ძალას იკრეფდა მიუხედავად დასავლეთის მიმართ იმ გარკვეული გულნაკლულობისა, რომელიც იგრძნობოდა საქართველოს პოლიტიკურ წრეებში აფხაზეთში სამხედრო დამარცხების შემდეგ. კერძოდ, ჩვენში საკმაოდ გავრცელდა აზრი, რომ

დასავლეთი მოვალე იყო არა მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით, არამედ უფრო ქმედითი ზომებითაც დაეცვა საქართველო გარეშე აგრესიისაგან. ქმედით ზომებში, როგორც წესი, მოიაზრებოდა არა უშუალო სამხედრო დახმარება, არამედ ზეწოლა რუსეთზე, რათა ამ უკანასკნელს დაეცვა საქართველოს ინტერესები აფხაზეთის კონფლიქტში. ფაქტია, რომ ასეთი დახმარების მოლოდინი დაკავშირებული იყო ე. შევარდნაძის პიროვნებასთანაც, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ევროპის გაერთიანებაში.

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი აფხაზეთის კონფლიქტში დასავლეთის პოზიციისა და მისი გარკვეული თავდაჭერილობის შესახებ რუსეთის მიმართ. ასეთი პოზიციის ობიექტური მიზეზების მიუხედავად, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ დასავლეთის მეტნაკლებად პასიურმა პოლიტიკამ, კერძოდ კავკასიაში სეპარატისტული პროცესების მიმართ, ხელი შეუწყო ამ პროცესების გაღრმავებას არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არამედ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ხაზგასმით აფრთხილებდა როგორც რუსეთის ხელმძღვანელობას, ასევე დასავლეთის ქვეყნებს.

საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების მთავარი მიზეზი გახდა აფხაზეთში დამარცხება, რაც გარკვეულმა პოლიტიკურმა წრეებმა მტკივნეულად აღიქვეს*. ამ უარყოფითი დამოკიდებულების ობიექტად გარკვეულწილად იქცა დასავლეთიც, როგორც „მომხდარი ტრაგედიის პასიური მონაწილე". ასეთ ვითარებაში და ქვეყნის ურთულესი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველო იძულებული გახდა გარკვეული დათმობების ფასად ეცადა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

ამგვარად, საქართველოს ურთიერთობები ალიანსთან ამ ეტაპზე

**უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთში გაგებით შეხვდნენ საქართველოს გადაწყვეტილებას დსთ-ში გაწევრიანების შესახებ. მაგალითად, ამ ნაბიჯს მხარი დაუჭირა 1993 წლის დეკემბერში თბილისში სტუმრად მყოფმა ბ.ბუტროსმა, რომელსაც ნამდვილად ვერ დავაბრალებთ რუსეთის მიმართ ლოიალობას.*

ვითარდებოდა იმ სირთულეებისა და წინააღმდეგობების ფონზე, რომელიც ახასიათებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

მიუხედავად ამისა, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაგრძელების და კონფლიქტების დარეგულირების საქმეში დაგროვილი გამოცდილების შესწავლის კარგ საშუალებას იძლეოდა ნატოში გამართული მაღალი დონის შეხვედრები. კერძოდ, 1995 წლის 6 დეკემბერს, ნატოს შტაბბინაში გაიმართა ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ.

ტრადიციულად აღნიშნულ შეხვედრას წინ უსწრებდა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა, რომელზეც ალიანსის გენერალური მდივნის პოსტზე დაამტკიცეს ბ-ნ ხ. სოლანას კანდიდატურა. საყურადღებოა, რომ ესპანეთი, საფრანგეთის მსგავსად, იმ პერიოდში არ მონაწილეობდა ნატოს ინტეგრირებულ სამხედრო ხელმძღვანელობაში. ამდენად, ესპანეთის წარმომადგენლის ამ თანამდებობაზე დანიშვნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო ალიანსის ისტორიაში.

ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა იმსჯელეს ბოსნიაში შექმნილ მდგომარეობაზე. კერძოდ, ხაზი გაუსვეს აშშ-ის დიპლომატიის წარმატებას და მიესალმნენ დეიტონის შეთანხმებას, რომელიც სახავდა ბოსნიის კონფლიქტის მოგვარების რეალურ პერსპექტივებს. შეხვედრის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნატოს გაფართოების პროცესს.

ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ა.ჩიკვაიძემ ხაზი გაუსვა საქართველოში მიმდინარე სტაბილიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესს, ასევე 1995 წლის ნოემბერში ჩატარებული საყოველთაო არჩევნების მნიშვნელობას. მის გამოსვლაში მთავარი აქცენტი გაკეთდა აფხაზეთის საკითხზე. კერძოდ, ბ-ნ ე.შევარდნაძის 26 ნოემბრის განცხადების შესაბამისად, პარალელი იქნა გატარებული ბოსნიისა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის იმ კონტექსტში, რომ ბოსნიის სამშვიდობო პროცესის გამოცდილების გამოყენება საჭირო იყო სხვა კონფლიქტების, მათ შორის აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. საქართველოს წარმომადგენელმა ასევე მიუთითა,

რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო ყველა საერთაშორისო სტრუქტურების, განსაკუთრებით კი ნატოს, გაერო-სა და ეუთო-ს მჭიდრო და ფუნქციონალური თანამშრომლობა.

ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებდა გამოსვლის ის ნაწილი, რომელშიც გაშუქებული იყო საქართველოს პოზიცია ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გატარდა ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალური აზრი იმის თაობაზე, რომ ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მცირე ქვეყნების ინტერესებიც. ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილება ეხმაურებოდა საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ცენტრალურ ევროპაში ნატოს გაფართოებას შესაძლოა მოჰყოლოდა რუსეთის გავლენის გაძლიერება ყოფილ საბჭოთა სივრცეში. „...ნატოს გაფართოება გარდუვალია, მაგრამ ამან არ უნდა შექმნას ახალი გამყოფი ხაზები ევროპაში. ამისათვის ნატო-რუსეთის დიალოგთან ერთად საჭიროა კონსულტაციების წარმოება მცირე ქვეყნებთანაც, რადგან მცირე ქვეყნები ხანდისხან „პაიკებად" მოგვევლინებიან „დიდ თამაშში". მაგრამ პაიკების შეწირვა მხოლოდ ჭადრაკშია გამართლებული და არა რეალურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ჩვენს საუკუნეში" – ნათქვამი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში (20).

მინისტრების აღნიშნულ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ნატოს საბჭომ მოიწონა საქართველო-ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის საპროგრამო დოკუმენტის პროექტი. თავის გამოსვლაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა თანხმობა ამ დოკუმენტზე, რის შედეგადაც იგი საბოლოოდ შევიდა ძალაში.*

პოლიტიკური კონსულტაციების სფეროში საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1996 წლის 2 დეკემბერს ალიანსის შტაბბინაში 16+1 ფორმატით ჩატარებული შეხვედრა. როგორც უკვე აღინიშნა, პმპ-ის ფუძემდებლური დოკუმენტი ითვალისწინებს ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ამგვარი *დახურული* სახის შეხვედრების ჩატარებას

*აღნიშნულ დოკუმენტზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე. ასეთი შეხვედრები იმართება პარტნიორი ქვეყნის საგანგებო მოთხოვნის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუკი მიჩნეული იქნება, რომ ესა თუ ის საკითხი ან მოვლენა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

საქართველოს აზრით, სწორედ ასეთი იყო ის საკითხები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დელეგაციამ გამოიტანა განსასჯელად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე.

ამ ავტორიტეტულ ფორუმზე უშიშროების სფეროში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის, ასევე რეგიონული და სხვა პრობლემების მიმართ საქართველოს პოზიციების გაშუქება წარმოადგენდა სერიოზულ განაცხადს იმის თაობაზე, რომ საქართველო განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, კერძოდ კი ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობაზე.

წარმოადგინა რა ევროპის უსაფრთხოების პრობლემატიკის თავისებური ხედვა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ი. მენაღარიშვილმა უპირველეს ყოვლისა გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭირო იყო ნაწი-ს გარდაქმნა პოლიტიკური კონსულტაციების ფორუმიდან პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიმღებ და განმახორციელებელ მექანიზმად. ამ საკითხს საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ნაწი-ს უსაფრთხოების განზომილების გაძლიერება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთერთ მთავარ პრიორიტეტად განიხილებოდა. ამ კონტექსტში გამოითქვა აშშ-ის ახალი ინიციატივის მხარდაჭერა – ნაწი-სა და ჰმპ-ის გაერთიანების საფუძველზე ახალი ორგანოს – *ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპს)* შექმნის თაობაზე. აღინიშნა, რომ ეს ახალი ორგანო, ეუთო-სთან ერთად, ევროპის უშიშროების არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი უნდა გამხდარიყო. ხაზი გაესვა ეაპს-ის კონცენტრირების აუცილებლობას უსაფრთხოების აქტუალურ თემებზე და რეგიონულ პრობლემატიკაზე, კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალით მშვიდობის დამკვიდრება, იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორიზმი და სხვა. ამ კონტექსტში ითქვა, რომ საქართველოს ინტერესებში შედიოდა ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობა სამშვიდობო ოპერა-

აციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, სასაზღვრო ინფრასტრუქტურისა და პერსონალის მომზადებაში, მონაწილეობა დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში (PARP).

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო იმ პოზიციის დაფიქსირება, რომ საქართველო ამ პროცესს განიხილავდა, როგორც ალიანსისა და მასში გაწევრიანების მსურველი ქვეყნის პრეროგატივას. ამ თვალსაზრისით საქართველო ეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ ნატოს გაფართოება წარმოადგენდა ალიანსის თანამედროვე რეალობებთან ადაპტირების შემადგენელ ნაწილს.

ამავე დროს, ალიანსის გაფართოების მიმართ რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქართველომ დაადასტურა ნატოსა და რუსეთს შორის კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელებით დაინტერესება იმ სპეციალური ორმხრივი მექანიზმის (სავარაუდოდ – ქარტიის) ფარგლებში, რომელზეც უკვე საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ნატოს კულუარებში. ხაზგასმით ითქვა, რომ ნატო–რუსეთის თანამშრომლობა აღნიშნული ახალი ორგანოს ფარგლებში უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების გარკვეული გარანტია იმ პარტნიორი ქვეყნებისათვის, რომლებზეც განსაკუთრებულ გავლენას ახდენდნენ რუსეთში შემორჩენილი იმპერიული აზროვნებისა და ქმედების ელემენტები. საქართველოს აზრით, ქარტიაში უნდა „ჩადებულიყო“ ისეთი მექანიზმები, რომლებიც არ დაუშვებდნენ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მიმართ ამა თუ იმ ფორმით ზეწოლის განხორციელებას.

ამ თვალსაზრისით გარკვევას საჭიროებდა საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი: თუ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების გარანტიები მოიაზრებოდა ნატოს მოსალოდნელი გაფართოების კონტექსტში, ხოლო ნატო–რუსეთის ურთიერთობების დარეგულირება – სპეციალური ქარტიის მეშვეობით, მაშინ ევროპის უსაფრთხოების ახალი კონცეფციის ფარლებში სად იყო იმ პარტნიორი ქვეყნების ადგილი, რომლებიც ამ ეტაპზე არ აყენებდნენ საკითხს ალიანსში თავიანთი გაწევრიანების შესახებ?

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციამ ნატოს საბჭოს ყურადღება გაამახვილა ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობაზე. უპირველეს ყოვლისა, აღინიშნა დემოკრატიული და საბაზრო რეფორმები დასავლური ტიპის დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ამ თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული ქვეყანა იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზეც, რომ საქართველო პრაქტიკულად ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, რამაც მორალური უფლება მისცა ბ-ნ ე.შევარდნაძეს წამოეყენებინა ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ.

ამ კონტექსტში ხაზი გაესვა იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული დემოკრატიული ფასეულობები საჭიროებდნენ დასავლეთის, კერძოდ ნატოს, შესაბამის შეფასებასა და მხარდაჭერას. გარდა ამისა, საუბარი წარიმართა საქართველოს ახალ ფუნქციებზე, რომლებიც დაკავშირებულია სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებთან. ნატოს საბჭომ ყურადღებით მოისმინა ინფორმაციები ევრაზიული სატრანზიტო პროექტის (ტრასეკა) განხორციელებისა და კასპიის ენერგომატარებლებთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ თუკი დასავლეთს აინტერესებდა ენერგიის ალტერნატიული წყაროები, საჭირო იყო რეგიონის ქვეყნებისათვის მრავალმხრივი მხარდაჭერის აღმოჩენა მათი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული აღმშენებლობისათვის სტაბილური ვითარების შექმნის თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ საქართველოს წარმომადგენელმა ნატოს საბჭოს ყურადღება გაამახვილა იმ რეალურ და პოტენციურ საშიშროებებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონს. აღინიშნა, რომ რისკის ეს ფაქტორები საერთოდ სერიოზული პრობლემებით ემუქრებოდნენ დასავლეთის ინტერესებსაც, რადგან არასტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში მეტად უარყოფითად იმოქმედებდა ვითარებაზე მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში.

არსებული საშიშროებებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნა

რეგიონული კონფლიქტები. კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ხაზი გაესვა საქართველოს დაინტერესებას, მოხდეს სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაცია. ამ კონტექსტში დაისვა საკითხი პმპ-ის შესაძლებლობების გამოყენების შესახებაც.

მეტად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს პოზიციის დაფიქსირება რუსეთის როლის მიმართ სამხრეთ კავკასიაში. ნატოს საბჭომ, ჩვენი აზრით, დადებითად აღიქვა საქართველოს მზადყოფნა, გაგებით მოეკიდოს რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში, მაგრამ, ამავე დროს, იზრუნოს საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და უსაფრთხოების გარანტიებზე არა მხოლოდ რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების, არამედ ერთიანი ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში. ამ კონტექსტში წარიმართა გულახდილი საუბარი საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების და ასევე იმის შესახებ, თუ როგორ ესახებოდა ქვეყნის ხელმძღვანელობას სახელმწიფოს საზღვრების საკუთარი ძალებით დაცვის პერსპექტივები.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნატოს საბჭოს ყურადღების მიპყრობა იმ გარემოებაზე, თუ რაოდენ დიდ რისკზე მიდიოდა საქართველო, როდესაც ცდილობდა გაეტარებინა დამოუკიდებელი, დასავლეთზე ორიენტირებული სახელმწიფო კურსი. აღნიშნული კურსი იწვევდა ნეოიმპერიალისტური ძალების მძაფრ რეაქციას, რასაც კონკრეტული გამოვლინებები ჰქონდა. ეს გახლდათ ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობები, ეთნიკური და სოციალური წინააღმდეგობების ინსპირირება, ტერორისტული აქტები და სხვა.

სწორედ ის იყო აღნიშნული შეხვედრის მთავარი მიზანი, რათა სწორად შეფასებულიყო საქართველოს როგორც დადებითი პოტენციალი, ასევე მის წინაშე არსებულ რეალური საშიშროებებიც, რომელთა გადალახვა მხოლოდ დასავლეთის ქმედითი მხარდაჭერით იყო შესაძლებელი.

კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის პრობლემატიკის განხილვა რეგულარულად მიმდინარეობდა ელჩების სხდომებზეც. კერძოდ, ინფორმაციამ საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინიცია-

ტივის – „მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ 1996 წლის 11 მარტის სხდომაზე დამსწრეთა ყურადღება დაიმსახურა. საერთო ჯამში აღნიშნულმა ინიციატივამ მეტად დადებითი როლი შეასრულა ნატოში იმ აზრის ჩამოყალიბებაზე, რომ კავკასიაში სახეზე იყო სტაბილიზაციისა და პოზიტიური ცვლილებების სიმპტომები, რასაც მხარდაჭერა სჭირდებოდა. მაგალითად, იმავე წლის 30 მაისს ელჩების სხდომაზე ეუთო-ს წარმომადგენელმა გააკეთა ინფორმაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში მიღწეულ გარკვეულ პროგრესზე, რასაც „მეტად მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი“ უწოდა (21).

ნატო-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა პრეზიდენტ ე.შევარდნაძის და ალიანსის გენერალური მდივნის ბ-ნ ხ. სოლანას შეხვედრა, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 1996 წლის 23 აპრილს. შეხვედრაზე განიხილეს ევროპული უსაფრთხოების საკითხები, საქართველოსა და ზოგადად კავკასიის პრობლემატიკა, ნატოსთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობის მიმდინარეობა და პერსპექტივები. გენერალურმა მდივანმა ყურადღებით მოისმინა საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრებები ევროატლანტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის ნატოს მოსალოდნელი გაფართოების თაობაზე. ბ-მა სოლანამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ლიდერის რჩევებსა და წინადადებებს.

ბ-მა ხ. სოლანამ დაუდასტურა საქართველოს პრეზიდენტს, რომ 1997 წელს იგი ეწვეოდა ჩვენს ქვეყანას. ამგვარად, ეს ნატოს გენერალური მდივნის პირველი ვიზიტი იქნებოდა საქართველოში.

საქართველოსა და კავკასიის თემატიკამ საკმაოდ მძაფრად გაიჟღერა იმავე წლის 4 ივნისს ბერლინში გამართულ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზეც. კერძოდ, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის ბ-ნ ი.მენაღარიშვილის გამოსვლაში ყურადღება გამახვილდა „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივასა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხებზე ევრაზიური დერეფნის კონტექსტში. აღინიშნა საქართველოს, აზერბაიჯანს, თურქმენეთსა და უზბეკეთს შორის სატრანზიტო მიმოსვლასთან დაკავშირე-

ბით გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობაც. კვლავ გატარდა პარალელი ბოსნიასა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის.

საყურადღებოა, რომ წინა დღით, ანუ 3 ივნისს, გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გაიმართა ფართო მსჯელობა ალიანსის მიერ იმ „ახალი ამოცანების" შესრულების შესახებ, „რომლებიც სცილდება მის გეოგრაფიულ საზღვრებს". პრობლემის ასეთი ფართო კუთხით განხილვა იმაზე მიუთებდა, რომ ალიანსის კონცეფტუალური მიდგომა ამ საკითხში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციით. ამას ადასტურებდა მიღებული გადაწყვეტილებებიც. კერძოდ, ამ „ახალი ამოცანების" პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტების კოორდინაციის მიზნით გადაწყდა პოლიტიკური საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა. მინისტრებმა მოიწონეს ასევე კომბინირებული ძალების კონცეფცია (CJTF), რომელიც ბოლო წლების მანძილზე მუშავდებოდა ნატოს შესაბამის სამსახურებში. ეს სწრაფი და მობილური შეიარაღებული ძალები იქმნებოდა სწორედ სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად.

სხდომაზე ნატოს მინისტრების მიერ მიღებულ კომუნიკეში ხაზი გაესვა ალიანსსა და პარტნიორებს შორის უფრო აქტიური თანამშრომლობის აუცილებლობას რეგიონული უსაფრთხოების სფეროში, რაც უშუალოდ უპასუხებდა საქართველოს ინტერესს.

ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით აღნიშნულ კომუნიკეში კვლავ დადასტურდა ახალი წევრებისათვის „ღია კარის" პოლიტიკა, რისთვისაც ნატო თავის საქმიანობაში ისახავდა შემდეგ მთავარ მიმართულებებს: 1. ინტენსიური დიალოგი დაინტერესებულ პარტნიორებთან; 2. პმპ-ის შემდგომი გაღრმავება; 3. ახალი წევრების მოსალოდნელ მიღებასთან დაკავშირებით ნატოს შიდა სტრუქტურული ადაპტაცია.

მომდევნო დღეს ნაქსი-ს სხდომაზე ნატოს მინისტრების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და კომუნიკემ პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა დაიმსახურა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ რუსეთი და ბელარუსი. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა პრიმაკოვმა კვლავ დაადასტურა რუსეთის პოზიცია იმის თაობაზე, რომ პმპ-ის მეშვეობით ნატოს ახალი წევრების მომზადება და

ალიანსის გაფართოება ევროპაში ახალ გამყოფ ხაზებს წარმოქმნიდა, რაც საშიშროებას შეუქმნიდა კონტინენტის უსაფრთხოებას.

ევროატლანტიკური უსაფრთხოების პრობლემატიკა მსჯელობის მთავარ საგნად იქცა ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების შეხვედრებზე. ასე იყო 1996 წლის 11 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ ნაცო–ს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზეც, რომელშიც საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობდა.

ტრადიციულად ნაცო–ს ამ ფორმატით შეხვედრას წინ უსწრებდა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ალიანსის ახალი როლი და ფუნქციები ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში. დადასტურდა, რომ ალიანსში გაგრძელდებოდა შიდა სტრუქტურული ადაპტაციის პროცესი, მიიღებდნენ ახალ წევრებს, გაფართოვდებოდა და გაღრმავდებოდა თანამშრომლობა პარტნიორებთან, რაც ასევე ითვალისწინებდა უსაფრთხოების საკითხებზე რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მექანიზმის შექმნასა და უკრაინასთან განსაკუთრებული ურთიერთობების განვითარებას.

ამის გათვალისწინებით, აღნიშნულ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, წარედგინათ ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებისათვის წინადადება 1997 წლის 8–9 ივლისს მადრიდში ნატოს სამიტის ჩატარების შესახებ, რომელზეც განისაზღვრებოდა ალიანსის **XXI** საუკუნის გეზი და ევროატლანტიკური უსაფრთხოების მომავალი კონტურები. კერძოდ, სამიტის დღის წესრიგისათვის შეირჩა რიგი საკითხები, რომელთაგანაც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა:

- ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მოწვევა, რათა დაწყებულიყო პრაქტიკული მოლაპარაკებები ნატოში გაწევრიანების თაობაზე;
- თანამშრომლობის განვითარება პარტნიორ ქვეყნებთან და *ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს* შექმნა;
- რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება და ახალი ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა;
- უკრაინასთან ურთიერთობების გაღრმავება;
- კონფლიქტებთან დაკავშირებით პრევენტიული და კრიზისის

მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება.

ნატოს ეს ახალი ინიციატივები განხილვის საგნად იქცა მომდევნო დღეს, ანუ 11 დეკემბერს ნაქსი-ს ფორმატით გამართულ შეხვედრაზეც. მინისტრთა გამოსვლები ძირითადად სამ საკითხს ეხებოდა: ნაქსი-ს ხუთი წლის გამოცდილება, პმპ-ის შემდგომი გაღრმავება და ნატოს მოსალოდნელი გაფართოება. გამომსვლელთა აბსოლუტური უმრავლესობა (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოკლებით) მიესალმა 10 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ კომუნიკეს, მათ მოიწონეს ნაქსი-სა და პმპ-ის ფარგლებში მიმდინარე მუშაობა და ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურ-სამხედრო კომიტეტის შესაბამისი მოხსენებები. მხარდაჭერა დაიმსახურა ინიციატივამაც ეაპს-ის შექმნის თაობაზე.

აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს კვლავ მიეცა შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინა თავისი მიდგომები პმპ-ისა და ნაქსი-ს ფარგლებში მიმდინარე თანამშრომლობის მიმართ და ესაუბრა ქვეყნისათვის აქტუალურ თემებზე, კერძოდ აფხაზეთის პრობლემაზე, მისი დარეგულირების სირთულეებსა და პერსპექტივებზე.

საკმაოდ ოპტიმისტური ჟღერადობა ჰქონდა პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის წარმომადგენელთა გამოსვლებს, რომლებმაც გამოთქვეს იმედი, რომ ნატოს გაფართოების პირველი ტალღა სწორედ მათ ქვეყნებს შეეხებოდა.

საერთო პოზიციით წარსდგნენ ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებმაც კვლავ განაცხადეს ნატოში გაწევრიანების სურვილი. ანალოგიურმა სურვილმა გაიჟღერა აღმოსავლეთ ევროპის პრაქტიკულად ყველა სხვა ქვეყნის მინისტრთა გამოსვლებშიც.

რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბმა ე.პრიმაკოვმა თავის გამოსვლაში კვლავ გაიმეორა რუსეთის ცნობილი დამოკიდებულება ნატოს გაფართოების მიმართ. თუმცა, როგორც შემდგომ ნატოს კულუარებში აღნიშნავდნენ, კრიტიკის ტონალობა იმაზე მიუთითებდა, რომ რუსეთი უკვე შეგუებული იყო ამ გაფართოების გარდაუვლობის აზრს. რუსეთის მინისტრმა დადებითად შეაფასა ნაქსი-ს ხუთწლიანი საქმიანობა და პმპ-ის მსვლელობა.

ეაპს-ის შექმნასთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ ახალ სტრუქტურას არ უნდა მოეხდინა ეუთო-ს დუბლირება (22).

აღნიშნულ შეხვედრაზე მინისტრების მიერ დამტკიცებული „დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის 1996-1997 წლების სამუშაო გეგმა“ ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა განვითარება პოვა ნაესი-მ დღიდან მისი დაარსებისა და რა ფართო ხასიათი მიიღო ამ ორგანიზაციის საქმიანობამ. ასე, მაგალითად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოლიტიკური კონსულტაციების თემატიკა, რომელმაც მოიცვა უშიშროების პრობლემების ფართო სპექტრი. საქართველოსათვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო ამ განახლებული სამუშაო გეგმის პირველი თავის (პოლიტიკასა და უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები) ღონისძიებებით გათვალისწინებული პარტნიორი ქვეყნების რეგიონული საექსპერტო ჯგუფების შეხვედრები, რომლებიც ჩვენთვის აქტუალური საკითხების განხილვის საშუალებას იძლეოდნენ. კერძოდ, ასეთი განხილვებისათვის იგეგმებოდა „ადრეული კონსულტაციები იმ რეგიონულ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებსაც კრიზისში გადაზრდის პოტენციალი აქვთ“ (23). მნიშვნელოვანი იყო ასევე ეჩშძ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით ნატოს შტაბბინაში სამუშაო სემინარებისა და ექსპერტთა შეხვედრების, ასევე საინსპექციო ჯგუფების ვიზიტების პრაქტიკის დანერგვა, რაც ალიანსის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცევდა აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს პროცესს.

სამუშაო გეგმაში მეტი ყურადღება ეთმობოდა უსაფრთხოების ეკონომიკურ ასპექტებს. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ნატოში უფრო ნათლად აცნობიერებდნენ იმ ეკონომიკურ სირთულეებს, რომლებსაც განიცდიდნენ პარტნიორი ქვეყნები საბაზრო რეფორმების განხორციელებისას. ამ კუთხით, ანუ რეალობებთან დაახლოებით, განიხილებოდა თავდაცვის ბიუჯეტებთან დაკავშირებული საკითხებიც. მაგალითად, სამუშაო გეგმის ამ ნაწილში გაჩნდა ისეთი თემა, როგორიცაა „თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვა მაღალი ინფლაციის პირობებში“.

უფრო კონკრეტული გახდა ასევე მეცნიერების დარგში გეგმით

გათვალისწინებული სამუშაო თემები და ღონისძიებები. კერძოდ, პრიორიტეტულ მიმართულებებად მიიჩნიეს განიარაღებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, ეკოლოგიური უსაფრთხოება, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკა, კომპიუტერული ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი თემატიკით 1997 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისათვის დამონტაჟდა კომპიუტერულ-საინფორმაციო ქსელი და სატელიტური კავშირი, რის საფასურმა 250 ათასი დოლარი შეადგინა.

აღნიშნულ გეგმაში გაჩნდა ახალი საყურადღებო ელემენტი - მასში შეიტანეს ნატოს პოლიტიკურ-სამხედრო კომიტეტის ფარგლებში სამშვიდობო ოპერაციებთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო სამუშაო ჯგუფის (PMSC Ad Hoc Group on Cooperation in Peacekeeping) ღონისძიებები, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სამშვიდობო ოპერაციების ერთიანი კონცეფციებისა და მოთხოვნების შემუშავება, თანამშრომლობა სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციების ერთიანი ტექნიკური საფუძვლების შემუშავება.

შთამბეჭდავად გამოიყურებოდა გეგმის ის ნაწილიც, რომელიც ითვალისწინებდა 1996-98 წლებში სამხედრო ვარჯიშებისა და მათთან დაკავშირებული 120-ზე მეტი ღონისძიების ჩატარებას, თითქმის ნახევარს შეადგენდა პრაქტიკული სამხედრო წვრთნები ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით.

ჩვენს ქვეყანასა და ნატოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა *1997 წლის 11-12 თებერვალს ალიანსის გენერალური მდივნის ბ-ნ ხ. სოლანას ვიზიტი საქართველოში.* ეს ნატოს გენერალური მდივნის პირველი სტუმრობა იყო კავკასიის რეგიონში, ამიტომ მას, გადაჭარბების გარეშე, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა ნატოს მზარდ დაინტერესებას კავკასიის მიმართ, რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში. აღნიშნული დაინტერესება პროპორციულად იზრდებოდა, ერთი მხრივ რეგიონში მიმდინარე რეფორმებისა და კასპიის ენერგორესურსე-

ბის პროექტების რეალიზაციასთან, ხოლო მეორე მხრივ – ნატოს ტრანსფორმაციასა და პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოებასთან ერთად.

ვიზიტის ცენტრალური მოვლენა იყო ე. შევარდნაძისა და ხ. სოლანას შეხვედრები, რომლებზეც მათ განიხილეს კავკასიაში შექმნილ ვითარების, საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის, ჩვენი ქვეყნისა და ნატოს თანამშრომლობის საკითხები.

ნატოს გენერალურმა მდივანმა თავის ვიზიტამდეც განაცხადა, რომ მას განსაკუთრებით აინტერესებდა საქართველოს პრეზიდენტის აზრი ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით, ამიტომ ეს თემა მსჯელობის ერთ–ერთ მთავარ საგნად იქცა. ამასთან დაკავშირებით ბ–მა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ნატოს გაფართოების პრობლემას საქართველო განიხილავდა ევროპული უშიშროების ახალი სისტემის შექმნის კონტექსტში. ამას, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პატარა სახელმწიფოებისათვის. ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებული რუსეთის ცნობილი პოზიციის გამო ბ–მა ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „ინტეგრაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ევროპის სივრცეში, არც ერთი სახელმწიფოსა და რეგიონის წინააღმდეგ არ არის მიმართული და ემსახურება ყველა ქვეყნისათვის მისაღები ფორმით საყოველთაო უშიშროების გარანტიების შექმნას“ (24).

როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოს პრეზიდენტი და ნატოს გენერალური მდივანი თანამოაზრენი იყვნენ იმ თვალსაზრისით, რომ ევრაზიის ინტეგრაციული პროცესის განვითარებისათვის ხელის შეშლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ოღი ყველა ქვეყანას აძლევდა შანსს თავისი წვლილი შეეტანა უშიშროების სრულიად ახალი სისტემის შექმნაში. „გულწრფელად მივესალმები თქვენს გააზრებულ და აქტიურ საქმიანობას, ვინაიდან ოღი ეხმარება რეგიონებსა და ცალკეულ სახელმწიფოებს, გაერკვნენ ობიექტურ რეალობებში და ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია“ – განუცხადა ბ–მა ე.შევარდნაძემ სტუმარს (25).

როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, ე.შევარდნაძის

მოსაზრებები მისთვის უაღრესად საყურადღები იყო. მან განსაკუთრებით დააფასა ნატოს გაფართოებისათვის საქართველოს პრეზიდენტის აშკარა და ცალსახოვანი მხარდაჭერა, რაც, ე. შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ალიანსისათვის. სწორედ ამიტომ ბ-მა ხ.სოლანამ საქართველოში თავისი ვიზიტი შეაფასა, როგორც „ძალზე მნიშვნელოვანი“ (26).

როგორც გენერალურმა მდივანმა თავისი ვიზიტის შეფასებისას აღნიშნა, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეხვედრების დროს მას შეექმნა მკაფიო წარმოდგენა საქართველოსა და კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ. ეს კი საშუალებას მისცემდა ნატოს, წარემართა ურთიერთობა რეგიონთან სტაბილურობის დამყარებისა და უშიშროების პირობების შესაქმნელად.

გენერალურ მდივანთან შეხვედრებისას გამორჩეულად ფიგურირებდა აფხაზეთის თემა და ამ კონფლიქტში ნატოს მონაწილეობის შესაძლებლობა. საუბრებისას აშკარად ჭარბობდა ერთობლივი აზრი იმის თაობაზე, რომ კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარებისათვის საჭირო იყო ახალი რეზერვებისა და საშუალებების მოძიება და მათი ეფექტური გამოყენება.

ამ საკითხს ხ.სოლანა სპეციალურად შეეხო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისათვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუშიც. კერძოდ, კორესპონდენტის კითხვის საპასუხოდ, შესაძლებელი იყო თუ არა IFOR-ის გამოცდილების გამოყენება კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში, მან, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ სამშვიდობო ოპერაციების საყოველთაო მოდელი არ არსებობდა და რომ თითოეულ კონფლიქტს აქვს თავისი სპეციფიკა და მოწესრიგების საკუთარი გზები. ამასთან დაკავშირებით, გენერალურმა მდივანმა შეახსენა ქართველ მკითხველს, რომ ამ პერიოდისათვის ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მუშაობდა სამი სხვადასხვა მისია. კერძოდ, გაერო-ს კლასიკური მისია ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში, მეორე – ერთობლივი სამხედრო-სამოქალაქო მისია აღმოსავლეთ სლავონიაში, ასევე ნატოსა და სხვა ქვეყნების „სტაბილიზაციის ძალები“ (SFOR) და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინაში. მიუხედავად მათ შორის სრულ-

ტურული განსხვავებისა, ხ. სოლანას სიტყვებით, სამივე მისიას ახასიათებდა საერთო ნიშნებიც, რომლებიც აუცილებელია სამშვიდობო ოპერაციის წარმართვისათვის. ესენია ერთიანი მიზანი, მისი განხორციელების ნება და თითოეული ინსტიტუტისათვის ნათლად განსაზღვრული ამოცანები.

ამ კონტექსტში გენერალური მდივნის აზრით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ალიანსის წევრები და პარტნიორები უკვე ერთად მოქმედებდნენ. „...ფაქტია, რომ „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პროგრამით მიღებული გამოცდილებისა და ურთიერთშეთანხმების გარეშე ძალიან ძნელი იქნებოდა ამ სამშვიდობო ოპერაციის წარმოება, რომელშიც ამჟამად მონაწილეობს ნატოს არაწევრი 18 ქვეყანა. *განსხვავებულ გარემოში და განსხვავებული ფორმებით იგივე კრიტერიუმი შეიძლება მიესადაგოს აფხაზეთსაც.* გაერო და ეუთო უკვე მუშაობენ ამ საკითხზე, თუმცა საჭიროა განახლებული ძალისხმევა პროცესის გასაგრძელებლად და პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღწევად“ – განაცხადა მან (27).

როგორც ამ ინტერვიუდან ჩანს, ნატოს გენერალური მდივანი არ გამორიცხავდა ამა თუ იმ ფორმით ალიანსის ჩართვას აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში. რა ფორმით მოხდებოდა ჩართვა, ეს დამოკიდებული იყო ბევრ გარემოებაზე, მათ შორის ალიანსში მიმდინარე ტრანსფორმაციისა და ახალ რეალობებთან ადაპტაციის პროცესზე.

სწორედ ამ პროცესების გაშუქებაზე გააკეთა ბ-მა ხ. სოლანამ აქცენტი 12 თებერვალს თავის გამოსვლაში საქართველოს პარლამენტართა წინაშე*. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველო ხ. სოლანამ დაახასიათა, როგორც ნატოსათვის „კარგად ცნობილი და ჩამოყალიბებული პარტნიორი“. „დღეს ჩემი ვიზიტი – მიუთითა მან, – უნდა მიიჩნიოთ, როგორც გამოსახულება იმ მნიშვნელობისა, რასაც ჩვენ ვანიჭებთ საქართველოსთან

** საყურადღებოა, რომ ამჟერკავკასიის ქვეყნებში აღნიშნული ვიზიტისას ნატოს გენერალური მდივანი სიტყვით მხოლოდ საქართველოს პარლამენტში გამოვიდა.*

ურთიერთობას. ჩვენ გვინდა განვაგრძოთ და გავაღრმავოთ ეს ურთიერთობა“ (28).

ევროპული უშიშროების სისტემაში კავკასიის მნიშვნელობისა და მისი ახალი ადგილის დამკვიდრებაზე მიუთითებდა გენერალური მდივნის უმნიშვნელოვანესი განცხადება იმის თაობაზე, რომ „ევროპა ვერ იქნება ბოლომდე უსაფრთხო და ვერ გამოიყენებს სრულად საკუთარ პოტენციალს, თუ კავკასიის ქვეყნები დარჩებიან ევროპული უშიშროების სივრცის გარეთ“ (29)

გენერალური მდივანი შეეხო თავისი გამოსვლის მთავარ თემას - განახლებულ ნატოს როლს ახალი ევროპის მშენებლობაში და აღნიშნა, რომ გასულ ათწლეულში ალიანსმა ფუნდამენტურად შეიცვალა სახე და პოლიტიკა ახალი სტრატეგიული კონცეფციის საფუძველზე. მისი სიტყვებით, თუკი მანამდე ალიანსის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა წევრი ქვეყნების ტერიტორიების დაცვა, თანამედროვე რეალობაში „ჩვენი მიზანია შევიმუშავოთ საზღვრებს გარეთ უშიშროების გრძნობა“ (30)

ხ. სოლანამ განაცხადა, რომ თავისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა რჩებოდა ნატოს უმთავრეს ამოცანად. მაგრამ, ამავე დროს ალიანსში მოხდა იმის გაცნობიერება, რომ „ნატოს წევრთა უსაფრთხოება განუყოფლად არის დაკავშირებული იმ ქვეყნების უშიშროებასთან, რომლებიც შედიან ჩვენს რეგიონში და იზიარებენ ჩვენს ღირებულებებს. უშიშროება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ევროპაში და მის პერიფერიაზე არის სტაბილურობა“ (31).

როგორც გენერალური მდივნის ამ და წინა განცხადებებიდან ჩანს, ალიანსი ამიერკავკასიას უკვე მიიჩნევდა იმ რეგიონად, რომელთანაც პირდაპირ იყო დაკავშირებული მისი უსაფრთხოება. ამგვარად, ნატოს დღის წესრიგში შეჰქონდა ამ რეგიონში უსაფრთხოების გავრცელების და სტაბილურობის საკითხი.

სტუმარმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნატოს მოსალოდნელი გაფართოების თემას და იმის არგუმენტირებას, თუ რით იყო განპირობებული ეს პროცესი. უპირველეს ყოვლისა მან მიუთითა, რომ გაფართოების უმთავრესი იმპულსი მომდინარეობდა ცენ-

ტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. აქედან გამომდინარე, ნატოს გაფართოება, ხ. სოლანას განცხადებით, იმავე ჭრილში უნდა ყოფილიყო აღქმული, როგორც ევროკავშირის გაფართოების პროცესი: „ეს არის ევროპის ინსტიტუციონალური არქიტექტურის ბუნებრივი განვითარება იმ მიზნით, რათა მოიცვას ის ქვეყნები, რომელთაც უკვე თავისუფლად შეუძლიათ გამოკვეთილი წვლილის შეტანა ერთიანი ევროპის მშენებლობაში“ (32).

გენერალურმა მდივანმა კონკრეტულად დაასახელა გაფართოების „პირველი ტალღის“ დაწყების თარიღიც – 1999 წელი.

გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის თემას ნატოს გაფართოების კონტექსტში. ხ.სოლანამ წუხილით აღნიშნა, რომ რუსულ ცნობიერებაში ნატოსთან მიმართებით კვლავ რჩებოდა ბევრი გაუგებრობა და სტერეოტიპი, რომელთა დაძლევასაც ალიანსი ყოველნაირად ცდილობდა. ალიანსს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ საბოლოო ჯამში იგი ვერ შეძლებდა ევროპის სრულყოფილი უშიშროების უზრუნველყოფას, „თუ რუსეთი მარტოდმარტო დარჩებოდა ევროპის წინააღმდეგ“. სწორედ ამიტომ, განაცხადა სტუმარმა, ალიანსმა წამოაყენა ახალი ინიციატივა ნატოსა და რუსეთს შორის ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების დამყარების შესახებ, რის თაობაზეც უკვე დაწყებული იყო საუბარი რუსეთის მხარესთან. მან ასევე აღნიშნა ნატოსა და უკრაინას შორის კონსტრუქციული, ხანგრძლივი თანამშრომლობის განვითარების, როგორც ევროპული უშიშროების ახალი სისტემის მშენებლობის შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა.

ბ-ნ ხ. სოლანას საქართველოში წარმატებულ სტუმრობას* წინ უსწრებდა ნატოს ზოგი მაღალი დონის წარმომადგენლის ვიზიტი. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლიდან საკმაოდ

** აღნიშნული ვიზიტის განსაკუთრებულ ტონალობაზე ნატოს გენერალური მდივნისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვ.ნადიბაიძის ერთობლივი დილის გამაშხუებელი გარჯიშიც მიუთითებდა, რასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.*

სერიოზული ნაბიჯების გადაიდგა ნატოსა და საქართველოს შორის სხვადასხვა სახის კონტაქტების გაღრმავების მიზნით. კერძოდ, რეგულარული ხასიათი მიიღო ალიანსის წარმომადგენელთა ვიზიტებმა საქართველოში, რაც თანამშრომლობის ზრდის დინამიკის გასაშუქებლად, ჩვენი აზრით, მეტნაკლებად დეტალურ ჩამოთვლას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილის სერ ჯ. მაკკენზისა და ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის ბ-ნ ე. კრეგის ოფიციალური ვიზიტები, რომლებმაც შესაძლებლობა მისცეს საქართველოს, წამოეყენებინა მისთვის საჭირბოროტო საკითხები. შეხვედრების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფხაზეთის საკითხს და ამ მიმართულებით ნატოს პოლიტიკურ მხარდაჭერას, ხოლო ბოსნიის სამშვიდობო პროცესის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში – შესაძლო პრაქტიკულ დახმარებასაც პმპ-ის ეგიდით.

სისტემატურ ხასიათს იძენდა ნატოს ექსპერტთა ვიზიტებიც. 1995 წლის თებერვალში საქართველოს ეწვია ნატოს „საინფორმაციო ჯგუფი“ ბრიგადის გენერალ ა. არენას ხელმძღვანელობით. პმპ-ის გაცნობის მიზნით სტუმრებმა პრეზენტაციები გააკეთეს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, პარლამენტში, ასევე გენერალური შტაბის აუდიტორიის წინაშე. სექტემბერ-დეკემბერში საქართველოში იმყოფებოდნენ ნატოს პოლიტიკური და სამხედრო სამსახურების, ასევე ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სარდლობის დელეგაციები, რომლებმაც საქართველოს შესაბამის უწყებებთან ერთად დაიწყეს პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის (იპპ) მომზადება. აღნიშნული დელეგაციების შემადგენლობაში მყოფმა ექსპერტებმა მოინახულეს ქართული სამხარისო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილები და იპპ-ის მიზნებისათვის საქართველოს მიერ გამოყოფილი შენაერთები და ბაზები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტების იპპ-ის მოსამზადებლად გამოყენება ერთგვარი სიახლე იყო ნატოს პრაქტიკაში. ამ „ქართული მოდელის“ გამოცდილება მოიწონა ნატოს ხელმძღვანელობამ და შემდგომ სწორედ ამის მიხედვით დაიწყო სხვა პარტნიორი ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებზე მუშაობა.

უნდა აღინიშნოს ჩრდილო ატლანტიკური ასამბლეის დელეგაციის ვიზიტიც (26–29 აპრილს), რომელსაც ასამბლეის თავმჯდომარე ბ-ნი ლ.ბუგარდი ხელმძღვანელობდა. ვიზიტის შედეგად დამყარდა ურთიერთობა ორ პარლამენტს შორის, რამაც შექმნა პერსპექტივა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობისათვის*.

გახშირდა ნატოშიც საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტები. მაგალითად, 1995 წელს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ასევე მონაწილეობდნენ ერთობლივი ვარჯიშების დაგეგმვის ყოველწლიურ კონფერენციაში შეიპ-ში (ქ. მონსი, ბელგია) და საზღვაო ოპერაციათა სემინარ-ვარჯიშში საკლანტში (ნორფოლკი, აშშ).

იმავე წლის სექტემბერში განხორციელდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ნატოსა და შეიპ-ში. დელეგაციის წევრებს ჰქონდათ შეხვედრა გენერალურ მდივანთან ბ-ნ ჯ. კლაესთან, ნატოს პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან, ასევე ალიანსის წევრი რიგი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლობებთან.

სხვადასხვა სპეციალიზებულ შეხვედრა-სემინარებში მონაწილეობას იწყებენ საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებათა წარმომადგენლები. 1995 წელს საქართველოდან წარგზავნილთა პირველმა „ნაკადმა“ – 4 სამოქალაქო და 2 სამხედრო პირმა გაიარა სპეციალური კურსები ნატოს „მარშლის ცენტრში“ (გარმიში, გერმანია).

დაიწყო აქტიური მუშაობა ნატოს სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისითაც. 1995 წელს ნატოს პირველი სტიპენდიები გამოეყო 6 ქართველ მეცნიერს.

სამუშაო გეგმების მოცულობის ზრდასთან ერთად ფართოვდება საქართველოს თანამშრომლობა ნატოსთან. ამის ნათელ სურათს იძლევა 1996 წელს საქართველოს მონაწილეობით ჩატარებული

*1999 წელს საქართველოს ასოცირებული წევრის სტატუსი მიენიჭა ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეაში.

ღონისძიებების მიმოხილვა, რაც რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამოქალაქო უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობა პმპ-ისა და ნაქსი-ს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ სპეციალიზირებულ სხდომა-სემინარებში. რეგულარულ ხასიათს იძენს ჩვენს ქვეყანაში ნატოს პოლიტიკური და სამხედრო სამსახურების თანამშრომელთა ვიზიტებიც, რომლებიც უმთავრესად უკავშირდება იპპ-ის საკითხებს.

ნატოს ეგიდითა და ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში 1996 წელს გაიმართა პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული შეხვედრებიც აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ საერთაშორისო კონფერენციები – „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია" და „კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები".

აღნიშნული და სხვა შეხვედრების ჩატარებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს აშშ-ის მიერ 1996 წლიდან პმპ-ში მონაწილე პარტნიორი ქვეყნებისათვის გამოყოფილი საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა (ე.წ. ვარშავის ინიციატივა), რომლითაც საქართველო რეგულარულად სარგებლობს მომდევნო წლებშიც. კერძოდ, ამ თანხით, როგორც წესი, იფარება სხვადასხვა ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობის საერთო ხარჯების 80%.

#4. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (ეაპს)

საქართველო-ნატოს თანამშრომლობის დახასიათებისას აუცილებელია მოკლედ შევეხოთ 1997 წელს შექმნილ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს, რომელიც ნატოს ინტერესების პარტნიორი ქვეყნების მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მთავარ მექანიზმად განისაზღვრა და აერთიანებდა ყოფილ ნაქსი-სა და პმპ-ს.

ეაპს-ს დასაბამი მიეცა 1997 წლის 30 მაისს ქ. სინტრაში (პორტუგალია). ეს მოვლენა საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

საგარეო საქმეთა მინისტრების ამ შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ორგანიზაციის შექმნა არის თვისობრივად ახალი ნაბიჯი, რომლის მიზანია უფრო დინამიური და მრავალმხრივი პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება. ამავე დროს, მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება პმპ-ის „გაღრმავების" თაობაზე, რომელსაც ეაპს-ის ფარგლებში ინდივიდუალური ხასიათი უნდა მიენიჭებინა პარტნიორი ქვეყნების ნატოსთან თანამშრომლობისათვის. ამიერიდან ამ კონტექსტში აქცენტი კეთდებოდა ცალკეული ქვეყნების სპეციფიურ ინტერესებსა და ე.წ. თვითდიფერენციაციის პრინციპზე, რაც იმას გულისხმობდა, რომ პარტნიორებს თვითონ უნდა განესაზღვრათ თანამშრომლობის დონე და მისი შინაარსობრივი მხარე.

ასეთი მიდგომა უმთავრესად აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ აღნიშნული პერიოდისათვის უკვე გამოიკვეთა პარტნიორი ქვეყნების რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ნატოსთან თანამშრომლობის მიმართ. ასე, მაგალითად, ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები ამ თანამშრომლობას ნატოში გაწევრიანების ნიშნით უდგებოდნენ. ნატოსთან ინტეგრაციის მსურველთა შემდგომ „ეშელონში" იმყოფებოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ის ქვეყნები (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი), რომლებიც ცდილობდნენ მაქსიმალური შედეგი მიეღოთ ნატოსთან პოლიტიკურ-სამხედრო თანამშრომლობისაგან, მაგრამ იმ ეტაპზე არ განიხილავდნენ ალიანსში გაწევრიანების საკითხს. პასიურ პარტნიორთა რიგს განეკუთვნებოდნენ შუა აზიის ქვეყნები, მათ შორის ყველაზე აქტიური – უზბეკეთი და ყველაზე პასიური – თურქმენეთი*.

---

* *ტაჯიკეთი აქამდე საერთოდ არ მონაწილეობს პარტნიორობის პროცესში.*

ამ ურთიერთობებში განსაკუთრებულ „მოთამაშეს“ წარმოადგენდა რუსეთი, რომელიც კვლავინდებურად სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა ნატოს. მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ ნატოსთან თანამშრომლობაზე უარის თქმა ნიშნავდა ევროპული პროცესებისაგან თვითიზოლირებას. გარდა ამისა, აღნიშნული თანამშრომლობისაგან რუსეთს გარკვეული პრაქტიკული დივიდენდების მიღებაც შეეძლო, როგორც პოლიტიკური, ასევე წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით. კერძოდ, ნატოსთან ურთიერთშეთანხმებული ქმედების გარეშე რუსეთის მონაწილეობა ბოსნიაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში შეუძლებელი იქნებოდა. ნატოსთან პარტნიორობა აქტუალური იყო სამხედრო თვალსაზრისითაც, რადგან რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არსებული ცნობილი სირთულეები და დასავლეთისაგან მზარდი ტექნოლოგიური ჩამორჩენა აიძულებდა მოსკოვს გადაედგა პრაგმატული ნაბიჯები.

რაც შეეხება ბელორუსსა და სომხეთს, ნატოსთან თავიანთ ურთიერთობებს ისინი მეტწილად განიხილავდნენ რუსეთი „პრიზმით“, რაც აიძულებდა მათ ეთანამშრომლათ ალიანსთან უფრო შეზღუდული ფორმატით (პრინციპით: „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს“).

აღნიშნული რეალობები და პრინციპები დაედო საფუძვლად *ეაპს-ის საბაზო დოკუმენტს*, რომელიც მიღებულ იქნა სინტრაში მინისტრთა ზემოხსენებულ შეხვედრაზე.

დოკუმენტში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ეაპს წარმოადგენს პარტნიორობის ახალ მექანიზმს, რომელიც მოიცავს როგორც გაფართოებულ პოლიტიკურ განზომილებას, ასევე პრაქტიკულ თანამშრომლობას პმპ-ის ფარგლებში. იგი სრულად გაითვალისწინებს და შეავსებს ეუთო-სა და სხვა ისეთი შესაბამისი ორგანიზაციების საქმიანობას, როგორიცაა ევროკავშირი, დასავლეთ ევროპული კავშირი და ევროპის საბჭო“ (34).

რაც შეეხება პოლიტიკურ განზომილებას, მხედველობაშია ფართო პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ შორისაა: კრიზისული სიტუაციე-

ბის მართვა, რეგიონული პრობლემები, შეიარაღებაზე კონტროლი, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობა, საერთაშორისო ტერორიზმი, თავდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია და სხვ. ამ კონტექსტში ახალი ელემენტის სახით მითითებულია, რომ „პარტნიორთა სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ალიანსთან პირდაპირი პოლიტიკური ურთიერთობების (ინდივიდუალურად ან შეზღუდული ფორმატის ჯგუფებით) განხორციელება“ (35). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საბაზო დოკუმენტში დაფიქსირებულია სპეციალური რეგიონალური ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საქართველოსათვის.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეაპს თავის საქმიანობაში ეყრდნობა ორ მთავარ პრინციპს. უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური კონსულტაციებისა და პრაქტიკული თანამშრომლობისათვის ალიანსის „კარი“ ღია რჩებოდა ყველა დაინტერესებული ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნისათვის. მეორე მხრივ კი, თვითდიფერენციაციის საფუძველზე, პარტნიორებს თვითონ უნდა განესაზღვრათ ალიანსთან თანამშრომლობის სფეროები და დონე.

რაც შეეხება ამ ახალი ორგანიზაციის სტრუქტურას, გადაწყდა, რომ ეაპს შეიკრიბებოდა ყოველთვიურად ელჩების დონეზე, საგარეო და თავდაცვის მინისტრთა დონეზე – წელიწადში ორჯერ, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში – მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. ეაპს–ის თავმჯდომარეობა დაევალა ნატოს გენერალურ მდივანს, ხოლო საპატიო თავმჯდომარის ნ–თვიანი მოვალეობის შესრულების მექანიზმი მოგვიანებით განისაზღვრებოდა.

ეაპს–ის მუშაობა ასევე რეგულარულად უნდა წარმართულიყო ნატოს სხვადასხვა კომიტეტებში, რომლებიც ამიერიდან აქტიურად ჩართავდნენ თავიანთ საქმიანობაში პარტნიორ ქვეყნებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა პოლიტიკურ კომიტეტსა (PC) და პოლიტიკურ–სამხედრო კომიტეტს (PMSC).

მიღებულ იქნა ასევე გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ეაპს მომავალში იხელმძღვანელებდა საკუთარი სამუშაო გეგმებით, რომლებიც გააერთიანებდნენ პარტნიორობის სამუშაო პროგრამებსაც

(PWP).

ამგვარად, საქართველო შეუერთდა ახალ საერთაშორისო მექანიზმს, რომელიც იძენდა უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მშენებლობაში. ამ მექანიზმის განსაკუთრებული თვისება განისაზღვრებოდა პარტნიორი ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობით ნატოსთან, რომელიც თავის მხრივ გაფართოებისა და ახალ რეალობებთან ადაპტირების სტადიაში იმყოფებოდა. ალიანსის „ღერძის“ გარშემო შექმნილი ეაპს ხელს უწყობდა საქართველოს შემდგომ ინტეგრირებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, დამატებით უშიშროების გარანტიებს ქმნიდა ქვეყნისათვის და მნიშვნელოვან იმპულსს აძლევდა ნატოსთან მისი დაახლოების ტენდენციას.

ევროატლანტიკური უშიშროების სისტემის მშენებლობაში ნატოსა და ეაპს-ის როლის შესახებ ფართო საუბარი წარიმართა ნატოსა და ეაპს-ის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრებზე, რომლებიც გაიმართა მადრიდში შესაბამისად 1997 წლის 8 და 9 ივლისს. მადრიდში მოწვეული იყო საქართველოს დელეგაცია ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ბ-ნ ე. შევარდნაძის მეთაურობით.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნატოს დაარსების შემდეგ ეს ალიანსის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიტი იყო. ახალი წევრების – პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ოფიციალური მოწვევა ალიანსის შემადგენლობაში, რის შესახებაც სამიტზე გაკეთდა განცხადება, საბოლოოდ უსვამდა წერტილს ევროპაში „ცივის ომის“ დროინდელ ძალათა ბალანსს და უმკვიდრებდა ნატოს კონტინენტზე უსაფრთხოების მთავარი გარანტის როლს.

აღსანიშნავია, რომ, იწყებდა რა ინტენსიურ მოლაპარაკებებს აღნიშნულ სამ სახელმწიფოსთან, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებდნენ ნატოს ფუძემდებლური დოკუმენტის – „ვაშინგტონის ხელშეკრულების“ პოლიტიკურ და სამხედრო მოთხოვნებს, სამიტი ამავე დროს ითვალისწინებდა ნატოს რიგებში გაერთიანების პერსპექტივას ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ოფიციალურად გამოთქვეს ან მომავალში გამოთქვამდნენ ამ ორგანიზაცია-

სთან მიერთების სურვილს*.

ამასთან დაკავშირებით სამიტის დეკლარაციაში მითითებულია, რომ „ევროპის არცერთი დემოკრატიული ქვეყანა არ იქნება გამორიცხული ამ პროცესიდან, თუკი მისი ნატოში გაწევრიანება შეესაბამება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მიზნებს“ (36).

ალიანსი ადასტურებდა მტკიცე გადაწყვეტილებას უახლოეს წლებში კვლავ მოეწვია თავის რიგებში „ის ქვეყნები, რომლებსაც ექნებათ სურვილი და იმის უნარი, რათა იკისრონ ნატოს წევრობასთან დაკავშირებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა, რაც თავისთავად უნდა პასუხობდეს ალიანსის საერთო პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს, ისევე, როგორც ევროპის უშიშროებისა და სტაბილურობის საქმეს“ (37). ამგვარ მომავალ შესაძლო კანდიდატთა შორის, რომლებმაც მიაღწიეს შესამჩნევ პროგრესს დემოკრატიისა და სტაბილურობის თვალსაზრისით, სამიტზე დასახელდა რუმინეთი და სლოვენია. სამიტის დეკლარაციაში ასევე გამოკვეთილად მინიშნებულია ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღწევები და მათი ნატოში გაწევრიანების სურვილი.

ამგვარად, ნატოში გაწევრიანება უკავშირდებოდა არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების სურვილს, არამედ ამისათვის მათი სახელმწიფოებრივი მზადყოფნის დონეს. ნატო არ აპირებდა გაფართოებას ისეთი ახალი წევრების მეშვეობით, რომლებიც შიდა მოუგვარებელი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემებით არასტაბილურობის ელემენტებს შეიტანდნენ ალიანსის რიგებში.

რაც შეეხება ამ პროცესის ეკონომიკურ ასპექტებს, გაფართოების ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი თვით ახალ წევრებს უნდა გაეღოთ**.

** ასეთი განაცხადი ამ პერიოდისათვის გააკეთა სულ 12 სახელმწიფომ. მათ შორის დსთ-ის წევრები არ ფიგურირებდნენ.*

*** როგორც მომდევნო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების გამოყოფის აუცილებლობამ გარკვეული ანტიალიანსური განწყობილებებიც კი გამოიწვია 3 ახალ წევრ ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო შეამჩნეოდა კოსოვოს მოვლენებთან დაკავშირებით ნატოს მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს.*

გარდა ამისა, გაფართოების პროცესის დაკავშირება „ალიანსის საერთო პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებთან“ ნიშნავდა არსებული რეალობების, პირველს რიგში რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებას.

თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსეთი სამიტზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დონეზე, იმაზე მიუთითებდა, რომ მოსკოვი ხაზს უსვამდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ალიანსის გაფართოების მიმართ.

როგორც უკვე აღინიშნა, ნატო ცდილობდა ამ პროცესის ისეთი სახით წარმართვას, რათა რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიეყენებინა რუსეთთან ურთიერთობებისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ნატოსა და რუსეთს შორის იმავე წლის 27 მაისს ხელმოწერილი დამფუძნებელი აქტი და მის საფუძველზე შექმნილი ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი ერთობლივი საბჭო, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელებულიყო „კონსულტაციები, თანამშრომლობა და, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივი ქმედითი რეაგირება ევროპაში უსაფრთხოების პრობლემებზე“ (38).

რაც შეეხება ეაპს-ს, ნატოს სამიტის დეკლარაციაში იგი შეფასებულია, როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში ახალი უსაფრთხოების სისტემის მშენებლობის „არსებითი ელემენტი“ (39). საყურადღებოა, რომ ასეთი შეფასება თვისობრივად მაღლა დგას იმ ფორმულირებისაგან, რომელიც ახასიათებდა ეაპს-ის წინამორბედ ორგანიზაციას (ნაწსი-ს), როგორც ევროატლანტიკური უშიშროების არქიტექტურის „ერთ-ერთ“ შემადგენელ ნაწილს. კერძოდ აღინიშნა, რომ „ნაწსი-სა და პმპ-ის გამოცდილების საფუძველზე შექმნილი ეაპს-ი თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანს ჩვენს თანამშრომლობას. იგი გააღრმავებს და დააკონკრეტებს უშიშროების საკითხებთან დაკავშირებულ ჩვენს მრავალმხრივ დისკუსიებს, გააფართოვებს ჩვენი პრაქტიკული თანამშრომლობის სფეროებსა და შინაარსს, გაზრდის ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ტრანსპარენტულობასა და ნდობის ფაქტორს“ (40).

მადრიდში დასაბამი მიეცა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას. მხედველობაში გვაქვს ნატოს გენერალური მდივნისა და უკრაინის

პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი „ქარტია ნატოსა და უკრაინას შორის განსაკუთრებული პარტნიორული ურთიერთობების შესახებ". აღნიშნული დოკუმენტი სერიოზულ საფუძველს ქმნიდა ალიანსის ურთიერთქმედებისათვის ქვეყანასთან, რომელთანაც საქართველოს აკავშირებდა როგორც მჭიდრო თანამშრომლობა, ასევე რეგიონული უსაფრთხოების პრობლემების ერთნაირი ხედვა. უკრაინის დემოკრატიული განვითარება და მისი ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოება ქმნიდა იმის გარანტიას, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება შეუქცევადი პროცესი გამხდარიყო. ამგვარად, ნატო–უკრაინის ქარტიის გაფორმება სრულად შეესაბამებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებსაც.

მადრიდის სამიტზე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლობების დონის ასამაღლებლად. კერძოდ, 1997 წლის 28 მარტს გაფორმებული ე.წ. ბრიუსელის ხელშეკრულების შესაბამისად, პარტნიორებს საშუალება ეძლეოდათ შეექმნათ ნატოსთან სრულფასოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობები. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ელჩმა 1998 წლის 22 აპრილს რწმუნებათა სიგელი გადასცა ნატოს გენერალურ მდივანს.

ყურადღებას იმსახურებდა ნატოს სამიტის ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ეხებოდა ალიანსის შიდა ადაპტაციის საკითხებს. მათ, ერთი შეხედვით, ნაკლები შეხება ჰქონდათ პარტნიორი ქვეყნებისა და, კერძოდ, საქართველოს პრობლემებთან, მაგრამ, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ადაპტაციის მიზანი გახლდათ ალიანსის ორიენტირება მის საზღვრებს გარეთ უკვე არსებულ ან შესაძლო საფრთხეებზე, ნათელი ხდებოდა ამ პროცესის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვისაც.

კერძოდ, ადასტურებდა რა აშშ–ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების სტრატეგიული თანამშრომლობის პრიორიტეტულ მნიშვნელობას, სამიტი ასევე აქცენტს აკეთებდა ალიანსის ფარგლებში ე.წ. ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის იდენტურობაზე (ESDI),

რაც გულისხმობდა ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ სტრუქტურებში ევროპული კომპონენტის გაძლიერებასა და მისთვის გარკვეული ავტონომიის მინიჭებას. ეს ნიშნავდა ევროპული სახელმწიფოების როლის გააქტიურებას კონტინენტზე კონფლიქტების დარეგულირებისა და სამშვიდობო ოპერაციების წარმართვაში. ამასთან იყო დაკავშირებული ნატოს სამეთაურო-სამხედრო სტრუქტურის რეორგანიზაციის საკითხიც და კომბინირებული შეიარაღებული ძალების კონცეფციის განხორციელებაც.

რაც შეეხება 9 იულისს გამართულ ეაპს-ის პირველ სამიტს, მან წარმოაჩინა ევროატლანტიკური უსაფრთხოების ერთიანი სისტემის მშენებლობაში მიღწეული როგორც წარმატებები, ასევე არსებული სერიოზული პრობლემებიც.

უპირველეს ყოვლისა, სამიტის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმა ნატოს გადაწყვეტილებას მის რიგებში ახალი წევრების მოწვევის შესახებ, რაც შეფასებულ იქნა, როგორც ისტორიული ნაბიჯი ერთიანი ევროპის მშენებლობის გზაზე.

ერთსულოვანი მხარდაჭერა დაიმსახურა ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტის ხელმოწერამ, ისევე, როგორც ნატო-უკრაინის ქარტიის გაფორმებამ.

აშკარა წარმატების ნიშნით იქნა განხილული ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მიღწეული თანამშრომლობის მაღალი დონე, რომლის საფუძველზეც იწყებდა თავის საქმიანობას ახლად შექმნილი ეაპს.

ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით ხდებოდა ბოსნიაში სამშვიდობო პროცესის განხორციელება, რაც ძალას იკრეფდა დეიტონის ხელშეკრულების შესაბამისად.

ევროპის სტაბილურობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1997 წლის 15 მაისს ეჩშძ ხელშეკრულების საფლანგო დოკუმენტის ძალაში შესვლას.

ამასთანავე სამიტის ყურადღების ცენტრში მოექცა ის პრობლემები, რომლებიც უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ რიგი ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებასა და მშვიდობიან ცხოვრებას.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლამ კრიტიკული ტონალო-

ბა შემატა სამიტის მსვლელობას. კერძოდ, ბ-მა შევარდნაძემ გაანალიზა ევროატლანტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესები და გაკეთა საყურადღებო დასკვნა, რომ „დღევანდელი სირთულეები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია „ცივი ომის“ რეციდივებითა და მოძველებული აზროვნებით, რომლებიც გამუდმებით წარსულისაკენ უბიძგებენ კაცობრიობას. თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ბევრი ჯერაც წარსულში იმყოფება. მეტისმეტად ბევრნი არიან კვლავინდებურად ისტორიის გავლენისა და ამ ისტორიით ჩამოყალიბებული წარმოდგენების ტყვეობაში. წარმოდგენების ომმა შეცვალა იდეოლოგიების ომი. ნატო შეიცვალა, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში კვლავ ნატოთი აშინებენ ბავშვებს. შეიცვალა რუსეთი, მაგრამ ალიანსის გაფართოების ბევრი მომხრე რუსეთს კვლავ ძველი წარმოდგენების შუქზე აღიქვამს“ (41) – ბ-ნ ე.შევარდნაძის ეს სიტყვები ზუსტ შეფასებას აძლევდა ნატოს გაფართოების ფონზე რუსეთში მომძლავრებულ ანტიდასავლურ განწყობილებებს, რომლებიც კვლავ კონფრონტაციულ ტენდენციებს იწვევდნენ საერთაშორისო სარბიელზე. მეორე მხრივ, დასავლეთშიც სახეზე იყო რუსეთის მიმართ უნდობლობის სინდრომი, რაც, ჩვენი აზრით, არ უწყობდა ხელს პარტნიორობის პროცესს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა დასკვნა, რომელიც გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში „ცივი ომის“ დასრულებით გამოწვეულ ეიფორიას: „მიმავალი საუკუნის უკანასკნელი სქოლასტიკოსები დღესაც გაშმაგებით კამათობენ იმაზე, თუ სად და როდის დასრულდა „ცივი ომი“ – მალტის ქარიშხლის დღეს, ბერლინის კედლის დაცემის წელიწადს თუ ახალი ევროპის ქარტიის ხელმოწერის ჟამს. მე მაინც ვფიქრობ, რომ იგი არ თმობს თავის პოზიციებს და ისინი უნდა დავათმობინოთ დღითი დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ, რათა სულ უფრო გავაფართოვოთ სივრცე ახალი მოსაპოვრებისათვის“ (42).

„ახალი პოლიტიკური აზროვნების სიცოცხლისუნარიანობის“ მაგალითებად ბ-მა ე.შევარდნაძემ დაასახელა ეაპს-ის შექმნა, რუსე-

თისა და ნატოს დამფუძნებელი აქტის ხელმოწერა, რუსეთის შეყვანა „დიდ რვიანში“ (G–8), ასევე უკრაინასა და ნატოს შორის ქარტიის გაფორმება. რაც შეეხება ეაპს–ს, მან გამოთქვა სურვილი რათა იგი ყოფილიყო არა მხოლოდ პოლიტიკური კონსულტაციების ორგანო, არამედ პარტნიორ ქვეყნებში არსებულ პრობლემათა მოწესრიგების ქმედითი ინსტრუმენტი. ამ კონტექსტში გამოითქვა წინადადება საბჭოს ფარგლებში რეგიონული ჯგუფების შექმნის თაობაზეც, რაც, პრეზიდენტის აზრით, დაგვეხმარებოდა ალიანსის გამოცდილების გამოყენებასა და რეგიონული თანამშრომლობისათვის დამატებითი სტიმულის მინიჭებაში.

„სანამ სხვადასხვა ქვეყანაში დარღვეულია ცხოვრების მთლიანობა, ჩვენ გამარჯვებას ვერ ვიდღესასწაულებთ“ – ასეთი განცხადებით შეაჯამა ბ–მა ე.შევარდნაძემ ევროატლანტიკური უშიშროების სისტემის მშენებლობის მიმართ საქართველოს დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით მან კვლავ გაუსვა ხაზი აქცენტი აფხაზეთის პრობლემაზე და ბოსნიის გამოცდილების გათვალისწინებით მისი მოგვარების აუცილებლობაზე: „მშვიდობა შესაძლებელია აღდგეს მხოლოდ კოლექტიური ძალისხმევით და ამას მოწმობს ბოსნიის გამოცდილება. ვფიქრობ, მოვიდა კოლექტიური ძალისხმევის დრო, რათა აღდგეს აფხაზეთის კონფლიქტის დროს ფეხქვეშ გათელილი მშვიდობა და სამართლიანობა“ (43).

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას პარტნიორობის ფარგლებში რეგიონული ჯგუფების შექმნის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემებზე ნატოს ყურადღების გამახვილების მიზნით საქართველომ ჯერ კიდევ 1996 წლის დასაწყისში წამოაყენა შესაბამისი წინადადება (ანალოგიური წინადადებით გამოვიდნენ სამხრეთ–აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები). ამ ინიციატივის შესაბამისად საექსპერტო ჯგუფს რეგულარულად უნდა განეხილა რეგიონში არსებული ვითარება, მიმდინარე თუ პოტენციური კონფლიქტები და მოემზადებინა შესაბამისი რეკომენდაციები ბოსნიაში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით. დაინტერესებულ სახელმწიფოთა

გარდა ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ექნებოდათ გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლებს.

აღნიშნული წინადადება განხილულ იქნა ნატოს პოლიტკომიტეტის სხდომაზე 1996 წლის 12 იანვარს, ხოლო შემდგომ შეხვედრაზე ელჩების დონეზე. გადაწყდა, რომ საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, გაგრძელდებოდა მუშაობა ამ ჯგუფის შექმნის მოსამზადებლად.

1997 წლის 8-9 ივლისის მადრიდის სამიტის შედეგების განხილვას მიეძღვნა იმავე წლის 16 ივლისს ნატოში გამართული ეაპს-ის შეხვედრა ელჩების დონეზე, რომელსაც ნატოს გენერალური მდივანი თავმჯდომარეობდა. საქართველო წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სამიტზე ბ-ნ ე. შევარდნაძის წინადადებას ეაპს-ის ფარგლებში რეგიონული ჯგუფების შექმნის თაობაზე. აღინიშნა, რომ ასეთ ჯგუფებს არა მარტო უნდა ემსჯელათ კონკრეტული რეგიონების პრობლემებზე, არამედ მოემზადებინათ შესაბამისი რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმები. ამ წინადადებას განსაკუთრებით მხარი დაუჭირეს გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა. ამასთან დაკავშირებით ნატოს გენერალურმა მდივანმა მოახსენა დამსწრეთ, რომ 10 ოქტომბერს პოლიტკომიტეტის მომდევნო სხდომაზე განიხილებოდა კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხები.

ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს თანმიმდევრული განხილვა იმისა, თუ როგორ მიმდინარეობდა შემდგომში საქართველოსათვის ამ მეტად აქტუალური რეგიონული ჯგუფის შექმნა. ვფიქრობთ, ასეთი განხილვა იმისთვის არის საჭირო, რათა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ, თუ რა სირთულეებთან იყო და არის დაკავშირებული ნატოში კავკასიის რეგიონსა და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში პრაქტიკული მუშაობის წარმოება. მეორე მხრივ, აღნიშნული ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებული პროცესი ასახავს ჩვენი მეზობელი ქვეყნების დამოკიდებულების სპეციფიკასაც ნატოს მიმართ.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ 10 ოქტომბრის ზემოხსენებულ შეხვედრამდე საქართველოს საელჩოს მიერ ჩატარებულ-

მა წინასწარმა კონსულტაციებმა ცხადჰყო, რომ რუსეთის მხარე ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა წინადადებას კავკასიის ჯგუფის დაარსების თაობაზე. რუსეთი კავკასიის პრობლემატიკის განხილვის შესაბამის ფორუმად დსთ-ს მიიჩნევდა. ამ აზრს, პრინციპში, სომხეთიც იზიარებდა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, თავდაპირველად იგი წინააღმდეგი გახლდათ სომხეთთან ერთად კავკასიის რეგიონულ ჯგუფში მონაწილეობისა და ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამების განხილვისა, მაგრამ, ამ პოზიციამ მოგვიანებით გარკვეული ცვლილება განიცადა.

პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე საქართველომ წარადგინა წინადადებები რეგიონული ჯგუფის საქმიანობისათვის, რომელიც ითვალისწინებდა ეტაპობრივ მიდგომას. კერძოდ:

- 1 ეტაპი: რეგიონისა და დაინტერესებული ქვეყნების მიერ ანალიტიკური მასალის მომზადება, რომელშიც იდენტიფიცირებული იქნებოდა მათი უსაფრთხოების ინტერესები და ძირითადი საფრთხეები, აგრეთვე ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული თანამშრომლობის სფეროები;

- მე-2 ეტაპი: პოლიტიკური კომიტეტის ეგიდით შექმნილი კავკასიის სამუშაო ჯგუფი შეაჯერებდა აღნიშნულ ანალიტიკურ მასალებს საერთო ინტერესების, საფრთხეებისა და ძირითადი წინააღმდეგობების იდენტიფიცირებისათვის;

- მე-3 ეტაპი: კავკასიის სამუშაო ჯგუფი, წინა ეტაპის შესაბამისად, შეიმუშავებდა საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ ერთობლივი ღონისძიებების პროგრამას;

- მე-4 ეტაპი: გამომდინარე მე-3 ეტაპის შედეგებიდან (ეაპსსა და ნატოს გამოცდილების გათვალისწინებით) სამოქმედო პროგრამის შემუშავება რეგიონში არსებული ძირითადი წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით;

- მე-5 ეტაპი: ამ პროცესის შედეგები განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინებოდა თანმიმდევრულად პოლიტკომიტეტს, ელჩების შეხვედრასა და საგარეო საქმეთა მინისტრებს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წინადადებები გარკვეულწილად მაქსიმალისტურად ჟღერდა, რადგან კავკასიის რეგიონში

არსებული წინააღმდეგობების ეაპს-ის ფარგლებში დარეგულირება რეალურ საფუძველს მოკლებული იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა გამართლებული იყო, რადგან უფრო მოკრძალებული წინადადებებიდან პოლიტიკური „ვაჭრობის“ შემდეგ შესაძლოა ბევრი არაფერიც დარჩენილიყო. მეორე მხრივ, კეთდებოდა სერიოზული განაცხადი კავკასიის პრობლემებში ეაპს-ის ჩართვის თაობაზე.

სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რეგიონული ჯგუფის იდეას, თუმცა გამოითქვა საწინააღმდეგო წინადადებებიც. კერძოდ, თავის უარყოფით პოზიციას შვედეთის წარმომადგენელი იმით ასაბუთებდა, რომ რეგიონული ჯგუფების შექმნა გამოიწვევდა ეაპს-ის საქმიანობის დანაწევრებასა და სხვა ორგანიზაციების დუბლირებას. სომხეთის წარმომადგენელმა პრინციპში მხარი დაუჭირა ამ წინადადებას, ხოლო აზერბაიჯანის დელეგაციამ აღნიშნა მომავალი ჯგუფის საქმიანობაში IFOR-ის გამოცდილების შესწავლის აუცილებლობა, რაც ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ნატოს ჩართვაზე მიანიშნებდა. რაც შეეხება რუსეთის წარმომადგენელს, მან არ უარყო ასეთი ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობა, მაგრამ ამავე დროს მიუთითა, რომ „რეგიონში უკვე მოღვაწეობენ სხვა ორგანიზაციები, კერძოდ გაერო, ეუთო და დსთ“ (44).

სხდომაზე გადაწყდა, რომ კავკასიის ჯგუფის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომხდარიყო ელჩების შეხვედრაზე იმავე წლის 15 ოქტომბერს. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური კომიტეტის მიერ მომზადდა მოხსენებითი ბარათი შესაბამისი რეკომენდაციებით.

15 ოქტომბერს ელჩების შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, უკრაინა, აზერბაიჯანი, უნგრეთი ბულგარეთი, შვეიცარია, ავსტრია) მხარი დაუჭირა წარმოდგენილ დოკუმენტსა და რეკომენდაციებს კავკასიის ჯგუფის შექმნის თაობაზე. სომხეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა რეგიონული საკითხების თაობა-

ზე კონსულტაციების წარმოებას, თუმცა ამისათვის სპეციალური ჯგუფის შექმნის იდეა ნაადრევად მიიჩნია. ჯგუფის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდა რუსეთი, სლოვაკეთი და საბერძნეთი (ერთადერთი ქვეყანა ნატოს წევრებიდან). კერძოდ, თავისი პოზიცია რუსეთის ელჩმა იმით დაასაბუთა, რომ ცალკეული რეგიონული ჯგუფების შექმნა „პროცედურულად გაართულებდა და დაანაწევრებდა ეაპს-ის საქმიანობას“ (45).

ეაპს-ის საქმიანობის კონსენსუსის პრინციპიდან გამომდინარე, საკითხი დამატებითი განხილვისათვის დაუბრუნდა პოლიტკომიტეტს, რაც პრაქტიკულად უარყოფით გადაწყვეტილებას ნიშნავდა.

ჩვენი აზრით, ეაპს-ის ფარგლებში აღნიშნული საკითხის განხილვამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი წარმოაჩინა. უპირველეს ყოვლისა, თვით ინიციატივა კავკასიის რეგიონული ჯგუფის შექმნისა მიუთითებდა ნატოში კავკასიის მიმართ დაინტერესების ზრდაზე და რეგიონში ალიანსის პოლიტიკის გააქტიურების სურვილზე.

ამასთანავე, აღნიშნულმა დისკუსიებმა კვლავ დაადასტურა, რომ რუსეთი წინააღმდეგი იყო ნატოს პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებისა კავკასიასთან მიმართებაში. ალბათ, ამით უნდა აიხსნებოდეს სომხეთის პოზიციის შეცვლაც 10-დან 15 ოქტომბრამდე. სლოვაკეთის პოზიციაც, როგორც ჩანს, ნაკარნახევი იყო რუსეთთან სოლიდარობის პრინციპით. ხოლო რაც შეეხება საბერძნეთის უარყოფით დამოკიდებულებას, მასში იკითხებოდა ეჭვი იმისა, რომ კავკასიის ჯგუფში ლიდერის როლი შეიძლება თურქეთს რგებოდა. გარდა ამისა, საბერძნეთი შესაძლოა მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ჯგუფის დაარსება დამატებით საშუალებას შექმნიდა კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებული (კერძოდ, ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტის) უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. ამ თვალსაზრისითაც რუსეთისა და საბერძნეთის პოზიციები ერთმანეთს ემთხვეოდა.

დისკუსიებისას გამოიკვეთა ის, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ნატოში ანგარიშს უწევდნენ რუსეთის ინტერესებს კავკასიაში, რის გამოც არ მიიჩნევდნენ მართებულად ამ ეტაპზე რეგიონული ჯგუფის შექმნის ფორსირებას*.

გარდა ამისა, ნატოს პრიორიტეტს იმ ეტაპზე (ისევე, როგორც მომდევნო პერიოდში) წარმოადგენდა ბალკანეთის ნახევარკუნძული, კერძოდ ყოფილი იუგოსლავია.

თუკი მოვლენებს წინ გავუსწრებთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონული ჯგუფის დაარსება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1999 წელს, ანუ მაშინ, როდესაც ნატოს მიერ კოსოვოს მოვლენებთან დაკავშირებით განხორციელებული სამხედრო ოპერაციის გამო რუსეთმა, პროტესტის ნიშნად, შეაჩერა თავისი ურთიერთობები ალიანსთან. ამგვარად, ეაპს-ში რუსეთის წარმომადგენელთა არყოფნის პერიოდში რეგიონული ჯგუფის შექმნას წინააღმდეგობა თითქმის აღარ შეხვედრია.

1998 წლის 9 თებერვალს ბ-ნ ე. შევარდნაძეზე განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა კვლავ წარმოაჩინა საქართველოს რთული გეოგრაფია“ და ის გარემოება, თუ ჯერ კიდევ რაოდენ ფიფო მდგომარეობაში იმყოფებოდა ქვეყნის სახელწიფოებრიობა.

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ თავდასხმას თითქმის ერთხმად უკავშირებდნენ რუსეთის ფაქტორს, კერძოდ ამ ქვეყნის რეაქციულ ძალებს, რომლებიც პრიორიზულ გავლენას ახდენდნენ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. მაგალითად, „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბიუნი“ აუთითებდა „რუსეთის ხელმძღვანელობის რადიკალურ ჯგუფზე, რომელიც კავშირში არ უნდა იყოს პრეზიდენტ ელცინთან. სწორედ ეს ჯგუფი მფარველობს რეგიონში სეპარატისტულ ძალებს, რამაც მიიყვანა რუსეთი“ (46).

რიგი მიმომხილველები გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ პრეზიდენტზე თავდასხმის მიზეზი შესაძლოა რეგიონულ ბალანსში მოსალოდნელი ცვლილებებიც ყოფილიყო. ამ კონტექსტში, კერძოდ,

---

** როგორც გამოცდილება გვიჩვენებდა, საჭიროების შემთხვევაში ნატოს გააჩნდა საკმარისი პოლიტიკური საშუალებები იმისათვის, რათა დაეთანხმებინა რუსეთი ალიანსისათვის სასურველი ნაბიჯების გადადგმაზე.*

გაზეთი „ინდეპენდენტი“ აღნიშნავდა, რომ ე.შევარდნაძეზე თავდასხმასა და კასპიის ზღვის ნავთობის რეზერვებთან დაკავშირებულ პოლიტიკას შორის შესაძლოა არსებობდა პირდაპირი კავშირი. „ის რეაქციული ძალები, რომლებიც ამ ტერორისტულ აქტს უკან დგანან, დღემდე ვერ შერიგებიან ხუთმილიონიანი ქვეყნის დამოუკიდებლობას, ვერ პატიობენ მის ლიდერს ავღანეთს, ბერლინის კედელს, ევროპის გათავისუფლებას, რეგიონში ნავთობსადენების განვითარებასა და ევრაზიულ სატრანსპორტო დერეფანს“ (47).

11 თებერვალს გამართულ ეაპს-ის ელჩების სხდომაზე ამ ტერორისტული თავდასხმის შესახებ ცალ-ცალკე განცხადებები გააკეთეს ნატოს პრაქტიკულად ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა. მათ მკვეთრად დაგმეს მომხდარი ფაქტი, ილაპარაკეს ხაზგასმული სიმპატიებით ბ-ნ ე.შევარდნაძის ისტორიულ ღვაწლზე, მის დღევანდელ როლზე და გამოთქვეს რწმენა, რომ დამნაშავენი ჯეროვნად დაისჯებოდნენ. ნატოს ელჩებს შეუერთდნენ პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებიც. აღსანიშნავია, რომ სოლიდარობის ასეთი ერთსულოვანი დადასტურება საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ნატოს პრაქტიკაში.

სხდომის შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა აცნობა საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, რომ წლის მანძილზე ოცი განმეორებით ეწვეოდა ჩვენს ქვეყანას.

ვიზიტი განხორციელდა 1998 წლის 29-30 სექტემბერს. საქართველოს პრეზიდენტთან და სხვა ხელმძღვანელებთან საუბრებისას განხილულ იქნა ევროპული უსაფრთხოების საკითხები, საქართველოსა და ზოგადად კავკასიური პრობლემატიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კავკასიის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას ევრაზიური სატრანზიტო დერეფნისა და კასპიის ენერგორესურსების პროექტების კონტექსტში. ბ-ნ ე.შევარდნაძის მიერ გაშუქდა საქართველოს ახალი როლი და ფუნქცია რეგიონსა და მსოფლიოში, ქვეყნის დამოკიდებულება ევროპული უსაფრთხოების საკითხებისა და ალიანსის როლის მიმართ.

ალიანსის გაფართოების ზღურბლზე, რაც მომდევნო წელს ვაშინგტონის სამიტზე იყო მოსალოდნელი, ბ-ნი ხ. სოლანა განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტის აზრით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაედგა ნატოს რუსეთთან მიმართებაში იმისათვის, რათა ამ უკანასკნელს შედარებით უმტკივნეულოდ აღექვა გაფართოების პროცესი. გამოთქვა რა თავისი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით, ბ-მა შევარდნაძემ დაადასტურა, რომ ნატო-რუსეთის მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს ინტერესებში შედიოდა.

ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციასთან დაკავშირებით, რომლის მიღებაც ვაშინგტონის სამიტზე იყო მოსალოდნელი, საქართველოს მხარემ დაადასტურა თავისი დაინტერესება, რათა ნატოს უფრო აქტიურად ეკისრა ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების გარანტის როლი. ამ კონტექსტში აღინიშნა ეაპს-ში რეგიონული განზომილების გაფართოების აუცილებლობაც, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების სხვადასხვა დონეზე რეგულარულად განხილვის საკითხი. ითქვა, რომ რეგიონული კონსულტაციების გაღრმავება ბიძგს მისცემდა არა მარტო ამ რეგიონში არსებული კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, არამედ ნიადაგს მოამზადებდა მომავალში შესაძლო საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებისათვის.

შეხვედრებზე განხილული იქნა აფხაზეთის პრობლემა და სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული სირთულეები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეაპს-სა და პმპ-ის ფარგლებში საქართველო-ნატოს მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას დაისვა საკითხი პმპ-ის უფრო ეფექტურად გამოყენების შესახებ, რის თაობაზეც ნატოს ეთხოვა დამატებითი დახმარება.

ნატოს გენერალურმა მდივანმა კმაყოფილებით აღიქვა საქართველოს მხარის გადაწყვეტილება 1999 წლიდან ნატოს სამხედრო კომიტეტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მივლინების შესახებ. იგი გაგებით შეხვდა წინადადებასაც 2001 წელს საქართველოში პმპ-ის ფარგლებში ერთობლივი სამხედრო

წვრთნის ჩატარების შესახებ, რაც პირველი ამგვარი ვარჯიში იქნებოდა სამხრეთ კავკასიაში.

ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს ვიზიტის დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ბ-ნ ხ.სოლანას სტატია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ნატოს პრინციპული მიდგომები მთელი რიგი აქტუალური საკითხების მიმართ. გენერალურმა მდივანმა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი მიზნად ისახავდა ევროპის უშიშროების სისტემაში მომხდარი დადებითი ცვლილებების ქართულ მხარესთან ერთად გაანალიზებას, ასევე, ალიანსის ვაშინგტონის სამიტისათვის მზადების კონტექსტში, უშიშროების სფეროში ნატო-საქართველოს ურთიერთობების პოტენციალის განხილვას. ჩვენი აზრით, საყურადღებო იყო ბ-ნ ხ.სოლანას შემდეგი განცხადება: „თქვენი ქვეყნის ზოგიერთ მოქალაქეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ საქართველო არ წარმოადგენს ბრიუსელისათვის ინტერესს, რადგან ისინი შორს იმყოფებიან ერთმანეთისაგან. ნება მიბოძეთ დავარწმუნოთ, რომ ეს სრულებით არ არის ასე. ჩვენ კავკასიას განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს, სადაც ჩვენ პირდაპირი ინტერესები გვაქვს. კავკასია ხომ ევროპის კონტინენტის განუყოფელი ნაწილია“ (48).

განიხილა რა პარტნიორ ქვეყნებთან ნატოს თანამშრომლობის პრინციპები, გენერალურმა მდივანმა გამოჰყო ამ პარტნიორობის მთავარი მიზანი – ახალი სახის ურთიერთობების ჩამოყალიბება იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც იზიარებენ კანონის უზენაესობის პრინციპსა და დემოკრატიის ფასეულობებს, განუყოფლად იცავენ ადამიანის უფლებებს და მტკიცედ დგანან რეგიონულ უთანხმოებათა მშვიდობიანი გზით მოგვარების პოზიციებზე.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა სტატიის ის ნაწილი, სადაც საუბარია ნატოს როლზე კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. იგი, კერძოდ, მოიხსენიებს ეაპს-ის ფარგლებში დაწყებულ დისკუსიებს კავკასიის რეგიონული ჯგუფის შექმნის თაობაზე და მიუთითებს, რომ ამ კონსულტაციების მიზანია არა დახურული „რეგიონული კლუბების“ ჩამოყალიბება, არამედ ყველა დაინტერესებული ქვეყნისათვის ღია და ტრანს-

პარლამენტული ფორუმის შექმნა.

1998 წლის გაზის ცნობილი მოვლენების გათვალისწინებით, ბ-ნი ხ.სოლანა თავის სტატიაში მოკლედ შეეხო აფხაზეთის პრობლემას და ხაზი გაუსვა ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას ეუთო-ს სტანდარტების შესაბამისად.

სტატიაში მეტი ყურადღება დაეთმო საქართველოს უსაფრთხოების ისეთ საკითხს, როგორიცაა ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვა. ამ კონტექსტში ავტორმა ყურადრება გაამახვილა ეჩშ ხელშეკრულების განახლებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე და მოუწოდა საქართველოს მხარი დაეჭირა ამ პროცესისათვის.

სტატიის ავტორმა განსაკუთრებით აღნიშნა ევროპის უშიშროების სისტემაში რუსეთის როლი და ამ უკანასკნელთან ნატოს კონსტრუქციული ურთიერთობების მნიშვნელობა.

დადებითი შეფასება მიეცა ნატო-საქართველოს ურთიერთობებსაც: „საქართველო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის გრძელვადიანი მონაწილეა, რომელსაც იგი 1994 წლის მარტში შეუერთდა. საქართველოს მონაწილეობა პარტნიორობის პროცესში სულ უფრო ფართოვდება. ქართველი მეკავშირე ოფიცერი უკვე იმყოფება პარტნიორობის საკოორდინაციო უჯრედში ბელგიის ქალაქ მონსში. ოქტომბერში საქართველოში გაიმართება ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს სემინარი რეგიონული თანამშრომლობის სფეროში, რომელიც პმპ-ს ფარგლებში პირველი ასეთი სახის ღონისძიება იქნება. ამ მიღწევებზე დაყრდნობით, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაფართოოთ ჩვენი ურთიერთობები და მე გამოვთქვავ იმედს, რომ საქართველოს მონაწილეობა ჩვენი პროგრამების მთელ სპექტრში კვლავ გაიზრდება. საქართველოსა და ნატოს შორის 1997-98 წლების ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა შესანიშნავი საფუძველია ჩვენი ერთობლივი მუშაობისა და მომავლისაკენ სწრაფვისათვის“ (49).

ბ-ნ ხ. სოლანას აღნიშნული ვიზიტი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. ის, რომ ნატოს გენერალური მდივანი 1997-98 წლებში ორჯერ ეწვია კავკასიის

რეგიონსა და, კერძოდ, საქართველოს, თავისთავად ბევრის მთქმელი ფაქტია. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიუთითებდა, რომ აღნიშნული რეგიონი სულ უფრო გამოკვეთილ ადგილს იკავებდა ალიანსის პოლიტიკაში.

გენერალური მდივნის აღნიშნული ვიზიტის უშუალოდ მომდევნო პერიოდში საქართველოში ჩატარდა ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც ალბათ უნდა ჩაითვალოს ნატოსთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების ნათელ მაგალითებად.

კერძოდ, 5–10 ოქტომბერს გუდაურში გაიმართა კომპლექსური ღონისძიება. მის პირველ ეტაპზე ჩატარდა ნატოს სახმელეთო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მხოლოდ ალიანსის წევრი ქვეყნები მონაწილეობდნენ (საყურადღებოა, რომ ეს ამ ჯგუფის პირველი გასვლითი შეხვედრა გახლდათ პარტნიორ ქვეყანაში), ხოლო შემდეგ ეაპს-ის ფორმატით, ანუ პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით, შედგა აღნიშნული ჯგუფის სემინარი განაღმვისა და ხიდების კლასიფიკაციის პრობლემატიკაზე.

აღნიშნულ ღონისძიებაში, რომლის ორგანიზატორებიც საქართველოს მხრიდან იყვნენ საგარეო და თავდაცვის სამინისტროები, მონაწილეობა მიიღო ნატოს 14 წევრმა და 11 პარტნიორმა ქვეყანამ. საქართველოს წარმომადგენლებმა გააკეთეს საინტერესო ინფორმაციები აფხაზეთის კონფლიქტის, ამ რეგიონში განლაგებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების, ასევე საველე მედიცინის სფეროში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული გამოცდილების თაობაზე.

საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ სემინარის პერიოდში (საგურამოს მიდამოებში) ქართველი სამხედროების მიერ ჩატარებული დემოსტრაცია, რომლის დროსაც ნაჩვენები იქნა ადგილობრივი წარმოების მობილური ხიდები, ცეცხლგამძლე სისტემები და ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა.

15–16 ოქტომბერს კი გუდაურში ჩატარდა ეაპს-ის სემინარი თემაზე „კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტები“. სემინარი წარმოადგენდა

პირველ მცელობას ამგვარი წარმომადგენლობითი ფორმატით კავკასიის უსაფრთხოების საკითხების განხილვისა, ამიტომ, ბუნებრივია მან დიდი დაინტერესება გამოიწვია. შეხვედრაში მონაწილება მიიღეს ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებმა 21 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოს ყველა მეზობელი სახელმწიფოდან.

უმთავრესად აზერბაიჯან-სომხეთის რთული ურთიერთობების გათვალისწინებით, სემინარის მიზანი გახლდათ რეგიონში უსაფრთხოების სფეროში ერთიანი ინტერესების იდენტიფიცირება და პრაქტიკული თანამშრომლობის მიმართულებათა დასახვა. ამიტომ, განსახილველად შეირჩა უსაფრთხოების ისეთი სფეროები, რომლებიც ერთნაირად აქტუალურია რეგიონის ქვეყნებისათვის და არ წარმოადგენენ პოლიტიკური დავის საგანს. ესენი გახლდათ თავდაცვასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები, თანამშრომლობა მეცნიერებისა და გარემოს დაცვის სფეროებში, სამოქალაქო თავდაცვისა და კატასტროფებზე რეაგირების საკითხები, თანამშრომლობა ისეთ სამხედრო-ტექნიკურ სფეროებში, როგორიცაა განაღმვა, იარაღისა და ასაფეთქებელი აღჭურვილობის შენახვა, ტრანსპორტირება და უვნებელყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ სემინარმა ხაზგასმით კონსტრუქციულ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მასზე განხილულ იქნა ერთობლივი პროექტები, გამოითქვა საინტერესო საქმიანი წინადადებები, რომელთა რეალიზაციაზე შემდგომ გაგრძელდა მუშაობა როგორც ნატოში, ასევე ცალკეულ პარტნიორ ქვეყნებში.

აღნიშნულ ღონისძიებას მეტად დადებითი გამოხმაურება ჰქონდა ნატოში. ალიანსის ხელმძღვანელობამ იგი შეაფასა, როგორც ეაპს-ის წევრი ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების სურვილის გამოხატულება, რათა გადალახულ იქნეს ამ რეგიონში არსებული სირთულეები და ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცება.

როგორც ნატოს წრეებში აღინიშნა, სემინარმა ნათლად წარმოაჩინა ის კონსტრუქციული როლი, რომლის შესრულებაც შეუძლია საქართველოს ამ მიზნების მისაღწევად.

საყურადღებოა, რომ სემინარზე განხილული თანამშრომლობის სფეროები დაედო საფუძვლად 1999 წელს ეაპს-ის ფარგლებში შექმნილ კავკასიის რეგიონულ ჯგუფს.

#5. საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნატოსა და ჩვენს ქვეყანას შორის ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, ნატოსა და საქართველოს შორის სამხედრო კონტაქტები დაიწყო 1993 წლიდან. მაგრამ ამ თანამშრომლობის რეალური და პრაქტიკული განხორციელება დაიწყო მას შემდეგ, რაც პმპ-ის ფარგლებში ალიანსსა და პარტნიორებს შორის გაფორმდა ინდივიდუალური პარტნიორების პროგრამები (იპპ). საქართველოსთან პირველი იპპ (1996 წლისათვის) დამტკიცდა 1995 წლის დეკემბერში. იმის გათვალისწინებით, რომ ორმხრივი სამხედრო ურთიერთობები შემდგომში წარიმართება უმთავრესად აღნიშნული და მომავალი ანალოგიური დოკუმენტების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს მისი ზოგადი განხილვა*.

იპპ-ის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია, რომ ამ დოკუმენტის გაფორმებით საქართველო ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ევროპული უსაფრთხოების სისტემის მშენებლობაში. ამავე დროს ნათქვამია, რომ იპპ-ში მონაწილეობა არ შეუშლის ხელს საქართველოს

** არსებული პრაქტიკის მიხედვით, პარტნიორი ქვეყნების იპპ-ს სრული ტექსტების გავრცელება ხდება მხოლოდ პმპ-ში მონაწილე ქვეყნებს შორის. ამიტომ, გასაგები მიზეზების გამო, ავტორი თავს იკავებს ამ დოკუმენტის ზოგიერთი დეტალის განხილვისაგან.*

მიერ სხვა ქვეყნებთან, კერძოდ დსთ-ს კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.* ამ დებულებით ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ საქართველო არ განიხილავს ნატოსთან თანამშრომლობას, როგორც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პროცესს. გამოთქმულია რწმენა, რომ იპპ-ის შესრულება დააჩქარებს დემოკრატიული გარდაქმნის პროცესს საქართველოში და მიმართული იქნება უშიშროებისა და რეგიონალური თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ კავკასიის რეგიონში.

შესავალში ასევე აღინიშნება, რომ არსებული პროცედურის თანახმად იპპ გადასინჯული და განახლებული იქნება ყოველწლიურად, ორმხრივად შეთანხმებული მოდალურობების შესაბამისად. დოკუმენტის პირველ ნაწილში დეტალურადაა ჩამოთვლილი იპპ-ის განხორციელების მიზნით საქართველოს მიერ გამოყოფილი რესურსები და ძალები.

შემდგომ იპპ-ში მოცემულია სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები და თემები. ასე მაგალითად:

საჰაერო მოძრაობის მართვისა და კონტროლის სფეროში გათვალისწინებულია ქართველ ექსპერტთათვის სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის სპეციფიკის გაცნობა, რისთვისაც იგეგმება მათი მონაწილეობა სპეციალურ კონფერენციებსა და შეხვედრებში.

საგანგებო-სამოქალაქო სიტუაციების დაგეგმვის სფეროში მიზნად დასახულია საქართველოს მხარისათვის ნატოს ექსპერტთა დახმარება. ამისათვის განსაზღვრულია შემდეგი თემები: სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების როლი და ფუნქციები სამოქალაქო თავდაცვის საქმეში, სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურების თანამშრომლობა კატასტროფების პრევენტიულ სამუშაოებში, სამოქალაქო და სამხედრო ძალების როლი და შესაძლებლობები ბუნებრივი კატასროფების შედეგებისაგან მოსახლეობისა და გარემოს დაცვის საქმეში. გათვალისწინებულია გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა, ქართველ ექსპერტთა მონაწილეობა სპეციალურ შეხვედრებში.

** 1999 წლას საქართველომ ალარ მოაწერა ხელი აღნიშნული ხელშეკრულების გაგრძელებას.*

კრიზისის მართვის სფეროში გათვალისწინებულია ერთობლივი ღონისძიებების გამართვა. ამისათვის იგეგმება სპეციალური ბრიფინგები, მონაწილეობა კრიზისის მართვის ვარჯიშებში.

საქართველოში შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის მექანიზმის განმტკიცების მიზნით იმ ეტაპზე განისაზღვრა თანამშრომლობის შემდეგი თემები: ზომების განმარტება და კოორდინაცია, სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეიარაღებული ძალების ლეგალური საფუძვლები დემოკრატიულ საზოგადოებაში. გათვალისწინებულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უზრუნველყოფა პოლიტიკური და სამხედრო სახის ლიტერატურით, მათ შორის შემდეგი მასალებით: ნატოს ტერმინოლოგია, ნატოს წევრი ქვეყნების ეროვნული სამხედრო დოქტრინები, ამ ქვეყნების კანონმდებლობა სამხედრო სფეროში, ეროვნული უშიშროების საკითხები. დაიგეგმა სემინარის ჩატარება საქართველოში თემაზე „სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები კავკასიაში“.

თავდაცვის დაგეგმვისა და ბიუჯეტის სფეროში მიზნად დაისახა საქართველოს ამ სისტემის მისადაგება ნატოს სტანდარტებთან, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნა თავდაცვის დაგეგმვის სფეროში საერთო ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს მხარისათვის ინფორმაციის მიწოდება ფინანსური რესურსების მართვის შესახებ. დაიგეგმა ასევე ინფორმაციის გაცვლა, ექსპერტთა ორმხრივი კონტაქტები, მონაწილეობა სემინარებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში. დოკუმენტში საქართველომ დააფიქსირა თავისი განსაკუთრებულ დაინტერესება რიგი კონკრეტული თემების მიმართ.

თავდაცვის უზრუნველყოფის პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ასევე *თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის* სფეროებში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მხარის შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა, სხვადასხვა დონის კონსულტაციების გამართვა ნატოსა და თბილისში, ქართველ ექსპერტთა სემინარებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში მონაწილეობა.

ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ასევე *თავდაცვის სტრუქტურები,* რომელთა გარდაქმნასა და ნატოს სტანდარტებთან დაახ-

ლოებისათვის ხელი უნდა შეეწყო იპპ-ით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახის სპეციალიზირებულ შესვედრებს. ამ კონტექსტში აღნიშნულ დოკუმენტში საქართველოს მხარემ დაადასტურა, რომ მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა არა მხოლოდ ნატოს ქვეყნების, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში არსებული გამოცდილებაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა *ვარჯიშებისა და ოპერაციების* სფერო, რომელშიც საქართველო უკვე იწყებდა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას. კერძოდ, 1996 წელს ნატო-პმპ-ის ფარგლებში დაგეგმილ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობისათვის გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სამხედრო პერსონალის ჩართვა ამ ვარჯიშების დაგეგმვისა და მომზადების პროცესში (სულ 9 ერთობლივი სამხედრო ვარჯიში), ასევე ქართველ ოფიცერთა შესაბამისი მომზადება სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციებისათვის. აღსანიშნავია, რომ საწყისი ეტაპისათვის საქართველო გამოთქვამდა ასეთ ვარჯიშებსა და მათ მოსამზადებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მზადყოფნას უმთავრესად დამკვირვებელთა დონეზე. გამონაკლისს წარმოადგენს ერთობლივი ვარჯიში „Cooperative osprey" რომელიც ჩატარდა 1996 წლის სექტემბერში აშშ-ში. ეს დახლდათ პირველი ასეთი სახის ღონისძიება, რომელშიც საქართველო წარმოდგენილ იყო სამხედრო ქვეგანაყოფით (ოცეულით).

აღნიშნულ სფეროსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული *სამშვიდობო ოპერაციებისათვის* საქართველოს მზადება, რისთვისაც იპპ-ით გათვალისწინებულ იქნა ქართული მხარის უზრუნველყოფა სამშვიდობო ოპერაციების შესახებ შესაბამისი ლიტერატურით. ამ თვალსაზრისით დაიგეგმა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, აღნიშნულ ოპერაციებში მონაწილე ძალების ჩამოყალიბების, წვრთნისა და ეკიპირების საკითხებში დახმარების აღმოჩენა.

იპპ ითვალისწინებდა *სამხედრო ინფრასტრუქტურის* საკითხებზე მუშაობასაც. კერძოდ საწყის ეტაპზე იგეგმებოდა ნატოს სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტები საქართველოში, რათა ადგილზე მომხდარიყო იმ ობიექტებისა და რესურსების ექსპერტიზა, რომლებიც

ნპპ-ის განხორციელების მიზნით გამოიყო საქართველოს მიერ.

ნპპ-ით განსაზღვრული თანამშრომლობის სფეროებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა სტანდარტიზაცია და თავსებადობა. ცნობილია, რომ ყოფილი საბჭოთა და ნატოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა მიმდინარეობდა ერთმანეთისაგან ავტონომიურად, ამიტომ სხვადასხვა სამხედრო პარამეტრების ურთიერთთავსებადობის საკითხი მთლიანად მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ნატოსთან თანამშრომლობის დაწყებამ წარმოშვა პარტნიორი ქვეყნების სამხედრო სტანდარტების ნატოს სტანდარტებთან დაახლოებისა და შემდგომი თავსებადობის მიღწევის საჭიროება. სტანდარტიზაციისა და თავსებადობის საკითხს ხშირად უკავშირებენ მხოლოდ სხვადასხვა სახის (საბჭოთა და დასავლური) შეიარაღების პრობლემას, რასაც ხშირად იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საბჭოთა შეიარაღების დასავლურით შეცვლის გარეშე ასეთი თავსებადობის მიღწევა შეუძლებელია. რეალურად საკითხი უფრო ფართოდ დგას და იგი ეხება არა მხოლოდ შეიარაღებას, არამედ მასთან დაკავშირებულ სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობის ფართო სპექტრს.

აღსანიშნავია, რომ ნატოს ამ თვალსაზრისით უმდიდრესი გამოცდილება აქვს. დღიდან დაარსებისა, მან თვითონ განვლო საკმაოდ რთული გზა სხვადასხვა წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ერთმანეთთან შესაბამისობაში და ურთიერთთავსებადობაში მოყვანისა, რისთვისაც განხორციელდა არაერთი მასშტაბური პროგრამა (სხვათა შორის, ეს პროცესი დღესაც გრძელდება).

ამგვარად, სტანდარტიზაციისა და თავსებადობის სფეროში ნპპ-ით იგეგმებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წვრთნა ნატოს სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, თავსებადობის ობიექტების იდენტიფიკაციას. ამისათვის გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა კონტაქტები, სპეციალიზირებული კურსები (მათ შორის ენობრივი მომზადება), საქართველოს წარმომადგენელთა რიგ შეხვედრებში მონაწილეობა.

ნპპ განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა განათლებისა და

წვრთნის სფეროს. ეს გახლდათ ენობრივი და სპეციალური კურსები ნატოს სკოლებში, ინსტიტუტებსა და საწვრთნელ ცენტრებში, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, ექსპერტთა კონტაქტები, ლექტორთა და მომხსენებელთა ტურები, ინფორმაციითა და მასალებით უზრუნველყოფა და სხვა.

ამგვარად, როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, ნატოსთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა საწყისი ეტაპიდანვე აკეთებდა საკმაოდ სერიოზულ განაცხადს. ამ თანამშრომლობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, მისი ნატოს სტანდარტებთან დაახლოება და, საერთო ჯამში, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება.

მიუხედავად იმისა, რომ იპპ-ში განსაზღვრული მიმართულებიდან საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის ყველა აქტუალურია, განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს ერთი-ერთი მათგანი, რომელთანაც პრინციპულადაა დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები. ეს გახლავთ შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სამხედრო უწყებების კონტროლი, როგორც წესი, განიხილება როგორც ტექნიკური ფუნქცია, რომელსაც თვითონ სამხედროები განახორციელებენ. ამის შედეგად სამხედრო სტრუქტურა იქცევა დახურულ სამყაროდ, თავისებურ „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“, რომელიც თვითონ განაგებს თავის ბედს და მოითხოვს თავისი არსებობისათვის ქვეყნის რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. ამგვარად, სახელმწიფო ხდება საკუთარი შეიარაღებული ძალების „მძეველი“, რომელსაც ის ვეღარ აკონტროლებს და რომელზედაც იგი მთლიანად არის დამოკიდებული. აღნიშნულისაგან განსხვავებით დემოკრატიული ქვეყნების შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან სამოქალაქო ხელისუფლების, განათლებულ ამომრჩეველთა და თავისუფალი პრესის მუდმივი კონტროლის ქვეშ, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ არა გარკვეული პოლიტიკური ან სამხედრო ჯგუფების ინტერესებით, არამედ გამომდინარე მთელი საზოგადოების მოთხოვნილებიდან. დემოკრატიული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყ-

ენება შიდა რეპრესიების ან გარეშე აგრესიისათვის ნაკლებად შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, ასეთი შეიარაღებული ძალები საზოგადოების მიერ აღიქმება არა როგორც რეპრესიული აპარატი, არამედ როგორც ქვეყნის თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარების გარანტი.

დემოკრატიულ სახელმწიფოში სამხედრო ხელმძღვანელობა ვალდებულია განახორციელოს თავისი ფინანსური ანგარიშგება ქვეყნის მთავრობისა და პარლამენტის წინაშე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციისა და სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სამხედრო სტრუქტურის ტრანსპარენტულობა ხელს უწყობს ამ სფეროში თანამედროვე მიღწევების დანერგვას, სხვა ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობას და საერთო ჯამში ქვეყნის სტაბილურობას.

დემოკრატიულ კონტროლის გარეშე შეიარაღებული ძალები წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განითარების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ საშიშროებას. ამ თვალსაზრისით საქართველოს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ეს გახლდათ, ერთი მხრივ, საბჭოთა სამხედრო სისტემა, რომლის გამოყენებასაც ცდილობდა საწყის ეტაპზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, და მეორე მხრივ – შეიარაღებული ძალების მაღალ ეშელონებში არაპროფესიონალი და შემთხვევითი პიროვნებების დამკვიდრება.

მიუხედავად ამისა, იპპ-ის დამტკიცების პერიოდისათვის (1995 წლის 13 დეკემბერი) სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების დარეგულირებისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სამართლებრივი ბაზის შექმნის თვალსაზრისით. ეს, უპირველეს ყოვლისა, გახლდათ საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც გათვალისწინებულია სამხედრო სფეროზე დემოკრატიული კონტროლის მექანიზმის უმთავრესი პრინციპები. ამის შემდეგ საჭირო იყო კონსტიტუციური ნორმების განვითარება და კონკრეტიზაცია, დამატებით საკანონმდებლო აქტების მიღება, რაშიც ფასდაუდებელი დახმარების აღმოჩენა შეეძლო ნატოს.

მომდევნო, ანუ 1997–98 წლების ინდივიდუალური პარტნიორობის

პროგრამებმა შემდგომი იმპულსი მისცეს ნატოსთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა და მას უკვე კონკრეტული შედეგებიც მოჰქონდა. ასე, მაგალითად, 1997 წლის მანძილზე საქართველოდან წარგზავნილმა 5 სამოქალაქო და სამხედრო პირმა სპეციალური 6-თვიანი კურსები გაიარა ნატოს „მარშალის ცენტრში" (გარმიში, გერმანია). ოფიცერთა სპეციალიზირებულ კურსებზე ობერამერგაუს (გერმანია) ნატოს სკოლაში კი მომზადება გაიარა 9 ოფიცერმა. ეს ის ახალგაზრდა კადრებია, რომლებმაც მომავალში უნდა ითავონ საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვა და ხელმძღვანელობა. ქართველმა სამხედროებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში გამართულ 18 სამხედრო-საველე წვრთნასა და სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში, აქედან 5 მათგანში ქვეგანაყოფების (ოცეული) დონეზე.

ასევე წარმატებული იყო 1998 წელს სამხედროების მონაწილეობა სამეთაურო-საშტაბო წვრთნებში „აუტომეიშნ-98" (ნიდერლანდები), „მშვიდობის ფარი-98" (უკრაინა) და სხვ.

ნატოსა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა მხოლოდ იპპ-ით როდი შემოიფარგლება. ამ თვალსაზრისით, დიდ მნიშვნელობას იძენდა ნატოს შესაბამის უწყებებთან ქართველი სამხედროების დაკავშირება, დელეგაციებისა და ექსპერტთა ჯგუფების გაცვლები, მათი სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ასევე საქართველოს სამხედრო დელეგაციების მონაწილეობა ეაპს-ის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრებში, რომლებიც ყოველწლიურად ორჯერ იმართება ბრიუსელში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ასევე მონაწილეობენ ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბების უფროსთა სხდომებში, რომლებზეც ხდება როგორც ეაპს-ის საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე რეგიონული და უსაფრთხოების პრობლემატიკის სამხედრო ასპექტებისა და ნატო-საქართველოს პრაქტიკული სამხედრო თანამშრომლობის საკითხთა განხილვა.

1994 წლის 28 აპრილს, ბელგიის ქ.მონსში განლაგებულ ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის შტაბ-ბინაში, საზეიმოდ გაიხსნა „პარტნიორობის საკოორდინაციო ცენტრი“, რომლის მიზანი გახლდათ პმპ-ის ე.წ. სამხედრო ნაწილის განხორციელება. 1996 წლის აპრილიდან აღნიშნულ ცენტრში მუშაობა დაიწყო ქართველმა ოფიცერმა.

საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის თვალსაზრისით 1995 წელს გადაიდგა, ჩვენი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი. კერძოდ, 31 მაისის შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოიწონეს დოკუმენტი, რომელიც იურიდიულ საფუძველს ქმნის პმპ-ის მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს ან პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის. ეს გახლავთ „შეთანხმება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ“.

აღნიშნული შეთანხმება ეყრდნობა ნატოს 1951 წლის 19 ივნისის პრაქტიკულად ანალოგიურ დოკუმენტს (NATO SOFA), რომელიც, ბუნებრივია, მხოლოდ ალიანსის წევრი ქვეყნებით შემოიფარგლება და რომელშიც ჩამოყალიბებულია მოკავშირე ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგების იურიდიული საფუძვლები. ამგვარად, ამ ახალი შეთანხმებით მხოდა ნატოს მნიშვნელოვანი გამოცდილების გავრცობა პარტნიორ ქვეყნებზე. კერძოდ, შეთანხმების ხელმომწერი სახელმწიფოები იღებენ პასუხისმგებლობას რომ პმპ-ით გათვალისწინებული ღონისძიებებისას, რომლებიც მოითხოვენ ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გადაადგილებას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებებით:

- შეღავათიანი საპასპორტო და სავიზო რეჟიმი;
- სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მათი ატრიბუტიკის ურთიერთცნობა;
- იარაღის ტარების რეგულირება;

- სისხლის სამართალი და დისციპლინარული იურისდიქცია;
- ქონებრივი ურთიერთობები და შესაძლო ზარალის ანაზღაურების პროცედურა;
- საბაჟო და დაბეგვრის საკითხები;

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მპპ-ის წევრი ქვეყნებიდან, რომელიც შეუერთდა ამ შეთანხმებასა და მის დამატებით ოქმს (1995 წლის 18 ივლისს). ამგვარად, საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნა იურიდიული საფუძველი მპპ-ის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის.

რაც შეეხება სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას, იგი აუცილებლად საჭიროებდა მპპ-ის *დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში (PARP)* ჩართვას, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორ სახელმწიფოთა სამხედრო სტანდარტების თავსებადობის მიღწევას ნატოს ანალოგიურ სტანდარტებთან. ეს მეტად შრომატევადი და გრძელვადიანი პროცესია, რომლის საბოლოო მიზანია მპპ-ში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებზე გადასვლა. წლების განმავლობაში PARP-ის მეშვეობით ხდებოდა ნატოს ქვეყნების სამხედრო აღმშენებლობა, ხოლო მპპ-ს დაარსების შემდეგ აღნიშნულ პროცესში პარტნიორი ქვეყნებიც ჩაერთვნენ. ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის PARP-ი განსაზღვრავს თავსებადობის მიმართულებებს და დონეს, იმ პრიორიტეტებსა და პარამეტრებს, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს მპპ. PARP-ი გახლავთ ფაქტობრივად ის მექანიზმი, რომელიც ანიჭებს მპპ-ს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას და მიზანს – ნატოსთან თავსებადობის მიღწევას.

1999 წლის მარტში საქართველოს გადაეცა PARP-ის პროცესში მონაწილეობის „კითხვარი-შეფასება", რამაც ფაქტიურად დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში. PARP-ის ფარგლებში ალიანსთან თავსებადობის მისაღწევად საქართველომ აიღო ვალდებულება 25 „თავსებადობის ამოცანის" განხორციელების თაობაზე. კერძოდ, გადაწყდა, რომ სამშვიდობო ოპერაციებისათვის საქართველო გამოყოფდა ერთ ქვეით ბატა-

ლიონს, ერთ ასეულს და ერთ საინჟინრო ოცეულს (ბატალიონის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ცალკე განლაგებადი), რომლებიც მზად უნდა ყოფილიყვნენ უკვე 2000 წლისათვის. ბატალიონის დანარჩენი ნაწილის ნატოს სტანდარტებზე გადასვლა კი 2002 წლისათვის იგეგმებოდა.

PARP-ის ფარგლებში იწყებოდა ქართველ და ნატოელ სამხედრო ექსპერტების კონსულტაციები. ამ კონსულტაციების შედეგად დაიწყო შეაბამისი დოკუმენტების, კერძოდ, „პარტნიორობის მიზნებისა“ და „საქართველოს პარტნიორობის მიზნების ანგარიშის“ მომზადება. ეს უკანასკნელი მოკლედ აღწერდა საქართველოს ამოცანებს, „პარტნიორობის მიზნებში“ ასახულ სფეროებს, ასევე ჩვენი ქვეყნის მიერ განსაზღვრულ შესაძლო დამატებით ძალებსა და შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტების განხილვა შემდგომ გათვალისწინებული იყო 19+1 ფორმატით ნატოს პოლიტიკურ–სამხედრო საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრაზე. საბოლოო ეტაპს კი წარმოადგენდა ალიანსის ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლებისა და ნატოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მიერ დოკუმენტის ფორმალური დამტკიცება.

ამგვარად, PARP-თან მიერთებით საქართველომ გადადგა პრინციპული ნაბიჯი თავისი შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტების შესაბამისად რეფორმირების თვალსაზრისით.

ასეთი ჩამონათვალის შემდეგ მკითხველს ალბათ გაუჩნდებოდა კითხვა: რა პრაქტიკული შედეგები მოუტანა საქართველოს ნატოსთან სამხედრო თანამშრომლობამ?

ამ კითხვაზე მოკლე პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: თანამშრომლობამ ხელი შეუწყო თანამედროვე სტანდარტებზე ქართული ჯარის მშენებლობის დაწყებას. სწორედ „დაწყებას“, რადგან ასეთი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება საკმაოდ გრძელი და რთული პროცესია, რასაც არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მზრუნველობა სჭირდება, არამედ თანამედროვე ხედვაც. ამ უკანასკნელისათვის კი აუცილებელია ოფიცერთა ახალი პლეადა, რომლებსაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი, თუ რა მიზნები და ამოცანები დგას თანამედროვე შეიარაღებული ძალების წინაშე და როგორ უნდა მოხდ

მათი რეალიზაცია.

სამხედრო რეფორმების მიმართ ინიციატივიანი და გაბედული მიდგომის შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას მომავალშიც შეიძლება ჰქონდეს ნატოს მზარდი დახმარების იმედი.

თავი V.
ნატო და საქართველო: ევროატლანტიკური უსაფრთხოება XXI საუკუნეში

§ 1. ვაშინგტონის სამიტამდე, ანუ ბატალიები ნატო ახალ სტრატეგიულ კონცეფციასთან დაკავშირებით

1999 წლის პირველ ნახევარში ნატო–ეაპს–ის საქმიანობ უმთავრესად ვაშინგტონის სამიტისათვის მზადების ნიშნით მიმ დინარეობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამიტის ისტორიულ მნიშ ვნელობას სამი ძირითადი მოვლენა განსაზღვრავდა: ალიანსის 5 წლის იუბილე, მის შემადგენლობაში სამი ახალი წევრის (პოლო ნეთი, უნგრეთი, ჩეხეთი) ოფიციალური მიღება და ალიანსის ახალ სტრატეგიული კონცეფციის დამტკიცება, რომელზეც მნიშვნელოვნა იქნებოდა დამოკიდებული ნატოს მომავალი და ევროატლანტიკურ უსაფრთხოება XXI საუკუნეში.

ნატოს 1997 წლის ივლისის მადრიდის სამიტის გადაწ ყვეტილებისა და ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების იმავ წლის დეკემბრის შეხვედრით განსაზღვრული მანდატის შესაბამის ად, 1998 წლის დასაწყისიდან ნატოს პოლიტიკის საკოორდინაცი ჯგუფმა დაიწყო მუშაობა ახალი სტრატეგიული კონცეფციის შე მუშავებაზე.

აღნიშნული დოკუმენტის კონცეფტუალურ იდეებზე მუშაობ მეტად რთულად მიმდინარეობდა და იგი თითქმის ვაშინგტონი სამიტის დაწყებამდე გრძელდებოდა. პრინციპული დებულებებიდა ნატოს წევრი ქვეყნების ეჭვს არ იწვევდა კოლექტიური თავ დაცვის პრინციპი, რომელიც „ვაშინგტონის ხელშეკრულების“ საჯ ვანძო V მუხლში არის ასახული, ასევე ნაკლებად სადაო იყო ტრანსატლანტიკური ღერძის (დასავლეთ ევროპა – აშშ) არსებო ბის აუცილებლობა. „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდთან დაკავშირე ბული ალიანსის სხვა ძირითადი ფუნქციები კი დისკუსიების საგნა იქცა.

უთანხმოებას ამერიკელ და ევროპელ კოლეგებს შორი

იწვევდა შემდეგი საკითხი: *რა უნდა იყოს კოლექტიურ უსაფრთხოებასთან ერთად ალიანსის მთავარი მიზანი?* აშშ მხარს უჭერდა V მუხლის ფართო ინტერპრეტაციას და მიიჩნევდა, რომ ეს ცნება შეიძლება გულისხმობდეს ალიანსის რეაგირებას მასიური განადგურების იარაღის გავრცელებასა და მის თანამდევ ტერორიზმზე, ასევე მის მოქმედებას ეთნიკურ ძალადობასა და რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ევროპაში და *მის ფარგლებს გარეთ.* ევროპელი მოკავშირეების ნაწილი კი საკმაოდ სკეპტიკურად აღიქვამდა აღნიშნულ იდეას და ეჭვს გამოთქვამდა მისი მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამერიკელ და რიგ ევროპელ პარტნიორებს შორის საკმაოდ სერიოზული უთანხმოების საგანი გახდა ასევე *გაერო-ს უშიშროების საბჭოს მანდატის აუცილებლობის* საკითხი *ალიანსის საზღვრებს გარეთ ნატოს სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად.* აშშ-ის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ ნატოს უნდა ჰქონოდა უფლება თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა ევროპული უსაფრთხოების სივრცეში*. ევროპელთა დიდი ნაწილი კი (განსაკუთრებით – საფრანგეთი) ალიანსის მიერ სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ნებართვას.

უთანხმოების კიდევ ერთ საგანს წარმოადგენდა *ე.წ. გეოგრაფიის საკითხი,* რაც საქართველოსათვის განსაკუთრებით აქტუალური იყო. კერძოდ, აშშ მიიჩნევდა, რომ ნატოს უნდა ჰქონოდა ალიანსთან უშუალოდ მოსაზღვრე რეგიონებიდან „მომავალი საფრთხეების“ გაუვნებელყოფის უფლება, ანუ, ასეთი თეზისის მიღების შემთხვევაში თეორიულად შესაძლებელი გახდებოდა ნატოს მოქმედება მის მოსაზღვრე „პერიფერიულ რეგიონებშიც“ (მაგალითად, კავკასიაში ან ახლო აღმოსავლეთში). ამ თეზისის მოწინააღმდეგენი აღნიშნულ ფორმულირებაში ხედავდნენ „გლობალური ნატოს“ შექმნის საშიშროებას, რომელიც აშშ-ს „მსოფლიო პოლიციელის“ ფუნქციას

*ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ ნატოს ქმედება არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული გაერო-ში რუსეთის ან ჩინეთის ვეტოზე.

მიანიჭებდა.

ნაკლებ უთანხმოებას იწვევდა დისკუსია ალიანსის *ბირთვული სტრატეგიის* შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ოფიციალურად ბონი გერმანიის ახალი მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობის ინიციატივა ნატოში დებატების დაწყების თაობაზე ბირთვული იარაღის პირველად არგამოყენების კონცეფციის დენონსაციის შესახებ, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ უპირველეს ყოვლისა აშშ და დიდი ბრიტანეთი*. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 50 წლის მანძილზე ალიანსი ეფუძნებოდა ე.წ. შეკავების სტრატეგიას, ანუ ფუნდამენტურ დებულებას, რომ ნატოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში მას უფლება ჰქონდა პირველს გამოეყენებინა ბირთვული იარაღი. გერმანიის ინიციატივასთან დაკავშირებით აშშ მიიჩნევდა, რომ ალიანსის ბირთვული დოქტრინის რევიზია ხელს უწყობდა მსოფლიოში აგრესიული ტენდენციების გაძლიერებასა და ბირთვული იარაღის გავრცელებას.

არსებობდა აზრთა სხვაობა *ნატოს ფარგლებში ევროპული განზომილების გაძლიერების* თაობაზეც, რაც გულისხმობდა ალიანსში გამოკვეთილად ევროპული უსაფრთხოებისა და სამხედრო კომპონენტის შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ იდეის მიმართ, რომელიც ახალი არ იყო, არსებობდა ორი მიდგომა**. პირველში (მთავარი აპოლოგეტი საფრანგეთი) მტკიცედ ფიქსირდებოდა დასავლეთ ევროპული კავშირი (დეკა), რომელსაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით

** ნატოს სხვა ევროპულ ქვეყნებს ცალსახად არ გამოუხატავთ თავიანთი პოზიცია, კანადამ კი გერმანელებს პასიური მხარდაჭერა აღუქვა.*

*** ამ იდეის რეალიზაცია დაიწყო 90-წლების დასაწყისიდან, როდესაც კომუნისტური საფრთხის გაქრობის შემდეგ ევროპის ქვეყნებმა გადაწყვიტეს დაებალანსებინათ აშშ-სა და ევროპული ქვეყნების ურთიერთობები ნატოს საქმიანობაში. გარდა ამისა, იდეა კარგად მიესადაგებოდა იმ მიზნებს, რომლებსაც ევროკავშირი ისახავდა. კერძოდ, მაასტრიხტის ხელშეკრულება თვალისწინებდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას, ასევე საერთო თავდაცვითი პოლიტიკის ფორმირებას.*

დაეკისრა ევროპის თავდაცვის ფუნქციები. ამ ორგანიზაციაში არსებული შიდა წინააღმდეგობები და ფინანსური სირთულეები კი იმაზე მიუთითებდნენ, რომ ეს ამოცანა დეკასათვის მეტისმეტად მძიმე ტვირთი იყო. ამავე დროს 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა მეორე პოზიციაც (აშშ-ის მხარდაჭერით) ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთეულის (ESDI – European Security and defence Identity) თვით ნატოს შიგნით შექმნის შესახებ. ვაშინგტონის სამიტის მოახლოებასთან ერთად ამ იდეას სულ უფრო მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა.

ამასთანავე, სამიტისათვის მზადების პროცესში ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი პოზიციები არსებობდა იმ საკითხებზე, რომლებიც ასევე განხილვის საგანი იქნებოდა ვაშინგტონში.

უპირველეს ყოვლისა, არსებობდა საერთო აზრი, რომ ნატოს „კარი“ კვლავ ღია უნდა ყოფილიყო მასში გაწევრიანების მსურველთათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამიტი არ ითვალისწინებდა გაფართოების „მეორე ტალღის“ ვადების ან ქვეყნების დასახელებას, მოსალოდნელი იყო, რომ მის დოკუმენტებში ერთმნიშვნელოვნად აისახებოდა ალიანსის მზადყოფნა მომავალი გაფართოებისათვის, რაც ასევე მოითხოვდა გაწევრიანების მსურველი ქვეყნების მიერ გარკვეული კრიტერიუმების შესრულებას.

ვაშინგტონის სამიტზე მოსალოდნელი იყო ეაპს-ის ე.წ. გაღრმავებული პმპ-ის მიღება, ასევე ნატო-რუსეთის მუდმივი ერთობლივი საბჭოსა და ნატო-უკრაინის ერთობლივი კომისიის მნიშვნელობისა და როლის დადასტურება. ალიანსში არსებობდა ასევე ერთობლივი აზრი იმის თაობაზე, რომ აუცილებელი იყო ეჩშძ ხელშეკრულების ადაპტაციის პროცესის ეუთო-ს სტამბულის სამიტამდე დასრულება. რუსეთის პოზიცია, ადაპტირებული ხელშეკრულების ვაშინგტონის სამიტამდე შეთანხმების შესახებ, ნატოში მხარდაჭერით არ სარგებლობდა.

2. „კვანძის გახსნა“ ბალკანეთში – მკაცრი მაგალითი ყველასათვის

ვაშინგტონის სამიტისათვის მზადება მიმდინარეობდა იმ მეტად რთული საერთაშორისო მოვლენების ფონზე, რომლებიც კოსოვოს გარშემო ვითარდებოდა. ეს გამოწვეული იყო იუგოსლავიის პრეზიდენტის ს. მილოშევიჩის მიერ კოსოვოს ალბანელი ეროვნების მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიებითა და ძალადობით, რაც ეთნიკური წმენდის მასშტაბებს იღებდა.

1998 წლის გაზაფხულზე ვითარება კოსოვოში მნიშვნელოვნად გართულდა. ყოფილი იუგოსლავიის ეს რეგიონი საკმაოდ სწრაფად მოექცა ალიანსის ყურადღების ცენტრში, რადგან აღნიშნული პრობლემა რეალურ საფრთხეს უქმნიდა მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის სტაბილურობას.

კოსოვოს პრობლემის მიმართ ნატოს დამოკიდებულება გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. საერთო ჯამში ამ პრობლემამ უდიდესი გავლენა იქონია ალიანსის ევოლუციაზე და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი მიზნებისა და ფუნქციების თანამედროვე რეალობებთან მისადაგებას. კოსოვოში ნატოს მოქმედებამ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ახლებურად გააზრების საქმეში, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ შეიქმნა პრეცედენტი ალიანსს თავის ფარგლებს გარეთ განეხორციელებინა მასშტაბური სამხედრო ოპერაცია სამართლიანობის აღდგენისა და ზნეობრივი პრინციპების დაცვის მიზნით. ეს იყო პირველი შემთხვევა თანამედროვე ისტორიაში, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა არსებულ საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა სწორედ ზნეობრივი ფასეულობები და განახორციელა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის) წინააღმდეგ, რომელიც მასშტაბურ ეთნიკურ წმენდას ატარებდა კოსოვოელი ალბანელების, ანუ ამ ქვეყნის ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ.

სამართლებრივი თვალსაზრისით ამ ოპერაციის ყველაზე საგულისხმო

მომენტი ის იყო, რომ იგი განხორციელდა ფაქტურად გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე. ამით განსხვავდებოდა კოსოვოს ოპერაცია ბოსნია-ჰერცეგოვინის სამხედრო აქციისაგან, სადაც მოკავშირეთა შეიარაღებული ძალები გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე მოქმედებდნენ.

საწყის ეტაპზევე კოსოვოში ვითარების გართულებასთან ერთად ნატოს წინაშე წარმოიშვა დილემა, რომელიც დასავლეთის საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების ფართო განხილვის საგნად იქცა: როგორ უნდა მოქცეულიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური ზეწოლა იუგოსლავიის ხელმძღვანელობაზე შედეგს არ გამოიღებდა და ეს უკანასკნელი გააგრძელებდა კოსოვოელი ალბანელების დევნასა და რეპრესიებს. ნათელი იყო, რომ ამ შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე, დადგებოდა სამხედრო ძალის გამოყენების საკითხი. მაგრამ საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით ამის გაკეთება, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან რუსეთი, სერბების მიმართ თავისი ცნობილი სიმპატიების გამო, უთუოდ გამოიყენებდა ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოში. ამ შემთხვევაში, ნატო საერთაშორისო სამართლის „მძევალი“ გახდებოდა და იძულებული იქნებოდა ეცქირა, თუ როგორ იგდებდა აბუჩად იუგოსლავიის რეტროგრადული ხელისუფლება იმავე სამართლის ელემენტარულ ნორმებს, რომლის ამოსავალი წერტილი დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვაა.

მოვლენათა ასეთი განვითარება უაღრესად დიდ და შესაძლოა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა ნატოს ავტორიტეტს, რომელიც სულ უფრო გამოკვეთილად იკვიდრებდა ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების გარანტის მთავარ ფუნქციას. ეს ალიანსში კარგად ესმოდათ.

ამასთანავე, გარდა ნატოს ავტორიტეტის შელახვისა, კოსოვოში დაძაბულობის გაღრმავება, როგორც უკვე აღინიშნა, დამანგრეველი დეტონაციით ემუქრებოდა მეზობელ ქვეყნებსა და შესაძლოა მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულს, რომლის სტაბილურობაც ამ რეგიონის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა მეტად ფაქიზ

ბალანსზეა დამყარებული. ბელგრადის პარანოიდული პოლიტიკის გამო ნატო ვერ დაუშვებდა ამ ბალანსის დარღვევას და ევროპული, ანუ საერთაშორისო კრიზისის წარმოქმნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამისათვის ძალის გამოყენება დასჭირდებოდა.

მეორე მხრივ, დასავლეთში ნათლად აცნობიერებდნენ იმ საშიშროებასაც, რასაც უქადდა ნატო-რუსეთის ურთიერთობებს კოსოვოში ნატოს შესაძლო სამხედრო ოპერაცია. მოსკოვში გაძლიერებული ანტიდასავლური ტენდენციები იმაზე მიუთითებდა, რომ გაეროს გვერდის ავლით კოსოვოს პრობლემის მოგვარების მცდელობა „რუსეთის დაკარგვის“ ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო.

ყოველივე ამის გამო, ძალის გამოყენება-არგამოყენებას შორის პრინციპული არჩევანის გაკეთებას დიდი პოლიტიკური ნება და მოკავშირეთა მტკიცე სოლიდარობა სჭირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზევე კოსოვოში გამწვავებული ვითარების განმუხტვის მიზნით დასავლეთმა მიმართა მრავალმხრივ დიპლომატიურ აქტიურობას, რაშიც წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეები და ევროატლანტიკური სტუქტურები ჩაერთვნენ. ეს საკითხი ცენტრალურ პრობლემად იქცა ნატოს საბჭოშიც. გამონაკლისს არც ეაპს წარმოადგენდა, სადაც პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით რეგულარულად და სხვადასხვა დონეზე განიხილებოდა კოსოვოში შექმნილი ვითარება. ამ განხილვის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ის იყო, რომ მშვიდობის დაცვის სფეროში ნატოსა და პარტნიორების პრაქტიკული თანამშრომლობის მეთოდებისა და ფორმების შემუშავება ხდებოდა. ეს კონსულტაციები მოგვიანებით კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში გადაიზარდა, რომელსაც საქართველოც შეუერთდა.

ეაპს-ში კოსოვოს საკითხის განხილვისას გამუდმებით გამოკვეთდნენ იმ გარემოებას, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოელ ალბანელთათვის მხარდაჭერა სრულებით არ ნიშნავდა სეპარატიზმის წახალისებას. იუგოსლავიის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას არავინ აყენებდა ეჭვქვეშ. კოსოვოელ ალბანელთათვის მხარდაჭერა კი მხოლოდ რეაქცია იყო ბელგრადის ეთნიკური წმენდისა და უმცირესობათა უფლებების დარღვევის პოლიტიკაზე. როგორც

1998 წლის 22 აპრილს ელჩების დონეზე ეაპს-ის შეხვედრაზე აღინიშნა, იუგოსლავიის მიმართ ნატოს დამოკიდებულებას ახლო მომავალში განსაზღვრავდა ის ფაქტორი, თუ როგორ შეძლებდა ბელგრადი კოსოვოს კონფლიქტის მოგვარებას.

ამგვარად, საბოლოო არჩევანი იუგოსლავიის ხელმძღვანელობას უნდა გაეკეთებინა. მაგრამ, თუ პრეზიდენტ მილოშევიჩის საერთაშორისო რეპუტაციით ვიხელმძღვანელებდით, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იგი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა და პოლიტიკური მეთოდებით მოაგვარებდა კოსოვოს საკითხს. ამაზე მეტყველებდა ამ მოღვაწის მიერ სლოვენიაში, ხორვატიასა და ბოლოს ბოსნიაში გადადგმული ნაბიჯები, რამაც ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არნახული ტრაგედია გამოიწვია. ამის დასტური გახლდათ კოსოვოში ძალადობის მზარდი ტენდენციაც.

კოსოვოს საკითხის გამო ეაპს-ში მიმდინარე პოლიტიკურ კონსულტაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი ხელს უწყობდნენ პარტნიორი ქვეყნების პოზიციების განსაზღვრას ერთი მხრივ აღნიშნული საკითხის, ხოლო მეორე მხრივ - კონფლიქტთან დაკავშირებით ნატოს პოლიტიკის მიმართ. ერთიანად იკვეთებოდა არა მარტო ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია, არამედ ის, თუ რა ზნეობრივი საწყისებით ხელმძღვანელობდნენ ისინი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. ჩვენი აზრით, სხვადასხვა დონეზე ამ თვალსაზრისით საქართველოს პოზიციის დაფიქსირებამ მეტად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებასა და ნატოსთან მის შემდგომ დაახლოებას.

ამ საკითხში საქართველო ხელმძღვანელობდა იმ პრინციპული მოსაზრებით, რომ თანაბრად მიუღებელი იყო როგორც ეთნიკური ექსკლუზიურობის აგრესიული სეპარატიზმი, ასევე სახელმწიფოს მიერ ეთნიკური წმენდის ნებისმიერი გამოვლინება. ამ კონტექსტში ჩვენი მხრიდან ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ ერთი ან მეორე ადამიანური მოვლენის წინააღმდეგ მოქმედი საერთაშორისო მექანიზმები, უპირველეს ყოვლისა გაერო, ვერ აკმაყოფილებდნენ თანამედროვეობის მოთხოვნებს. ამის დასადასტურებლად საქართველოს წარმო-

მადგენლებს მოჰყავდათ აფხაზეთის მაგალითი, სადაც საერთაშორისო ძალისხმევა ჯერჯერობით შედეგს ვერ აღწევდა.

აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით კოსოვოს პრობლემა აფხაზეთის საკითხზე ნატოსა და ეაპს–ის ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას იძლეოდა, რასაც საქართველო, ჩვენი აზრით, კარგად იყენებდა. ამ კონტექსტში საქართველო თანმიმდევრულად ატარებდება აზრს, რომ სამხრეთ კავკასია საჭიროებდა ნატოსა და ეაპს–ის ისეთივე ყურადღებას, როგორსაც კოსოვო და ყოფილი იუგოსლავია. იმის მაგალითად, რომ ეს უკანასკნელი ნატოს პრივილიგირებული დამოკიდებულებით სარგებლობდა, თუნდაც ის „უბრალო“ მაგალითი მოწმობდა, რომ ეაპს–ის შეხვედრების დღის წესრიგში ბოსნიისა და კოსოვოს პრობლემები მუდამ პირველ საკითხებად ფიგურირებდა, ხოლო სხვა რეგიონების თემატიკის განხილვა ხდებოდა „სხვა რეგიონული საკითხების“ ფარგლებში. არადა, არც ბოსნია და მითუმეტეს, არც იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა არ იყვნენ ეაპს–ის წევრი ქვეყნები. ასე რომ, ალოგიკურობა აშკარა იყო, მაგრამ იგი განპირობებული იყო გეოპოლიტიკური რეალობით, რომელიც, მოგეხსენებათ ხშირად ლოგიკაზე მაღლა დგას.

საქართველოს მიერ კოსოვოს კონფლიქტის მიმართ ეაპს–ის ფარგლებში პრინციპული პოზიციის დაფიქსირება გარკვეულ პოლიტიკურ სირთულეებთან და რისკთანაც კი იყო დაკავშირებული. ამის უმთავრესი მიზეზი გახლდათ რუსეთის უაღრესად უარყოფითი რეაქციები ამ რეგიონში ნატოს პოლიტიკის მიმართ, რასაც მეტნაკლებად ითვალისწინებდნენ დსთ–ს წევრი ქვეყნები. კერძოდ, უკრაინა ნაკლებად მონაწილეობდა ამ საკითხთან დაკავშირებულ კოსულტაციებში, რაც შიდაპოლიტიკური სირთულეებითა და ამ ქვეყნაში სლავურ–პროკომუნისტური ორიენტაციის ძალების გავლენით აიხსნებოდა. ბელარუსი, ყოველგვარი „გადახვევების“ გარეშე, რუსეთის პოზიციას იმეორებდა. რაც შეეხება შუა აზიის ქვეყნებს, მიუხედავად კოსოველ ალბანელებთან გარკვეული რელიგიური ერთობისა, მათი წარმომადგენლები, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებდნენ. სომხეთი ცდილობდა ნატოს მიერ კოსოველი ალბანელების მხარ-

დაჭერაზე გაეკეთებინა აქცენტი იმ კონტექსტში, რომ ტერიტორიული მთლიანობის ცნება არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის უმთავრეს კატეგორიას და რომ გარკვეულ ვითარებაში არსებობის ასეთივე უფლება აქვს ერთა თვითგამორკვევის პრინციპსაც*. ალიანსის პოლიტიკის მტკიცე მხარდაჭერით გამოდიოდა აზერბაიჯანი და ნაკლებით – მოლდოვა.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიერ კოსოვოსთან მიმართებით დასავლეთის დიპლომატიური ნაბიჯების, ხოლო შემდგომ ნატოს სამხედრო ოპერაციის გაბედულმა მხარდაჭერამ მეტად სერიოზული დივიდენდები მოუტანა ჩვენს ქვეყანას. ეს კიდევ უფრო განამტკიცა გადაწყვეტილებამ ქართული სამშვიდობო ოცეულის გაგზავნის შესახებ კოსოვოში KFOR-ში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც უკვე აღინიშნა, კოსოვოს თემა, ბოსნიის პრობლემატიკასთან ერთად, მუდმივი განხილვის საგნად იქცა ეაპს-ის სხვადასხვა დონის შეხვედრებზე. კერძოდ, ამ საკითხის გარშემო მსჯელობა გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრებზე, რომლებიც შესაბამისად 1998 წლის 28–29 მაისსა და და 8–9 დეკემბერს ჩატარდა. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს დელეგაციებიც. ისინი, გარდა იმისა, რომ მხარს უჭერდნენ ნატოს საქმიანობას ბოსნიისა და კოსოვოს პრობლემების მოგვარებაში, აღნიშნავდნენ, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში არ უნდა არსებობდეს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი კონფლიქტები. ამ ჭრილში ხაზი ესმებოდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ევროპული უსაფრთხოების ორგანიზაციების, განსაკუთრებით ეაპს-ის ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას.

გარდა ამისა, მინისტრების სხდომებზე ანალიზდებოდა ეაპს-ის მუშაობის შედეგები, ამ მუშაობის მნიშვნელობა ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობის განმტკიცებაში, ეაპს-ის არეალში კონფლიქტების თავიდან აცილების პრობლემები. განიხილებოდა

---

* *ამ შემთხვევაში ქვეტექსტში მთიანი ყარაბაღი იგულისხმებოდა.*

ასევე ეაპს-ის 1998-2000 წლების სამოქმედო გეგმის მსვლელობა, ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული სამშვიდობო ოპერაციების სამხედრო-პოლიტიკური კონცეფციის შემუშავებაში მიღწეული პროგრესი, ავრეთვე კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე მიმდინარე კონსულტაციები.

ყოფილი იუგოსლავიის, ასევე პმპ-ის ფარგლებში მიმდინარე საკითხებისა და სამომავლო გეგმების განხილვას მიეძღვნა ეაპს-ის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაც 1998 წლის 13 ივნისს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც თავდაცვის მინისტრის ბ-ნ დ.თევზაძის მეთაურობით. კოსოვოსთან მიმართებით მინისტრებმა მხარი დაუჭირეს იმ მოსაზრებას, რომ, თუ საერთაშორისო საზოგადოებრიობის სამშვიდობო პოლიტიკა შედეგს არ მოიტანდა, არ გამოირიცხებოდა ძალის გამოყენებაც. ამ პოზიციას, ძირითადად, დაეთანხმა რუსეთის დელეგაციაც, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ ნატოს მიერ ძალის შესაძლო გამოყენების აუცილებელი წინაპირობა უნდა ყოფილიყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუცია და მანდატი.

გარდა იმისა, რომ დაძაბულობა კოსოვოში საფრთხეს უქმნიდა მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და, შესაბამისად, მთელ ევროპას, აღნიშნული პოლიტიკური „კვანძის" გახსნა ფაქტიურად იქცა ალიანსის იმ ახალი სტრატეგიული კონცეფციის გამოცდად, რომელიც ვაშინგტონის სამიტს უნდა მიეღო. საკითხი ცალსახად იდგა: თუ ნატო ვერ შესძლებდა კოსოვოში მდგომარეობის დარეგულირებას, მაშინ კითხვის ქვეშ დადგებოდა ალიანსის ავტორიტეტი და მისი მომავალი. მოვლენების ასეთი განვითარება და ნატოს როლის შესუსტება მეტად უარყოფითად იმოქმედებდა სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში.

კოსოვოსთან დაკავშირებით 1999 წელს ალიანსის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს და მის შემდგომ პერიოდში ამ აქციის ოპონენტები ხშირად გამოთქვამდნენ აზრს, რომ ნატომ არასაკმარისად სცადა კონფლიქტი პოლიტიკური გზით მოეგვარებინა და ნაუცბათევად მიმართა სამხედრო ძალას. ამასთან

დაკავშირებით, ჩვენი აზრით, შეიძლება მოკლედ განვიხილოთ ის ნაბიჯები, რომლებიც 1998 წლის მანძილზე გადადგა ალიანსმა ამ მიმართებით. ამასთან, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ნატოს ნებისმიერი ქვეყნით ჩამოთვლილი ნაბიჯი გადაიდგმებოდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა (გაერო, ეუთო, ევროკავშირი) და ცალკეული ქვეყნების (მათ შორის რუსეთის) მაღალ წამომადგენელთა განსაკუთრებული პოლიტიკური აქტიურობის ფონზე, რაც, საერთოდ, ქმნიდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან იუგოსლავიის ხელმძღვანელობასთან საერთო ენის გამონახვისა და კომპრომისის ძიების მეტად შთამბეჭდავ სურათს.

კოსოვოში ვითარების გართულებასთან დაკავშირებით ჩრდილო ატლანტიკურმა საბჭომ ჯერ კიდევ 1998 წლის 5 მარტს გააკეთა საკმაოდ აქცენტირებული განცხადება, რომელიც მოუწოდებდა იუგოსლავიის ხელისუფლებასა და კოსოვოელ ალბანელებს დაძაბულობის განმუხტვისაკენ.

11 მარტს ეაპს-ის შეხვედრამ ელჩების დონეზე იმსჯელა ამ საკითხზე და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობებზე.

28 მაისს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა საგანგებოდ განიხილეს კოსოვოში კრიზისის განმუხტვის შესაძლებლობები და გააკეთეს შესაბამისი განცხადება.

ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი იყო ნატო-რუსეთის მუდმივი ერთობლივი საბჭოს 12 ივნისის სხდომაზეც, რომელზეც ორივე მხარემ დაგმო როგორც ბელგრადის მიერ კოსოვოში ძალის გამოყენება, ასევე კოსოვოელი ექსტრემისტების ქმედება.

12 აგვისტოს ალიანსის გენერალურმა მდივანმა გააკეთა განცხადება, რომ კოსოვოში ძალადობის გაგრძელება აიძულებდა ნატოს დაეწყო შესაძლო სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციის დაგეგმვა ამ კრიზისის შეჩერების მიზნით.

24 სექტემბერს ჩრდილო ატლანტიკურმა საბჭომ გამოაცხადა მზადყოფნა საჰაერო კამპანიის დასაწყებად.

9 ოქტომბერს ნატო-რუსეთის ერთობლივ საბჭოზე მხარეებმა მხარი დაუჭირეს კოსოვოს კრიზისის მოგვარებისაკენ მიმართულ

საერთაშორისო ძალისხმევას და ხაზი გაუსვეს გაეროს უშიშროების საბჭოს 1160-ე და 1199-ე რეზოლუციების შესრულების აუცილებლობას. 15 ოქტომბერს ბ-ნი ხ.სოლანა, ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი კ.ნაუმანი და ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი უ.კლარკი ეწვივნენ ბელგრადს. პრეზიდენტ ს.მილოშევიჩთან შეხვედრისას მათ მოითხოვეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს აღნიშნული რეზოლუციების სასწრაფო და სრული შესრულება.

20 ოქტომბერს გენ. უ.კლარკი განმეორებით ეწვია ბელგრადს და შეხვდა ს.მილოშევიჩს.

24-25 ოქტომბერს გენ. უ.კლარკი და გენ. კ.ნაუმანი კვლავ ცდილობდნენ ბელგრადში დაერწმუნებინათ ს.მილოშევიჩი კოსოვოში ძალადობის შეჩერების აუცილებლობაში.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიურმა აქტიურობამ 1998 წლის ოქტომბერ-ნოემბრისათვის გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო, რასაც ხაზგასმით მიესალმა 27 ოქტომბერს ნატოს გენერალური მდივანი თავისი განცხადებით.

სამწუხაროდ, მომდევნო პერიოდში იუგოსლავიის ხელისუფლებამ განახლებული ძალებით მიმართა რეპრესიებს კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ, რაც იწვევდა ე.წ. კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის შეიარაღებულ წინააღმდეგობას. ტერორიზებული მშვიდობიანი მოსახლეობა მასიურად ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს. 1999 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ლტოლვილთა რაოდენობამ 210 ათასს მიაღწია. ევროპის შუაგულში იქმნებოდა ჰუმანიტარული კატასტროფის რეალური საშიშროება. დასავლეთის მედიასა და ფართო საზოგადოებრივ წრეებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ნატოს მისამართით კრიტიკა უმოქმედობის გამო.

ამ მოვლენების ფონზე ნატოში სულ უფრო სერიოზულად განიხილებოდა ძალის გამოყენების ალტერნატივა, რისთვისაც ალიანსის სამხედრო სამსახურებში მიმდინარეობდა შესაბამისი მზადება. კერძოდ, ვითარებიდან გამომდინარე, იგეგმებოდა მოქმედების სამი შესაძლო ვარიანტი, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასიურ ზომებს (სამხედრო ვიზიტები, პმპ-ის ფარგლებში ერთობლივი ვარჯიშები),

ძალების პრევენტიულ განლაგებას და, ბოლოს, აქტიურ ჩარევას (სამხედრო ოპერაცია საჰაერო და სახმელეთო ძალების გამოყენებით). შესაბამისი გეგმის „აქტივიზირებისათვის“ საჭირო იყო ნატოს საბჭოს გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, აქცენტი კვლავ კეთდებოდა კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებაზე. საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, 1999 წლის 6 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ რამბუიეში დაიწყო ბელგრადის ხელისუფლებასა და კოსოვოელ ალბანელებს შორის მოლაპარაკებები, რაზეც დასავლეთში დიდ იმედებს ამყარებდნენ. მოლაპარაკება თავიდანვე მეტად რთულად წარიმართა, რადგან სერბები არ თანხმდებოდნენ კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ძალების განლაგებას, რაშიც მათ რუსეთი უჭერდა მხარს*. კოსოვოელი ალბანელები კი უარს აცხადებდნენ განიარაღებაზე, თუ კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების გარანტიებს არ მიიღებდნენ. საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდა კოსოვოელ ალბანელთა დათანხმება შეთავაზებულ წინადადებებზე, მაგრამ ბელგრადის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო მარტის თვეში მოლაპარაკების პროცესი ჩაიშალა.

აღნიშნულ პერიოდში ნატომ არაერთხელ გააფრთხილა ბელგრადის ხელისუფლება, რომ, თუ იგი არ შეწყვეტდა ძალადობას კოსოვოს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ და არ დაეთანხმებოდა რამბუიეში შეთავაზებულ წინადადებებს, ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია. ამ გაფრთხილებების აღსრულება, რომლებსაც ბოლო ეტაპზე აშკარად ულტიმატუმის ხასიათი ჰქონდა, რამდენჯერმე გადაიდო, რაც აშკარად უარყოფითად მოქმედებდა ნატოს ავტორიტეტზე. ნათელი იყო, რომ ალიანსი ცდილობდა ამოეწურა კრიზისის პოლიტიკური მოგვარების ყველა საშუალება. ამ მიმართებით თავისი მცდელობის შესახებ ნატოს პოლიტიკის საკოორდინაციო ჯგუფი (PCG) რეგულარულად აყ-

---

* *წინადადება კონფლიქტის ზონაში ნატოს კონტინგენტის განლაგების თაობაზე ფაქტიურად დეიტონის ხელშეკრულებიდან იყო გადმოღებული.*

ენებდა საქმის კურსში ეაპს-ის წევრ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს მისიის წარმომადგენლებს.

1999 წლის 24 მარტს აღნიშნული ჯგუფის მორიგ სხდომაზე ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სამსახურის დირექტორმა განაცხადა, რომ ალიანსის გენერალურმა მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია „გაერთიანებული ძალების" დაწყების შესახებ (იუგოსლავიაზე საჰაერო რეიდების განხორციელება სხდომის დამთავრებიდან რამდენიმე საათში დაიწყო). აღინიშნა, რომ ოპერაცია განხორციელდებოდა მხოლოდ იუგოსლავიის სამხედრო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ და ყველა ზომა იქნებოდა მიღებული „თანმდევი ზიანის" (collateral damage) თავიდან ასაცილებლად. სამხედრო ოპერაციის მთავარ მიზნად დასახელდა იუგოსლავიის სამხედრო პოტენციალის შესუსტება და, აქედან გამომდინარე, კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების მასშტაბების შემცირება.

აღნიშნულ შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა დააფიქსირა ამ ქვეყნის კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, რადგან, მისი აზრით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი მანდატის გარეშე სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება ყოვლად დაუშვებელი იყო.

თავისი საჰაერო კამპანიის შესაჩერებლად ნატომ მოითხოვა იუგოსლავიის ხელმძღვანელობისაგან შემდეგი ხუთი პირობის შესრულება:

- სახედრო ოპერაციების შეწყვეტა კოსოვოში;
- სამხედრო ძალების გაყვანა კოსოვოდან;
- კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება;
- კოსოვოელი ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისათვის მათი დახმარების საშუალების მიცემა;
- კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით რამბუიეში დაწყებული პროცესის გაგრძელება.

ნატოს გადაწყვეტილება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმ-

დეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ იყო ახალი ეტაპის დასაწყისი ალიანსის 50-წლიან ისტორიაში*. ამ ნაბიჯს თვისობრივი ცვლილება შეჰქონდა არა მარტო ალიანსის ფილოსოფიაში, არამედ საერთაშორისო სამართალშიც. ნატო და მისი წევრი სახელმწიფოები პრაქტიკულ განაცხადს აკეთებდნენ იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად. ამგვარად, ნატო თავის მოქმედებაში მორალურ საწყისს ანიჭებდა უპირატესობას და არა საერთაშორისო სამართალს. ეს რევოლუციური მოვლენა გახლდათ, რადგან ნატო გარკვეულწილად თავის თავზე იღებდა გაერო-ს უფლებას მიეღო გადაწყვეტილება სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ.

ამგვარი გადაწყვეტილება ალიანსისათვის იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან გაერო (ასევე ეუთო-ც) უძლური აღმოჩნდა, გამოეყენებინა მის ხელთ არსებული საშუალებები კრიზისის მოსაგვარებლად**.

იმის გარკვევა, თუ რამდენად გამართული იყო იურიდიული თვალსაზრისით ნატოს ეს ქმედება, ჩვენი აზრით, ცალკე განსჯის თემაა. ფაქტია ის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს თანამედროვე ისტორიისა და ბალკანეთის რეგიონში არსებული ვითარების სათანადო შეფასების საფუძველზე, ასევე იმის ღრმა რწმენით, რომ ნატოს უმოქმედობა გამოიწვევდა ფართო მასშტაბის ჰუმანიტარულ კატასტროფასა და გრძელვადიან დესტაბილიზაციას აღნიშნულ რეგიონში.

ერთი შეხედვით, საქართველო გეოგრაფიულად საკმაოდ შორს იყო ამ მოვლენებისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული წარ-

---

** კოსოვოში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგების ანალიზა სცდება ამ ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.*

*** ნატოს ეს ქმედება კარგი „გაკვეთილი" აღმოჩნდა გაეროსათვის - 1999 წლის ბოლოს აღმოსავლეთ ტიმორში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება უშიშროების საბჭომ საკმაოდ ოპერატიულად მიიღო და განახორციელა.*

მოდგენა იყო. ნატოს სამხედრო ოპერაცია დაკავშირებული იყო მთელ რიგ გეოპოლიტიკურ რისკებთან, რომლებიც, სავარაუდოდ, სერიოზულ გავლენას მოახდენდნენ საქართველოს უშიშროებაზე.

უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე ნატოს მიერ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შეუსრულებლობა (კერძოდ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ნებართვის უქონლობა) ქმნიდა იმის საშიშ პრეცედენტს, რომ ფსევდოზნეობრივი მოტივები გახდებოდა სხვა სახელმწიფოთა ექსპანსიონისტური პოლიტიკის იარაღი. ამას შეიძლებოდა დასაბამი მიეცა მეტად სახიფათო ტენდენციებისათვის განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები და ტრადიციებია. მოგეხსენებათ, რომ კავკასიაში და მის მეზობლად, სამწუხაროდ, არ არის ასეთ სახელმწიფოთა ნაკლებობა. მსხვერპლი კი, და ეს ისტორიიდანაც ვიცით, როგორც წესი, ყველაზე სუსტი და პატარაა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოს ნატოს პრეცედენტის გარეშეც არ დაკლებია მეზობლური „ყურადღება". ამის საშიშროება ახლა კიდევ უფრო იზრდებოდა*.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო იყო ნატოს სამხედრო კამპანიის გავლენა რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. მოსალოდნელი იყო, რომ ეს კამპანია რუსეთში გამოიწვევდა ნატოსა და საერთოდ დასავლეთის მიმართ უარყოფით განწყობილებას, ე.წ. მოწითალო-მოყავისფრო ძალების კონსოლიდაციას, პოლიტიკურ სარბიელზე სამხედროთა, და საერთოდ ძალოვანთა, გააქტიურებას, საერთო ჯამში კი - ლიბერალური რეფორმების დამუხრუჭებას.

რაც შეეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკას, ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ პანსლავური კავშირების განტკიცებას (რუსეთი-ბელორუსი-იუგოსლავია), რუსეთის ძალისმიერი ტენდენციების გაძლიერებას „ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნებში, ასევე დსთ-ს სივრცეში ერ-

---

** ალბათ, უნდა დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, რომ ნატოს სამხედრო აქციამ საგრძნობლად გაუხსნა ხელი რუსეთს მოგვიანებით ჩეჩნეთში სამხედრო-ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად.*

თიანი სამხედრო სტრუქტურების აღდგენის მცდელობებს. სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში შეიძლებოდა იმის პროგნოზირებაც, რომ რუსეთი შეეცდებოდა ენერგეტიკული რესურსებისა და სატრანზიტო მაგისტრალების მონოპოლიზირებას.

რუსეთთან მიმართებით გაკეთებული პროგნოზები ნატოს სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე ნაწილობრივ გამართლდა. პრეზიდენტმა ბ.ელცინმა და ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა გაკეთეს უმწვავესი განცხადებები, რასაც მოჰყვა ცნობილი სამხედრო დემარშებიც, ხმელთაშუა ზღვაში რუსული სამხედრო-სადაზვერვო ხომალდის გაგზავნის ჩათვლით. 1999 წლის 24 მარტს შეიპ-ში რუსეთის სამხედრო წარმომადგენელი გენერალი ვ.ზავარზინი გაიწვიეს მოსკოვში, ხოლო მომდევნო დღეებში ცნობილი გახდა რუსეთის გადაწყვეტილება ნატოსთან ურთიერთობების შეჩერების შესახებ.

რაც შეეხება ბელარუსს, პრეზიდენტმა ა. ლუკაშენკომაც არ დააყოვნა მორიგი სენსაციური განცხადების გაკეთება ამჯერად იმის თაობაზე, რომ მინსკი თანახმა იყო განეხილა საკითხი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ(1).

აღსანიშნავია, რომ თუკი დასავლეთში საკმაოდ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული რუსეთის მოსალოდნელი რეაქცია, თითქმის ყველასათვის მოულოდნელი იყო უკრაინის ხელისუფლების პოზიცია, რომლითაც ის ხაზგასმით გაემიჯნა ნატოს ქმედებას. როგორც 24 მარტს „ინტერფაქსი“ იტყობინებოდა, სატელეფონო საუბრისას ბ-მა ბ.ელცინმა და პრეზიდენტმა ვ.კუჩმამ ერთობლივად დაგმეს იუგოსლავიის წინააღმდეგ დაწყებული ნატოს საჰაერო კამპანია(2). რაც შეხება უკრაინის საზოგადოებრიობას, მის ფართო წრეებშიც საკმაოდ ძლიერად გაიჟღერა ნატოს წინააღმდეგ მიმართულმა მოტივებმა. ანტიდასავლური განწყობილებების გაძლიერება უკრაინაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მოკავშირედ მოიაზრება და სუუამ-ის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახლავთ, მეტად არასასურველ პერსექტივებს სახავდა საქართველოსათვის.

ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ისიც, თუ როგორ განხორციელდებოდა ნატოს სამხედრო ოპერაცია - წარ-

მატებით თუ წარუმატებლად. ორივე შემთხვევაში საქართველოსათვის აუცილებელი იყო რიგი *სპეციფიური მომენტების* გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა, ნატოს სამხედრო წარმატება მეტად ძლიერი სიგნალი იქნებოდა ყველა ჯურის პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც, იუგოსლავიის ხელმძღვანელობის მსგავსად, ცდილობენ დაიკანონონ ეთნიკური წმენდის შედეგად მიღწეული წარმატებები და დემოგრაფიული ცვლილებები. ირღვეოდა მათი დაუსჯელოს სინდრომი და იმის შეგძნება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მხოლოდ რეზოლუციების მიღება ძალუძს და სხვა არაფერი. ამ თვალსაზრისით ეს ნათელი მითითება იყო სოხუმის რეჟიმისთვისაც, რომ დრომ უკვე მის საწინააღმდეგოდ დაიწყო მუშაობა.

ეს ოპერაცია გახლდათ ნატოს ახალი სტრატეგიის პრაქტიკული გამოხატულება, რომელიც გულისხმობს ევროატლანტიკურ სივრცეში საჭიროებისას ძალის გამოყენებას კრიზისული სიტუაციის დარეგულირებისა და მშვიდობის დამკვიდრების მიზნით. ამ მიმართებით კოსოვოში გადადგმულ პირველ წარმატებულ ნაბიჯს შეიძლება მოჰყოლოდა შემდგომი ნაბიჯიც სხვა რეგიონში. ესეც დადებითი მომენტი იყო.

ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ნატოს მიერ კოსოვოელ ალბანელთა (როგორც ბელგრადის რეჟიმის მსხვერპლთა) მხარდაჭერასა და მათ წარმატებას შეიძლება სტიმული მიეცა სხვა სეპარატისტული ძალებისათვის. ამ კონტექსტში ნათელი იყო, რომ სამხედრო ოპერაციის წარმატების შემდეგ ძალიან ძნელი იქნებოდა კოსოვოელ ალბანელთა დათანხმება სერბიის ან იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენაზე. სახეზე იქნებოდა, უკეთეს შემთხვევაში, კოსოვოს დე-ფაქტო, ხოლო უარეს შემთხვევაში – დე-იურე დამოუკიდებლობა, ან ალბანეთთან მისი მიერთება. როგორ იმოქმედებდა ეს ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ სხვა სეპარატისტულ მოვლენებზე, კერძოდ, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია – აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებზე?

მაგრამ თუკი ნატოს სამხედრო ოპერაციის წარმატება გარკვეულ

პრობლემებს შექმნიდა, მისი წარუმატებლობა კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. გარდა იმისა, რომ ყოფილი იუგოსლავიის მთელს ტერიტორიაზე სიტუაცია უაღრესად გართულდებოდა, რაც ბალკანეთის დესტაბილიზაციის ტოლფასი იქნებოდა აქედან გამომდინარე გეოპოლიტიკური შედეგებით, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ნატოს ავტორიტეტსა და საერთოდ ევროპის ახალი უშიშროების სისტემის მშენებლობის პერსპექტივას. ამ შემთხვევაში, საკმარისი იყო, რომ

- პმპ-ისა და ეაპს-ის ფარგლებში ნატოს პარტნიორი ქვეყნები დაიწყებდნენ უშიშროების სხვა გარანტიებისა და მექანიზმების ძიებას;

- „მწვანე შუქი“ მიეცემოდა იმ ძალებსა და ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ ძალისმიერი მეთოდებით მიაღწიონ ტერიტორიულ ცვლილებებს, ან შეინარჩუნონ ეთნიკური წმენდის შედეგად მიღწეული შედეგები. კოსოვოში დამარცხების შემდეგ კი ნატო უძლური იქნებოდა კვლავ ეკისრა სამართლიანობის აღმდგენის როლი.

- პოლიტიკაში ერთის დამარცხება ხშირად მისი ოპონენტის გამარჯვებას გულისხმობს, ამიტომ ნატოს წარუმატებლობით უდავოდ ისარგებლებდნენ ის ძალები, რომლებსაც ევროატლანტიკურ სივრცეში თავიანთი რეტროგრადული ამბიციები აქვთ;

- გაძნელდებოდა განხეთქილებებისა და დაპირისპირებების თავიდან აცილება თვით ალიანსის რიგებში, მათ შორის აშშ-სა და ევროპელებს შორის, რაც საბოლოო ჯამში უთუოდ გამოიწვევდა ნატოს დაყოფას ინტერესთა ჯგუფებად;

- ყოველივე ეს ფაქტიურად მოასწავებდა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების მეტად სახიფათო და არაპროგნოზირებად ცვლილებას.

აღნიშნულისა და სხვა მომენტების გათვალისწინებით, საქართველოს უნდა ჩამოეყალიბებინა თავისი პრინციპული დამოკიდებულება ალიანსის სამხედრო ოპერაციის მიმართ, რაც შექმნილ ვითარებაში საკმაოდ რთული საკითხი იყო.

ჯერ კიდევ 1998 წლის მანძილზე საქართველოს წარმომადგენლებმა ეაპს-ის სხვადასხვა შეხვედრაზე არაერთხელ დააფიქ-

სირეს ჩვენი ქვეყნის პოზიცია კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით. ამ გამოსვლებსა და საუბრებში ხაზს უსვამდნენ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, კერძოდ, ტარდებოდა პარალელი აფხაზეთთან. ამ კონტექსტში აღინიშნებოდა, რომ ეს პრობლემაც ასევე ითხოვდა ნატო–ეაპს–ის მეტ ყურადღებას, რადგან ამ შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა ეთნიკური წმენდას და ადამიანთა უფლებების მასიურ დარღვევებს. ამასთანავე, ისევე როგორც კოსოვოსთან მიმართებით, არ სრულდებოდა გაერო–ს მთელი რიგი რეზოლუციები. ამიტომ არასწორი იყო ევროატლანტიკურ სივრცეში კონფლიქტთა დაყოფა პირველ და მეორეხარისხოვან მოვლენებად. აღინიშნებოდა კოსოვოში, და საერთოდ ევროატლანტიკურ სივრცეში, სეპარატიზმის შემდგომი გავრცელების საშიშროებაც, რის იმპულსადაც შესაძლოა ქცეულიყო დასავლეთის მიერ კოსოვოელ ალბანელთა უპირობო მხარდაჭერა.

1999 წლის 29 მარტს, ანუ ნატოს სამხედრო კამპანიის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა შეფასება მისცა მიმდინარე მოვლენებს, რაც შემდგომ პრეს–რელიზის სახით გაავრცელა ნატოში საქართველოს მისიამ. კერძოდ, ბ–ნ ე.შევარდნაძის აზრით, კოსოვოს მოვლენები მიუთითებდა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის არაეფექტურობაზე. კერძოდ, გაერო–ს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო აემოქმედებინა მის ხელთ არსებული მშვიდობის დამამყარებელი მექანიზმები, „ასეთ ვითარებაში ძველი ინერციით მოქმედება კი ხშირად უმძიმეს შედეგებს იწვევს“ (3). პრეზიდენტმა მიუთითა, რომ ანალოგიური მოვლენები კვლავ შეიძლება განმეორდეს სხვა რეგიონებშიც, თუ დროულად არ იქნება შემუშავებული მშვიდობის ძალით დამყარების მექანიზმები.

განცხადებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ გაერო–ს ასეთივე უმოქმედობამ შესაძლებელი გახადა კონფლიქტის მოუგვარებლობა აფხაზეთში. კერძოდ, უშიშროების საბჭომ მიიღო 15 რეზოლუცია, შედეგი კი მინიმალური აღმოჩნდა.

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი იყო განცხადების ის ნაწილი, რომელიც მოუწოდებდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, არ დაეშვათ საერთაშორისო ვითარების გართულება, რაც ძალზე უარყ–

ოფიციალურად იმოქმედებდა „ცივი ომის“ შემდეგ შექმნილ ურთიერთ-ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროზე. ეს პასაჟი განსაკუთრებით ეხებოდა რუსეთს, რომელიც ხაზგასმული კატეგორიულობით რეაგირებდა ნატოს სამხედრო ოპერაციაზე. დადებითი შეფასება ეძლეოდა იუგოსლავიის ხელმძღვანელობისათვის რამბუიეში წარდგენილ წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ კრიზისის პოლიტიკურ დარეგულირებას.

იმავდროულად აქცენტი გადატანილი იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობაზე იმ კონტექსტში, რომ „ცივი ომის“ ეპოქის ეს პირმშო ღრმა რეფორმას საჭიროებდა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოში თავისი გავლენის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად რუსეთი სწორედ უშიშროების საბჭოში თავის წევრობასა და ვეტოს უფლებას მიიჩნევს, ხოლო ნატოს სამხედრო ოპერაცია მოსკოვში აღიქმებოდა გაერო-ს ავტორიტეტის წინააღმდეგ მიმართულ აქციადაც. ამგვარად, ბ-ნ ე. შევარდნაძის განცხადება აშკარად გაბედულად ჟღერდა.

6 აპრილს ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველო მზად იყო მონაწილეობა მიეღო კოსოვოში ლტოლვილთა დასახმარებლად საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ წარმოებულ აქციებში. კერძოდ, ამის მიზნით შესთავაზეს კვალიფიცირებულ მედიკოსთა ჯგუფი(4). საქართველოს ეს წინადადება შესაბამისად შეაფასა ნატოს ხელმძღვანელობამ. ნატოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ბ-ნ ჯ. შეის მიერ 9 აპრილს კოსოვოს კრიზისის გამო ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც CNN-ი პირდაპირ ეთერში აშუქებდა, აღნიშნულ ჰუმანიტარულ ოპერაციაში მონაწილეობის მსურველ ქვეყნებს შორის საქართველოც დასახელდა (5).

პარალელურად, თბილისიდან მიღებული შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად, საქართველოს მისიამ წინადადებით მიმართა ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას, რათა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს

თანამშრომლობის საკოორდინაციო უჯრედში (PCC) მონაწილეობა მიეღო კოსოვოში შესაძლო სამშვიდობო ოპერაციის მზადების პროცესში(5). ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ჩვენი ქვეყანა რეალურად განიხილავდა აღნიშნულ ოპერაციასთან მიერთების საკითხს*.

საქართველოს მიერ გადადმული ეს ნაბიჯები პირველი განაცხადი იყო საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში ჩვენი ქვეყნის ჩართვის შესახებ. საქართველო ამ ნაბიჯით ხაზს უსვამდა, რომ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული მრავალი სირთულეებისა, მისი სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება იყო ყოფილიყო ევროპის ახალი უშიშროების სისტემის მხოლოდ მომხმარებელი კი არა, არამედ მისი მშენებლობის პრაქტიკული მონაწილე. ეს აშკარად დადებითად მოქმედებდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე და მიუთითებდა მისი სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეულ დონეზე. ამასთანავე, ეს ნაბიჯი გახლდათ თავისებური გარანტი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნებსა და წინადადებებს ნატოში ამიერიდან მეტი წონა ექნებოდა.

#3. იუბილე ვაშინგტონში

1999 წლის 24 და 25 აპრილს ვაშინგტონში გაიმართა შესაბამისად ნატოსა და ეაპს-ის სამიტები. აღნიშნული უმაღლესი დონის შეხვედრები კოსოვოს მოვლენების ფონზე იმართებოდა, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა საერთო ატმოსფეროსა და განწყობილებაზე. აღსანიშნავია, რომ ეაპს-ის სამიტში რუსეთის დელეგაცია არ მონაწილეობდა, რაც ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაუარესებაზე მიუთითებდა.

** 1999 წლის 20 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მოიწონა ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილება KFOR-ში მონაწილეობის მისაღებად კოსოვოში ქართული საჯარისო ნაწილის – ოცეულის გაგზავნის შესახებ.*

ეაპს–ის სამიტზე, რომელსაც ბ–ნი ხ. სოლანა თავმჯდომარეობდა, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აშშ–ის პრეზიდენტმა ბ–მა ბ.კლინტონმა. მან ისაუბრა ევროატლანტიკური უშიშროების საკითხებზე და ყურადღება გაამახვილა კოსოვოს პრობლემაზე, პმპ–ის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობაზე და ამ კონტექსტში გამოყო რუსეთთან და უკრაინასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა*. მან ასევე მიუთითა იმ საფრთხეებზე, რომლებიც ემუქრება ახალი უშიშროების არქიტექტურის მშენებლობას, მათ შორის მოუგვარებელ საკითხებზე დასავლეთსა და მუსლიმანურ სამყაროს, ასევე თურქეთსა და საბერძნეთს შორის.

გაიმართა ფართო მსჯელობა ევროატლანტიკური თანამშრომლობის აქტუალურ საკითხსა და მომავალ პერსპექტივებზე. სახელმწიფოთა მეთაურებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ვითარებას კოსოვოში. ამ კონტექსტში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ როგორ შეაფასებდნენ ნატოს პარტნიორები ალიანსის ქმედებას კოსოვოში. აღსანიშნავია, რომ დასავლეთისა და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნატოს სამხედრო ოპერაციას. სამხედრო კამპანიის მხარდამჭერთა შორის, ბუნებრივია, გამოირჩეოდნენ ის ქვეყნები, რომელთა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს ნატოში გაწევრიანება წარმოადგენს. მათ შორის ფიგურირებდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნები. მაგალითად, ლიტვის პრეზიდენტმა ბ–მა ვ.ადამკუსმა მადლობის სიტყვებიც კი აღავლინა უფალი ღმერთის მისამართით ნატოს შექმნისათვის.

რაც შეეხება სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათი ხელმძღვანელების გამოსვლებში ასახვა პოვა იმ გეოპოლიტიკურმა რეალობებმა, რომელთა გათვალისწინებაც, როგორც წესი, პოლი–

** აშშ–ს პრეზიდენტმა დამსწრეთ ამცნო, რომ იმავე დღით მას საათნახევრიანი სატელეფონო საუბარი ჰქონდა ბ–ნ ბ.ელცინთან: „როგორც მე მას გუთხარი, ასეთი ხანგრძლივი საუბარი იმის დამადასტურებელი იყო, რომ უკეთესი იქნებოდა მისი გაშინგტონში ჩამოსვლა და ჩვენს შეხვედრაში მონაწილეობა“.*

ტიკურ აუცილებლობას წარმოადგენს. უკრაინის პრეზიდენტმა ბ-მა ლ.კუჩმამ არჩია მხოლოდ ზოგადად, ყოველგვარი შეფასებების გარეშე შეხებოდა ამ საკითხს, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ იგი ითვალისწინებდა ამ ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ აზრს და, შესაძლოა, რუსეთის პოზიციასაც.

საკმაოდ დაბალანსებულად ისაუბრა ნატოს აღნიშნული ქმედების თაობაზე ყაზახეთის პრეზიდენტმა ბ-მა ნ. ნაზარბაევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ჩვენ არ უნდა დავუშვათ ახალი გამყოფი ხაზების შექმნა*. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ კომპრომისებისათვის და გამოვიყენოთ ძალა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში". ამავე დროს მან აღნიშნა, რომ „სამშვიდობო ძალებს უნდა მიეცეს საშუალება აღადგინონ სამოქალაქო სიმშვიდე ამ ქვეყანაში" (6), რაც გარკვეულწილად ნატოს მხარდაჭერად აღიქმებოდა. მან ასევე ხაზი გაუსვა იუგოსლავიის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობას. პრეზიდენტ ნაზარბაევის გამოსვლაში გაიჟღერა საერთაშორისო სამართლის ახლებურად გააზრების მეტად მნიშვნელოვანმა თემამ და ამ თვალსაზრისით გაერო-ს, ნატოსა და ეუთო-ს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საკითხმა.

უზბეკეთის პრეზიდენტის ი. ქარიმოვის გამოსვლა გამოირჩეოდა ხაზგასმულად ნატოს მხარდამჭერი პოზიციით. მან დაახასიათა ნატო, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დემოკრატიული ფასეულობებისა და სტაბილურობის უნიკალური გარანტი და გაგებით ისაუბრა ალიანსის შემდგომ გაფართოებაზე. რაც შეეხება კოსოვოს, ამ რეგიონში დაძაბულობის შექმნაში ბ-მა ი.ქარიმოვმა ცალსახად დაადანაშაულა პრეზიდენტი ს.მილოშევიჩი და ის „ცალკეული ქვეყნები და ძალები" (7), რომლებიც დახმარებას უწევენ იუგოსლავიის ხელისუფლებას. ვფიქრობთ, რომ ასეთი „გამჭირვალე" მინიშნება ეჭვს არ ტოვებდა იმის თაობაზე, თუ ვის გულისხმობდა უზბეკეთის ლიდერი ამ შემთხვევაში. თუმცა მან ისიც აღნიშნა, რომ იგი მიესალმებოდა ნატოს ძალისხმევას კოსოვოს სამშვიდობო პროცეს-

---

* *გამყოფ ხაზებში იგულისხმებოდა ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები.*

ში რუსეთის ჩართვის თაობაზე*.

ყირგიზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა – პრემიერ-მინისტრმა ხ. იმანალიევმა თავის გამოსვლაში პრაქტიკულად გვერდი აუარა კოსოვოს პრობლემას და ზოგადად ისაუბრა პმპ-ის ფარგლებში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

დაახლოებით ასეთივე სტილით ისაუბრა მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-მა ა.ლუჩინსკიმ. მისი ფრთხილი განცხადება, რომ „საჭირო იყო კოსოვოში სამხედრო ქმედების შეჩერება“ (8), უფრო იმას ნიშნავდა, რომ იგი უარყოფითად აფასებდა ნატოს სამხედრო კამპანიას.

სომხეთის პრეზიდენტი ბ-ნი რ.კოჩარიანი შეეცადა პარალელი გაევლო კოსოვოსა და მთიან ყარაბაღს შორის იმ კონტექსტში, რომ „ერთა თვითგამორკვევის უფლების ძალადობრივი მეთოდებით შელახვა იწვევს ომსა და ჰუმანიტარულ კატასტროფას, რაც არ შეიძლება მივიჩნიოთ რომელიმე ქვეყნის მხოლოდ შიდა პრობლემად“ (9). ამავე დროს, მან მოუწოდა კოსოვოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს კომპრომისის ძიებისა და შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტისაკენ. რაც შეეხება თვით ყარაბაღის პრობლემას, ბ-მა რ.კოჩარიანმა თავი შეიკავა „ზედმეტი უსაგნო დისკუსიებისაგან“ (10) და ხაზი გაუსვა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ „სომხეთიცა და მთიანი ყარაბაღიც“ მხარს უჭერდნენ ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მიერ ბოლო ხანს შემუშავებულ წინადადებებს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გამოიყენა ეს მაღალი ტრიბუნა მისი ქვეყნის წინააღმდეგ „სომხეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის“ (11) გასაკრიტიკებლად, ასევე მინსკის ჯგუფის საქმიანობის მხარდასაჭერად. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ „მიუღებელი იყო კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარისათვის იარაღის უკანონო მიწოდება“ (12), რაშიც, უთუოდ, რუსეთის მიერ სომხეთის სამხედრო მხარდაჭერა იგულისხმებოდა. რაც შეეხება კოსოვოს საკითხს, ბ-მა

** ნატოს კულუარებში აღნიშნავდნენ, რომ ასეთ პოზიციაზე შესაძლოა გაელენა იქონია ბ-ნი ჭარიმოვზე განხორციელებულმა ტერორისტულმა თავდასხმამ, რაშიც ზოგიერთი პოლიტიკური წრეები რუსეთის ხელსაც ხედავდნენ.*

ჰ.ალიევმა მხარი დაუჭირა ნატოს ქმედებას და აღნიშნა, რომ საჭირო იყო ბოლო მოღებოდა ეთნიკურ წმენდასა და საშუალება მისცემოდა ლტოლვილებს დაბრუნებოდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. აზერბაიჯანის ლიდერმა ასევე ცალსახად დაუჭირა მხარი ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციას და განაცხადა, რომ „აზერბაიჯანი ყველა ღონეს იხმარს ნატოსთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისათვის“ (13).

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სამიტის მონაწილეები განსაკუთრებული ყურადღებით ელოდნენ იმ სახელმწიფო მოღვაწის გამოსვლას, რომლის სახელიც პირდაპირაა დაკავშირებული „ცივი ომის“ დამთავრებასა და ახალი ეპოქის დასაწყისთან. ბ-მა ე.შევარდნაძემ სწორედ იმ პერიოდის მოგონებით დაიწყო თავისი გამოსვლა: „წუთით გადავინაცვლოთ 10 წლით უკან და თვალი გადავავლოთ განვლილ ეპოქას. ერთი მხრივ, ბერლინის კედელი უკვე აღარ არსებობს, საბჭოთა იმპერია ისტორიის კუთვნილება გახდა, მის ნანგრევებზე შენდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნების ოჯახი. მართლაც რომ შესანიშნავი და ბედნიერი დასასრულია ფილმისა სახელწოდებით – **XX** საუკუნე. მაგრამ, რა ვუყოთ შემზარავ შავ-თეთრ კადრებს – ეთნიკურ წმენდას, მილიონობით ლტოლვილს, ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ახალ და ძველ ნაირსახეობებს? როგორ დავიხსნათ თავი დაუცველობის შეგრძნებისა და მომავლის შიშისაგან ?“ (14)

სამიტის ცენტრალური თემის – კოსოვოს საკითხზე საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა აქცენტი გააკეთა იმ მთავარ გარემოებაზე, რაზეც, მისი განცხადებით, კარგა ხანია მიგვითითებს სხვა მოუგვარებელი და „გაყინული“ კონფლიქტები, მათ შორის კონფლიქტი აფხაზეთშიც: „..საჭიროა „ცივი ომის“ ეპოქაში ჩამოყალიბებული და დღემდე მოქმედი უსაფრთხოების მექანიზმის სერიოზული სრულყოფა“ (15). ეს აზრი, რომელიც სწორედ საქართველოს ლიდერმა გამოთქვა სამიტზე ყველაზე გამოკვეთილად, ნატოს როლის ახლებური ხედვის მეტად სერიოზული მხარდაჭერა იყო საერთაშორისო საქმეებში. ამ როლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი კი სწორედ ის გახლავთ, რომ „უსაფრთხოების მტკიცე გა-

რანტიების, ძალით განმტკიცებული დიპლომატიის, მათ შორის *იძულებითი მშვიდობის დამყარების* პრინციპის რეალური ამოქმედების გარეშე ვერ განვიკურნებით კონფლიქტების ეპიდემიისაგან“ (16).

ამგვარად, ბ-მა ე.შევარდნაძემ მიუთითა იმ მთავარ მომენტზე, რომელიც იკვეთებოდა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის ერთ-ერთ მთავარ დებულებად. ეს იყო იძულებითი მშვიდობის დამყარების პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრინციპის პრაქტიკული ამოქმედება ჯერ მხოლოდ კოსოვოში ხდებოდა, ეს სერიოზული განაცხადი იყო სხვა ანალოგიურ მოვლენებთან მიმართებითაც. განა აფხაზეთსაც არ მიესადაგება კოსოვოს მისამართით ბ-ნ ე. შევარდნაძის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები: “ახალი გაბედული მიდგომა უნდა დაუპირისპირდეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ დაუსჯელობის სინდრომს“ (17).

საქართველოს პრეზიდენტი შეეხო ნატოს ურთიერთობებს პარტნიორ ქვეყნებთან და აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა ალიანსისათვის მეგობრული გარემოცვის გარანტიაა. ეაპს-ის წევრი ქვეყნების დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარება კი – საუკეთესო საშუალება ამ სივრცეში ყოველგვარი ექსტრემიზმის, რევანშიზმის ან აგრესიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო ფორმულა, საკმაოდ განსხვავდებოდა დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში ნატოს წინააღმდეგ მოზღვავებული ემოციებისაგან, რომლებსაც ბევრი არაფერი აკლდა „ცივი ომის“ დროინდელ ლოზუნგამდე – „ძირს ნატოს აგრესიული ბლოკი !“.

უდავოდ აქტუალური იყო საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები, რომ დიდ მოთმინებასა და წინდახედულობას მოითხოვდა შეთანხმებული პარტნიორული კავშირების შენარჩუნება და გაღრმავება ნატოსა და რუსეთს შორის, „რადგან რუსეთის, ისევე, როგორც უკრაინის, აქტიური მონაწილეობის გარეშე, წარმოუდგენელია ერთიანი ევროატლანტიკური სახლის შექმნა“. ამავე დროს, ამ კონტექსტში გაკეთდა მოკლე, მაგრამ მრავალისმთქმელი მინიშნება – „თავის მხრივ, რუსეთმაც უნდა გაიაროს თავისი გზა“ (18).

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ევროატლანტიკური თანამ-

შრიმლობა უნდა ეფუძნებოდეს ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ფართო და მრავალმხრივ ურთიერთობას, რომელიც რეალური შედეგების მისაღწევად უნდა ითვალისწინებდეს პოლიტიკურ კონსულტაციებს, საერთო ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას კრიზისულ და არასტანდარტული სიტუაციების დროს, თანამედროვე ტექნოლოგიათა და მეცნიერულ მიღწევათა გაზიარების სისტემას. ასეთ პარტნიორობის ამოსავალ წერტილად პრეზიდენტმა მიუთითა არა გეოპოლიტიკა და ძალთა ბალანსის მოძველებული ცნება, არამედ „ზნეობრივი მიდგომა და ერთიანი მსოფლმხედველობრივი სივრცე იმის რწმენა, რომ ყველა პარტნიორი ქვეყნის, დიდისა თუ პატარის, სატკივარი მთელი ევროატლანტიკური ოჯახის საერთო საზრუნავი გახდება. სწორედ ეს უნდა იყოს ალიანსის ახალი მისია“ (19).

აღნიშნულ კონტექსტში ბ–მა ე.შევარდნაძემ ამ უმაღლესი ტრიბუნიდან კვლავ მოიხსენია აფხაზეთის პრობლემა და გამოთქვა რწმენა, რომ ევროატლანტიკური თანამეგობრობა „უკვე არსებულ მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით“ მიმართავდა ერთიან ძალისხმევას ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა სამიტზე შეფასდა, როგორც ევროატლანტიკური უშიშროების სფეროში ალიანსის ახალი მისიის ძლიერი მხარდაჭერა. კოსოვოს მოვლენების კრიტიკულ მომენტში ბ–ნ ე.შევარდნაძის მიერ გადადგმული ასეთი გაბედული ნაბიჯი შესაბამისად აღიქვეს, რაც დაადასტურა მომდევნო პერიოდში ნატოს მიერ საქართველოს რიგი ინიციატივებისა თუ კონკრეტული მიმართვების მხარდაჭერამ. ერთ–ერთი კონკრეტული მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ 1999 წლის სექტემბერში ეაპს–ის ფარგლებში კავკასიის რეგიონული ჯგუფის შექმნა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და რამაც დასაბამი მისცა ამ რეგიონის უშიშროების საკითხების კონცენტრირებულ განხილვას აღნიშნულ ორგანიზაციაში. ჩვენი აზრით, ასევე მეტად საყურადღებო მოვლენა იყო „სპეციალური სტუმრის“ სტატუსით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის უშრეცედენტო მონაწილეობა ეაპს–ის ელჩების დონის შეხვედრაში 1999 წლის 5 ივნისს*.

ეაპს-ის სამიტზე მიღებული დოკუმენტი – „21-ე საუკუნის პარტნიორობისაკენ – გაღრმავებული და უფრო ოპერატიული პარტნიორობა“ ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მასშტაბური ხასიათი მიიღო ამ ორგანიზაციის ფარგლებში წარმოებულმა კონსულტაციებმა პოლიტიკურ-სამხედრო სფეროში. მასში გაანალიზებულია 1997 წლის მადრიდის ეაპს-ის სამიტის შემდეგ ამ ორგანიზაციაში განხორციელებული მუშაობის მთავარი შედეგები და პერსპექტივები ისეთი აქტუალური მიმართულებებით, როგორიცაა

- ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული პმპ-ის ოპერაციების პოლიტიკურ-სამხედრო კონცეფცია;

- გაფართოებული და ადაპტირებული დაგეგმვისა და განხილვის პროცესი (PARP);

- თავდაცვასთან დაკავშირებული და სამხედრო თანამშრომლობა;

- ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული პმპ-ის ოპერაციების შესაძლებლობებათა კონცეფცია;

- წვრთნისა და განათლების გაუმჯობესება პმპ-ის ფარგლებში.

რაც შეეხება *ნატოს სამიტს*, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ეაპს-ის უმაღლესი დონის შეხვედრის წინა დღეს გაიმართა, იქ მიღებული გადაწყვეტილებები უდავოდ შეიძლება შეფასდეს, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ნატოს 50-წლიან ისტორიაში.

** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ თ.ნადარეიშვილს მიეცა საშუალება ალნიშნულ ფორუმზე სიტყვით გამოსულიყო, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო ამ ორგანიზაციის პრაქტიკაში. მისმა საკმაოდ ემოციურმა და არგუმენტირებულმა გამოსვლამ, ასევე დელეგაციის მიერ სხდომაზე გავრცელებულმა მასალებმა აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ აშკარად ძლიერი გავლენა იქონია ნატოს ხელმძღვანელობაზე, ასევე ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების ელჩებზე. როგორც ამ გამოსვლის შემდეგ გამართულ დისკუსიებში აშშ-ის ელჩმა განაცხადა „გარკვეულ ეტაპზე, ალბათ, მართლაც დადგება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რათა გარანტირებულ იქნეს ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ სახლებში“ (20)*

როგორც სამიტის დასასრულს ბ-მა ხ. სოლანამ განაცხადა, „თვით ის ფაქტი, რომ ეს გადაწყვეტილებები მიიღეს ალიანსის დაარსების შემდეგ ყველაზე უფრო რთული ევროპული კრიზისის ფონზე, იმაზე მეტყველებს, რომ ნატო მზადაა წინ აღუდგეს კონტინენტის სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ საშიშროებებს. კოსოვოს კრიზისზე პასუხით ალიანსმა დაადასტურა, რომ იგი მზადაა დაიცვას ატლანტიკური თანამეგობრობის მთავარი ფასეულობები: თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონიერება“ (21). კერძოდ, სამიტზე:

- მოიწონეს ნატოს განახლებული სტრატეგიული კონცეფცია;

- ოფიციალურად დასრულდა ნატოში პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის გაწევრიანება;

- დადასტურდა ნატოს მზადყოფნა შემდგომი გაფართოებისათვის, ხოლო ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის მიიღეს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP);

- შემუშავდა ალიანსის ფარგლებში „ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის იდენტურობის“ მთავარი ელემენტები (ESDI);

- საფუძველი ჩაეყარა „თავდაცვის საშუალებათა ინიციატივას“ (DCI);

- ყურადღება გამახვილდა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებაზე, ასევე ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან დიალოგის გაღრმავებაზე;

- გადაწყდა, გაძლიერდეს ერთობლივი ძალისხმევა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ.

თავი VI.
ახალი იმედების მიჯნა

#1. ახალი სტრატეგია მომავალი საუკუნისათვის

გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *ნატოს განახლებული სტრატეგიული კონცეფცია*, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ვაშინგტონის სამიტის მომზადების პერიოდში საკმაოდ მწვავე დისკუსიების საგანი იყო.

კონცეფციის შესავალ ნაწილში განხილულია ის ღრმა ცვლილებები, რომლებიც მოხდა ევროატლანტიკურ სივრცეში 1991 წლის შემდეგ, ანუ ნატოს წინა სტრატეგიული კონცეფციის მიღების შემდგომ პერიოდში. კერძოდ აღინიშნება, რომ „ცივი ომის“ ეპოქამ ადგილი დაუთმო ახალ იმედის მომცემ პერსპექტივებს, რაც ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის საშუალებას იძლევა. ნატომ საკვანძო როლი შეასრულა ამ ახალი ტიპის ურთიერთობების დამყარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში პარტნიორული სულისკვეთების ჩამოყალიბებაში. მაგრამ, იმავდროულად, გაჩნდა ისეთი ახალი რისკები და საშიშროებები, როგორიცაა ეთნიკური კონფლიქტები, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მოშლა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და სხვ. ამგვარად, ალიანსის მიზანია შენარჩუნებული იყოს ბოლო წლების პოზიტიური მიღწევები და პასუხი გაეცეს უშიშროების არსებულ თუ შესაძლო რისკებსა და გამოწვევებს.

აღნიშნულია, რომ ნატოს მთავარი მიზანია ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უშიშროების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო საშუალებებით. ამ კონტექსტში მითითებულია, რომ აღნიშნული ამოცანის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუშალოს ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულმა ან შესაძლო კრიზისებმა და კონფლიქტებმა. ამიტომ, ალიანსმა უნდა იზრუნოს არა მხოლოდ თავის უშიშროებაზე, არამედ მთელი ევროატლანტიკური რეგიონის სტაბილურობაზე.

ალიანსი, რომელიც არც ერთ სახელმწიფოს არ მიიჩნევს თავის მოწინააღმდეგედ, პატივს სცემს სხვა ქვეყნების უსაფრთხოების ინტერესებს და ადასტურებს თავის მზადყოფნას გაერო-ს ქარტიის შესაბამისად ეძიოს კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზები. ამ კონტექსტში აღინიშნება გაერო-ს უშიშროების საბჭოს უზენაესი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად.* შესაბამისად, კონცეფცია აღნიშნავს ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უშიშროების მექანიზმების როლსაც.

რაც შეეხება *ალიანსის უშიშროების რისკებსა და გამოწვევებს*, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სტრატეგიულ გარემოცვაში ნატოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის ალბათობა მეტად მცირეა, სტრატეგიული კონცეფცია არ გამორიცხავს გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთ შესაძლებლობას. „ალიანსის უსაფრთხოება დამოკიდებულია სამხედრო და არასამხედრო რისკების ფართო სპექტრზე, რომლებიც მრავალგანზომილებადია და მათი წინასწარმეტყველება ხშირად ძალიან ძნელი“ – ნათქვამია ამ დოკუმენტში (1). მათ რიცხვს მიეკუთვნება არასტაბილური ან გაურკვეველი ვითარება ევროატლანტიკურ სივრცეში ან მის მახლობლად, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც ნატოს მეზობელ ქვეყნებზე, ასევე ალიანსის წევრ სახელმწიფოებზე. კონცეფცია ასევე ყურადღებას ამახვილებს „ალიანსის ფარგლებს გარეთ არსებულ ბირთვულ იარაღზე“, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ალიანსისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აქცენტი კეთდება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელების საშიშროებაზეც. ამავე კონტექსტში განიხილება ალიანსის შესაძლო მოწინააღმდეგის მიერ თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებათა გამოყენება.

ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა კონ-

** ამგვარად, ნატოს ოფიციალური პოზიცია, თითქოს სტრატეგიული კონცეფცია მთლიანად უგულვებელყოფს გაერო-ს როლს, არამართებულია.*

კონცეფციის მე-2 ნაწილის 24-ე მუხლი, რომელშიც საუბარია ნატოს უშიშროების რისკის ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ტერორიზმი, საბოტაჟი, ორგანიზებული დანაშაული და *ალიანსისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსების* ბლოკირება. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, შეიძლება მიესადაგოს კასპიის ენერგოპროექტებსაც, რომლებიც განხორციელების გაკვეულ ეტაპზე აშკარად მნიშვნელოვან ფუნქციას შეიძენენ დასავლეთის სამყაროსა და, კერძოდ, ნატოს ქვეყნებისათვის.

კონცეფციაში გაშუქებულია *ალიანსის მიერ XXI საუკუნის უსაფრთხოების სისტემის ხედვა*. აღინიშნება, რომ ალიანსი განიხილავს თავის უსაფრთხოებას ფართო გაგებით როგორც სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების ერთიანობას. ასეთმა ფართო მიდგომამ საფუძველი უნდა შეუქმნას ნატოს უსაფრთხოების უმთავრესი ფუნქციების განხორციელებას, მისი თანამშრომლობის გაფართოებას ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან, ასევე გაერო-სთან. აღინიშნება, რომ ნატოს წევრი ქვეყნების კოლექტიური ამოცანაა ისეთი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა, რომელშიც ალიანსისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი და ძალისხმევა ერთანეთს შეავსებენ და გააძლიერებენ როგორც თანამშრომლობის, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვაში.

XXI საუკუნეში ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის ნატო აუცილებლად მიიჩნევს

- ტრანსატლანტიკური კავშირის (აშშ-დასავლეთ ევროპა) შენარჩუნებას;

- ალიანსის ისეთი სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს თავდაცვასა და შეკავებასთან (deterrence) დაკავშირებული ყველა სამხედრო მისია;

- ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობის განვითარებას ალიანსის ფარგლებში;

- კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით მრავალმხრივი პოტენციალის განვითარებას;

- „ღია კარის“ პოლიტიკის გატარებას ალიანსში გაწევრიანების

მსურველთათვის;

- მრავალმხრივი პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის განხორციელებას ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებთან.

აღნიშნული დებულებებიდან შეიძლება გამოვყოთ *კრიზისული სიტუაციების მართვა*, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის. ამასთან დაკავშირებით კონცეფციაში ნათქვამია, რომ ნატო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელებს კონფლიქტების პრევენტიულ ღონისძიებებს, ხოლო კრიზისული ვითარების დროს, ხელს შეუწყობს მის მოგვარებას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ამ კონტექსტში ნატო ადასტურებს თავის მზადყოფნას ცალკეულ შემთხვევებში საკუთარი ძალებით განახორციელოს სამშვიდობო ოპერაციები გაერო-სა და ეუთო-ს მანდატით, „როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყოფილ იუგოსლავიაში"*. კრიზისების მართვის სფეროში ალიანსი ასევე გამოთქვამს სურვილსა და მზადყოფნას პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობისა.

რაც შეეხება საერთოდ პარტნიორებთან პოლიტიკურ კონსულტაციებსა და თანამშრომლობას, მათი განხორციელების უმთავრეს მექანიზმად მიჩნეულია ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო. უშიშროების სფეროში ალიანსსა და პარტნიორებს შორის პრაქტიკული კავშირების გასანმტკიცებლად კი კონცეფციაში მოიაზრება პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის".

კონცეფციაში ხაზგასმითაა აღნიშნული ევროატლანტიკურ კონტექსტში რუსეთის მნიშვნელობა. „ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი თანამშრომლობა ნატოსა და რუსეთს შორის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობისათვის" – ნათქვამია დოკუმენტში (20), ხოლო თანამშრომლობის ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად დასახელებულია ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი.

**როგორც უკვე აღინიშნა, ამ დებულებას ჰყავს ოპონენტებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კოსოვოსთან მომართებაში ალიანსს არ ჰქონდა არც გაერო-სა და არც ეუთო-ს შესაბამისი მანდატი.*

კონცეფციაში ასევე საგანგებოდ არის ხაზგასმული ნატო – უკრაინის თანამშრომლობის მნიშვნელობა.

ალიანსის სტრატეგიის პრინციპებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მთავარ პრინციპად კვლავ რჩება ვაშინგტონის ხელშეკრულების ცნობილი მე–5 პუნქტი, რომელიც განიხილავს ნატოს უსაფრთხოებას, როგორც განუყოფელ ცნებას, დევიზით – „აგრესია ერთი–ერთი მოკავშირის წინააღმდეგ ნიშნავს აგრესიას ალიანსის ყველა წევრის მიმართ“. ამასთანავე, ალიანსის განახლებული სტრატეგიული კონცეფცია აქცენტს აკეთებს ნატოს მზადყოფნაზე, გამოიყენოს თავისი კომბინირებული სამხედრო ძალები კონფლიქტების პრევენციისათვის იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მე–5 პუნქტით. „ალიანსის შეიარაღებული ძალების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გაღრმავება პარტნიორ ქვეყნებთან ამ უკანასკნელთა ჩართვის მიზნით ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებულ პმპ–ის ოპერაციებში. ამან ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებას, ალიანსის წევრების უსაფრთხოების ინტერესთა დაცვას, ასევე უსაფრთხოებისა და სტაბულირობის განმტკიცებას ევროატლანტიკურ სივრცეში“ (3).

კონცეფციაში დადასტურებულია დებულება იმის თაობაზე, რომ ალიანსს მოთხოვნების შესაბამის დონეზე მომავალშიც ექნება ევროპაში განლაგებული ჩვეულებრივი და ბირთვული იარაღი. კერძოდ, ეს უკანასკნელი კვლავაც განიხილება, როგორც შესაძლო აგრესიის შეკავებისა და მშვიდობის შენარჩუნების აუცილებელი წინაპირობა.

რაც შეეხება ევროპის კონტინენტზე განლაგებულ ამერიკულ ბირთვულ და ჩვეულებრივ იარაღს, იგი, კონცეფციის შესაბამისად, წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების აუცილებელ კომპონენტს. ამ კონტექსტში ნათქვამია, რომ ჩრდილოამერიკელ (აშშ და კანადა) მოკავშირეებს ალიანსის უსაფრთხოების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ერთობლივი მისიებისათვის გამოყოფილი სამხედრო ძალების, ასევე ჩრდილოამერიკული კონტინგენტის უნიკალური საწვრთნელი საშუალებების მეშვეობით.

ამავე დროს, აღნიშნული დოკუმენტის ახალი ელემენტია დებულება ალიანსის ფარგლებში ე.წ. ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის იდენტურობის შექმნის შესახებ (ESDI)*. აღნიშნული ინიციატივა კონცეფციაში ხაზგასმით განიხილება, როგორც ნატოს განუყოფელი კომპონენტი, რომელიც ნაკარნახევია ევროპელთა მისწრაფებით, მეტი წვლილი შეიტანონ ალიანსისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების საქმეში.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ალიანსის წევრები პასუხისმგებლობას იღებენ სამართლიანად იტვირთონ ერთობლივი უშიშროების უზრუნველყოფასა და კოლექტიურ თავდაცვასთან დაკავშირებული რისკები და პასუხისმგებლობები.

საერთო აზრით, კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო დებულება ჩამოყალიბებულია 48-ე მუხლში, რომელშიც საუბარია ალიანსის სამხედრო ძალების ამოცანებზე ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. გატარებულია აზრი, რომ ალიანსის მიზანია კრიზისული სიტუაციების მოგვარება ადრეულ სტადიაში, რათა მათ საფრთხე არ შეუქმნან მოკავშირეთა სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამ კონტექსტში აღინიშნება, რომ „თუკი კრიზისული ვითარება საშიშროებას შეუქმნის ევროატლანტიკურ სტაბილურობასა და ალიანსის უსაფრთხოებას, ალიანსის შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოყენებული იყოს კრიზისის მართვის ოპერაციებში“ (4).

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფორმულირება ინტერპრეტირების საკმაოდ ფართო საშუალებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა საინტერესოა ის, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების აუცილებელ პირობად ამ კონტექსტში აღარ არის დასახელებული გაერო-ს ან ეუთო-ს შესაბამისი მანდატი. ეს კი, საჭიროების შემთხვევაში, ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ *ნატოს დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს გადაწ-*

** როგორც უკვე აღინიშნა, ამ ინიციატივის ავტორები გახლდათ ის ევროპული ქვეყნები – უმთავრესად საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც გარკვეულწილად მიზნად ისახავენ აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების დაბალანსებას ევროპის კონტინენტზე.*

ყველტილება ევროატლანტიკურ სივრცეში სამშვიდობო ოპერაციების წარმოების შესახებ. თუმცა, აღნიშნულ პარაგრაფში არც ეს დებულება არის ჩამოყალიბებული ცალსახად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ალიანსის წევრი ქვეყნები ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისულ ფორმულირებაზე შეთანხმდნენ*.

სტრატეგიულ კონცეფციაში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ჩამოყალიბებულია ალიანსის შეიარაღებული ძალების, მათ შორის ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების პრინციპები და ამოცანები. ამ კონტექსტში აქცენტი კეთდება იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ძალები უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ალიანსის უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობის განმტკიცებას.

ამგვარად, 1991 წლის სტრატეგიული კონცეფციისაგან განსხვავებით, რომელიც ალიანსის უშიშროების ინტერესებით შემოიფარგლებოდა, ვაშინგტონის სამიტზე მიღებული განახლებული დოკუმენტი აქცენტს აკეთებს *მთელ ევროატლანტიკურ კონტექსტში* ნატოს როლსა და პასუხისმგებლობაზე. ამ ახალი ხედვით ნატოს წინაშე დგება ამოცანა – მოახდინოს დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პროექტირება იმ ვრცელ რეგიონში, რომელიც „ცივი ომის“ პერიოდში ალიანსის მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფებოდა.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მექანიზმებთან ერთად ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნაში ნატო აშკარად თავის თავზე იღებს ცენტრალურ როლსა და წამყვან ფუნქციას.

** როგორც უკვე აღინიშნა, სამიტის წინ უმთავრესად აშშ და დიდი ბრიტანეთი იხრებოდნენ იმ აზრისაკენ, რომ განახლებული სტრატეგიული კონცეფციის შესაბამისად ალიანსს უნდა ჰქონოდა უფლება, დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება სამშვიდობო ოპერაციების წარმოების შესახებ. იმ მოკავშირეებს შორის, რომლებიც არ ეზიარებოდნენ ამგვარ მოსაზრებას, განსაკუთრებით გამოირჩეოდა საფრანგეთი, რომელიც ჯაერო-ს ან ეუთო-ს ნებართვას აღნიშნული ოპერაციებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა.*

#2. ნატოს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“– პრივილეგია თუ პასუხისმგებლობის ტვირთი ?

როგორც უკვე აღინიშნა, ვაშინგტონის სამიტზე მიიღეს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP), რომელშიც ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ნატოში გაერთიანების მსურველი ქვეყნებისათვის. ვფიქრობთ, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ნაწილობრივ უპასუხებს ქართული საზოგადოებრიობის კითხვებს ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

სამოქმედო გეგმაში, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულია, რომ ეს დოკუმენტი შექმნილია ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების დასახმარებლად იმის გათვალისწინებით, რომ რჩევების საფუძველზე პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება და მათი განხორციელება წარმოადგენს თვით პარტნიორი ქვეყნის პრეროგატივას.

დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს დოკუმენტიდან ის პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ ნატოში გაწევრიანების მზადების პერიოდში. ამასთან, პმპ–სა და ეაპს–ში აქტიური მონაწილეობა მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს მექანიზმებად ნატოსთან პოლიტიკური და სამხედრო კავშირების გაღრმავების თვალსაზრისით.

გეგმა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დაინტერესებულ ქვეყანასთან ნატოში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების გადაწყვეტილება მიღებული იქნება ყოველი ცალკეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე, მადრიდის 1997 წლის სამიტის დეკლარაციის მე–8 პარაგრაფისა და ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციის შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში მონაწილეობა არ არის ლიმიტირებული რაიმე პერიოდით და იგი არ იძლევა ნატოში გაწევრიანების გარანტიას. დოკუმენტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ „გეგმა არ უნდა მივიჩნიოთ ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმების უბრალო ნუსხად“ (5).

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა შედგება 5 თავისაგან:

- პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;
- თავდაცვისა და სამხედრო საკითხები;
- რესურსები;
- უსაფრთხოების საკითხები;
- სამართლებრივი საკითხები.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის აუცილებელია ყოველწლიური ეროვნული პროგრამების შემუშავება, რომლებშიც განსაზღვრული იქნება მოსამზადებელი პერიოდის მიზნები და ამოცანები, ასევე მათი განხორციელების პრაქტიკული ეტაპები და პასუხისმგებელი ორგანიზაციები. გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესზე ალიანსი იმსჯელებს ამ პროგრამების შესრულების მიხედვით.

გაწევრიანების სამოქმედო გეგმისათვის განსაზღვრულია ნატოსთან კონსულტაციების წარმოება 19+1 ფორმატით, ასევე გათვალისწინებულია პარტნიორი ქვეყნებისათვის განკუთვნილი სხვა შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებაც (სემინარები, შეხვედრები და ა.შ.) .

სამოქმედო გეგმით ნატო პასუხისმგებლობას იღებს, ყოველწლიურად შეაჯამოს ინდივიდუალური ქვეყნის მიერ ეროვნული პროგრამის შესრულება და დასახოს მოქმედების შემდგომი ნაბიჯები, რომელთა განხორციელება (ან არგანხორციელება) გაწევრიანების მსურველი ქვეყნის პრეროგატივას წარმოადგენს.

აღნიშნული დოკუმენტი ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყანას საშუალებას აძლევს გამოხატოს მზადყოფნა, გაიზიაროს ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულებითა და ნატოს გაფართოების შესახებ 1994 წელს მომზადებული გამოკვლევით გათვალისწინებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ შევჩერდებით ზემოაღნიშნულ გამოკვლევაზე.

ალიანსში ახალი წევრების მიღების პერსპექტივასთან დაკავშირებით ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 1994 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად უკვე მომდევნო წლისათვის მომზადდა

საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა *"ნატოს გაფართოების შესახებ"*. აღნიშნული დოკუმენტი შემდგომ წლებში ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების საგანგებო განხილვის საგნად იქცა. ამ გამოკვლევაში ჩამოყალიბებული პრინციპები და დებულებები საფუძვლად დაედო ნატოს მიდგომებს მის რიგებში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების მიმართ.

ალიანსის გაფართოების მოტივებისა და მიზნების განხილვასთან ერთად აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომ „ცივი ომის" დამთავრებისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შედეგად გაჩნდა გაერთიანებული ევროპის ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნის უნიკალური შანსი. ამ კონტექსტში ნატოს მოსალოდნელი გაფართოება მოიაზრება, როგორც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი უმთავრესი მიზნის მისაღწევად, რაც გულისხმობს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში, ევროკავშირის ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობასა და ეუთო-ს როლის გამყარებას.

გამოკვლევაში ნათლადაა მითითებული, რომ ნატოს გაფართოება არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ასევე აღინიშნება რომ გაფართოების პროცესზე ვეტოს უფლება არც ერთ „გარეშე" ქვეყანას არ გააჩნია. ამ პრინციპული დებულებების მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით დოკუმენტში ცალკე თავი ეძღვნება ნატო-რუსეთის ურთიერთობებს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამ თანამშრომლობის ფუძემდებლური პრინციპები, მიზნები და პერსპექტივები. რაც შეეხება აღმოსავლეთით ნატოს „ექსპანსიის" მიმართ რუსეთის უარყოფით დამოკიდებულებას, ალიანსი ადასტურებდა რომ ამ პროცესის პარალელურად განვითარდებოდა ნატო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობები, ხოლო გაფართოებული ალიანსის სამხედრო პოტენციალი ევროპული უსაფრთხოების ერთიანი არქიტექტურის შემადგენელი ნაწილი გახდებოდა. დოკუმენტში გაკეთებულია ასევე მეტად მნიშვნელოვანი განაცხადი, რომ „... *აპრიორი* არ არსებობს ალიანსის ბირთვული იარაღის განლაგების აუცილებლობა ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე" (6). აღნიშნული დებულება ნათელ პასუხს იძლეოდა მოსკოვის ძირითად შეშფოთებაზე ნატოს

გაფართოებასთან დაკავშირებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოქნილი ფორმულირებით ალიანსი კატეგორიულად არ იზღუდავდა თავს შესაძლო საფრთხეზე რეაგირების შემთხვევაში.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ გაფართოებული ნატო კვლავ დარჩებოდა თავდაცვით ალიანსად, რომლის მთავარი ფუნქცია იქნებოდა წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ახალი რეალობების გათვალისწინებით ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანი ადგილი გამოკვლევაში დაეთმო ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებული დადებითი ფაქტორების ანალიზს. კერძოდ, ნათქვამია, რომ ეს პროცესი ხელს შეუწყობდა ევროატლანტიკურ სივრცეში დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მათ შორის შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებას, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას ალიანსის პარტნიორ და მოკავშირე ქვეყნებს შორის. დოკუმენტში ასევე ჩამოყალიბებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ გაფართოების პროცესი თავდაცვის დაგეგმვისა და სამხედრო ბიუჯეტების სფეროში ტრანსპარენტულობის მეშვეობით გააღრმავებდა ურთიერთნდობას ქვეყნებს შორის, რაც მნიშვნელოვანი საფუძველი გახდებოდა ევროპის შემდგომი ინტეგრაციისათვის.

დოკუმენტი მიიჩნევს, რომ გაფართოებული ნატო უფრო აქტიურად ჩაებმება საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის გაერო-სა და ეუთო-ს ეგიდით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ეს პროცესი ასევე მოიაზრება ტრანსატლანტიკური პარტნიორობის (აშშ–ევროპა) შემდგომი განმტკიცების ხელშემწყობ ფაქტორად.

გამოკვლევაში მითითებულია, რომ ნატოში ახალი წევრების მიღება უნდა მოხდეს ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულების მე-10 მუხლის საფუძველზე. ალიანსის ახალ წევრებზე შესაბამისად უნდა განაწილდეს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები. ამიტომ, კანდიდატი ქვეყნები ნატოში მიღებისას მზად უნდა იყვნენ პრაქტიკულად გაიზიარონ

ალიანსის პრინციპები და მოვალეობები.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა გამოკვლევის ის ნაწილი, რომელშიც ნათქვამია, რომ დაინტერესებული ქვეყანა ნატოში გაწევრიანებამდე ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად, ვალდებულია მოაგვაროს შიდა ეთნიკური თუ სამართლებრივი პრობლემები, ასევე ტერიტორიული და სხვა სახის უთანხმოებანი მეზობელ ქვეყნებთან.

ნატოში ამა თუ იმ დაინტერესებული ქვეყნის გაწევრიანების ერთ-ერთ აუცილებელ კრიტერიუმად დასახელებულია კანდიდატი ქვეყნის მზადყოფნა, თავისი რეალური წვლილი შეიტანოს ალიანსის სამხედრო თავდაცვით პოტენციალში, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ოპერაციებსა და სხვა „ახალ მისიებში".

გამოკვლევაში მოცემულია დასკვნა, რომ ნატოს გაფართოების შესახებ მოკავშირეები მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას კონსენსუსის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული ქვეყნის გაწევრიანება ალიანსში განამტკიცებს ჩრდილოატლანტიკური სივრცის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ამ დოკუმენტის პრინციპებმა და დებულებებმა შემდგომი განვითარება პოვა ვაშინგტონის სამიტზე მიღებულ „გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში".

თუ ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ, დავუბრუნდებით ზემოთ ნახსენებ ახალ გეგმას, დავინახავთ, რომ ნატო ამ დოკუმენტშიც გაწევრიანების მსურველი ქვეყნისაგან ასევე მოელის

- საერთაშორისო ხასიათის პრობლემების მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებას;

- კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას;

- ეთნიკური, ტერიტორიული, ასევე შიდა სამართლებრივი უთანხმოებების მოგვარებას ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად, კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას;

- შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის დაწესებას;

- ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა ეს არ შეესაბამება გაერო-ს პრინციპებს;

- საერთაშორისო მშვიდობის საქმეში წვლილის შეტანას შესაბამის ორგანიზაციებში აქტიური მონაწილეობით;

- ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში აქტიურ მონაწილეობას;

- სტაბილურობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობას ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისა და გარემოს დაცვაზე პასუხისმგებლობის პრინციპების პატივისცემისა და რეალიზაციით.

გაწევრიანების მსურველი ქვეყნისაგან ასევე მოელიან ნატოს სხვა ფუძემდებლური დოკუმენტებისა და ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას. მათ შორის დასახელებულია ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია, ალიანსის ფარგლებში ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის იდენტურობის შექმნასთან დაკავშირებული ძალისხმევა, ნატო–რუსეთის დამფუძნებელი აქტი და ნატო–უკრაინის ქარტია.

MAP–ი ითვალისწინებს ასევე გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მიერ ნატოსათვის ყოველწლიური საინფორმაციო მასალების წარდგენას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანეს მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მაკროეკონომიკური განვითარებისა და ბიუჯეტის შესახებ.

ნატოსა და მასში გაწევრიანების მსურველ პარტნიორს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე კონსულტაციების ჩასატარებლად MAP–ი ითვალისწინებს ყოველწლიურ შეხვედრებს მაღალი დონის პოლიტიკური კომიტეტის ფორმატით.

რაც შეეხება სამხედრო ასპექტებს, MAP-ი მიიჩნევს, რომ ნატოში გაწევრიანების მიზანშეწონილობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პარტნიორის მზადყოფნა შეიტანოს თავისი წვლილი ალიანსის კოლექტიურ უსაფრთხოებაში, მონაწილეობა მიიღოს ალიანსის ახალ მისიებში, ასევე თანმიმდევრულად დახვეწოს საკუთარი სამხედრო პოტენციალი. ამ კონტექსტში აუცილებელ წინაპირობად მიჩნეულია პმპ–ში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობა. აღინიშნება, რომ პარტნიორი ქვეყანა მზად უნდა იყოს, რომ იტვირთოს ალიანსის ერთობლივი უშიშროებისა და კოლექტიური თავდაცვის როგორც პრივილეგიები, ასევე პასუხისმგებლობა*.

ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნის დასახმარებლად, მისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და ალიანსთან თავსებადობის მიღწევის მიზნით, MAP-ი ითვალისწინებს შემდეგი მთავარი ღონისძიებების განხორციელებას:

- პარტნიორ ქვეყანას შესაძლებლობა მიეცემა ᲞᲛᲞ-ის ფარგლებში მოითხოვოს მისთვის სპეციალური იპპ-ის მომზადება (tailored IPP), რომელიც უფრო სპეციფიურად იქნება კონცენტრირებული ნატოში შესაძლო გაწევრიანების მოთხოვნებზე. აღნიშნულ იპპ-ში გამოიკვეთება პრიორიტეტული მიმართულებები;

- 19+1 ფორმატით ყოველწლიურად გაიმართება შეხვედრები (Clearinghouse meetings), რომლებზეც მოხდება პარტნიორი ქვეყნისათვის ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე დახმარების კოორდინირება;

- გაფართოებული და ადაპტირებული PARP-ის ფარგლებში განისაზღვრება ის პრიორიტეტული სფეროები და ამოცანები, რომლებიც შეესაბამება ნატოში შესაძლო გაწევრიანების მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით განხორციელდება ქვეყნის მიერ ჩატარებული მუშაობის განხილვა-ანალიზი;

- აღნიშნული სფეროებისა და ამოცანების დასახვა მოხდება არა მხოლოდ პარტნიორი ქვეყნის მიერ ᲞᲛᲞ-ის ფარგლებში გამოყოფილი ძალების შესაბამისად, არამედ ნატოსა და პარტნიორს შორის განხორციელებული კონსულტაციების საფუძველზე;

- გაწევრიანების მსურველ ქვეყანას შესაძლებლობა მიეცემა გამოიყენოს PARP-ის პროცესი დამატებითი ინფორმაციისა და გამოცდილების მისაღებად ისეთ სფეროებში, როგორიცაა საერთო

** ამ პრინციპის აქტუალობა ხაზგასმით გამოვლინდა კოსოვოს მოვლენებისა და ნატოს სამხედრო ოპერაციის პერიოდში, რაც სერიოზულ გამოცდად იქცა ალიანსის ახალი წევრებისათვის – პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთისათვის. თუკი სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე ნატოში გაწევრიანებას ამ ქვეყნების მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერდა მხარს, შემდგომმა მოვლენებმა და სამხედრო აქციაში ჩართვის პერსპექტივამ შეამცირა ნატოში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა.*

თავდაცვის პოლიტიკა, რესურსები, დაგეგმარება და სხვა;

- ტრანსპარენტულობის პრინციპიდან გამომდინარე, პარტნიორ ქვეყანას შესაძლებლობა მიეცემა გააცნოს თავისი ინდივიდუალური PARP-ის მასალები ნატოში გაწევრიანების მსურველ სხვა ქვეყნებსაც;

- ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პარტნიორ ქვეყანას საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნებისათვის განკუთვნილ ცალკეულ სამხედრო ვარჯიშებში;

- ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული სამშვიდობო ოპერაციები და ნატო-პმპ-ის ფორმატით ჩატარებული ვარჯიშები და ოპერაციები გამოყენებულ იქნება ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ეფექტურობისა და ალიანსთან მათი თავსებადობის შესაფასებლად;

მეტად საყურადღებოა MAP-ის ის ნაწილი, სადაც საუბარია ნატოში გაწევრიანების ფინანსურ და მატერიალურ ასპექტებზე. კერძოდ, ალიანსში გაწევრიანების სურვილი დაკავშირებულია ეროვნული ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხების გამოყოფასთან. ამასთან, ზემოხსენებული ეროვნული პროგრამები უნდა ითვალისწინებდნენ სამხედრო ბიუჯეტში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფენ ნატოში შესაძლო გაწევრიანების თვალსაზრისით ქვეყნის შეიარაღებული ძალების პრიორიტეტებს. ნატო, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს პმპ-ისა და სხვა მექანიზმების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს პარტნიორ ქვეყანას სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმვისა და გამოყენების სფეროში.

გასაგები მიზეზების გამო, ნატოს გაფართოების პროცესის ერთერთი ყველაზე დელიკატური საკითხი გახლავთ ახალი წევრების, ანუ ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლების მიერ ალიანსის საიდუმლოების რეჟიმის დაცვა და უშიშროება. ამიტომ ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს MAP-ი სთავაზობს სპეციალურ კურსებსა და პროგრამებს. ასევე, გათვალისწინებულია შეხვედრები ნატოს უშიშროებისა და სპეციალური კომიტეტის ფორმატით.

ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა დეტალურად უნდა გაეცნოს ნატოს საკანონმდებლო ბაზას და დაიწყოს მზადება მასთან მისაერთებლად. ეს არის მთელი რიგი ხელშეკრულებები და ნორმატივები, რომლებიც არეგულირებენ ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. ამისათვის MAP-ით გათვალისწინებულია სპეციალური შეხვედრების გამართვა, რომლებზეც განხილული იქნება კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული ნაბიჯების თანმიმდევრობა და პროცედურები.

ამგვარად, გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში ნათლად იკითხება ნატოს რიგებში ახალი წევრების მიღებასთან მისი პრინციპული მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაწევრიანების სტადიისათვის პარტნიორი ქვეყანა უნდა უახლოვდებოდეს ნატოს ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამართლებრივ სტანდარტებს.

თუ დაინტერესებულ ქვეყანაში არსებობს არაორდინალური საშინაო ან საგარეო პრობლემა, მისი მოგვარება საჭიროა უკვე გაწევრიანების მოსამზადებელ ეტაპზე. ალიანსს არ სურს, რომ ახალმა წევრებმა ახალი „ინფექციებიც“ შეიტანონ ამ ორგანიზაციაში. ახალი წევრების მიღებამ ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით უნდა გაამდიდროს ალიანსი და არა ახალი პრობლემებით. ნატო ადასტურებს თავის მზადყოფნას, დაეხმაროს დაინტერესებულ ქვეყანას აღნიშნული სტანდარტების მიღწევაში, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებს იმასაც, რომ არავის „სათრევ ბავშვზე“ აყვანას არ აპირებს.

მნიშვნელოვნად გვესახება ის გარემოებაც, რომ ნატო არავის აძალებს მის რიგებში გაერთიანებას, ამასთან, არც იმის გარანტიას იძლევა, რომ აუცილებლად დააკმაყოფილებს პარტნიორი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების სურვილს.

3. დასკვნის მაგივრად – ყურში ნათქვამი საიდუმლო

1999 წლის 25 აპრილს, ვაშინგტონის სამიტის მსვლელობისას, გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა ალიანსის გენერალურ მდივანთან. შეხვედრის ბოლოს ბ-მა ე.შევარდნაძემ ხუმრობით ჰკითხა ბ-ნ ხ.სოლანას, თუ როდის ფიქრობდა ეს უკანასკნელი ნატოში საქართველოს მიღებას. ჟურნალისტებს დღემდე აინტერესებთ იმის გაგება, თუ რა უპასუხა ყურში პრეზიდენტს ბ-მა ხ. სოლანამ. იუმორითვე ნათქვამი პასუხი კი ეს იყო: *„როცა შენ იტყვი!“*.*

დღეს საქართველოს მოქალაქეს აინტერესებს პასუხი კითხვაზე: *რამდენად შესაძლებელია საქართველოს ნატოში გაწევრიანება?***

ჩვენი აზრით, დემოკრატიული განვითარების, სახელმწიფოებრივი ორიენტაციისა და ევროატლანტიკურ პროცესებში მონაწილეობის პარამეტრებით საქართველო მეტნაკლებად იმყოფება იმ ქვეყნების დონეზე, რომლებიც დღეისათვის ღიად აცხადებენ ნატოში გაწევრიანების სურვილს. ამის დასტურია ევროპის საბჭოს წევრობა, უვროკავშირთან და სხვა ევროპულ სტრუქტურებთან მზარდი თანამშრომლობა, პმპ-სა და ეაპს-ში აქტიური მონაწილეობა.

ჩვენი დასავლელი პარტნიორები დადებითად აფასებენ იმ გარეშოებას, რომ საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს რეგიონის ყველა ქვეყანასთან, იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმებში. ხელშემწყობი ფაქტორია ისიც, რომ დაწყებულია

** ნატოში ახალი წევრის მიღება წარმოადგენს ალიანსის 19 წევრი ქვეყნის პრეროგატივას და გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებული უნდა იქნას კონსენსუსის საფუძველზე.*

*** ამ კითხვასა ჰიპოთეზური ხასიათი აქვს, რადგან საქართველოს ჯერ არ გაუკეთებია განცხადება MAP-თან მიერთების თაობაზე.*

მუშაობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის მიზნით. იდგმება ნაბიჯები სამხედრო რეფორმის თვალსაზრისით, რომლის ამოსავალი წერტილია შეიარაღებულ ძალებზე ძლიერი დემოკრატიული კონტროლის დაწესება.

ალბათ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული პარამეტრების მიხედვით საქართველო უპასუხებს MAP-ის კრიტერიუმებს.

ამავე დროს, სერიოზულ პრობლემად რჩება კონფლიქტური ვითარება აფხაზეთში და მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში. ამ საკითხების მოუგვარებლობა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს MAP-ის რეკომენდაციების შესრულებას.

ჩვენი აზრით, ამავე კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხიც. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ბაზების ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანამდე გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ერთერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულება კითხვის ქვეშ დარჩება.

დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ჩვენი ქვეყანა საკმაოდ რთული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დგას, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით შეუსრულებადია MAP-ის კრიტერიუმებიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ასევე სამხედრო რეფორმის პარამეტრების მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო მიზნებისათვის, კერძოდ პმპ-ში მონაწილეობისათვის, საქართველოს ბიუჯეტით გათვალისწინებულ მეტად მოკრძალებულ სახსრებზეც*

გარდა ამისა, ბუნებრივია, არსებობს რუსეთის ფაქტორიც, ანუ ამ ქვეყნის ცნობილი დამოკიდებულება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნატოში შესაძლო გაწევრიანების მიმართ. რუსეთი კი, როგორც ბისმარკი ამბობდა, მუდამ იმაზე ძლიერი ან სუსტი ჩანს, ვიდრე ის სინამდვილეში არის. ეს ფაქტორი MAP-ში არ არის მოხსენიებული, მაგრამ მეტად ანგარიშგასაწევ რეალობას წარმოადგენს.

---

*ციფრობრივი მონაცემები ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯების შესახებ იხილეთ დანართში.

ერთი წუთით გადავინაცვლოთ ათი წლით უკან და შევეკითხოთ ჩვენ თავს: გაწევრიანდება თუ არა საქართველო ნატოში?

ასეთი კითხვა, ალბათ, სიზმარშიც კი უხერხულობას გამოიწვევდა. მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ნატოსთან დაახლოების თაობაზე დაიწყო საუბარი, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი უნდობლობითა და ირონიით უყურებდა. როგორც ჩანს, ჰორიზონტს იქით საგნის დანახვას ან დიდი შორსმჭვრეტველობა სჭირდება, ან დიდი გულუბრყვილობა.

და აი, დღეს კვლავ ისმის კითხვა: გაწევრიანდება თუ არა საქართველო ნატოში? ეს კითხვა პოლიტიკურ წრეებში ამჯერადაც საკმაოდ გაბედულად ჟღერს, მაგრამ ის უკვე აღარავის აკვირვებს და არც აბსურდულად ეჩვენება. "2005 წლისათვის ჩვენ ნატოს კარს მივუკაკუნებთ" – ამბობს საქართველოს პრეზიდენტი*. ამ ფრაზის ციტირება ხდება მსოფლიოს პრესის ფურცლებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასში არის სენსაციურობის ელემენტი. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ რამდენჯერმე იმეორებს ამ აზრს, რაზეც უკვე პრესა ნაკლებად რეაგირებს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ამაში სენსაციური და განსაკუთრებული უკვე არაფერია.

საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომელიც „განებივრებულია" ბოლო წლების კალეიდოსკოპური მოვლენებით, სრულებით არ აღიქვამს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას როგორც მიუღწეველ მიზანს. მართლაც, თუკი ჩვენი ქვეყანა უკვე გაწევრიანდა რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის ევროპის საბჭოში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუკი შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ევროკავშირში ასოცირებული სტატუსის მიღება და თუკი ჩვენ უკვე მივიღეთ ასეთი სტატუსი ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეაში, რატომ უნდა მივიჩნიოთ ნატოში ქვეყნის გაერთიანება უტოპიად?

**ასეთი განცხადება ბ-მა ე.შევარდნაძემ პირველად გააკეთა გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსისათვის" 1999 წელს მიცემულ ინტერვიუში.*

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა, თუ რაოდენ მოკრძალებულად დაიწყო 1993 წლიდან ნატო–საქართველოს ურთიერთობები და რა მასშტაბებს მიაღწია მან ბოლო წლების მანძილზე. ამ ურთიერთობების დინამიკა ნათლად მიუთითებს იმას, რომ სახეზეა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკული დაახლოება ალიანსთან, მისი მზარდი მონაწილეობა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში. ჩვენს ქვეყანას დღეისათვის ნატოში განიხილავენ, როგორც ერთ–ერთ აქტიურ და თანამშრომლობით დაინტერესებულ პარტნიორს, ხოლო მთლიანად სამხრეთ კავკასიას – როგორც რთულ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან რეგიონს.

ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, მიმდინარეობს მოლაპარაკება ნატოს გენერალური მდივნის, ლორდ ჯ.რობერტსონის ვიზიტის თაობაზე საქართველოში 2000 წლის შემოდგომაზე. ეს ალიანსის გენერალური მდივნის მესამე ვიზიტი იქნება საქართველოსა და კავკასიაში ბოლო სამი წლის მანძილზე. უდავოდ მრავალსმეტყველი ფაქტია.

ნატოსთან ჩვენი თანამშრომლობა უახლოეს მომავალში ალბათ კიდევ უფრო საინტერესო და მრავალმხრივ ხასიათს მიიღებს. განხორციელდება მრავალმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები, მათ შორის ეაპს–ის ფარგლებში შექმნილ კავკასიის რეგიონულ ჯგუფში. ამ კონსულტაციების მიზანია ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება და მასში საქართველოს სრული ინტეგრირება. გაფართოვდება ჩვენი მონაწილეობა პმპ–ით გათვალისწინებულ სხვადასხვა პროცესებსა და ინიციატივებში. თუკი საქართველოში სამხედრო რეფორმები ნორმალურად წარიმართება, ეტაპობრივად მიღწეული იქნება ჩვენი შეიარაღებული ძალების სტანდარტების თავსებადობა ალიანსის სამხედრო პარამეტრებთან. 2001 წლის ზაფხულში საქართველოში, პმპ–ის ფარგლებში, ჩატარდება ფართომასშტაბიანი სამხედრო ვარჯიში „კოოპერატივ პარტნერი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები. ეს პირველი ასეთი სახის წვრთნა იქნება კავკასიის რეგიონში. გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია ეაპს–ის ეგიდით ნატოს

როლის გააქტიურებაც რეგიონში არსებული კონფლიქტების, კერძოდ აფხაზეთის, პრობლემის მოსაგვარებლად.

ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები ამჟამად აქტიურად ცდილობენ, რათა ნატომ მიიღოს თავის რიგებში ე.წ. მეორე ტალღის ქვეყნების უახლოეს წლებში გაწევრიანების გადაწყვეტილება. ამის საპასუხოდ რუსეთის მწვავე განცხადებებით გამოდის. კერძოდ, რუსეთი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ნატოს მიერ „წითელი ხაზის“ გადაკვეთა და მის რიგებში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიღება გამოიწვევდა დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების უაღრესად გართულებას და გაუთვალისწინებელ შედეგებს. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ნატო, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ადგილს ალიანსის მომავალ გეგმებში, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განვითარდება ცნობილი საერთაშორისო ენერგეტიკული და სატრანზიტო პროექტები. თუკი ისინი რეალურად დაუმკვიდრებენ რეგიონს ახალ ფუნქციას მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე და კასპიის ენეგრორესურსებს აქცევენ დასავლეთის ქვეყნების ენერგიით უზრუნველყოფის ალტერნატიულ წყაროდ, მაშინ, ალბათ, რეალურად წამოიჭრება სამხრეთ კავკასიის შესაბამის ქვეყნებზე დასავლეთის, შესაძლოა თვით ნატოს უსაფრთხოების გარანტიების გავრცელების საკითხი.

ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება რუსეთთან არა კონფრონტაციის არამედ ერთიანი ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მშენებლობის გზით. ეს კი უნდა ითვალისწინებდეს დასავლეთისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრას კავკასიის რეგიონშიც. ამ თვალსაზრისით საქართველო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ნატო–რუსეთის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებით და საერთოდ ჩვენი ჩრდილოელი გეოგანტის შეუქცევადი იტეგრირებით ევროპულ და ტრანსატლანტიკურ პროცესებში. ვფიქრობთ, უნდა დავეთანხმოთ ზ.ბზეჟინსკის აზრს, რომ „რუსეთის ასოცირება ან რაიმე ფორმით გაწევრიანება ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში თავის მხრივ კარს გაუღებს სამ კავკასიურ ქვეყ-

ანას – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, რომლებიც ესოდენ მონდომებით მიისწრაფვიან ევროპისაკენ“ (28).

ჩვენი ქვეყნის, და საერთოდ კავკასიის, მომავლისათვის ასევე პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს თურქეთის მიერ ატლანტიკური და ევროპული ორიენტაციის შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დაჩქარდეს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების პროცესი, რის თაობაზეც უკვე მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ამ პროცესის წარმატებით დასრულება ნიშნავს ევროკავშირის მოახლოებას უშუალოდ საქართველოს საზღვართან, რაც ჩვენი ქვეყნის „გრავიტაციის“ თავისებური გარატია იქნება ევროპულ ორბიტაზე.

ბოლო ხანს სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებისა და ამ რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების განმტკიცების ისეთ ახალ ფორმულაზე, რომელიც გაითვალისწინებდა როგორც რეგიონის ქვეყნების, ასევე „დიდი მოთამაშეების“ ინტერესებს. ამ უკანასკნელთა შორის მოიაზრება *აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ასევე თურქეთი, როგორც რეგიონის უსაფრთოების ერთგვარი კოლექტიური გარანტი**. თუკი ყველა მხარე დაინტერესდება და ამგვარი „სტაბილურობის პაქტი“ შეიმუშავდება, კავკასიის საკითხის გადაწყვეტა შეიძლება იქცეს ყველაზე დიდ „გარღვევად“ მსოფლიო პოლიტიკაში ახალი საუკუნის მიჯნაზე.

უნდა ითქვას, რომ პირადად ამ სტრიქონების ავტორი საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის სწორედ ასეთი ფორმულით მოგვარებას მიანიჭებდა უპირატესობას, როგორც დასავლეთსა და რუსეთს

** ამ იდეამ პირველად გაიჟღერა ბ-ნ ე.შევარდნაძის ცნობილ ინიციატივაში „მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ, რომელსაც შემდგომ მოჰყვა სხვა ინიციატივებიც. 1999 წელს აღნიშნულმა იდეამ განვითარება პოვა თურქეთის პრეზიდენტის წინადადებაში კავკასიისათვის „სტაბილურობის პაქტის“ შემუშავების თაობაზე. ბოლო ხანს რეგიონული საკითხები საკმაოდ აქტიურად განიხილება რუსეთის პრეზიდენტისა და კავკასიის სამი ქვეყნის ლიდერების („ოთხეულის“) შეხვედრებზეც.*

შორის ყველაზე კომპრომისულ, ჩვენთვის კი ყველაზე ნაკლებად სარისკო ვარიანტს. თუმცა ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი საუკუნის დასაწყისმა სრულიად ახალი იდეებისა და გადაწყვეტილებების ძიება დააყენოს დღის წესრიგში. ახალი სახელმწიფოს შექმნა და მისი უსაფრთხოების სწორი მოდელის ჩამოყალიბება ყოველთვის ისტორიული პროცესის შედეგია.

/რთული გზის გაკაფვას, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს გარანტირებული უსაფრთხოებისაკენ მივყავართ, დიდი შრომა, ერთიანი მონდომება და გამძლეობა სჭირდება./სწორედ ამიტომ წავუმძღვარეთ ამ წიგნს ცნობილი ნორვეგიელი მოგზაურისა და მკვლევარის ფ.ნანსენის სიტყვები: „დიდ მიზნამდე მისვლას დიდი მონდომება სჭირდება, ხოლო მიუღწეველი მიზნის მიღწევას – კიდევ უფრო მეტი“.

NATO AND GEORGIA:
FROM UTOPIA FOWARDS REALITY

(SUMMARY)

This book examines the evolution of NATO-Georgia relationship in the period between the establishment of the North Atlantic Cooperation Council (1992) and the NATO Summit Meeting in Washington (1999). During that time - that is, after the disintegration of the Soviet Union - relations were established between the North Atlantic Alliance and the countries of Eastern Europe and Former Soviet Republics which later gradually developed into working co-operation and partnership.

Along with exploring this process and the NATO-Georgia relationship, the book deals with those major factors and events which, after the end of the Cold War, determined the transformation of NATO and its adaptation to evolving modern requirements.

The 1999 Washington Summit adopted the new strategic concept of the Alliance which defined NATO's new role and function in building a common Euro-Atlantic security system.

Chapter 1, *The Great Turnaround,* examines NATO's role in the transformation of the former Socialist Camp. The prerequisites for this were created back in the 1960s and 70s, and were greatly determined by the political unity and effective military capacity of the Alliance, and the economic pre-eminence of the western countries.

The political situation brought about by the process of transformation (*perestroika*) launched in the Soviet Union at the end of the 1980s, set qualitatively new challenges for NATO. Specifically, the new strategy of the Alliance aimed at transition from the confrontation of the Cold War era to practical collaboration, forging co-operative and friendly relations with former adversaries and building a new European security architecture. The visit of Soviet Foreign Minister Eduard Shevardnadze to the NATO Headquarters in Brussels in 1989 played a special role in creating a climate conducive to these fundamentally new relations.

The most important step in NATO's «great turnaround» toward Eastern Europe and the Soviet Union was the NATO Summit Meeting in London in July, 1990. The Declaration adopted by the Summit defined the main outlines for the new Euro-Atlantic security system which would be based not on the balance of powers between the two opposing camps, but on the principles of co-operation and partnership.

Herein the book describes NATO policy toward the processes taking place in the Soviet Union, namely the military coup in Moscow in August 1991 and the developments of the subsequent period that hastened the disintegration of the Soviet Union and the establishment of closer ties between the countries of Eastern Europe and NATO.

These developments have prompted the Alliance's new policy toward

the East. A concrete manifestation of this was the decision taken at the Rome Summit of November 7-8, 1991 to form the North Atlantic Cooperation Council which brought together the Alliance member states and its former adversaries, including Georgia (Georgia joined NACC in 1992). Within the framework of NACC the first working programs of cooperation between NATO and its new partner countries were developed, also regional security issues, primarily the situation in Bosnia and Herzegovina were discussed. Particular attention was given to issues of nuclear non-proliferation, specifically the nuclear arsenals remaining in Ukraine, Belarus and Kazakhstan after the break-up of the Soviet Union.

This book examines evolution of NACC. One of the major directions of its work was the development of practical and conceptual principles in the area of peacekeeping. At the meeting of NATO Foreign Ministers held June 11, 1998 in Athens, a statement was issued which for the first time envisioned a possible joint participation of the Alliance member states and partner countries in peace operations.

Relations between NATO and its new partners were greatly influenced by the processes linked with the possible enlargement of the Alliance. In this respect, the book pays particular attention to NATO-Russia relationship, and the specifics and dynamics of its evolution.

A more detailed examination of the process of NATO enlargement

continues in Chapter 2 *Campaign to the East - Crossing the Rubicon.* A review of the materials of NATO and NACC materials at various levels gives quite a full picture of how the area of NATO's influence came to include the countries of Central and Eastern Europe. In this respect, the new Partnership for Peace initiative adopted at the NATO Summit of January 10-11, 1994 in Brussels was of critical significance.

The program envisaged raising the relations between NATO and the former Socialist Camp to a qualitatively new level. Namely, this program responded to the requirements of a number of countries of Central and Eastern Europe to co-operate with NATO in practical directions, including in the military sphere. The prospect of joining NATO depended on how successfully the partner state would utilize the possibilities of this new form of cooperation and approach to the political, state and military standards existing in NATO. On March 23, 1994 Georgia was one of the first former Soviet Republics to join the Partnership for Peace.

This study surveys the situation created on the Eurasian continent in response to the process of NATO enlargement, and the adoption of a new strategy which naturally significantly affected Georgia too, as a neighboring country of the Alliance. In this regard, Russia's attitude toward NATO expansion deserves a special attention, as well as different approaches to these processes existing in the West at that time. The analysis of various relevant materials, specifically documents of NATO and NACC, the Western press, Russian sources, as well as

reports from Georgia's diplomatic mission provide solid resources for doing this.

The process of NATO's adaptation to new realities entered its final stage when preparations were being made for the Madrid Summit of 8-9 July, 1997. Principal approaches to the Alliance's internal structural changes, the enlargement of the organization and strengthening of NATO's so-called European identity had been defined. As for the military dimension, based on the experience gained in Bosnia, the transition from peacekeeping operations to peace enforcement was beginning. During this period on May 27, 1997, a document, *The Founding Act on Mutual Relations, Cooperation and Security between NATO and the Russian Federation* was signed at the top level which laid the foundation for the special relation between NATO and Russia. On May 29, 1997 the Charter for a Distinctive Partnership between NATO and Ukraine was initiated.

The book describes the long and difficult process of NATO's military intervention in the conflict in Bosnia which became a most important precedent of the use of NATO's military and political potential outside the Alliance's borders. It reviews the peace operation (IFOR-SFOR) in Bosnia, and its impact on the NATO's strategy and development of relations with the new partners, in the first place with Russia. The examination and analysis of the Bosnian operation in the context of the settlement of the Abkhaz conflict deserves special attention. Specifically,

the author elaborates concrete ideas on how that model applies to the situation in Abkhazia.

The book also reviews the discussions on the Chechen conflict within the framework of NACC, and also the implications of this conflict for the relations between NATO and its partners.

Chapter 3, *Georgia and NATO*, examines how the Abkhaz problem was discussed within the framework of the political consultations with NATO at the critical stage of the conflict (1993) and in the subsequent period as well. It is noted that enormous effort was required to focus the Alliance's and its partner countries' attention to these problems. An analysis is made of why NATO was not able to be more actively involved in the resolution of this conflict and why the west at that time was guided by the principle «Russia first». These issues and other pertinent developments are examined on the basis of primary sources, historical facts, and the experience and personal insights that the author of this book gained as one of the active participants of the process of Georgia's cooperation with the NATO.

President Shevardnadze's first visit to NATO in 1993 and his meeting with the leadership of this organization was of great importance. It was during this visit that the Georgian leader set forth a number of important proposals regarding the co-operation between NATO and partner countries, including the initiative to create the Eurasian transit corridor.

Chapter 4 deals with Georgia's national security issues which are directly linked with the further development of our country's cooperation with NATO. Namely, the author examines the risks and challenges that underpin the principles and priorities of Georgia's national security concept. In this context, the CFE treaty and Georgia's participation in the so-called Vienna process are also discussed.

In the light of the Caucasus regional security issues, the book deals with such an important factor as the Caspian energy resources. Namely, the author analyses the influence of this factor on NATO's attitude to the Caucasus and Central Asia regions. The book deals with different opinions in the west as to the role that NATO strategy should attach to these resources. Some experts believe that given this factor, NATO should speed up its «entry» in the region, while opponents of this approach argue that the spread of the Alliance's security guarantees in countries of the Caucasus and Central Asia would in fact create a threat to NATO. The author of this book shares the view that the spread of Western interests in this region must occur while taking into consideration and respecting Russia's legitimate interests.

The author presents in great detail the different stages of NATO-Georgia relationship, the chronology of events, and new initiatives. Special attention is given to meetings within the NACC, visits at various levels, political consultations and the growing practical co-operation in which

Georgia takes part. The review and analysis of factual material creates a comprehensive picture of how Georgia's engagement in the building of the Euro-Atlantic security system was occurring, and the growing Georgian participation in the Partnership for Peace program, as well as increased interest of the Alliance and partner states in the regional security matters of the South Caucasus. The results and significance of the first visit of NATO's Secretary General Solana to the countries of the Caucasus in 1997 are analyzed.

The Euro-Atlantic Cooperation Council was formed as a result of the merger of NACC and PFP in 1997. This marked the beginning of a more dynamic and wide-ranging political and military co-operation between Georgia and NATO. The author analyses the aims and characteristics of this new organization , which, unlike NACC, was already oriented on the specific interests of individual countries and the so-called principle of self-differentiation. This implied that from now on, the partners themselves were to determine the level and content of their co-operation with NATO. Thus, EAPC was the new mechanism for partnership which included a broadened political dimension as well as practical co-operation within the framework of PFP. The basic document of EAPC sets forth the possibility of creating special regional groups, which is of particular interest for Georgia.

Thus, Georgia joined a new international mechanism which has acquired major functions in building the Euro-Atlantic security system. The special

quality of this mechanism was determined by the close military and political co-operation of the partner countries with NATO which on its part was in the phase of expansion and adaptation to new realities.

The book examines the documents and decisions taken at the 1997 Madrid Summit of NATO and EAPC Heads of State and Government. Specifically, the invitation of new members - Poland, Chezch Republic and Hungary - to start accession talks, regarding which a statement was made at the Summit and which finally put an end to the Cold War period balance of powers in Europe and gave NATO the role of a chief guarantor of security on the continent. At the same time, the Summit documents envisaged the prospect of joining NATO for those countries of Europe who have officially declared or will in the future declare their desire to join this organization.

The decisions of the Summit regarding the Alliance's internal adaptation also deserves attention. The aim of this adaptation was to orient NATO on the already existing and potential threats beyond its borders.

At the Madrid Summit, important steps were made toward deepening the relations of the partner countries with the Alliance. Specifically, the partners were given an opportunity to set up permanent diplomatic missions at NATO, pursuant to which the Georgian Ambassador presented his credentials to the Secretary General on 22 April 1998.

This book presents President Shevardnadze's address to the Summit and those important moments that affected Georgia and the South Caucasus on the whole. Specifically, attention is focused on the follow up to President Shevardnadze's proposal on the creation of the Caucasus regional group within the framework of EAPC.

The growing interest of NATO toward the Caucasus region was demonstrated by the second visit of the NATO Secretary General to Georgia, September 29-30, 1998.

The book deals in detail with the direction of the NATO-Georgian relationship with regard to military co-operation, namely the significance of the framework document of he bilateral relationship with NATO - Individual Partnership Program, and Planning and Analysis Process in building Georgia's armed forces.

In chapter 5 the author focuses on how preparations for the 1999 Washington Summit were carried out. Three main points determined the historic significance of that Summit- the 50th anniversary of the Alliance, the official admission of three new members (Poland, Chezch Republic and Hungary) and the adoption of a new strategic concept of the Alliance. Attention is focused on those provisions of the concept upon which NATO and Euro-Atlantic security would depend in the 21st century. Namely, in light of the Kosovo developments, the mandate of the UN Security Council for conducting NATO's military-peace

operations outside its borders became a subject of intense debate. The so-called geography issue was also very relevant for Georgia - specifically, whether or not NATO should have the right to counter threats coming from the neighboring regions, that is whether in the event of the adoption of this thesis NATO's actions in Europe or its neighboring "peripheric regions" would be theoretically possible.

The preparations for the Washington Summit were conducted against the backdrop of extremely complex international development which evolved around Kosovo. The book describes what measures NATO took together with the international community to stop the repression and ethnic cleansing pursued by the Belgrade authorities in Kosovo and later, when these measures failed to yield results, how the decision was taken on NATO's military operation.

The military action in Kosovo played a great role in the new thinking about international law and practice. This was demonstrated best by the creation of a precedent for the Alliance to carry out a comprehensive military operation for restoration of justice and protection of moral principles. The author examines the possible consequences and influence of this military operation for the entire Euro-Atlantic space, specifically in the Caucasus region and the conflicts there. It deals also with the rationale of Georgia's support of the first military action, and later on, the peace operation in Kosovo. In this regard, a very important step was taken in sending a Georgian peace keeping unit to Kosovo.

Based on documentary material, the book presents the discussions at Washington NATO and EAPC Summit. Interesting views were expressed by the President of Georgia and other leaders on Kosovo, NATO's role and the importance of partnership.

The book reviews the important documents adopted at the Summit and their significance for the future NATO-Georgian relationship. Among these particular attention is given to NATO's new strategic concept and the Membership Action Plan. As for the latter, it sets forth concrete recommendations for the countries that aspire to join NATO. The detailed analysis of this document and the authors assessments partially answer the questions of the Georgian public about the prospects of our country's further integration into Euro-Atlantic structures.

НАТО И ГРУЗИЯ: ОТ УТОПИИ К РЕАЛЬНОСТИ

Р Е З Ю М Е

В работе рассматриваются взаимоотношения НАТО и Грузии с основания Совета североатлантического сотрудничества (1992 г.) до Вашингтонского саммита НАТО (1999 г.). В этот период, т.е. после распада Советского Союза, установились взаимоотношения НАТО со странами Восточной Европы и бывшими советскими республиками, что в дальнейшем постепенно перерасло в деловое сотрудничество и партнерство.

Наряду с освещением этого процесса и взаимоотношений НАТО и Грузии в книге речь идет о важнейших факторах и событиях, которые по завершении "холодной войны" обусловили преобразование НАТО и его адаптацию к современной реальности.

На Вашингтонском саммите НАТО 1999 года была утверждена новая стратегическая концепция, наметившая обновленую роль и функции альянса в строительстве системы единой евроатлантической безопасности.

В 1 главе рассматривается роль НАТО в преобразовании бывшего социалистического лагеря, предпосылки которого были созданы еще в 1960-1970 годах и в значительной степени обусловлены политическим единством, эффективностью военного потенциала альянса и экономическим преимуществом стран Запада.

Сложившаяся в Советском Союзе в результате "перестройки" в конце 1980-х годов политическая обстановка наметила качественно новые задачи перед НАТО. В частности, цель новой стратегии альянса заключалась в переходе от конфронтации эпохи "холодной войны" к практическому сотрудничеству, установлению партнерских отношений с бывшими противниками и строительству новой архитектуры европейской безопасности. В создании соответствующего этим новым отношениям климата особую роль сыграл визит министра иностранных дел Советского Союза Э.Шеварднадзе в штаб-

квартиру НАТО в Брюсселе в 1989 году.

Наиболее значительным шагом "поворота" НАТО к Восточной Европе и Советскому Союзу был Лондонский саммит альянса 1990 года. В частности, в принятой на саммите декларации сформулированы главные контуры системы евроатлантической безопасности, которые отныне должны были основываться не на балансе сил двух противостоящих лагерей, а на принципах сотрудничества и партнерства.

Внимание уделяется политике НАТО по отношению к происходившим в Советском Союзе процессам, в частности, предпринятой в августе 1991 года в Москве попытке военного переворота и событиям последующего периода, которые ускорили дезинтеграцию СССР и сближение стран Восточной Европы с НАТО.

Названные события послужили толчком к восточной политике альянса, конкретным выражением чего и стало принятое на саммите НАТО 1991 года решение о создании Совета североатлантического сотрудничества (ССАС), в котором объединились страны-члены альянса и его бывшие противники(Грузия - с 1992 года). В пределах ССАС осуществлялись разработка первых рабочих программ сотрудничества НАТО и новых стран-партнеров, а также рассмотрение вопросов региональной безопасности, прежде всего создавшейся в Боснии-Герцеговине обстановки. Особое внимание уделялось вопросам нераспространения ядерного оружия, в частности, проблемам, связанным с ядерным оружием, размещенным на Украине, в Беларуси и Казахстане после распада Советского Союза.

В книге освещается процесс дальнейшей эволюции ССАС. В частности, одним из важнейших направлений его деятельности становится разработка практических и концептуальных основ в сфере миротворчества. На состоявшемся 11 июня 1993 года в Афинах заседании министров иностранных дел НАТО было сделано заявление, которое впервые предусматривало возможное совместное участие альянса и стран-патнеров в миротворческих

операциях.

На отношения НАТО с новыми партнерами большое влияние оказывали процессы связанные с возможным расширением альянса. С этой точки зрения в работе внимание заострено на взаимоотношениях НАТО и России, спефицике и динамике их развития.

Более детальное рассмотрение проблематики расширения НАТО даётся во П главе. В частности, рассмотрение материалов встреч НАТО и ССАС дает довольно полную картину расширения влияния НАТО в страны Центральной и Восточной Европы. С этой точки зрения большое значение имела принятая на саммите НАТО 1994 года новая инициатива - Программа "Партнерство ради мира", которая ставила отношения НАТО и бывшего социалистического лагеря на качественно новый уровень. В частности, эта программа отвечала требованиям ряда государств Центральной и Восточной Европы - сотрудничать с НАТО по практическим направлениям, в том числе и в военной сфере. Отныне перспектива членства в НАТО зависела от того, насколько успешно страна-партнер могла освоить те или иные возможности новой формы сотрудничества и приблизиться к установленным в НАТО политическо-государственным и военным стандартам. 23 марта 1994 года Грузия, одна из первых среди бывших советских республик, присоединилась к Программе "Партнерство ради мира".

В работе рассматривается обстановка, создавшаяся на европейском континенте в результате начала процесса расширения НАТО и его новой стратегии, что оказывало значительное влияние и на Грузию, как сопредельную с альянсом страну. С этой точки зрения заслуживает особого внимания освещение подхода России к расширению НАТО, а также рассмотрение существовавших к тому времени на Западе различных подходов к этим процессам. Хорошую возможность для этого дает, в частности, анализ документов НАТО и ССАС, западной прессы, российских источников, а также информаций дипломатического представительства Грузии.

Процесс адаптации НАТО к новой реальности вступил в заключительную фазу в период подготовки Мадридского саммита 1997 года, когда были определены принципиальные подходы к внутренним структурным изменениям альянса, расширению этой организации и укреплению т.н. европейского начала НАТО. Что касается военного измерения, то на основе приобретенного в Боснии опыта начиналась подготовка перехода от миротворческих операций (peacekeeping) к операциям по принуждению к миру (peace enforcement). В этот же период, в частности, 27 мая 1997 года в Париже на высшем уровне был оформлен документ ("Основополагающий акт о взаимных отношениях, сотрудничестве и безопасности между Российской Федерацией и организацией Североатлантического Договора"), который заложил основу особым отношениям между НАТО и Россией. А 29 мая была парафирована "Хартия об особом партнерстве между НАТО и Украиной".

В книге освещается довольно сложный процесс военного вмешательства НАТО в Боснийский конфликт, что является важнейшим прецедентом использования военно-политического потенциала НАТО за пределами границ альянса. Рассматривается значение миротворческой операции НАТО (IFOR-SFOR) в Боснии в развитии стратегии альянса и его сотрудничества с новыми партнерами, прежде всего, Россией. Особого внимания заслуживает рассмотрение и анализ боснийского опыта в контексте урегулирования конфликта в Абхазии, в частности, сформулированные автором отдельные соображения о том, в какой степени "Боснийская модель" применима к обстановке в Абхазии.

Для читателя может быть интересным также ознакомление с тем, как рассматривался в рамках ССАС конфликт в Чечне, а также последствия этого конфликта и его влияние на взаимоотношения между НАТО и странами-партнерами.

В Ш главе речь идет о том, как в рамках политических

консультаций с НАТО рассматривался вопрос Абхазии в критический для конфликта момент (1993 год) и в последующий период. Показано, какие большие усилия были приложены для заострения внимания альянса и стран-партнеров на этой проблеме. Проанализировано, почему не удалось более активно вовлечь НАТО в урегулирование этого конфликта и почему в то время Запад руководствовался политикой "Россия прежде всего". Эти вопросы и отдельные заслуживающие внимания события рассматриваются со ссылкой на первоисточники и исторические факты, а также на основе опыта, накопленного лично автором работы, как одним из активных участников сотрудничества Грузии с НАТО.

В сложной для Грузии обстановке состоялся первый визит Э.Шеварднадзе в НАТО в 1993 году и его встреча с руководством этой организации. Именно во время этого визита лидер Грузии выдвинул ряд важных предложений о сотрудничестве между НАТО и странами-партнерами, а также инициативу о создани Евразийского транзитного коридора.

IV глава посвящается рассмотрению вопросов национальной безопасности Грузии, что непосредственно связано с развитием её дальнейшего сотрудничества с НАТО. В частности, высказаны соображения касательно возможных рисков и вызовов, которые должны определять принципы и приоритеты национальной безопасности Грузии. В этом контексте освещается такая актуальная проблематика, как Договор о сокращении обычных вооруженных сил в Европе и участие Грузии в т.н. Венском процессе.

В контексте вопросов региональной безопасности Кавказа автор рассматривает проблематику энергоносителей Каспия. В частности, проанализировано влияние этого фактора на отношение НАТО со странами Кавказского и Среднеазиатского регионов. Освещены существующие на Западе различные соображения о том, какое место и роль должен отвести НАТО указанным энергоносителям в своей стратегии. Например, часть

экспертов считает, что НАТО, учитывая этот новый фактор, должен ускорить свое "вступление" в данный регион. А по мнению оппонентов, распространение гарантий безопасности альянса на страны Кавказа и Средней Азии создало бы серьёзную опасность для НАТО. Автор работы разделяет мнение, что распространение в данном регионе интересов Запада должно произойти с учетом законных интересов России.

Автор достаточно детально рассматривает этапы сотрудничества НАТО и Грузии, хронологию событий и новые инициативы. Особое внимание уделено проведенным в рамках ССАС встречам, визитам различного уровня, политическим консультациям и возрастающему практическому сотрудничеству. Рассмотрение и анализ фактического материала создают довольно полную картину процесса привлечения нашей страны к строительству системы евроатлантической безопасности, её возрастающего участия в программе "Партнёрство ради мира", а также повышения внимания НАТО и партнёров к вопросам региональной безопасности Южного Кавказа. Проанализированы итоги и значение первого визита Генерального секретаря НАТО Х.Соланы в страны Кавказа в 1997 году.

Созданный в 1997 году в результате слияния ССАС и Программы "Партнёрства ради мира" Совет Евроатлантического Партнёрства (СЕАП) положил начало более динамичному и многостороннему сотрудничеству НАТО и Грузии. Автор анализирует цели и особенности этой новой организации, которые, в отличие от ССАС, уже ориентированы на специфичные интересы отдельных стран по принципу т.н. самодифференциации. Таким образом, СЕАП представлял новый механизм партнёрства, охватывающий как расширенное политическое измерение, так и практическое сотрудничество в рамках Программы "Партнерства ради мира". В т.н. базовом документе СЕАП зафиксирована и возможность создания специальных региональных групп, что представляло особый интерес для Грузии.

Таким образом, Грузия присоединилась к новому международному механизму, приобретавшему важнейшие функции в строительстве системы евроатлантической безопасности. Особое свойство этого механизма определялось тесным политическим и военным сотрудничеством стран-партнёров с НАТО, которое, со своей стороны, находилось в стадии расширения и адаптации к новым реалиям.

Рассмотрены документы и решения принятые на состоявшихся в 1997 году в Мадриде встречах глав государств-членов НАТО и СЕАП. В частности, приглашение в состав альянса новых членов - Польши, Чехии и Венгрии окончательно поставило точку под балансом сил времён "холодной войны" в Европе и утверждало роль НАТО, как главного гаранта безопасности на континенте. В то же время документы саммита предусматривали перспективу объединения в ряды НАТО и тех стран Европы, которые официально проявили или проявят в будущем стремление присоединиться к этой организации.

Заслуживали внимания и решения саммита в связи с внутренней адаптацией альянса, цель которой состояла в ориентации НАТО на уже имеющиеся за пределами его границ или возможные опасности.

На Мадридском саммите были предприняты важные шаги по углублению сотрудничества стран-партнёров с Североатлантическим альянсом. В частности, партнёрам была предоставлена возможность создания при НАТО полноценных дипломатических представительств, в соответствии с чем 22 апреля 1998 года Посол Грузии вручил верительную грамоту Генеральному секретарю НАТО.

Рассмотрены выступление Президента Грузии Э.Шеварднадзе на саммите и примечательные моменты, связанные с проблемами Грузии и вообще Южного Кавказа. В частности, особое внимание уделено тому, какое развитие нашло высказанное Э.Шеварднадзе предложение о создании кавказской региональной группы в рамках СЕАП.

О возрастающем интересе НАТО к Кавказскому региону свидетельствовал и состоявшийся в сентябре 1998 года повторный визит Генерального секретаря НАТО в Грузию.

Достаточно детально освещено в работе такое важное направление взаимоотношений НАТО и Грузии, как военное сотрудничество. В частности, рассмотрено значение т.н. рамочного документа о двустороннем сотрудничестве с НАТО - Программы индивидуального партнёрства а также процесса планирования и анализа (PARP) в строительстве Вооружённых Сил Грузии.

В Y главе автор рассказывает о том, как проводилась подготовка к Вашингтонскому саммиту НАТО (1999 г.). Его историческое значение определяли три основных события: 50-летний юбилей альянса, официальное принятие в состав НАТО трёх новых членов (Польши, Венгрии, Чехии) и утверждение новой стратегической концепции альянса. Особое внимание уделено тем положениям стратегической концепции, от которых в значительной мере зависит будущее НАТО и евроатлантическая безопасность в XXI веке. В частности, с учётом происходивших в Косово событий, предметом острых дискуссий был вопрос мандата Совета Безопасности ООН для проведения миротворческих операций НАТО за пределами альянса. Крайне актульным для Грузии был также вопрос т.н. географии: следовало ли НАТО иметь право обезвреживания "будущих опасностей" идущих из непосредственно граничащих с альянсом регионов?

Подготовка к Вашингтонскому саммиту проводилась на фоне тех довольно сложных международных событий, которые развивались вокруг Косово. В книге описано, какие меры совместно с международной общественностью принимал НАТО для приостановления осуществлявшихся властями Белграда репрессий и этнической чистки в Косово и затем, когда эти меры не принесли результата, как было принято решение о военной операции НАТО.

Военная акция НАТО в Косово сыграла огромную роль в осмыслении современного международного права и

практики по-новому. Это выразилось, в первую очередь, в том, что был создан прецедент осуществления альянсом за своими пределами масштабной военной операции в целях восстановления справедливости и соблюдения нравственных принципов. Автор рассматривает возможные последствия этой операции и её влияние на всё евроатлантическое пространство, в частности, на Кавказский регион и происходящие там конфликты. Речь идёт и о том, как и по каким соображениям Грузия поддержала сначала указанную военную акцию НАТО, а затем миротворческую операцию в Косово. Важным с этой точки зрения шагом явилось направление в Косово небольшого грузинского миротворческого контингента.

На основании документальных материалов представлены дискуссии на Вашингтонском саммите НАТО и СЕАП. Заслуживают внимания соображения, высказанные на саммите Президентом Грузии и другими лидерами в связи с проблемой Косово, а также заявления по поводу роли НАТО и значения партнёрства.

Рассмотрены принятые на саммите важнейшие документы и их значение для дальнейших взаимоотношений НАТО и Грузии. Особого внимания заслуживает новая стратегическая концепция НАТО и "План членства" в НАТО (МАР). Что касается последнего, в нём сформулированы конкретные рекомендации для стран, стремящихся к интеграции с НАТО. Анализ этого документа и отдельные оценки автора частично отвечают на вопросы грузинской общественности относительно перспектив дальнейшей интеграции Грузии в евроатлантические структуры.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება

ვაშინგტონი, კოლუმბიის ფედერალური ოლქი, 1949 წლის 4 აპრილი

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და პრინციპებისადმი თავიანთ ნდობას და სურვილს, იქონიონ მშვიდობიანი ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ხალხსა და სახელმწიფოსთან.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და კანონიერების პრინციპებზე დამყარებული თავისუფლება, საზოგადო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია თავიანთი ხალხებისა.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან, გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა კოლექტიური თავდაცვის შესაქმნელად და მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ქვემოთ წარმოდგენილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების თაობაზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ, გაერო-ს წესდების შესაბამისად, ყველა საერთაშორისო ხასიათის დავა, რომელშიც ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ ჩართული, მშვიდობიანად მოაგვარონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას; ასევე საერთაშორისო ურთიერთობისას მოერიდონ ძალის ნებისმიერ გამოყენებას და მისი გამოყენების მუქარას, თუ ეს ეწინააღმდეგება გაერო-ს მიზნებს.

მუხლი 2

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობენ

მშვიდობიანი და მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომ განვითარებას თავიანთი დამოუკიდებელი ინსტიტუტების განმტკიცების, ამ ინსტიტუტების ფუძემდებლური პრინციპების უკეთ წვდომის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობებისათვის ხელშეწყობის გზით. მხარეები ადასტურებენ სწრაფვას, აღმოფხვრან წინააღმდეგობები თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და გააღრმაონ ეკონომიკური თანამშრომლობა ერთმანეთთან ზოგადად და ასევე ნებისმიერ მონაწილე მხარესთან.

მუხლი 3

ამ ხელშეკრულების მიზნები რომ უკეთ განახორციელონ, მონაწილე მხარეები ცალ-ცალკე და ერთად, მუდმივი ურთიერთდახმარებითა და დამოუკიდებელი ძალისხმევით, შეინარჩუნებენ და უფრო განავითარებენ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალურ და კოლექტიურ პოტენციალს.

მუხლი 4

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ისარგებლებენ ერთმანეთის კონსულტაციებით მაშინ, თუ, რომელიმე მათგანის აზრით, ნებისმიერი მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უშიშროებას საფრთხე დაემუქრება.

მუხლი 5

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი შეიარაღებული თავდასხმის დროს, თითოეული მათგანი გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს ან მხარეებს ისეთი ინდივიდუალური ან ერთობდივი მოქმედებებით, რომლებიც,

საჭიროების მიხედვით, გულისხმობენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას ჩრდილოანტლანტიკურ რეგიონში უშიშროების აღდგენისა და შემდგომი შენარჩუნების მიზნით.

ნებისმიერი ასეთი შეიარაღებული თავდასხმისა და მის გამო მიღებული ყველა ზომის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. მოქმედებები შეწყდება მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღდგენა-შენარჩუნებისათვის საჭირო ზომებს.

მუხლი 6

მე-5 მუხლის განხორციელება გულისხმობს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ ან რამდენიმე მონაწილე მხარეზე ნიშნავს შეიარაღებულ თავდასხმას

– ხელშეკრულებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე ევროპასა თუ ჩრდილო ამერიკაში, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, თურქეთის ტერიტორიასა თუ ჩრდილო-ატლანტიკურ ზონაში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით ან ნებისმიერი მონაწილე მხარის იურისდიქციაში მყოფ კუნძულებზე.

– ნებისმიერი მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებზე, სამხედრო გემებსა და ავიაციაზე, თუ ეს შეიარაღებული ძალები, სამხედრო გემები ან ავიაცია განლაგებული იყო ამ ტერიტორიებსა თუ მის შემოგარენში, ევროპის სხვა რაიონსა თუ მის შემოგარენში და თუ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს ამ ტერიტორიებსა და მის შემოგარენში ან ხმელთაშუა ზღვასა თუ მის შემოგარენში, ან ჩრდილოატლანტიკურ ზონაში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით თუ მის ახლომახლო იმყოფებოდა ნებისმიერი მონაწილე მხარის სააოკუპაციო ძალები.

მუხლი 7

ეს ხელშეკრულება არ ეხება და არც შეიძლება იყოს ამგვარად გაგებული, გაერო-ს წევრი მხარეების გაერო-ს წესდებით

გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს ან უშიშროების საბჭოს უპირატეს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

მუხლი 8

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე განაცხადებს, რომ არც ერთი მის მიერ სხვა მხარის ან სხვა სახელმწიფოს მიმართ ნაკისრი მოქმედი ვალდებულება არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს და არც იკისრებს ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგო საერთაშორისო ვალდებულებებს.

მუხლი 9

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აყალიბებენ საბჭოს რომელშიც ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად მონაწილეობს თითოეული მათგანი. საბჭო ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლოს ნებისმიერ დროს და რაც შეიძლება სწრაფად შეკრება. საბჭო ვალდებულია, საჭიროებისას, სასწრაფოდ შექმნას დამხმარე ორგანოები, კერძოდ თავდაცვის კომიტეტი, რომელმაც უნდა გასცეს რეკომენდაციები ამ ხელშეკრულების მესამე და მეხუთე მუხლებით გათვალისწინებული ზომების შესასრულებლად.

მუხლი 10

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიონ ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც ძალუძს განავითაროს ხელშეკრულების პრინციპები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური ზონის უსაფრთხოებაში. ასეთი წესით მიწვეული ნებისმიერი სახელმწიფო შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მხარე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების

დეპონირებით აშშ-ის მთავრობამ ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ უნდა აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს.

მუხლი 11

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო მისი დებულებები გაატარონ ცხოვრებაში თავიანთი სახელმწიფოს კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად. სარატიფიკაციო სიგელები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს დასაცავად აშშ-ის მთავრობას, რომელიც დოკუმენტის გადაცემის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების ხელისმომწერ სხვა სახელმწიფოებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე მოახდინა რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ სარატიფიკაციო სიგელების გადაცემისთანავე ბელგიის, კანადის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა, აშშ-ის და საფრანგეთის სარატიფიკაციო სიგელების ჩათვლით. სხვა სახელმწიფოებისთვის ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების დეპონირებისთანავე.

მუხლი 12

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის ათი და მეტი წლის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ნებისმიერი მათგანის მოთხოვნით ჩაატარონ ამ ხელშეკრულების გადასასინჯი კონსულტაციები და, ამავე დროს, აუცილებლად გაითვალისწინონ იმ პერიოდში ჩრდილოატლანტიკური რეგიონის მშვიდობისა და უშიშროების ფაქტორები საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად გაეროს წესდებით გათვალისწინებული გლობალური და რეგიონული ღონისძიებების დამუშავების ჩათვლით.

მუხლი 13

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოცი წლის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეაჩეროს თავისი წევრობა აშშ-ის მთავრობისათვის ხელშეკრულების დენონსაციის შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ. აშშ-ის მთავრობამ უნდა აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარეს მის მიერ დენონსაციის ყოველი დოკუმენტის მიღების შესახებ.

მუხლი 14

ეს ხელშეკრულება, ასევე მისი ავთენტური ფრანგული და ინგლისური ტექსტები, დასაცავად უნდა გადაეცეს აშშ-ის მთავრობის არქივს. ამ ხელშეკრულების ავთენტური ტექსტის სათანადოდ დადასტურებული ასლები აშშ-ის მთავრობამ უნდა დაუგზავნოს ამ ხელშეკრულების ხელისმომწერი ყველა სახელმწიფოს მთავრობას.

დანართი 1

ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯები

ქვეყანა (ვალუტა/წლი)	1975	1980	1985	1990	1995	1996	1997	1998	1999
				მიმდინარე ფასებში					
ბელგია (ბელგ. ფრანკი)	70899	115754	144183	155205	131156	131334	131796	133007	136393
ჩეხეთის რესპუბლიკა (ჩეხ. კრონა)	..	..	..	..	..	..	..	..	41484
დანია (დან.კრონა)	5355	9117	13344	16399	17468	17896	18521	19079	19577
საფრანგეთი (ფრ. ფრანკი)	55872	110514	186715	231911	238432	237375	241103	236226	244029
გერმანია (მარკა)	37589	48518	58650	68376	58986	58671	57602	58327	59730
საბერძნეთი (დრახმა)	45936	96975	321981	612344	1171377	1343276	1510684	1724621	1853189
უნგრეთი (ფორინტი)	..	..	..	..	..	..	..	..	182106
იტალია (1000 იტ. ლირა)	3104	7643	17767	28007	31561	36170	38701	40763	41888
ლუქსემბურგი (ლუქს. ფრანკი)	836	1534	2265	3233	4194	4380	4797	5197	5460
ნიდერლანდები (გულდენი)	7119	10476	12901	13513	12864	13199	13345	13561	13676
ნორვეგია (ნორვ. კრონა)	4771	8242	15446	21251	22224	22813	23010	25087	25074
პოლონეთი (ზლოტი)	..	..	..	..	..	..	..	..	12675
პორტუგალია (ესკუდო)	19898	43440	111375	267299	403478	401165	418772	420654	448690
ესპანეთი (პესეტა)	..	350423	674883	922808	1078751	1091432	1123046	1124054	1185942
თურქეთი (1000 თურქ. ლირა)	33	203	1235	13866	302864	611521	1183327	2289430	4367663
დიდი ბრიტანეთი (სტერლინგი)	5571	11593	18301	22287	21439	22330	21612	22551	22283
ნატო – ევროპა (აშშ დოლარი)	..	111981	92218	186189	184352	186821	172732	175306	180798
კანადა (კანად. დოლარი)	3360	5788	10332	13473	12457	11511	10831	11168	11048
აშშ (აშშ დოლარი)	88400	138191	258165	306170	278856	271417	276324	274278	283096
ჩრდ. ამერიკა (აშშ დოლარი)	91704	143141	265731	317717	287933	279860	284146	281806	290532
ნატო – საერთო (აშშ დოლარი)	..	255122	357949	503906	472284	466681	456879	457112	471330

სამხედრო ხარჯები, როგორც საერთო შიდა პროდუქტის %

ქვეყანა	საშ.- 1975-1979	საშ.- 1980-1984	საშ.- 1985-1989	საშ.- 1990-1994	1995	1996	1997	1998	1999
ბელგია	3,2	3,3	2,8	2,0	1,6	1,6	1,5	1,5	1,5
ჩეხეთის რესპუბლიკა	..	..	..	..	..	..	..	..	2,2
დანია	2,3	2,4	2,0	1,9	1,7	1,7	1,7	1,6	1,6
საფრანგეთი	3,8	3,9	3,8	3,4	3,1	3,0	2,9	2,8	2,8
გერმანია	3,4	3,4	3,0	2,2	1,7	1,7	1,6	1,6	1,5
საბერძნეთი	5,6	5,4	5,1	4,4	4,4	4,5	4,6	4,8	4,9
უნგრეთი	..	..	..	..	..	..	..	..	1,6
იტალია	2,1	2,1	2,3	2,1	1,8	1,9	2,0	2,0	2
ლუქსემბურგი	0,9	1,1	1,0	0,9	0,8	0,8	0,9	0,9	0,9
ნიდერლანდები	3,1	3,1	2,9	2,4	2,0	2,0	1,9	1,8	1,8
ნორვეგია	2,8	2,7	2,9	2,8	2,4	2,2	2,1	2,3	2,2
პოლონეთი	..	..	..	..	..	..	..	..	2,2
პორტუგალია	3,4	3,0	2,7	2,6	2,6	2,4	2,3	2,2	2,2
ესპანეთი	..	2,3	2,2	1,7	1,5	1,5	1,4	1,4	1,4
თურქეთი	4,4	4,0	3,3	3,8	3,9	4,1	4,1	4,4	5,7
დიდი ბრიტანეთი	4,9	5,2	4,5	3,8	3,0	3,0	2,7	2,7	2,6
ნატო - ევროპა	..	3,5	3,2	2,7	2,3	2,2	2,2	2,2	2,2
კანადა	1,9	2,0	2,1	1,9	1,5	1,4	1,2	1,2	1,2
აშშ	5,0	5,6	6,0	4,7	3,8	3,5	3,4	3,2	3,2
ჩრდილოეთ ამერიკა	4,7	5,3	5,6	4,5	3,7	3,4	3,3	3,1	3,0
ნატო - საერთო	..	4,5	4,5	3,6	3,0	2,8	2,8	2,7	2,6

დანართი 2

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული სამხედრო ხარჯები (აშშ დოლარი-1990 წლის ფასებში)

ქვეყანა	საშ-1975-1979	საშ-1980-1984	საშ-1985-1989	საშ-1990-1994	1995	1996	1997	1998	1999
ბელგია	405	483	477	466	342	337	332	330	333
ჩეხეთის რესპუბლიკა	..	..	..	..	..	..	..	..	58
დანია	450	493	498	516	480	478	479	477	474
საფრანგეთი	599	678	732	751	678	663	661	639	654
გერმანია	606	644	671	669	372	365	355	355	358
საბერძნეთი	356	343	438	380	368	388	406	439	456
უნგრეთი	..	..	..	..	..	..	..	..	59
იტალია	332	344	392	412	360	362	357	365	362
ლუქსემბურგი	137	184	203	253	265	270	285	302	312
ნიდერლანდები	442	457	494	496	407	412	407	400	391
ნორვეგია	564	621	758	800	726	730	717	760	728
პოლონეთი	..	..	..	..	..	..	..	..	46
პორტუგალია	200	157	146	189	194	187	190	183	190
ესპანეთი	..	226	246	233	207	203	204	199	206
თურქეთი	65	74	71	95	95	100	104	106	110
დიდი ბრიტანეთი	690	697	770	688	517	518	485	492	473
ნატო – ევროპა	..	462	493	484	378	375	368	367	328
კანადა	315	329	414	415	330	297	274	281	271
აშშ	987	987	1265	1225	914	863	854	824	829
ჩრდილოეთ ამერიკა	922	923	1182	1144	855	805	795	769	772
ნატო – ხაერთო	..	651	779	761	576	554	546	534	499

ბელგია (მლნ. ფრანკი)	132418	158789	157465	155205	115966	114228	113002	112522	113805
ჩეხეთის რესპუბლიკა (კორონა)	..	..	..	..	..	..	..	..	12626
დანია (დან.კრონა)	14095	15622	15759	16399	15524	15562	15652	15653	15610
საფრანგეთი (ფრ. ფრანკი)	171903	198895	220437	231911	214675	210675	210939	204751	210279
გერმანია (მარკა)	60568	64021	66139	68376	49024	48256	47077	47233	47950
საბერძნეთი (დრახმა)	510756	524576	689616	612344	610416	647663	681584	740737	772385
უნგრეთი (ფორინტი)	..	..	..	..	..	..	..	..	37737
იტალია (1000 იტ. ლირა)	22048	23289	26608	28007	24702	24882	24622	25207	25090
ლუქსემბურგი (ლუქს. ფრანკი)	1645	2232	2488	3233	3630	3758	4025	4315	4510
ნიდერლანდები (გულდენი)	10996	11769	13037	13513	11469	11650	11560	11427	11254
ნორვეგია (ნორვ. კრონა)	14153	16135	19712	21251	19809	20014	19713	21010	20230
პოლონეთი (ზლოტი)	..	..	..	..	..	..	..	..	1697
პორტუგალია (ესკუდო)	259215	217934	208150	267299	274531	264795	269183	259663	270742
ესპანეთი (პესეტა)	..	862375	963323	922808	828568	812567	819486	798016	828902
თურქეთი (1000 თურქ. ლირა)	6801	8567	9336	13866	15344	16402	17263	17913	18956
დიდი ბრიტანეთი (სტერლინგი)	21848	22092	24576	22287	17060	17138	16107	16397	15807
სატა - ევროპა (აშშ დოლარი)		167799	183765	186189	156026	155611	153413	153850	157940
კანადა (კანად. დოლარი)	8527	9442	12537	13473	11410	10378	9686	10047	9842
აშშ (აშშ დოლარი)	213125	224685	301661	306170	240529	229094	227867	221927	225112
ჩრდ. ამერიკა (აშშ დოლარი)	220433	232777	312406	317717	250308	237989	236169	230538	233547
სატა - საერთო (აშშ დოლარი)	..	400576	496170	503906	406334	393599	389581	384387	391488

შენიშვნები

თავი I

1. იხ. London Declaration of a Transformed North Atlantic Alliance. Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in London on 5-6 July 1990. გვ.1

2. იხ. იქვე გვ. 1

3. იხ. იქვე გვ. 1

4. იხ. Partnership with the Countries of Central and Eastern Europe. Statement issued by the North Atlantic Council meeting in Ministerial Session. Copenhagen, 6-7 June 1991. გვ. 1

5. იხ. იქვე გვ. 2

6. იხ. North Atlantic Council Final Communiqué. Copenhagen, 6-7 June 1991. გვ.2

7. იხ. NATO's Core Security Functions in the New Europe. Statement issued by the North Atlantic Council meeting in Ministerial Session. Copenhagen, 6-7 June 1991. გვ. 1

8. იხ. The Situation in the Soviet Union. Statement issued by the North Atlantic Council meeting in Misterial Session. Brussels, 21 August 1991. გვ. 1

9. იხ. იქვე გვ. 2

10. იხ. Developments in the Soviet Union. Statement issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Rome, 7-8 November 1991. გვ. 1

11. იხ. იქვე გვ. 1

12. იხ. იქვე გვ. 1

13. იხ. North Atlantic Cooperation Council Statement on Dialogue, Partnership and Cooperation. Brussels, 20 December 1991. გვ. 1

14. იხ. International Herald Tribune. 21.10.1993

თავი II

1. იხ. Z.Brzezinski. The Grand Chessboard. Basic Books. 1997. გვ. 101

2. იხ. Partnership for Peace: Invitation and framework Document. Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Brussels, 10-11 january 1994. Annex. Article 8.

3. იხ. The North Atlantic Treaty ("Treaty of Washington"). Washington, D.C. 4 April 1949. Article 4.

4. იხ. იქვე Article 5

5. იხ. Interanational Herald Tribune. 12.1.1994

6. იხ. Financial Times. 20.2.1994

7. იხ. International Herald Tribune. 1.3.1995

8. იხ. Rekomendacii parlamntskix slyshanii „Voennie i inie ugrozi bezopasnosti Rossii v sviazi s rashireniem NATO". Gosudarstvennaya Duma Rossiiskoi Federacii. 4 marta 1999 goda.

9. იხ. იქვე პუნქტი 2

10. იხ. იქვე პუნქტი 3

11. იხ. იქვე პუნქტი 5

12. იხ. International Herald Tribune. 16.1.1997

13. იხ. International Herald Tribune. 15.4.1997

14. იხ. International Herald Tribune. 14.4.1997

15. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 31.1.1997

16. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 12.9.1995

17. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 12.9.1995

18. იხ. International Herald Tribune. 30.4.1996

19 იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 25.4.1996

20. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 14.6.1996

21. იხ. იქვე

22. იხ. იქვე

23. იხ. International Herald Tribune. 30.6.1995

24. იხ. Le Soir 1.8.1994

25. იხ. International Herald Tribune. 30.6.1995

26. იხ. International Herald Tribune. 30.6.1995

თავი III

1. იხ. Statement issued at the meeting of the North Atlantic Cooperation Council. Oslo, 5 June 1992. პუნქტი 5

2. იხ. Statement issued at the meeting of the North Atlantic Cooperation Council. Brussels, 18 December 1992. პუნქტი 10

3. იხ. Statement issued at the meeting of the North Atlantic Cooperation Council. Athens, 11 June 1993 პუნქტი 3

4. იხ. The European. 12-15.8.1993

5. იხ. Statement on the situation in Geirgia. NATO Press Release (93)58. 20.9.1993

6. იხ. ნატოს გენერალური მდივნის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ა.ჩიკვაიძის სახელზე. 30.9.1993

7. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 1.10.1993

8. იხ. The Times. 6.7.1993

9. იხ. Verbatim record (4/07/c) of the special meeting of the North Atlantic Council with the participation of the Chairman of the Parliament and the Head of State of Georgia Mr. E.Shevardnadze, held on 23 June 1993 at the NATO Headquarters, Brussels. გვ.2

10. იხ. იქვე გვ.3

11. იხ. იქვე გვ.5

12. იხ. იქვე გვ.5

13. იხ. იქვე გვ.6

14. იხ. იქვე გვ.7

15. იხ. იქვე გვ.7

16. იხ. იქვე გვ.8

17. იხ. იქვე გვ.9

18. იხ. Eduard Shevardnadze. Georgia's Security Outlook. NATO Review. No.4, August 1993, გვ. 7-10

თავი IV

1. იხ. Le Soir. 31.8.1995

2. იხ. იქვე

3. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 7.9.1995

4. იხ. Glen E. Howard. NATO and the Coucasus: The Caspian Axis. *NATO after enlargement: New Challenges, New Mission, New Forces.* Edited by Stephen J. Blank, Strategic Studies Institute, CIS Army College, September 1998. გვ. 157

5. იხ. Kenneth Weisbrode, "Time to get serious about Turkey". Washington Times, 9.1. 1998

6. იხ. Le Monde, 19.7.1995

7. იხ. Glen E. Howard. NATO and the Coucasus: The Caspian Axis.

გვ. 160

8. იხ. იქვე გვ. 166

9. იხ. James A. Baker, "America's Vital Interest in the New Silk Road," New York Times, 21.7.1997

10. იხ. Glen E. Howard. NATO and the Coucasus: The Caspian Axis. გვ. 210

11. იხ. იქვე გვ. 209

12. იხ. Rachel Browson "NATO's Expanding Presence in the Caucasus and Central Asia." *NATO after enlargement: New Challenges, New Mission, New Forces.* Edited by Stephen J. Blank, Strategic Studies Institute, CIS Army College, September 1998 გვ. 229

13. იხ. Richard Sokolsky and Tania Charlick-Paley. Look Before NATO Leaps into the Caspian. Orbis, Spring, 1999. გვ. 286

14. იხ. Z.Brzezinski. The grand Chessboard. Basic Books. 1997. გვ. 149

15. იხ. Richard Sokolsky and Tania Charlick-Paley. Look Before NATO Leaps into the Caspian. Orbis, Spring, 1999. გვ. 201

16. იხ. Terry Adams. Caspian Hydrocarbons, the Politisation of Regional Pipelines and the destabilisation of the Caucasus. Brainstorming Session. Centre for European Policy Studies, Brussels, 27-28 January 2000. გვ. 3

17. იხ. Richard Sokolsky and Tania Charlick-Paley. Look Before NATO Leaps into the Caspian. გვ. 294

18. იხ. იქვე

19. იხ. იქვე გვ. 296

20. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 7.12.1995

21. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 30.5.1996

22. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია.

11.12.1996

23. იხ. Work Plan for Dialogue, Partnership and Cooperation 1996/1997. Issued at the meeting of the North Atlantic Cooperation Council. Brussels, 6 December 1995. Political and Security Related Matters.

24. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 11.2.1997

25. იხ. იქვე

26. იხ. იქვე

27. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 11.2.1997

28. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 13.2.1997

29. იხ. იქვე

30. იხ. იქვე

31. იხ. იქვე

32. იხ. იქვე

33. იხ. იქვე

34. იხ. Basic Document at the Euro-Atlantic Partnership Council. Sintra, Portugal, 30 May 1997. პუნქტი 2

35. იხ. იქვე პუნქტი 3

36. იხ. Madrid Declaration on Euro-Atlantic Security and Cooperation. Issued by the heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Madrid, 8 July 1997. პუნქტი 8

37. იხ. იქვე

38. იხ. Founding Act on Mutual Relations, Cooperation and security between NATO and the Russian Federation. Paris, 27 May 1997. Principles.

39. იხ. Madrid declaration on Euro-Atlantic Security and Cooperation. პუნქტი 9

40. იხ. იქვე

41. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 10.7.1997

42. იხ. იქვე

43. იხ. იქვე

44. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 10.7.1997

45. იხ. იქვე

46. იხ. International Herald Tribune. 11.2.1998.

47. იხ. The Independent. 11.2.1998

48. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 30.9.1997

49. იხ. იქვე

თავი V

1. იხ. "ორტ", პროგრამა "ვმესტე". 25.3.1999

2. იხ. Mark. A. Smith and Henry Plater-Zyberk. Kosovo: Russia's Response. Conflict Studies Research Centre. 30 March 1999.

3. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 29.3.1997

4. იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება. 6.4. 1999

5. იხ. ნატოსთან საქართველოს მისიის ინფორმაცია. 9.4.1999

6. იხ. Verbatim Record (EAPC (c)VR(99)6) of the meeting of the Euro-Atlantic Partnership Council at the level of the Heads of state and/or Government, held on Sunday, 25 April 1999 at 12.00 noon in Washington D.C. გვ. 8

7. იხ. იქვე გვ. 26

8. იხ. იქვე გვ. 32

9. იხ. იქვე გვ. 22

10. იხ. იქვე გვ. 23

11. იხ. იქვე გვ. 17

12. იხ. იქვე

13. იხ. იქვე

14. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 26.4.1999

15. იხ. იქვე
16. იხ. იქვე
17. იხ. იქვე
18. იხ. იქვე
19. იხ. იქვე
20. იხ. ნატოსთან საქართველოს მისიის ინფორმაცია. 9.6.1999
21. იხ. NATO Review. Summer 1999, p.3.

თავი VI

1. იხ. The Alliance's Strategic Concept. Approved by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Washington D.C., 23-24 April 1999. პუნქტი 20
2. იხ. იქვე პუნქტი 36
3. იხ. იქვე პუნქტი 35
4. იხ. იქვე პუნქტი 48
5. იხ. Membership Action Plan. Approved by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Washington D.C., 23 April 1999. პუნქტი 3
6. იხ. Study on NATO Enlargement. Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Brussels, 3 September 1995. თავი 4.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. NATO Final Communiques 1986-1990 (volume IV). NATO Office of Information and Press. Brussels.

2. NATO Communiques 1991-1995 (volume V). NATO Office of Information and Press. 1110 Brussels.

3. NATO Communiques 1996. NATO Office of Information and Press. 1110 Brussels.

4. NATO Communiques and Statements 1997. NATO Office of Information and Press. 1110 Brussels.

5. The NATO Handbook Documentation. A Companion Volume to the 50th Anniversary Edition of the NATO Handbook. NATO Office of Information and Press. 1999.

6. The NATO Handbook Chronology. A Companion Volume to the 50th Anniversary Edition of the NATO Handbook. NATO Office of Information and Press. 1998.

7. The Reader's Guide to the NATO Summit in Wasington, 23-25 April 1999. NATO Office of Information and Press. 1110 Brussels

8. NATO's Developing Role in Collective Security. Dr.Gulnur Aybet. Ministry of Foreign Affairs. Center For Strategic Research.SAM Papers No. 4/99. Ankara. 1999.

9. Percepcions. Journal of International Affairs. Special Issue on NATO. VolumeIV,Number 1. March-May 1999.

10. Developing a Regional Security Concept for the Caucasus. ICCN. Workshop, Final Report. 4-6 October 1996. Tbilisi.

11. C.J. Dick. „Some Geopolitical Implications of the Kosovo Conflict". Conflict Studies Research Centre. Occasional Brief 67. England. 5 May 1999.

12. Mark A. Smith and Henry Plater-Zyberk. „Kosovo: Russia's response". Conflict Studies Research Center. 30 March 1999.

13. Z.Brzezinski. „The Grand Chessboard". Basic Books. 1997.

14. Individual Partnership Program Between the Republic of Geor-

gia and NATO. NATO. PFP (PMSC)D(95)32. 13 December 1995.

15. Jack Mendelson. „The CFE Treaty: In Retrospect and Under Review". Arms Control Today, April 1996, Vol. 26, No.3.

16. Richard A.Falkenrath. „The CFE Flank Dispute: Waiting in the Wings". International Security, Vol. 19, No.4, Spring 1995.

17. „A Farewell to Flashman: American Policy in the Caucasus and Central Asia", Remarks by US Deputy Secretary of State, Strobe Talbott, July 211, 1997, at the John hopkins School of Advanced International Studies, Baltimore, Maryland.

18. Gwyn Prins. „Security Challenges for thee 21st Century". NATO Review, January 1997.

19. General Cevik Bir. „Turkey's Role in the New World Order: New Challenges". Strategic Forum, National Defense University, Institute for National Strategic Studies, No.135, February 1998.

20. Eduard Shevardnadze. „Georgia's Security Outlook". NATO Review, August 1993.

21. Jammes A. Baker, III. „America's Vital Interest in the New Silk Road". New York Times, July 21, 1997.

22. S. Enders Wimbush. „On Eurasia's Crossroads". Journal of Commerce, July 18, 1997.

23. Hugh Pope. „Oil Companies Rush into the Caucasus to tap the Caspian". Wall Street Journal, April 25, 1997.

24. Sheila Heslin. „The New Pipeline Politics". New York Times, November 10, 1997.

25. Ara Tatevosyan. „New Alliances Centered on the Caucasus". Moscow News, July 27, 1997.

26. Rosemarie Forsythe. „The Politics of Oil in the Caucasus and Central Asia". Adelphi Paper. 1996.

27. Glen E.Howard. „NATO and the Caucasus: The Caspian Axis". NATO after enlargement: New Challenges, New Missions, New Forces. Strategic Studies Institute, CIS Army College, September 1998.

28. Kenneth Weisbrode, „Time to get serious about Turkey". Wash-

ington Times, 9 January 1998.

29. Rachel Browson, „NATO's Expanding Presence in the Caucasus and Central Asia". NATO after enlargement: New Challenges, New Missions, New Forces. Strategic Studies Institute, CIS Army College, September 1998.

30. Richard Sokolsky and Tania Charlik-Palley, „Look Before NATO Leaps into the Caspian". Orbiss, Spring, 1999.

31. Terry Adams, „Caspian Hydrocarbons, the politicisation of Regional Pipelines and the destabilisation of the Caucasus". Brainstorming Session. CEPS, Brussels, 27-28 January 2000.

32. Verbatim record (4/07/c) of the special meeting of the North Atlantic Council with the participation of the Chairman of the Parliament and the Head of State of Georgia Mr.E.Shevardnadze, held on 23 June 19933 at the NATO Headquarters, Brussels.

33. Verbatim record (EAPC (c) VR(99)6) of the meeting of the Euro-Atlantic Partnership Council at the level of the Heads of state and/or Government, held on Sunday, 25 April 1999 in Washington D.C.

34. Statement on the situation in Georgia. NATO. Press release (93)58. 20 September 1993.

35. Rekomendacii parlamentskix slushanii „Voennie i inie ugrozi bezopasnosti Rosii v sviazi s rashireniem NATO". Gosudarstvennaya Duma Rosiiskoi Federacii. 4 marta 1999 goda.

36. Financial Times. 20 February 1994.

37. International Herald Tribune. 12 January 1994.

38. International Herald Tribune. 1 March 1995.

39. International Herald Tribune. 30 June 1995.

40. International Herald Tribune. 16 January 1997.

41. International Herald Tribune. !4 April 1997.

42. International Herald Tribune. 15 April 1997.

43. International Herald Tribune. 11 February 1998

44. The European. 12-15 August 1993.

45. The Times. 6 July 1993

46. Le Soir. 1 Aout 1994.

47. Le Soir. 31 Aout 1995
48. Le Monde. 19 Juillet 1995.
49. NATO Review. Summer 1999.
50. იხ. ნატოს გენერალური მდივნის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ა.ჩიკვაიძის სახელზე. 30.09.1993.
51. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 1.10.1993.
52. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 7.09.1995.
53. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 12.09.1995.
54. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 7.12.1995.
55. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 30.05.1996.
56. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 14.06.1996.
57. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 11.12.1996.
58. იხ. ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს ინფორმაცია. 10.07.1997.
59. იხ. ნატოსთან საქართველოს მისიის ინფორმაცია. 9.04.1999.
60. იხ. ნატოსთან საქართველოს მისიის ინფორმაცია. 9.06.1999.
61. იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება. 6.04.1999.
62. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 11.02.1997.
63. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 13.02.1997.
64. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 29.03.1997
65. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 30.09.1997.
66. იხ. საქართველოს რესპუბლიკა. 26.04. 1999
67. იხ. ორტ", პროგრამა ვმესტე". 25.03.1999

შემოკლებულ სიტყვათა განმარტება

ევაპსი – ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC)
ეუთთ – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირი, ანუ ევროთათბირი (1995 წლამდე)
ეუთო – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ანუ ევროუშიშროების ორგანიზაცია (1995 წლიდან)
ეჩშძ – ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები
იპპ – ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა
ნაჭსი – ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC)
პმპ – პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა (PFP)
შეიპი – ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა (SHAPE)
CJTF – კომბინირებული ერთობლივი დანიშნულების შეიარაღებული ძალები
IFOR – იმპლემენტაციის ძალები ბოსნია-ჰერცეგოვინაში
KFOR – სამშვიდობო ძალები კოსოვოში
NPT – ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ
PARP – დაგეგმვისა და ანალიზის პროცესი
SACEUR – ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი
SOFA – შეთანხმება შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ
SFOR – სტაბილიზაციის ძალები ბოსნია-ჰერცეგოვინაში

ზურაბ აბაშიძე

ნატო და საქართველო
უტოპიიდან რეალობისკენ

Zurab Abashidze

NATO AND GEORGIA:
FROM UTOPIA FOWARDS REALITY

Зураб Абашидзе

НАТО И ГРУЗИЯ:
ОТ УТОПИИ К РЕАЛЬНОСТИ